

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Humanities



**აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის
დაბადებიდან 100 წლის იუბილესადმი
მიძღვნილი XVI საფაკულტეტო
სამეცნიერო კონფერენცია**

**16TH FACULTY SCIENTIFIC CONFERENCE
IN HONOUR OF THE 100TH ANNIVERSARY OF THE
BIRTH OF MARIAM LORTKIPANIDZE**

თეზისები / ABSTRACTS

ივლისი 14-16 July
თბილისი - 2022 - Tbilisi

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი **ნანა გაფრინდაშვილი**

პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე**

ასოცირებული პროფესორი **ეკატერინე ნავროზაშვილი**

ფილოლოგიის დოქტორი **ნათია ფუტკარაძე**

სტუდენტი **ირინა ნოზაძე**

Organizing Committee:

Professor **Nana Gaprindashvili**

Professor **Darejan Tvaltvadze**

Assoc. Professor **Ekaterine Navrozashvili**

Doctor **Natia Putkaradze**

Student **Irina Nozadze**

ლექსიკური ასპექტი სპეციალობის ენის
სწავლების პროცესში

THE LEXICAL ASPECT OF THE SPECIALTY
LANGUAGE TEACHING PROCESS

მარინე ალექსიძე, იზაბელა მელქუმოვა
Marine Aleksidze, Izabella Melkumova

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სპეციალობის ენა, სამეცნიერო
სტილი, ტერმინი, კონტროლი, ტერმინოლოგიური
შესიტყვება, სემანტიზაცია, ადაპტაცია, ლექსიკური
თავსებადობა

Keywords: specialty language, scientific style, term, control,
terminological combination, semantization, adaptation,
lexical compatibility

ენობრივი გარემოს უქონლობის პირობებში რუსულის როგორც უცხო ენის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების პროცესში პირველ ადგილზე გამოდის სპეციალობის ენის შესწავლა და უწინარეს ყოვლისა – წაკითხული სპეციალური ტექსტის გაგების და ინფორმაციის მიღების უნარ-ჩვევების ფორმირება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სრული უარი უნდა ითქვას ლაპარაკის, მოსმენისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარებაზე, მაგრამ ძირითადი ამოცანაა – ვასწავლოთ სტუდენტებს დამოუკიდებლად ტექსტის წაკითხვა არჩეულ სპეციალობაში (ლექსიკონით ან ლექსიკონის გარეშე).

შესწავლის მასალა უნდა გახდეს მეტყველების სამეცნიერო სტილი საგაზეთო-პუბლიცისტურ და ოფიციალურ-საქმიან სტილებთან კომბინაციაში. ამა თუ იმ სტილის წამყვან თუ დაქვემდებარებულ პოზიციას განაპირობებს სტუდენტის სპეციალობა: ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში ძირითადია მეტყველების სამეცნიერო სტილი, სტუდენტ-იურისტებთან მეცადინეობებზე კი მთავარია ოფიციალურ-საქმიანი სტილის სპეციფიკური ნიშან-თვისებებისა და სამეცნიერო სტილის იმ თავისებურებების გამოვლენა, რომლებიც დამახასიათებელია იურისპრუდენციის ენისათვის: იურიდიული ტექსტები შეიცავს სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი მეტყველების ელემენტებს და, შესაბამისად, წარმოადგენს გადმოცემის სხვადასხვა საშუალების მონაცვლეობას.

იურისტებისათვის, ისევე როგორც სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის, სპეციალობის ენის სწავლების საწყისი ეტაპი ითვალისწინებს ტერმინებისა და ტერმინოლოგიური შესიტყვებების, ასევე, კლიშე-წინადადებების ათვისებას, ამიტომ კანონზომიერია სწავლების პროცესში მცირე მოცულობის ადაპტირებული ტექსტების გამოყენება, რომლებიც სინტაქსის მხრივ გამარტივებულია, მაგრამ ინარჩუნებს ტერმინების მნიშვნელოვან ნაწილს.

არაადაპტირებული სახით (ერთდროულად რუსულ და ქართულ ენებზე) შეიძლება მივანოდოთ სტუდენტებს სტანდარტიზებული ფორმის სპეციალური ტექსტები (მაგ., სისხლის სამართლის და სამოქალაქო კოდექსების მუხლები). ისინი არ წარმოადგენენ ერთმანეთის ზუსტ თარგმანს, მაგრამ მათ აქვთ ერთნაირი სტრუქტურა და ლექსიკურადაც ემთხვევიან ერთმანეთს. ეს კი საშუალებას გვაძლევს გავამახვილოთ სტუდენტების ყურადღება ადეკვატური აზრების რუსულად და ქართულად გამოხატვის საშუალებებზე, ასევე, გამოვიყენოთ ეს ტექსტები რუსულიდან ქართულად და პირუკუ სათარგმნ მასალად.

სწავლების საწყის ეტაპზე ტექსტების პრეზენტაციისას სასურველია, გათვალისწინებული იყოს სპეციალობაში სტუდენტების ცოდნის დონე: თუ ტექსტის შინაარსი ნაცნობია, სტუდენტების ყურადღების კონცენტრირება შესაძლებელია ნაცნობი შინაარსის გამოხატვის ფორმაზე.

სწავლების შემდგომ ეტაპზე ხდება ორიგინალური ან მინიმალური ადაპტაციის ტექსტების წარდგენა. ამ ტექსტების მასალაზე სტუდენტები ეცნობიან სამეცნიერო და ოფიციალურ-საქმიანი სტილის იურისპრუდენციის ენაში ხშირად გამოყენებულ კონსტრუქციებსა და წანადადებებს, ასევე, აბზაცებს შორის მაკავშირებელ საშუალებებს.

ტექსტის გაგების ხარისხი მოწმდება კონტროლის სხვადასხვა ხერხით: შესიტყვებების გაგების შემოწმება, მოცემულ დებულებებთან თანხმობის ან უთანხმოების დადასტურება (კი/არა), კონკრეტული ზუსტი ინფორმაციის მისაღებად კითხვებზე ტექსტში პასუხის მოძიება, რამდენიმე შესაძლო პასუხიდან სწორი ვარიანტის შერჩევა, ტერმინების შესაბამისობის დადგენა მოცემულ რამდენიმე განმარტებასთან, ტექსტის შინაარსის წარდგენა სქემების სახით, ტექსტის ან მისი მონაკვეთის თარგმანი და ა. შ.

დამატებითი მასალის სახით მიზანშეწონილია, სტუდენტების არასაკმარისი მომზადების შემთხვევაშიც, პრობლემური ტექსტების გამოყენება. ამგვარი ტექსტები ფართო საშუალებებს იძლევიან მეტყველებაში გასასვლელად და როგორც ლექსიკურად, ასევე შინაარსობრივად მიახლოებულია სპეციალობის ტექსტებთან, მაგ. „ევთანაზია – დანაშაული თუ წყალობა?“, „საქორწინო კონტრაქტი – დადებითი და უარყოფითი მხარეები“, „შვილად აყვანის საიდუმლოება“.

ამ ეტაპზე გრძელდება ასევე მუშაობა ტერმინებზე. ეს სამუშაო სხვადასხვა სახისაა:

- უკვე ნაცნობი ტერმინის ლექსიკური თავსებადობის გაფართოება და მისი გავრცობის ზღვრის დადგენა (вынести, огласить, опротестовать, обжаловать, отменить ПРИГОВОР; ПРИГОВОР обвинительный, оправдательный; ПРИГОВОР окончательный, обжалованию не подлежит; ПРИГОВОР вступил в законную силу);

- ზმნური შესატყვისების ტრანსფორმირება სახელად შესატყვისებად (возложить/возлагать обязанность – возложение обязанности, ответственности, вины, расходов);

- ერთი ძირის და სხვადასხვა აფიქსის მქონე სიტყვების მნიშვნელობის დიფერენციაცია მათს შეთანადებაში უზუსტობათა პრევენციის მიზნით (смертный приговор – смертельный удар, злое лицо – злостное хулиганство);

- უკვე ნაცნობი დერივაციული ელემენტების მქონე ლექსემთა წრის გაფართოება და დერივაციული მოდელის ცნების შემოყვანა (следователь, исполнитель, даритель);

- ახალ და უკვე ნაცნობ ტერმინოლოგიურ შესიტყვებებს შორის სისტემური კავშირების დადგენა (заклЮчить договор – расторгнуть договор, дать показания – отказаться от дачи показаний).

ლიტერატურა:

ალექსიძე, მ., მელქუმოვა, ი. (2021). დამხმარე სახელმძღვანელო რუსულ ენაში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. თბილისი: „უნივერსალი“.

ალექსიძე, მ., მელქუმოვა, ი. (2020). რუსული ენა იურისტებისათვის. თბილისი: „უნივერსალი“.

In the absence of a language environment teaching the language of the specialty comes to the fore in teaching Russian as a foreign language in universities, first of all, the formation of the ability to understand the read special text and extract information from it. It does not follow from the foregoing that it is necessary to completely abandon the development of speaking, listening and writing skills, but the main task is to teach students to independently read texts in their specialty (with and without a dictionary).

The material for studying at the university should be the scientific style of speech in combination with the newspaper-journalistic and formal-business style. The dominant or subordinate position of a particular style is determined by the specialty of students: in technical universities, the main one is the scientific style of speech, in the classroom with law students, the main thing is to identify the specific properties of the formal-business style and those features of the scientific style of speech that are characteristic of the language of jurisprudence. Legal texts combine elements of scientific and formal-business speech, representing an ordered alternation of different ways of presentation.

The initial course of teaching the language of the specialty of lawyers (as well as students of any other specialty) is the assimilation of terms and terminological phrases, as well as cliché sentences,

therefore, it is natural to use in the learning process small adapted texts, simplified in terms of syntax, but retaining most of the terms.

Special texts of a standardized form (for example, articles of the criminal and civil codes) can be presented to students in an unadapted form (at the same time in Russian and native languages). Such texts are not exact translations of each other, but they have the same structure and lexical match. This makes it possible to focus students' attention on the means of expressing adequate thoughts in Russian and their native languages and use them as material for translating from Russian into their native language and vice versa.

When presenting texts at the initial stage of training, it is desirable to take into account the level of knowledge of students in the specialty: if the content of the text is familiar to students, the teacher has the opportunity to focus their attention on the form of expression of familiar content. At the advanced stage of teaching, original texts or with minimal adaptation are presented, and on their material students get acquainted with the constructions of scientific and official business styles, frequent in the language of jurisprudence, and the means of connecting between sentences and paragraphs.

The quality of text comprehension is checked through various control methods: checking understanding of phrases, short answers to questions ("yes" or "no") expressing agreement or disagreement with the given provisions, find answers to questions in the text to find specific information, select the correct option from several possible answers, correlating terms with their definitions, presenting the content of the text in the form of diagrams, translating the text or part of it, etc.

As an additional material, even with insufficient preparation of students, it is advisable to use problematic texts that provide ample opportunities for speech and are close in content and language to

texts in the specialty, e.g.: “Euthanasia – Crime or Mercy”, “Marriage Contract – Pros and Cons”, “Adoption secrecy”.

Work on terms is also ongoing at this stage. This work is of different types:

- expanding the lexical compatibility of an already known term and establishing the limits of its distribution (вынести, огласить, опротестовать, обжаловать, отменить ПРИГОВОР; ПРИГОВОР обвинительный, оправдательный; ПРИГОВОР окончательный, обжалованию не подлежит; ПРИГОВОР вступил в законную силу);

- work on the compatibility of verbs, frequent in the language of jurisprudence, with the subsequent transformation of verb phrases into nominal ones (возложить/возлагать вину, обязанность – возложение вины, обязанности);

- work on verb-nominal phrases with desemantized verbs (принести протест, вступить в наследство);

- work on the differentiation of the meanings of single-root words with different suffixes and prefixes in order to prevent errors in their compatibility (злое лицо – злостное хулиганство, смертный приговор – смертельный удар);

- work on expanding the circle of lexemes with already known derivational elements and introducing the concept of a derivation model (следователь, исполнитель, даритель);

- work on establishing systemic links between new terminological phrases and those already learned (заключить договор – расторгнуть договор, дать показания – отказаться от дачи показаний).

References:

- Aleksidze, M., Melkumova, I. (2021).** Damkhmare sakhelmdzgvanelo rusul enashi iuridiuli fakultetis studentebisatvis. [Textbook on the Russian language for students of the Faculty of Law].Tbilisi: Universal.
- Aleksidze, M., Melkumova, I. (2021).** Rusuli iuristebisatvis. [Russian for lawyers].Tbilisi: Universal.

ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლის-ბურების
ომზე (1899-1902)

VARLAM CHERKEZISHVILI ON THE ENGLISH-BOOR
WAR (1899-1902)

თამარ ანთაძე

Tamar Antadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ვარლამ ჩერქეზიშვილი, ინგლისი,
ბურები, ნიკო ბური

Keywords: Varlam Cherkezishvili, England, Boers, Niko Boer

ვაგრძელებთ დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში ვარლამ ჩერქეზიშვილის წვლილის გაშუქებას. აღსანიშნავია, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილმა თავისი ეპისტოლარული მემკვიდრეობის მეშვეობით არაერთი საინტერესო და ღირებული ინფორმაცია მიაწოდა ქართველ საზოგადოებას დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე. იგი კარგად იცნობდა ამ ეპოქის გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ეს მისი, როგორც ჟურნალისტისა და პუბლიცისტის, კიდევ ერთი დადებითი მხარეა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ჩერქეზიშვილის მრავალმხრივ და მრავალფეროვან საქმიანობაზე სრულყოფილი წარმოდგენა ჩამოგვიყალიბდეს.

ვარლამ ჩერქეზიშვილი განსაკუთრებით კარგად ერკვეოდა დასავლეთ ევროპის, კერძოდ, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დიდი ბრიტანეთის ისტორიის საკვანძო საკითხებში. იგი ცხოვრობდა ინგლისში და იმ მოვლენების, რომლებზეც საუბრობს თავის პუბლიცისტურ წერილებში, უშუალო თვითმხილველია. ქართველი საზოგადოებისათვის ვარლამ ჩერქეზიშვილის მრავალფეროვანი საქმიანობის ეს მხარე უცნობია, აქედან გამომდინარე, ამ თვალსაზრისით საკითხის გაშუქება საინტერესოდ და აქტუალურად მივიჩნით. ეს საშუალებას მოგვცემს, შევავსოთ ქართული ისტორიოგრაფიის ამ სფეროში არსებული ხარვეზი.

ამჯერად, როგორც სათაურიდან ჩანს, ყურადღებას გავამახვილებთ ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულებაზე ინგლის-ბურების ომისადმი (1899-1902). არც ერთი თემა ისეთი პოლიტიკური სიმწვავეთ არ გამოირჩეოდა იმ წლებში, როგორც ინგლის-ბურების ომი.

ვარლამ ჩერქეზიშვილი თავის პუბლიცისტურ წერილებში, რომლებიც ამ საკითხზე იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ პრესაში, ქართველ საზოგადოებას საინტერესო ინფორმაციას აწვდის. სწორედ, ეს მასალა გვევლინება ჩვენს მთავარ წყაროდ. მთელ ამ მსჯელობას ისტორიოგრაფიული ხასიათი

აქვს. ის, როგორც ჟურნალისტი, ცდილობს დააფიქსიროს ამ საკითხზე თავისი პოზიცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში არც ერთი თემა არ გამოირჩეოდა ისეთი აქტუალობით, როგორითაც ინგლის-ბურების ომი, ამიტომ ამ საკითხისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის ინტერესი გასაკვირი არაა და სავსებით მართლზომიერია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში ინგლის-ბურების ომს საკმაოდ ფართო გამოხმაურება მოჰყვა, რადგან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყოველთვის სარგებლობდა ქართველი საზოგადოების განსაკუთრებული სიმპათიით. ვარლამ ჩერქეზიშვილი სულაც არ წარმოადგენდა გამონაკლისს. მისი გამოხმაურება ინგლის-ბურების ომზე საქართველოში ამ საკითხისადმი დაინტერესების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. ქართველი საზოგადოება თანაუგრძნობდა ბურებს და აქედან გამომდინარეობდა ნიკო ბაგრატიონის (ბურის) აქტიური მონაწილეობაც ამ ომში და მისი ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ.

უნდა ითქვას, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის ანალიზი ამ კონტექსტში ჯდება და, პირიქით, მის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ. ის ინგლისიდან უჭერს მხარს ქართულ საზოგადოებრივ აზრს, ცხადია, ამ ომში მისი სიმპათია მთლიანად ბურების მხარესაა.

ინფორმირებულობა აღნიშნულ საკითხზე მისი მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია. ეს არ იყო შემთხვევითი და ემპირიული, ფაქტობრივი მასალის ცოდნის ლოგიკური შედეგია. ამ მოვლენებზე ინგლისელი საზოგადოების რეაგირება მის თვალწინ ხდებოდა. ჩერქეზიშვილი ამის უშუალო თვითმხილველი იყო. როგორც აღვნიშნეთ, ის ამ დროს ინგლისში იმყოფებოდა, ემიგრაციაში.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ ამ დაპირისპირების დროს ვარლამ ჩერქეზიშვილის სიმპათია მთლიანად თავისუფლებისათვის მებრძოლი ბურების მხარესაა,

ხოლო ინგლისელ კოლონიზატორთა საქციელს სასტიკად გმობს. იგი ინგლისელების მიერ ბურების რესპუბლიკაში ჩადენილ სისასტიკეს და მხეცობას კატეგორიულად ეწინააღმდეგება და ინგლისელ კოლონიზატორებს სამარცხვინო ბოძზე აკრავს. კოლონიზატორთა საქციელი მისთვის სრულიად მიუღებელია. ვფიქრობთ, ეს სწორი მიდგომაა.

მისთვის, როგორც ქართველი პატრიოტისა და მამულიშვილისთვის, სრულიად მიუღებელი იყო კოლონიური ომები და კოლონიური იმპერიები, როგორც იყო ინგლისი. ის თანაუგრძნობს ბურებს, მხარს უჭერს ბურების რესპუბლიკას და მათ თავისუფლებას. ინგლისის პოლიტიკა ბურების რესპუბლიკის მიმართ მიუღებლად მიაჩნია და მათ ძალადობაში სდებს ბრალს.

შეიძლება ითქვას, რომ ინგლისელი პოლიტიკოსების შეფასებისას, ვარლამ ჩერქეზიშვილი მთავარ კრიტერიუმად იღებს მათ პოზიციას და დამოკიდებულებას ინგლის-ბურების ომისადმი. რადგან უმრავლესობა მხარს უჭერდა ინგლის-ბურების ომს და მომხრე იყო ინგლისის კოლონიური პოლიტიკის, მათდამი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ნეგატიური იყო და ეს პოლიტიკოსები მისთვის მიუღებელი იყვნენ.

ვარლამ ჩერქეზიშვილს მხედველობიდან არ გამოორჩენია, რომ ინგლისის მთავრობისაგან განსხვავებით, ბურების ბრძოლას თავისუფლებისათვის მხარს უჭერდა მსოფლიო საზოგადოება.

მაშ ასე, შეიძლება ითქვას, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობას წითელ ხაზად გასდევს თავისუფლებისათვის მებრძოლი ბურების რესპუბლიკისადმი სიმპათია და ის ინგლისელი დამპყრობლების საქმიანობას მეტისმეტად კიცხავს. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და ქართული რეალობის ერთ-ერთი გამოძახილი შეიძლება ყოფილიყო. იქნებ ძალზე შორეული ასოციაციაა, მაგრამ გვეჩვენება, რომ ქართველ ავტორს ინგლის-ბურების ომზე წერის დროს საქართველო უდგას თვალწინ, ხოლო ინგლისის

მთავრობის უსამართლო და უღირსი საქციელი რუსეთის ვერაგულ მოქმედებას აგონებს. კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ, ეს მხოლოდ ჩვენი ფრთხილი ვარაუდია.

ლიტერატურა:

ჩერქეზიშვილი, ვ. (2011). თხზულებანი, ტ.1, თბილისი: „კარპედიემა“.
ნამორაძე, ნ. (1990). ახალი ისტორია. თბილისი: თბილისის უნი-
ვერსიტეტის გამომცემლობა.

Varlam Cherkezishvili, an outstanding Georgian politician and journalist, made a significant contribution in the popularization of the world history in Georgia. In his epistolary heritage, he reveals a thorough knowledge of the key issues of the recent history of Western Europe. He is well aware of the life and works of the famous public figures of the given epoch. The paper focuses on an interesting aspect of Varlam Cherkezishvili's works, without which the analysis of his journalistic activities would be incomplete.

Varlam Cherkezishvili was especially knowledgeable in the history of Western European countries, especially the history of England of the XIX-XX centuries. This is not surprising, because he lived in England and witnessed the events discussed in his publicist works. This aspect of Varlam Cherkezishvili's heritage is yet unknown to the Georgian society. Therefore, it is important to cover the issue, because this will enable fill the gap in the Georgian historiography.

The paper focuses on Varlam Cherkezishvili's attitude to the war between England and the Boor Republic (1899-1902). The research is topical and interesting, because the issue of English-Boor war was very acute in the given epoch. Although Varlam Cherkezishvili has not written a special paper dedicated to this war, he expressed his opinions regarding the issue in various works. His position is both interesting and transparent. In his publicist letters, published in the

Georgian periodicals, he provides interesting information about the English-Boor war. This material has formed the main source of our research.

On the boundary of the XIX-XX centuries, none of the issues was as topical for the international relations as the English-Boor war. Therefore, it is not surprising that Varlam Cherkezishvili was interested in the issue. In general, the above-mentioned war was widely discussed in Georgia, because the national liberation movement had always aroused the interest of the Georgian society. Varlam Cherkezishvili's opinion regarding the English-Boor war is one of the components of this interest. He addressed the Georgian society from England.

Varlam Cherkezishvili's correct evaluation of the English-Boor war and his knowledgeable ability regarding the issue is a logical result of his awareness of the empirical-factual material. The chief merit of Varlam Cherkezishvili's argumentation regarding the war is that he fully sympathizes with the Boors. Varlam Cherkezishvili condemns the cruel acts committed by the English in the Boor Republic. He severely criticizes the English colonists for the annihilation of the peaceful population. Such attitude is correct and it should be considered a great merit of his journalistic activities.

Varlam Cherkezishvili underlines the fact that, unlike the English government, the English society supported the Boors' aspiration to freedom. This forms one of the positive aspects of Varlam Cherkezishvili's argumentation regarding the issue of the English-Boor war.

References:

Cherkezishvili, V. (2011). Tkhzulebani, t. I. [Works, volume 1]. Tbilisi: Karpedieme.

Namoradze, N. (Ed.) (1990). [Recent History, Part II]. Tbilisi: Tbilisi University Press.

ახალი სპარსულიდან ქართულში
შემოსულ ზმნურ ნასესხობათათვის
ON THE VERBAL LOANS BORROWED BY GEORGIAN
FROM NEW PERSIAN

ფატი ანთაძე

Fati Antadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ზმნური ნასესხობები, მარტივი ზმნები,
შედგენილი ზმნები, ნასახელარი ზმნები, ჰიპერკალკი
Keywords: Verbal loans, simple verbs, compound verbs,
denominal verbs, hyper-calque

ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსულ ლექსიკურ ერთეულთა ნაწილი ზმნური ნასესხობებითაა წარმოდგენილი.

დასტურდება მარტივ ზმნათა სესხების მხოლოდ ორი მაგალითი გარკვეული სემანტიკური ცვლილებით: *sänj-idän* 1. „აწონ-დანწონვა“, 2. „შეღარება“, 3. „აწონვა“, 4. „გაზომვა“>ქართული „გა-სინჯ-ვა: სინჯ-ავ-ს“ და *nävärd-idän* 1. „გავლა, გადაღახვა“, 2. „მოგზაურობა, ხეტიალი“>ქართული „ნავარდობ-ა: ნავარდობ-ს“. ამ ზმნათა აწმყოს ფუძის ფორმით სესხება ადასტურებს მოსაზრებას, რომ „ზმნების სესხება ხდება ისე, თითქოს ისინი არსებით სახელებს წარმოადგენდნენ და მსესხებელი ენა მათ ნასახელარ ზმნებად გარდაქმნის“ (Moravcsik, 1978: 111-112).

შედგენილ ზმნებს, რომლებიც სპარსულ ზმნათა უმრავლესობას წარმოადგენენ, ქართული ძირითადად ჰიპერკალკირებით სესხულობს, რაც ზმნის სახელადი ნაწილის უთარგმნელად გადმოტანასა და მხოლოდ ზმნური კომპონენტის თარგმნას გულისხმობს (ანთაძე, 2012:51).

სპარსულიდან ქართულში შემოსული ჰიპერკალკირებული ზმნური ნასესხობები მეტწილად ორკომპონენტიან შედგენილ ზმნათაგან მომდინარეობს, რომელთა ზმნური ელემენტი მარტივი ზმნითაა წარმოდგენილი. იხ. სპარსული *sofre gostärd-än*>ქართული „სუფრ-ის გა-შლ-ა: სუფრა გა-შალ-ა“. დასტურდება წინდებულებიან ზმნურ ელემენტთა შემცველ ეტიმონთაგან მომდინარე ნასესხობებიც, შდრ. სპარსული *sofre bär čid-än* >ქართული „სუფრ-ის ა-ლაგ-ებ-ა: სუფრა ა-ა-ლაგ-ა“.

რიგ ჰიპერკალკთა ეტიმონებად მრავალკომპონენტიანი ზმნები გვევლინება. შდრ. სპარსული *(be-) sär-e eštehä ävärd-än* (მოქმ.)>„იშტა-ზე მო-ყვ-ან-ა“: *xäter-e käsi-râ šekäst-än*>ქართული „ვინმესთვის ხათრ-ის გა-ტეხ-ა: ხათრ-ი გა-უ-ტეხ-ა“.

ხშირად ჰიპერკალკის პარალელურად წარმოდგენილია სინონიმური ვარიანტი ნასახელარი ზმნის სახით, შდრ. სპარ-

სული nešān dād-än>ქართული ჰიპერკალკი „ნიშნ-ის მი-ცემ-ა“: ნიშან-ი მი-ს-ც-ა/ნასახელარი ზმნა „ა-ნიშნ-ა“.

რიგი სპარსული ორკომპონენტიანი ზმნებისა ქართულში მხოლოდ ნასახელარი ზმნის ფორმით ადაპტირდება. ამგვარ ნასესხობათა ეტიმოლოგები მეტწილად kârd-an და šod-an ზმნურ კომპონენტებს შეიცავენ, შდრ. სპარსული fekr kârd-an>ქართული ფიქრ-ი: ფიქრ-ობ-ს, jâm' šod-an(ვნებ.)>ქართული ფიქრ-ი: ფიქრ-ობ-ს. სესხების ადრინდელ ეტაპზე ზოგჯერ გვხვდება ამგვარ ზმნათა ჰიპერკალკირებული ფორმებიც, მაგალითად, შუა საუკუნეების ძეგლებში გვაქვს zâbun šod-an>„ძაბუნ ი-ქმნ-ა“ და არა ამჟამინდელი „და-ძაბუნ-დ-ა“(ვნებ.).

დასტურდება ერთი მაგალითი, სადაც მრავალკომპონენტიანი ზმნის ფორმით წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმი ქართულში ნასახელარ ზმნად გადმოდის: სპარსული mesl-e bot istâdän>ქართული გა-ბოტ-ვა: გა-ი-ბოტ-ა.

სპარსულიდან ნასესხებ ზმნებში ეტიმოლოგის პოლისემიური არე უმეტესად შემცირებულია, რიგ შემთხვევებში იცვლება მნიშვნელობაც.

ლიტერატურა:

ანთაძე, ფ. (2012). ზოგიერთი ჰიპერკალკირებული სპარსული ნასესხობის შესახებ ქართულში, „კონსტანტინე ფალავა 90. საიუბილეო კრებული, მიძღვნილი კონსტანტინე ფალავას 90 წლისთავისადმი“, 45-52, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Moravcsik, E. (1978). Universals of Language Contact, Universals of Human Language, vol.1, Method and Theory. (eds. Joseph H. Greenberg et al.) Universals of Human Language, vol.1, Method and Theory, 93-122: Stanford University Press.

A significant part of the lexical units borrowed by Georgian from New Persian comprises verbal loans.

There are only two examples of borrowed simple verbs with certain semantic changes: *sänj-id-än* 1. „think over“, 2. „compare“, 3. „weigh“, 4. „measure“>Georgian „*ga-sinj-va: sinj-av-s*“ – 1. „try, taste“, 2. „examine“ and *nävärd-id-än* 1. „pass, overcome“, 2. „travel, wander“>Georgian „*navard-ob-a: navard-ob-s*“ – „frolic, run about“. The borrowing of the present tense forms of these verbs proves the opinion that „if verbs are borrowed, they seem to be borrowed as if they were nouns: the borrowing language employs its means of denominal verbalization to turn the borrowed forms into verbs before using them as such“(Moravcsik, 1978: 111-112).

Compound verbs, which form the majority of Persian verbs, are borrowed by Georgian chiefly in the form of hyper-calques. This means the transfer of the nominal part of the verb without translation and the translation of the verbal component only (F. Antadze, 2012:51).

The hyper-calqued verbal loans borrowed by Georgian from Persian are mostly compound verbs consisting of two components. The verbal element in this case is represented by simple verbs, for instance, Persian *sofre gostärd-än*>Georgian „*supr-is ga-šl-a: supra ga-šal-a*“ – „spread a table cloth, lay the table“.

The etymons of some hyper-calques are verbs with multiple components, e.g. *xâter-e käsi-râ šekäst-än*>Georgian „*xatr-is ga-ṭex-a: xatr-i ga-u-ṭex-a*“ – „neglect someone’s opinion, wish“.

In some cases, there are parallel variants of the hyper-calques represented in the form of denominal verbs, see Persian *nešân dâd-än*>Georgian hyper-calque „*nišn-is mi-cem-a*“: *nišan-i mi-s-c-a*/denominal verb „*a-nišn -a*“ – „give a sign“.

Some of the Persian verbs with two components are adapted in Georgian only in the form of denominal verbs. The etymons of such loans are chiefly based on the verbs *kärd-an* and *šod-an*. For instance, Persian *fekr kärd-an*>Georgian *pikr-i: pikr-ob-s* – „think“,

jäm' šod-an (passive) – „gather“>Georgian še-jam-eb-a: jam-d-eb-a – „summarize“. On the earlier stage of borrowing, the hyper-calques of these verbs were also found. For instance, in the medieval literary monuments we find zäbun šod-an>„zabun i-qmn-a“ instead of the present-day form „da-zabun-d-a“ (passive) – „become feeble“.

There is one example in which a phraseological unit represented by the verb with multiple components is adapted in Georgian in the form of a denominal verb: Persian mesl-e bot istâdän – “stand there like a stuffed dummy”>Georgian ga-bot-va: ga -i- bot -a – 1. „spraddle legs“, 2. „be stubborn“.

The polysemantic nature of the etymon is mostly restricted in the verbs borrowed from Persian. In certain cases, the meaning is also changed.

References:

Antadze, P. (2012). Zogierti hiperkalkirebuli sparsuli nasesxobis shesax-eb qartulshi[On Certain Hypercalque Persian Loan-words in Georgian]. Konstantine Paghava 90, Jubilee Volume Dedicated to the 90th Anniversary of Birth of Konstantine Paghava, 45-52, Tbilisi : Tbilisi University Press.

Moravcsik, E. (1978). Universals of Language Contact, Universals of Human Language, vol.1, Method and Theory. (eds. Joseph H. Greenberg et al.) Universals of Human Language, vol.1, Method and Theory, 93-122: Stanford University Press.

ისტორიის იდეა მარიამ ლორთქიფანიძის
სამეცნიერო მემკვიდრეობაში

THE IDEA OF HISTORY IN MARIAM
LORTKIPANIDZE'S SCIENTIFIC LEGACY

ლია ახალაძე

Lia Akhaladze

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sokhumi State University

ფილოლოგიის ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მარიამ ლორთქიფანიძე, ისტორია,
იდეა, სამეცნიერო მემკვიდრეობა

Keywords: Mariam Lortkipanidze, history, idea, scientific
heritage

ქართულმა ისტორიოგრაფიამ მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო საქმიანობის შესწავლა მეცნიერის სიცოცხლეშივე წამოიწყო. მიუხედავად არსებული შეფასებებისა, ეს საკითხი ქართული საისტორიო აზროვნების განვითარების შესწავლის თვალსაზრისით კვლავ აქტუალურია და ვფიქრობთ, ამ თემაზე მომავალშიც ბევრი დაინერება. მოხსენებაში შესწავლილია, როგორ არის წარმოდგენილი ისტორიის იდეა მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში, XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის ნაციონალური მახასიათებლების გათვალისწინებით, დაზუსტებულია მეცნიერის კვლევითი საქმიანობის ტიპოლოგია. დაზუსტებულია, როგორ არის წარმოდგენილი ისტორიის იდეა.

კვლევის მეთოდები ეფუძნება ისტორიულ – შედარებითი კვლევის მეთოდოლოგიას, წყაროზე დაკვირვების, ჰერმენევტიკის, კონტენტ-ანალიზის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს, რაც მოითხოვს საკვლევი პრობლემის მიმართ ღრმა სისტემურ მიდგომას.

მარიამ ლორთქიფანიძის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლისას გასათვალისწინებელია ის თავისებურებები, რომლებიც დამახასიათებელია მისი სამეცნიერო საქმიანობისთვის. ტიპოლოგიური თვალსაზრისით მეცნიერის შემოქმედება მრავალფეროვანია: ეს არის ორ ასეულამდე სამეცნიერო პუბლიკაცია, მოხსენებები და პრეზენტაციები საქართველოში თუ საზღვარგარეთ, რეცენზიები, გამოხმაურებები, წიგნების რედაქტორობა, ინტერვიუები, საჯარო ლექციები და სხვა. გამოკვლევათა თემატიკის დიაპაზონი ძალიან ფართოა: საქართველოს პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ისტორია, ისტორიოგრაფიული ხასიათის კვლევები, წყაროთმცოდნეობითი ძიებანი და მრავალი სხვა. თავისებურებათა შორის ყურადღებას იქცევს კვლევის შედეგების საჯაროობა და ისტორიული ცოდნის მუდმივი დისემინაცია ფართო მსმენელი აუდიტორიის წინაშე, რაც შეიძლება XX – XXI

სს. მიჯნის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ ნაციონალურ მახასიათებლად მივიჩნით.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მოქარბებულადაა წარმოდგენილი „საბჭოთა პარადიგმების“ იდეოლოგიური ნარატივი, რომლითაც საბჭოთა იმპერია წლების განმავლობაში მიზანმიმართულად და ხელოვნურად ცდილობდა, შეეცვალა ეთნიკური იდენტობის მარკერები, XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის ნაციონალური მახასიათებლები ისტორიული მეხსიერების, როგორც ეროვნული იდენტობის შენარჩუნებისა და ფორმირების, ახალი ისტორიული პროცესების ხელშემწყობი კონცეპტუალური ხედვების ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობა ამ მახასიათებლების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. მეცნიერის კვლევითი საქმიანობის ტიპოლოგიაში რამდენიმე მიმართულება და ქვემიმართულებები შეიძლება გამოვყოთ: 1. *საქაჩთვედოს პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ისტორიის, ძირითადად, შუა საუკუნეების საქაჩთვედოს სხვადასხვა პერიოდის პრობლემების შესწავლა*. 2. *წყაჩოთმცოდნეობითი კვლევები* – ავტორმა განახორციელა როგორც ქართული ნარატიული წყაროებისა და ისტორიული საბუთების, ისე საქართველოს შესახებ არსებული უცხოური საისტორიო წყაროების შესწავლა; 3. ქართული საისტორიო აზროვნების განვითარების კვლევა; 4. *პოლემიკური ხასიათის შრომები*, რომლებშიც სხვა ქართველ მკვლევრებთან ერთად ხშირად ამხელდა ისტორიის (ძირითადად, საქართველოს ისტორიის) გამყალბებლებს.

მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მარიამ ლორთქიფანიძის კონკრეტულ წყაროთმცოდნეობით კვლევებს, მათგან აღსანიშნავია დაკვირვებები „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული თხზულებების კრებულზე, „მატიანე ქართლისაჲს“, სუბმატ დავითისძის, ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების ისტორიულ-წყაროთმცოდნეობით მნიშვნელო-

ბაზე. სიმონ ჯანაშიას რეკომენდაციით, მან, ერთ-ერთმა პირველმა, დაიწყო საქართველოს შესახებ არსებული არაბული საისტორიო წყაროების ცნობების შესწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა.

ისტორიული დოკუმენტების შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცალკეულ ისტორიულ საბუთზე სპეციალურ დაკვირვებებს, რომელთა საფუძველზე მიღებულია საკვლევ ეპოქისთვის უმნიშვნელოვანესი დასკვნები. მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ მარიამ ლორთქიფანიძის მიერ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეკთების შესწავლა სამეცნიერო მიმოქცევაში და მისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის საფუძველზე დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის სამიტროპოლიტოების კუთვნილების საკითხის დასმა და ა. შ.

ზოგადად, მრავალფეროვანია მარიამ ლორთქიფანიძის მიერ ისტორიის რეპრეზენტაციისთვის გამოყენებული მეთოდები: ესაა წმინდა სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, სახელმძღვანელო, პუბლიცისტური ხასიათის წერილები და სატელევიზიო გამოსვლები. მათი მრავალფეროვნება გამომწვეულია ფართო აუდიტორიით, რომელსაც მეცნიერი მიმართავდა და ეს, ფაქტობრივად, მთელი საქართველოა.

ცხადია, დიდი ისტორიკოსები მხოლოდ ნაშრომების მრავალრიცხოვნებით არ არიან გამორჩეულნი. დიდი ისტორიკოსები საკუთარი ქვეყნის ისტორიის ობიექტური შემფასებლები და მცველებიც არიან, ცდილობენ, უარყონ ნომენკლატურული, ფალსიფიცირებული და გაყალბებული ისტორიები, დიდი ისტორიკოსები მონაწილეობენ ერის წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტასა და მოგვარებაში, ქმნიან საზოგადოებრივ აზრს და აქტიურად არიან ჩართული ქვეყნის ცხოვრებაში. XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიაში არ დარჩენილა არც ერთი პრობლემური საკითხი, რომლებსაც მარიამ ლორთქიფანიძე არ შეხებოდა და არ გამოეთქვა

საკუთარი შეხედულება, მონაწილეობდა მათ მოგვარებასა და გადაწყვეტაში. შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ მის მიერ შექმნილმა ფუნდამენტურმა კვლევებმა, საისტორიო წყაროებისა და ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომებმა საფუძველი ჩაუყარეს XX საუკუნის II ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ნაციონალურ მახასიათებლებს.

ლიტერატურა:

ახალაძე, ლ. (2014). წყაროების კვლევის საკითხი მარიამ ლორთქიფანიძის სამეცნიერო მემკვიდრეობაში, ჟურნალი „განათლება“, N 6. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“.

კაციტაძე, დ. (2007). მარიამ ლორთქიფანიძე – მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. კრებული, მარიამ ლორთქიფანიძე 85, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნადირაძე, ქ. (2017). მარიამ ლორთქიფანიძე და ისტორიული მეცნიერება, თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“.

ჩხარტიშვილი, მ. (2014). მარიამ ლორთქიფანიძის შემოქმედება: ისტორიული რეპრეზენტაციის სტილის თავისებურებანი, ისტორიული რეპრეზენტაცია, თეორიული მიმართულებანი და კონკრეტული კვლევები. აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შოშიაშვილი, ნ., ჯამბურია, გ. 2001. ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. წიგნში: Dedication, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, რედ. ნათელა ვაჩნაძე. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Georgian historiography started the study of Mariam Lortkipanidze's scientific activity during the scientist's lifetime. Despite the current evaluations, this issue is still relevant from the point of view of studying the development of Georgian historical thought, and we

think that a lot will be written on this topic in the future. The report examines how the idea of history is presented in the scientific legacy of Mariam Lortkifanidze, taking into account the national characteristics of Georgian historiography of the second half of the 20th century and the beginning of the 21st century, the typology of the scientist's research activity is specified.

Research methods are based on historical-comparative research methodology, source observation, hermeneutics, content analysis, analysis and synthesis methods, which require a deep systematic approach to the research problem.

When studying the historiographic heritage of Mariam Lortkifanidze, the features that are characteristic of her scientific activity should be taken into account. From a typological point of view, the creation of a scientist is diverse: it is up to two hundred scientific publications, reports and presentations in Georgia and abroad, reviews, book editing, interviews, public lectures and others. The range of research topics is very wide: political, social, cultural history of Georgia, historiographical studies, source-knowledge searches and many others. Among the features, attention is drawn to the publicity of the research results and the constant dissemination of historical knowledge to a wide listening audience, which can be considered one of the national characteristics of Georgian historiography at the turn of the 20th – 21st centuries.

Despite the fact that in Soviet historiography, the ideological narrative of “Soviet paradigms” is excessively presented, with which the Soviet Empire deliberately and artificially tried to change the markers of ethnic identity over the years, the national characteristics of Georgian historiography of the second half of the 20th century and the beginning of the 21st century are historical memory as a national identity. It became the basis for the formation of conceptual visions promoting preservation and formation, new historical processes. Mariam Lortkipanidze's scientific heritage is one of the main creators of these characteristics. In the typology of the scientist's

research activity, several directions and sub-directions can be distinguished: 1. studying the problems of different periods of *the political, social, cultural history of Georgia*, mainly in the Middle Ages. 2. *source studies* – the author has carried out the study of both Georgian narrative sources and historical documents, as well as foreign historical sources about Georgia; 3. research on the development of Georgian historical thinking; 4. polemical nature of the works in which, together with other Georgian researchers, she often exposed the falsifiers of history (mainly the history of Georgia).

In the report, special attention is paid to Mariam Lortkifanidze's specific source studies, among them the observations on the collection of historical writings "Life of Kartli", "Matiane Kartlisa", Sumbat Davitidsze, Georgian hagiographical writings are worth mentioning. On Simon Janashia's recommendation, she was one of the first to start studying the Arabic historical sources about Georgia and brought them into scientific circulation.

From the point of view of the study of historical documents, special observations on individual historical documents were of great importance, on the basis of which the most important conclusions for the research era were obtained. For example, we can recall Mariam Lortkifanidze's introduction of the ectheses of the Patriarchate of Constantinople into scientific circulation and, based on his historical-source-scientific analysis, raising the question of the belonging of the Black Sea Samitropolitans of Western Georgia, etc.

In general, the methods used by Mariam Lortkifanidze for the representation of history are diverse: they are purely scientific, scientific-popular, textbooks, journalistic letters and television appearances. Their diversity is due to the wide audience that the scientist addressed, and this is, in fact, the whole of Georgia.

Obviously, great historians are not distinguished only by the large number of works. Great historians are objective evaluators and guardians of their country's history, they try to reject nomenclature, falsified and falsified histories, great historians participate in solving

and solving various problems facing the nation, create public opinion and are actively involved in the life of the country. In the history of Georgia in the second half of the 20th century and the beginning of the 21st century, there was not a single problematic issue that Mariam Lortkipanidze did not touch and express her own opinion, participated in their resolution and solution. Her fundamental researches, historical sources and historiographical works on the history of medieval Georgia laid the foundation for the national characteristics of Georgian historiography of the second half of the 20th century.

References:

- Akhaladze, L. (2014).** Ckaroebis kvlevis sakitki Mariam Lortkipanidzis samecniero memkvidreobashi. [The issue of the research of sources in the scientific heritage of Mariam Lortkipanidze] "Ganatleba" magazine, N 6. Tbilisi. "Meridian" publishing house.
- Katsitadze, D. (2007).** Mariam Lortkipanidze – mecnieri, maswavlebeli, sazogado mogvace [Mariam Lortkipanidze – scientist, teacher, public figure]. Collection works: Mariam Lortkipanidze 85, Tbilisi University Publishing House.
- Nadiradze, K. (2017).** Mariam lordkipanidze da istoriuli mecniereba [Mariam Lortkipanidze and historical science], Tbilisi. "Universal" publishing house.
- Chkhartishvili, M. (2014).** Mariam lortkipanidzis shemokmedeba [Mariam Lordkipanidze's Scientific Works and Her Style of History Representation. Historical representation, theoretical directions and specific studies]. Materials of the international conference dedicated to the 90th anniversary of academician Mariam Lortkipanidze's birth. Tbilisi University Publishing House.
- Shoshiashvili, N., Jamburia, G. (2001).** Kartuli istoriografiis tvalsachino carmomadgeneli [Prominent representative of Georgian historiography]. In: Dedication, historical-philological researches, ed. Natela Vachnadze. Tbilisi University Publishing House.

**ქართული დამწერლობა ჩრდილოეთ
კავკასიაში – ლინგვოკულტუროლოგიური
საფუძვლები¹**

**GEORGIAN SCRIPT IN THE NORTH CAUCASUS –
LINGUOCULTURAL BASICS**

ცირა ბარამიძე

Tsira Baramidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული დამწერლობა, ჩრდილოეთ
კავკასია, ლინგვოკულტუროლოგია
Keywords: Georgian script, North Caucasus, linguoculturology

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქართული სულიერი და მატერიალური კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში – მონაცემთა ბაზა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე“ ფარგლებში.

მოხსენებაში განხილულია ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული „ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლები, კერძოდ: ეპიგრაფიკა, წარწერები, ქართული ეთნოტოპონიმია. მოცემულია მცდელობა, აიხსნას ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების ამ რეგიონში არსებობის ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური მიზეზები; ჩრდილოეთ კავკასიაში დასტურდება არა მარტო ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები, არამედ სხვა სახის კულტურული მემკვიდრეობაც ქართული კულტურისა. კავკასიის რეგიონში საქართველო ისტორიულად წარმოადგენდა კულტურულ, პოლიტიკურ და საგანმანათლებლო ცენტრს. საქართველოზე გადიოდა კავკასიის ქვეყნების საკომუნიკაციო გზები. საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქცია კავკასიის რეგიონში განაპირობებდა ქართული კულტურის შეხვედრას დანარჩენი კავკასიელი ხალხების კულტურასთან და განსაზღვრავდა საქართველოს განსაკუთრებულ როლს ამ ურთიერთობებში. ეს ყოველივე შეპირობებული იყო აგრეთვე იმითაც, რომ საქართველოს სახელმწიფო კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში კავკასიაში ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) დანიშნული სახელმწიფო იყო.

მოხსენებაში წარმოდგენილია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები და ქართული დამწერლობით შესრულებული ქართული ტექსტები, შემონახული ჩრდილოეთ კავკასიაში, ასევე ქართული დამწერლობით შესრულებული ხუნძური და სხვა ჩრდილოკავკასიური ტექსტები. დაღესტანში შემორჩენილი ქართული წარწერების შესახებ მოგვეპოვება ა. ბერჟეს, ლავროვის, არნ. ჩიქობავას, ტ. გუდავას, დ. ათაევის და სხვა ლინგვისტთა და არქეოლოგთა სამეცნიერო კვლევები.

ქართულ-ჩრდილოკავკასიური კულტურული ურთიერთობების ორ ძირითად პერიოდს გამოვყოფთ: 1. V-X, 2. XI-XV საუკუნეები. განსაკუთრებით მეორე პერიოდში იწყება ახალი აქტიური ეტაპი საქართველოდან მისიონერული მოღვა-

ნეობისა. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია იღვნის ქრისტიანობის გასავრცელებლად, რასაც მოჰყვა ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა ამ რეგიონში. ამავე პერიოდში გავრცელებას იწყებს ქართული დამწერლობა და ქართული ენა გამოიყენება ღვთისმსახურებაში. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია ქართული დამწერლობით, როგორც ასომთავრულით, ისე ნუსხახუცურით, შესრულებული ტექსტების გავრცელება მთიან დაღესტანსა და ჩრდილოკავკასიის სხვა რეგიონებში.

ქართული ლინგვოკულტუროლოგიური ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოადგენს დოკუმენტურ დადასტურებას იმისა, რომ შუა საუკუნეებში არა მარტო ქართული ენა ასრულებდა ლინგვა ფრანკას როლს ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ ქართული დამწერლობა გამოიყენებული იყო ჩრდილოკავკასიური ენებისთვის დამწერლობის საფუძვლად. ეს პროცესები შემდგომ მონღოლების შემოსევებისა და სხვა დამპყრობლების ექსპანსიის შედეგად შეწყდა. ქართული ანბანთსისტემა, როგორც აღნიშნავს პ. უსლარი, ყველაზე მეტად მიესადაგება ჩრდილოკავკასიური ენების ფონემატურ სისტემას. მოხსენებაში წარმოდგენილია ახალი ემპირიული მასალა ქართული ეპიგრაფიკის შესახებ ჩრდილოეთ კავკასიაში.

The report discusses the “monuments of Georgian tangible and intangible culture in the North Caucasus, in particular: epigraphy, inscriptions, Georgian ethnotoponymy. An attempt is made to explain the historical, political, cultural and social reasons for the existence of Georgian material and spiritual cultural monuments in the North Caucasus; Not only the monuments of Georgian Christian culture are confirmed in the North Caucasus, but also other types of cultural heritage of Georgian culture. Georgia has historically been a cultural, political and educational center in the Caucasus region. Communication routes of the Caucasus countries passed through Georgia. Geor-

gia's geopolitical and geoeconomic function in the Caucasus region determined the meeting of Georgian culture with the culture of other Caucasian peoples and defined Georgia's special role in these relations. All this was also conditioned by the fact that the state of Georgia was one of the (if not the only) advanced states in the Caucasus in a particular historical period.

The report presents Georgian epigraphic monuments and Georgian texts written in Georgian script, preserved in the North Caucasus, as well as „Khundzuri“ (Avar language) and other North Caucasian texts written in Georgian script. About the Georgian inscriptions preserved in Dagestan we find A. Berge, Lavrov, Arn. Chikobava, T. Gudava, d. Scientific studies by Ataev and other linguists and archaeologists.

We distinguish two main periods of Georgian-North Caucasian cultural relations: 1. V-X, 2. XI-XV centuries. Especially in the second period, a new active phase of missionary activity from Georgia begins. The Georgian Orthodox Church strives to spread Christianity, followed by the construction of Christian temples in the region. At the same time, the Georgian alphabet began to spread and the Georgian language was used in worship. In this regard, it is very important to spread the texts in Georgian script, both in Asomtavruli and Nuskhakhsuri, in mountainous Dagestan and other regions of the North Caucasus.

Georgian linguistic-cultural monuments in the North Caucasus are a documentary proof that in the Middle Ages not only the Georgian language played the role of lingua franca in the North Caucasus, but also the Georgian script was used as a basis for writing in the North Caucasian languages. These processes were interrupted by subsequent Mongol invasions and the expansion of other invaders. Georgian alphabet system, as noted by P. Uslar is most suitable for the phonemic system of North Caucasian languages. The report presents new empirical material on Georgian epigraphy in the North Caucasus.

**პოეტების მიმოწერა, როგორც
დრამატურგიული დისკურსის
ეპისტოლარული ნაირსახეობა**

**CORRESPONDENCE OF POETS AS AN EPISTOLARY
VARIETY OF DRAMATURGIC DISCOURSE**

ნატალია ბასილაია

Natalia Basilaia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ეპისტოლარული რომანი, დრამატული
დისკურსი, მეტაფორული ფრაზების სემასიოლოგიური
ანალიზი

Keywords: epistolary novel, dramatic discourse, semasiological
analysis of metaphorical phrases

მკვლევრების დიდი ყურადღება სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული სამი დიდი ევროპელი პოეტის – ბორის პასტერნაკის, მარინა ცვეტაევისა და რაინერ რილკეს – ეპისტოლარული მემკვიდრეობისადმი, რომელსაც აკავშირებდა წარმოუდგენელი და მრავალმხრივ ტრაგიკული გარემოებები, მოწმობს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სულიერი და ესთეტიკური კავშირი ერთმანეთთან მათთვის, ვინც ეწინააღმდეგებოდა არსებულ რეალობას და მთლიანად ჩაფლული იყო შემოქმედებაში.

1926 წლის ივნისში მე-20 საუკუნის უდიდესმა გერმანულენოვანმა პოეტმა, რაინერ მარია რილკემ, ცვეტაევას ორი წიგნი და წერილი გაუგზავნა: „ძვირფასო პოეტო, ახლა მივიღე წერილი ბორის პასტერნაკისგან, რომელმაც უსაზღვროდ შემადრწუნა... აღელვება და მადლიერება – ყველაფერი, რაც ჩემში მისმა გზავნილმა აღძრა – ჩემგან (როგორც მისი სტრიქონებიდან მივხვდი) ჯერ თქვენკენ უნდა წამოვიდეს, შემდეგ კი, თქვენი შუამავლობით, მისკენ!“ ამ პოეტების ეპისტოლარული სასიყვარულო სამკუთხედი, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში არასდროს შეხვედრიან, რამდენიმე თვე გაგრძელდა – 1926 წლის დეკემბრის ბოლოს რილკე გარდაიცვალა. ამის შესახებ მარინამ ახალი წლის ღამეს შეიტყო. და მან სიკვდილის შემდგომი წერილი მისწერა, რომელშიც იყო ასეთი სიტყვები: „საყვარელო, ვიცი, რომ შენ წაიკითხავ ჩემს დაწერილს მანამ, სანამ დავწერ... რაინერ, შენ ჯერ კიდევ დედამიწაზე ხარ, ჯერ დღე-ღამე არ გასულა.“

მოხსენების მიზანი: დაასაბუთოს მტკიცება, რომ სამი პოეტის ლიტერატურული წერილების მთლიანობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც დრამატული დისკურსის ეპისტოლარული ნაირსახეობა, რომელშიც მიმოწერის მონაწილეები ერთმანეთის წინაშე გარკვეული სიტუაციური დაკომუნიკაციური როლებით გამოდიან. მათი წერილები კი აღიქმება, როგორც სასცენო პროტაგონისტების მონოლოგ-რეპლიკები მათ მიერ

გამოგონილ რომანში სიყვარულზე, ეჭვიანობაზე, ღალატსა და განშორებაზე.

ცნობილი პოეტების წერილები ერთმანეთისადმი მოგვითხრობს არა მხოლოდ გამოგონილი სიყვარულის შესახებ, არამედ ყოველდღიური ყოფისა და შემოქმედებითი საქმიანობის რეალურ ამბებს, გვაცნობს პოეტური ხელობის პროცესების გაცნობიერებას, გამოხატვის მკაფიო და ლაკონური საშუალებების ძიებას, ზუსტ ფორმულირებას, ხელოვნების ნიმუშების კრიტიკულ გამოკვლევას, წარსულისა და აწმყოს პოეტების შემოქმედებითი მანერის განხილვას. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეტაფორებით გაჯერებული სპეციალური პოეტური ენის ემასიოლოგიურ ანალიზს, რომელშიც თანამოდმეები პოეტურ ხელობაში მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთობდნენ, და მათ გზავნილებში ინფორმაციის წარმოდგენის გზების განხილვას.

ლიტერატურა:

Pasternak, Y., Pasternak Y., Asadowski K. (1983). Letters: Summer 1926
Book by Pasternak, B. Marina Tsvetaeva, Rainer Maria Rilke. <https://www.goodreads.com/book/show/12427.Letters>

Asadowski, K. (1986). Rilke und Russland. Briefe, Erinnerungen, Gedichte.
Berlin; Weimar.

Asadowski, K. (1990). Rainer Maria Rilke. Boris Pasternak. Marina Tsvetaeva. Pisma 1926 goda. Moskva: Kniga. http://www.belousenko.com/books/poetry/Rilke_Pisma.htm

The close attention of researchers to the epistolary heritage of three great European poets scattered across different countries – Boris Pasternak, Marina Tsvetaeva and Rainer Rilke, who were connected by incredible and in many ways tragic circumstances, testifies to how important for them, who were at odds with the existing reality

and completely whelmed by creativity, was a spiritual and aesthetic connection with each other.

In June 1926, the greatest German-speaking poet of the 20th century, Rainer Maria Rilke, sent Tsvetaeva two of his books and a letter: "Dear poetess, now I received a letter from Boris Pasternak that shook me endlessly ... Excitement and gratitude – all that his message stirred up in me – must go from me (as I understood from his lines) first to you, and then, through your mediation, further to him! The epistolary love triangle of the poets who never met during this time lasted a few months – at the end of December 1926, Rilke died. Marina found out about this on New Years Eve. And she wrote him a posthumous letter, in which there were such words: "Beloved, I know that you read me before I write ... Rainer, You are still on earth, not even a full day has passed."

The purpose of the presentation: to substantiate the assertion that the assembly of the literary letters of three poets can be defined as an epistolary variety of dramatic discourse, in which the participants in the correspondence appear before each other in certain situational and communicative roles, and their letters are perceived as monologues-replicas of; protagonists in their fictional novel about love, jealousy, betrayal and separation.

The letters of famous poets to each other tell not only a story of invented love, but also real stories of everyday existence and creative work, awareness of the processes of poetic art, the search for clear and concise means of expression, precise wording, a critical examination of works of art, a discussion of the creative manner of poets of the ways of past and present.

Particular attention is paid to the semasiological analysis of a special poetic language saturated with metaphors, in which brothers in the poetic art communicated only with each other, and consideration of the ways of presenting information in their messages.

References:

- Pasternak, Y., Pasternak Y., Asadowski K. (1983).** Letters: Summer 1926
Book by Pasternak, B. Marina Tsvetaeva, Rainer Maria Rilke. <https://www.goodreads.com/book/show/12427.Letters>
- Asadowski, K. (1986).** Rilke und Russland. Briefe, Erinnerungen, Gedichte.
Berlin; Weimar.
- Asadowski, K. (1990).** Rainer Maria Rilke. Boris Pasternak. Marina Tsve-
taeva. Pisma 1926 goda. Moskva: Kniga. http://www.belousenko.com/books/poetry/Rilke_Pisma.htm

გენერალ იუზეფ პოჟეცკის მოხსენებითი
ბარათი თბილისში ყოფნის შესახებ
1920 წელის 18-25 მარტს

REPORT OF GENERAL JUZEF POZECKI ON HIS STAY
IN TBILISI ON MARCH 18-25, 1920

მიხეილ ბახტაძე

Mikheil Bakhtadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: საქართველო, პოლონეთი, თბილისი
Keywords: Georgia, Poland, Tbilisi

პოლონეთის ცენტრალურ სამხედრო არქივში ინახება ერთი დოკუმენტი, რომელიც ეხება 1920 წლის მარტში საქართველოში არსებულ ვითარებას. ეს არის კონსტანტინოპოლში პოლონეთის რესპუბლიკის სამხედრო წარმომადგენლის გენერალ-პოდპორუჩიკის, იუზეფ პოჟეცკის, მოხსენებითი ბარტი. დოკუმენტი დათარიღებულია 1920 წლის 8 აპრილით და ეგზავნება პოლონეთის ჯარის უმაღლეს სარდლობას.

წერილის დასაწყისშივე გენერალი პოჟეცკი აღნიშნავს, რომ საქართველოსა და კონკრეტულად თბილისში გაემგზავრა პირადი მიზნებით. ქართველების სიმპათიაზე პოლონეთსა და პოლონელებისადმი ადასტურებს თავად გენერლის წერილის ფრაგმენტი – „როგორც პოლონელი გენერალი ქართველთა მხრიდან ვგრძნობდი მაქსიმალურად შესაძლებელ თავაზიანობასა და კეთილგანწყობას“. სახალხო გვარდიამ იუზეფ პოჟეცკიზე ვერ დატოვა კარგი შთაბეჭდილება. მიზეზი ქალაქის მთავარ ქუჩაზე, ყარაულის შესაცვლელად მიმავალი გვარდიელების გარეგნობა იყო.

არ ეცვათ ერთნაირი სამოსი და იარაღიც, როგორც უნდოდათ, ისე ეკეთათ თუ ეჭირათ. გენერალი პოჟეცკიც ადასტურებს, რომ საქართველოში და კონკრეტულად თბილისში მრავლად იყვნენ რუსეთის საიმპერატორო არმიის ყოფილი ქართველი ოფიცრები, რომლებიც არ მსახურობდნენ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. პოლონელი სამხედრო წერს, რომ ოფიცრები უარყოფითად იყვნენ განწყობილი მთავრობის მიმართ.

პოლონელი გენერალი აღნიშნავს, რომ თბილისში ყოფნისას შეხვდა სამხედრო მინისტრის მოადგილეს, გენერალ გედევანოვს. პოჟეცკი წერს, რომ გედევანოვი მისი ძველი ნაცნობი იყო. ორი გენერლის საუბარი შეეხო საბჭოთა რუსეთის შესაძლო აგრესიას სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს მზადყოფნას. პოჟეცკი აღნიშნავს, რომ მისი თბილისში ყოფნის დროს საქართველოს დედაქალაქში უკვე მრავლად იყვნენ ლტოლვილები ვლადიკავკაზიდან.

პოლონელი გენერლის წერილის ერთი ნაწილი ეხება თბილისში არსებულ ზოგად ვითარებას. აღნიშნულია, რომ პროდუქტი და სხვადასხვა საქონელი უფრო იაფია, ვიდრე კონსტანტინოპოლში. თუმცა ხაზგასმულია, რომ არის პურისა და შაქრის დეფიციტი, დანარჩენი პროდუქტები იშოვებაო. ასევე არ არისო ტანსაცმელი, საგალანტერიო საქონელი. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ინტელიგენცია მძიმე მდგომარეობაშია, გაჭირვებული და გადატაკებულია. ასევე აღნიშნულია: გზების სიმცირე (ალბათ, იგულისხმება კეთილმოწყობილი გზები), ტრამვაის იშვიათობა და სუსტი, მბჟუტავი ელექტროგანათება. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, გენერალი პოჟეცკი ხაზს უსვამს, რომ „თბილისში მშვიდი ცხოვრებაა რუსეთის ბატონობის დროსთან შედარებით“. წერილის ბოლოს გენერალი იუზეფ პოჟეცკი წერს, რომ კონსტანტინოპოლში უკან მიმავალი ბათუმში შეხვდა ტიტუს ფილიპოვიჩის დელეგაციას.

ლიტერატურა:

- გაზეთი „საქართველო“. (1920). პოლონეთის ცენტრალური სამხედრო არქივი, სამხედრო ატაშეების ფონდი, საქმე 7187, გვ. 5-7.
- გაზეთი „ერთობა“. (1920).
- Pilsudskiego project wschodni. 2020. Sojusznicy Polski w XX wieku. Biuletyn IPN, Styczen-Luty Warszawa.
- Szumilo, M. 2020.** Geneza sojuszu polsko-ukrainskiego w 1920 roku. Sojusznicy Polski w XX wieku. Biuletyn IPN, Styczen-Luty Warszawa.
- Rukkas, A. 2020.** Armia Ukrainckiej Republiki Ludowej w 1920 roku. Sojusznicy Polski w XX wieku. Biuletyn IPN, Styczen-Luty Warszawa.
- Komar, W. 2021.** „Wojna polsko-bolszewicka i Ukraina w latach dwudziestych XX wieku“. 1920 rok – wojna swiatow. Warszawa.
- Кулик, М. 2007.** Поляки на старших и высших должностях в кавказском военном округе на рубеже XIX-XX вв. Поляки в России: история и современность. Краснодар.

There is a document kept in the Central Military Archive of Poland relating the situation in Georgia in 1920. The document represents the report of Lieutenant General Juzef Pozecki, dated April 8, 1920 and sent to the Supreme Command of the Polish Army.

At the beginning of the document General Pozecki notes that he has left for Georgia and, specifically for Tbilisi for personal purposes. A fragment of the General's letter confirms the sympathy of Georgians for Poland and Polish people in general: "As a Polish General, I felt the utmost courtesy and kindness on the part of Georgians", he writes. But the Civic Guard didn't make a good impression on him. The reason was the appearance of soldiers going along the street for the change of the guard. They happened not to wear uniforms and carried the weapons the way they liked. He confirms that there are many former officers of the imperial army in Georgia who, due to the lack of sympathy for the current government, have refused to serve in the National Armed Forces.

The General writes that while being in Tbilisi he met with the Deputy Minister of War, General Gedevanov – an acquaintance of his. The conversation between the two generals concerned possible Russian aggression against the South Caucasus and military readiness of Georgia.

The General says in his letter that in Tbilisi there are already a lot of refugees from Vladikavkaz. Part of the letter tells about the overall situation in Tbilisi at that time. He notes that food and various goods are cheaper than in Constantinople but emphasizes that bread and sugar are in short supply, although other products are available. He also writes that there are no clothes and dry goods.

The document highlights the plight of the intelligentsia, who are impoverished and distressed and tells about scarcity of well-maintained roads, rarity of trams and weak, flickering electric light.

Despite all the above, the General writes that life in Tbilisi, compared with the times of Russian domination is calm.

At the end of his letter the general writes that on his way back to Constantinople, he met the delegation of Titus Philipovich in Batumi.

References:

Newspaper "Saqartvelo".1020. Central Military Archives of Poland, Military Attachés Foundation, Case 7187, pp. 5-7.

Newspaper "Ertoba" 1920.

Pilsudskiego project wschodni. 2020. Sojusznicy Polski w XX wieku. Biuletyn IPN, Styczen-Luty Warszawa.

Szumilo, M. 2020. Geneza sojuszu polsko-ukrainskiego w 1920 roku. Sojusznicy Polski w XX wieku. Biuletyn IPN, Styczen-Luty Warszawa.

Rukkas, A. 2020. Armia Ukrainckiej Republiki Ludowej w 1920 roku. Sojusznicy Polski w XX wieku. Biuletyn IPN, Styczen-Luty Warszawa.

Komar, W. 2021. „Wojna polsko-bolszewicka i Ukraina w latach dwudziestych XX wieku“. 1920 rok – wojna swiatow. Warszawa.

Кулик, М. 2007. Поляки на старших и высших должностях в кавказском военном округе на рубеже XIX-XX вв. Поляки в России: история и современность. Краснодар.

ღმერთსა და ექსისტენციას შორის

BETWEEN GOD AND EXISTENCE

ირაკლი ბრაჭული

Irakli Brachuli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაქულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე ფილოსოფია,
ექსისტენციალური ვალიდობა

Keywords: modern philosophy, existential value

რელიგიის ფილოსოფიისათვის ტრადიციული ღმერთის არსებობის გამოცდილებისეული არგუმენტი სხვადასხვა კუთხით შეიძლება იყოს განხილული, მათ შორის, ეპისტემოლოგიურ და ონტოლოგიურ ასპექტებში. თანამედროვე ფილოსოფიაში ღმერთის არსებობის ყველა ტრადიციული არგუმენტი თემატიზებულია დილემების, ცვლილებებისა და გამონვევების კონტექსტში. ღმერთის არსებობის კონცეპტის შესაძლებლობები დაკავშირებულია რეალობის ეფემერული და აუთენტიკური ასპექტების ღია დიალექტიკასთან, რაც ჰეგელის დიალექტიკისაგან განსხვავებულ მოდელს გულისხმობს. არსებითად არის გასათვალისწინებელი თეოდორ ადორნოს განმანათლებლობის დიალექტიკა, ჰაბერმასისა და კარლ პოპერის განაზრებანი მეთოდოლოგიის შესახებ. აგრეთვე ინტერტექსტუალობის დაუსრულებლობის პრინციპები და პარადიგმები. უფრო ნათლად და გასაგებად უნდა ჩამოყალიბდეს რეალობის ახალი პარადიგმა. ამას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ფილოსოფიისათვის და საერთოდ დასავლური ცივილიზაციის კულტურისათვის. რეალობა გაიგება და განიცდება მხოლოდ პირად ექსისტენციალურ გამოცდილებაში. აქედან გამომდინარე, დგება ექსისტენციალური კომუნიკაციის პრობლემა. საჭირო ხდება საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტების ექსისტენციალური ვალიდობის გარკვევა. რეალობის საკითხი შემდეგნაირად დგას: რა შეიძლება იყოს ღმერთსა და ექსისტენციას შორის? პოსტმოდერნული მიმართულების ფილოსოფიაში ასეთი მედიალური განზომილება გამოითქმება სიმულაკრის ცნებით. იმავე ფუნქციას ასრულებენ კომუნიკაციური ქმედების აღმწერი თეორიები თანამედროვე ანალიტიკურ ფილოსოფიაში. ღმერთსა და ექსისტენციას შორისი მექანიზმები ადამიანური თვითიდენტობის პერსპექტივებს აქცევენ ეთიკურ და ეპისტემოლოგიურ დილემათა ბადაში.

For the philosophy of religion, the argument of the experience of the existence of traditional religion can be discussed in various ways, including the epistemological and ontological aspects. All traditional arguments for the existence of God in modern philosophy are seen in the context of changing dilemmas and challenges. The possibilities of the concept of God are related to the open dialectics of the ephemeral and authentic aspects of reality, which implies a model different from Hegel's dialectic. Theodore Adorno's enlightenment dialectics, Habermas, and Karl Popper's views on methodology are sure to be considered, as well as principles and paradigms of infinite intertextuality. A new paradigm of reality must be formed more clearly and comprehensibly. This is crucial for both theoretical and practical philosophy and for the culture of Western civilization in general. Reality is understood and experienced only in personal existential experience. Hence the problem of existential communication. It is necessary to clarify the existential value of public and political institutions. The question of reality is as follows: what can be between God and existence? In the philosophy of postmodern direction, such a medial dimension is expressed by the notion of simulacrum. The same function is performed by theories describing communicative action in modern analytical philosophy. The mechanisms between God and existence bring the prospects of human self-identity within the framework of ethical and epistemological dilemmas.

ვაჟა-ფშაველას დიალექტური
მეტყველების ებრაული ეკვივალენტები
„ალუდა ქეთელაურის“ ებრაულ თარგმანში

HEBREW EQUIVALENTS OF VAZHA-PSHAVELA'S
DIALECTAL SPEECH IN THE HEBREW TRANSLATION
OF "ALUDA KETELAURI"

მამუკა ბუცხრიკიძე
Mamuka Butskhrikidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ვაჟა-ფშაველა, ალუდა ქეთელაური,
თარგმანი

Keywords: Vazha-Pshavela, "Aluda Ketelauri", Translation

ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ენას განსაკუთრებულ შეფერილობას სძენს პოეტის დიალექტური მეტყველება. ფშავ-ხევსურული დიალექტი ვაჟას შემოქმედების ქვაკუთხედია შესაბამისი იდეურ-ემოციური სამყაროს შესაქმნელად. მისი სრულყოფილი გამეორება უცხო ენობრივ გარემოში ალბათ თეორიულადაც დაუშვებელია. მაგრამ დიდია ცდუნება, ეს პირველქმნილი დიდებულება შემოქმედის ბუნებისა სხვაენოვან მკითხველსაც გაუზიარო და შეაგრძნობინო. ამ ძლიერმა სურვილმა გაგვაბედინა და გადაგვანყვეტინა, ებრაულ ენაზე გვეთარგმნა ვაჟას საუკეთესო პოემა „ალუდა ქეთელაური“.

თანამედროვე ებრაული ენა სრულიად ახალი ლინგვისტური ფენომენია, რომელიც სულ რამდენიმე ათეულ წელიწადს ითვლის. ამ ენაში დიალექტური მახასიათებლების ფორმირება ჩვენს დროში იწყება, კუთხური მეტყველების თავისებურებათა ნიშნები ახლა ჩნდება თანამედროვე ისრაელის ცენტრში, ჩრდილოეთსა და სამხრეთში, ამდენად, ერთადერთ საშუალებად ქართველი ავტორის სპეციფიკური მეტყველების თარგმანში გადმოსაცემად ბიბლიის ებრაული დავსახეთ. თავად ახალებრაული პოეზიაც, შეიძლება ითქვას, ბიბლიური უმდიდრესი ენობრივი გამოსახვის საშუალებებით გადიოდა ფონს მრავალი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით, თავისი ფორმირების ადრეულ ეტაპზე. თანამედროვე პერიოდშიც ებრაელი ავტორები ხშირად საზრდოობენ ბიბლიური ლექსიკით, ფრაზეოლოგიით, ხშირად მიმართავენ გამოხატვის სხვადასხვა ხერხს, ვთქვათ, მხატვრულ გამეორებას, ალიტერაციასა თუ პარონომაზიას, რაც ასე უხვადაა ბიბლიის ტექსტებში.

ჩვენც შევეცადეთ, ბიბლიური ლექსიკით დაგვეტვირთა თარგმანი. მივიჩნიეთ, რომ არქაიზებული ენა, გარკვეულწილად, გამოდგებოდა ავტორის ფშავხევსურული კილოკავის ფუნქციურ ეკვივალენტად. ზოგ შემთხვევაში პირდაპირ დავესხებთ

კიდევ კონკრეტული ბიბლიური ქმნილების („ეკლესიასტეს“) ცნობილი პასაჟის არქიტექტონიკას.

არაერთი მკვლევრის მტკიცებით, ვაჟას შემოქმედება გაჯერებულია ბიბლიური მოტივებით. ვაჟას სამყაროშიც ძალუმად იგრძნობა „რუახ ელოჰიმის“ მძიმე სუნთქვა. ეს ფაქტიც, ვფიქრობთ, ამართლებს ჩვენს არჩევანს.

It is known that Vazha-Pshavela's artistic language is given a special color by the dialect speech of the poet. The Pshav-Khevsuri dialect is the cornerstone of Vazha's work to create the corresponding ideological-emotional world. It's perfect repetition in a foreign language environment is probably theoretically not allowed. But there is a great temptation to share this first-created magnificence of the Creator's nature with the readers of other languages and make them feel it. This strong desire encouraged us and decided to translate Vazha's best poem "Aluda Ketelauri" into Hebrew.

Modern Hebrew is a completely new linguistic phenomenon that dates back only a few decades. The formation of dialectal features in this language begins in our time, signs of Angular speech peculiarities are now appearing in the center of modern Israel, in the north and south, therefore, we have set the Hebrew of the Bible as the only way to convey the specific speech of the Georgian author in the translation. The New Hebrew poetry itself, it can be said, was in the background for many years, especially in the early stages of its formation. Even in the modern period, Jewish authors are often nourished by biblical vocabulary and phraseology; they often resort to different ways of expression, say, artistic repetition, alliteration or paronomasia, which are so abundant in the texts of the Bible.

We also tried to load the translation with biblical vocabulary. We considered that the archaized language, to a certain extent, would

serve as a functional equivalent of the author's Pshav-khevsuri dialect. In some cases, we even borrowed directly from the architectonics of a famous passage of a specific biblical creation ("Ecclesiastes").

According to many researchers, Vazha's work is saturated with biblical motifs. The heavy breath of "Ruach Elohim" is also strongly felt. We think this fact also justifies our choice.

**სოცრეალიზმის ერთი თავისებურების
შესახებ: სოცრეალისტური ჰეპი ენდი**

**ON ONE OF THE PECULIARITIES OF SOCIAL
REALISM: THE SOCIAL REALIST HAPPY END**

ნანა გაფრინდაშვილი

Nana Gaprindashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სოციალისტური რეალიზმი, ჰეპი ენდი,
იდეოლოგია

Keywords: social realism, happy end, ideology

მკითხველები, თავიანთი ცხოვრებისეული თუ ესთეტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე, განსხვავებულნი არიან და, შესაბამისად, განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებენ ხელოვნებასა და ლიტერატურას: ზოგს ურჩევნია, ბედნიერი დასასრული ჰქონდეს ნაწარმოებს, ზოგი კი ცხოვრებისეული სიმართლის ჩვენებას ანიჭებს უპირატესობას ნაწარმოების ფინალში, როგორი მწარე და ტრაგიკულიც არ უნდა იყოს იგი.

მწერალიც თავისუფალია თავის არჩევანში, მისი გადასაწყვეტია პერსონაჟთა ბედი, მისი ნებაა, როგორ გადაჭრის პრობლემასა თუ კონფლიქტს, როგორ დაასრულებს ნაწარმოებს. მას ეს თავისუფლება კი აქვს, თუმცა მისი გადაწყვეტილებები, როგორც წესი, გარკვეული ლოგიკით, გარკვეული წინაპირობებითაც არის ნაკარნახევი. ავტორი, რასაკვირველია, თავისი მსოფლალქმიდან, ესთეტიკური იდეალებიდან გამომდინარე წყვეტს, უჩვენოს ცხოვრება მთელი თავისი სისასტიკითა და წინააღმდეგობებით, დაძაბოს და დაამძიმოს მკითხველი, დაუტოვოს მას საფიქრალი და კითხვის ნიშნები თუ დაამშვიდოს იგი, შეულამაზოს სინამდვილე, ნაწარმოებს მისცეს ნათელი და ბედნიერი დასასრული, გაამარჯვებინოს სიყვარულს, სიკეთეს, სამართლიანობას...

სამწუხაროდ, მკითხველი და მწერალი ყოველთვის ვერ ახერხებდნენ თავიანთი მხატვრულ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, რადგან ისეთი პერიოდებიც ახსოვთ ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტებს, როცა მწერალსა და მის მიერ სამყაროს მხატვრულ-ესთეტიკურ აღქმას შორის და აგრეთვე ნაწარმოებსა და მკითხველს შორის დგებოდა უხეში ძალა, მტრული იდეოლოგია, ტოტალიტარული სახელმწიფო, რომელიც მოურიდებლად ერეოდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, მწერალს უზღუდავდა შემოქმედებით თავისუფლებას, არ აძლევდა უფლებას, დაენერა ის და ისე, როგორც ფიქრობდა, ეთქვა ის და ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა, როგორც უკარნახებდა თავისი ესთეტიკური გემოვნება, თავისი მხატვრული სამყარო და

ლოგიკა. ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო წინა საუკუნეში მთელი 70 წლის განმავლობაში, როცა დედამიწის თითქმის ერთი მეექვსედი ეკავა ძალადობრივ სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირს, სადაც ყველა სფეროში და მათ შორის ლიტერატურასა და ხელოვნებაშიც სახელმწიფო ძალადობდა ადამიანზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაში გაბატონებული იყო სოცრეალიზმი, რომელიც მწერალს უკარნახებდა, მიეღო სოცრეალისტური კანონისა და კომუნისტური იდეოლოგიის შესაბამისი გადაწყვეტილებები და არ გასცდენოდა მკაცრად დადგენილ ჩარჩოებს.

სოცრეალისტური ნაწარმოებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა ნაწარმოების დასასრულს მიემართებოდა, რომელიც ბედნიერი სოცრეალისტური პერსპექტივიდან უნდა ყოფილიყო წარმოჩენილი, როგორც საბჭოთა ადამიანის სამყაროს სურათის არსებითი და აუცილებელი შემადგენელი ნაწილი.

თითოეული საბჭოთა ადამიანის საპატიო ვალი კომუნიზმის აშენებაიყო, ამის მხატვრული აღწერა კი – საბჭოთა ხელოვნების, საბჭოთა ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი დანიშნულება. სოციალისტური რეალიზმის ნაწარმოებების პერსონაჟები, მათი ცხოვრება თუ მოღვაწეობა აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩართული ამ მიზნის მიღწევისკენ მიმართულ პროცესებში. ნაწარმოებში აღწერილი მოვლენები და გმირები გლობალურ საკითხებს წყვეტდნენ თუ უფრო მოკრძალებულ ამოცანებს, მაინც ორგანულად უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული საერთო მიზანთან, კომუნიზმის მშენებლობასთან, და წარმოეჩინათ საზოგადოების „რევოლუციური განვითარება“. აქედან გამომდინარე კი, ბუნებრივია, რომ სოცრეალიზმის ნაწარმოებებისათვის სოცრეალისტური კანონი აწესებდა სავალდებულო ბედნიერ დასასრულს, ე. წ. „ჰეპი ენდს“, რომელსაც მისი სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება „სოცრეალისტური ჰეპი ენდი“ ვუწოდოთ.

„სოცრეალისტურ ჰეპი ენდს“ ერთი მეტად საგულისხმო და სპეციფიკური ნიშანი ჰქონდა, რომელიც ესთეტიკის კანონებით კი არ იყო განსაზღვრული და ნაკარნახევი, არამედ იმ სახელმწიფოს თავისებურებებით, რომლის წიაღშიც სოციალისტური რეალიზმი იშვა, როგორც მოვლენა. კერძოდ, გმირის ბედი კი არ განსაზღვრავდა სოცრეალისტურ „ჰეპი ენდს“, არამედ კომუნიზმის მშენებლობის, ანუ საერთო საქმის, ბედი, საერთო მიზანი. თუ გმირი ამ მიზანს შეეწირებოდა და მიზნის მიღწევა საეჭვო არ გახდებოდა, მაშინ ყველაფერი კარგად იქნებოდა, ე.ი. „ჰეპი ენდი“ იყო.

საბჭოთა სინამდვილეში, სამწუხაროდ, არავის ადარდებდა ადამიანების ბედი. მილიონობით ადამიანიც რომ დაღუპულიყო, თუ საბოლოო მიზანს არაფერი დაემუქრებოდა, თუ ისინი კომუნიზმისთვის დაიხოცებოდნენ, მაშინ სიკვდილი სრულიად გამართლებული იქნებოდა. ეს სოცრეალისტური „ჰეპი ენდისთვის“ დამახასიათებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა. სიტუაციის მთელი აბსურდულობა კი ის იყო, რომ კომუნიზმი – ეს ახალი რელიგია, რომელიც საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის დამორჩილებას ცდილობდა და საზოგადოებრივი წყობის ეს ახალი იდეალი, რომელსაც ასე ხალხით ეწირებოდნენ სოცრეალისტური ნაწარმოებების პერსონაჟები, უტოპია იყო და ვერასოდეს განხორციელდებოდა.

Readers have diverse life or aesthetic experiences and, as a result, have different expectations of art and literature. Some readers prefer works to have happy ends, while others want them to reflect the truth of life, no matter how painful or tragic it may be.

The author is also free to make whatever decisions he wishes. The author determines what happens to the characters, how issues or conflicts are resolved, and how the literary work finishes. While the author's choices are frequently guided by some reasoning and, even

by certain preconditions, this freedom is, nevertheless, maintained. Naturally, the author chooses to depict life with its flaws based on his worldview and aesthetic values. According to his worldview and aesthetic ideals, the author naturally chooses whether to portray life in all its cruelty and contradictions, burden and aggravate the readers, leave them with thoughts and questions, or calm them down. The author may also choose to embellish reality, give the work a happy end, and allow love, kindness, and justice to triumph.

Unfortunately, there were occasions- perfectly recalled by literary historians- when an oppressive ideology, a totalitarian state stood between the writer and his artistic-aesthetic perception of the world, between the work and the reader, and prevented both from satisfying their artistic-aesthetic needs. This force unwittingly interfered with literature and art, limiting the writer's creative freedom and preventing the writer from saying or writing what he thought was required, as determined by his aesthetic preferences, artistic worldview, and reasoning. In the previous 70 years, the Soviet Union, a ruthless state that oppressed its citizens in all spheres of life, including literature and the arts, occupied about one-sixth of the planet. Social realism, which required writers to make choices in line with socialist law and communist doctrine and not deviate from the rigidly prescribed framework, predominated in literature and the arts. One of the most significant demands for socialist work was towards the end of the work, which was to be presented from a happy socialist perspective as an essential part of the picture of the Soviet human world.

It was the honourable duty of every Soviet person to build communism, and its artistic description is the most significant purpose of Soviet art, of Soviet literature. The characters of the works of socialist realism and their lives or activities had to be involved in the processes aimed at achieving this goal. The events and characters described, whether solving global issues or more modest tasks, had at least to be organically related to a common goal, the construc-

tion of communism, and represent the “revolutionary development” of society. Therefore, it is natural that the socialist law imposed a mandatory happy end for the work of social realism which, due to its specificity, can be called the “Social Realistic Happy End”.

The “Socialist Happy End” had one very significant and specific feature not defined and dictated by the laws of aesthetics but by the peculiarities of the state in which socialist realism emerged as an event. In particular, the fate of the hero did not determine the social realist “Happy End,” but the common goal of the construction of communism or the common cause. If the hero sacrificed himself for this goal and the latter’s realization was not questioned, everything would be fine, i.e. it was the “Happy End”.

In Soviet reality, unfortunately, no one cared about the fate of the people. Even if millions of people had died, if nothing had threatened their ultimate goal, if they had died for communism, their deaths would have been justified. This is one of the most prominent characteristics of the “Social Realistic Happy End”. The absurdity of the situation was that communism, this new religion that sought to subjugate all aspects of society, and this new ideal of social order, to which the characters in socialist works were so willingly sacrificed, was a utopia and could never be realized.

ქალაქთმშენებლობის ტრადიციების
ფორმირება ჩინეთში

FORMATION OF URBAN PLANNING TRADITIONS
IN CHINA

ნანა გელაშვილი

Nana Gelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, ქალაქი, ნაგებობა, ბუდიზმი
Keywords: China, city, building, Buddhism

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჩინეთი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ცივილიზაციის კერას წარმოადგენს. შესაბამისად, მისი ქალაქების ისტორიაც შორეულ წარსულში იღებს სათავეს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილია, რომ ნეოლითის ხანაში (ძვ. წ. III-II ათასწლეულები) მდინარე ხუანგხეს აუზში უკვე არსებობდა ქალაქები, რომლებიც შემოსაზღვრული იყო სქელი კედლით, ჰქონდათ თავიანთი ინფრასტრუქტურა და ზოგადად ქალაქისთვის დამახასიათებელი აუცილებელი კომპონენტები. სწორედ აღნიშნულ პერიოდში ყალიბდებოდა ჩინეთში ქალაქების აღმშენებლობის ტრადიციები და მათი სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებმაც შემდგომ გამოკვეთილი და დასრულებული სახე მიიღეს.

წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება ფოკუსირებულია ჩინეთის ძველი ისტორიული ქალაქების აღმშენებლობის ტრადიციებზე, მათ არქიტექტურულ და დაგეგმარების პრინციპებზე, ხაზგასმულია ჩინური ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრებების – კონფუციონიზმისა და ტაოიზმის, ასევე, ინდოეთიდან შეღწეული ბუდიზმის როლი ქალაქთმშენებლობის ცალკეული კანონის ფორმირებაზე. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ხსენებული კანონები ჩამოყალიბებული იყო სპეციალურ ნაშრომებში, რომელთაგან განსაკუთრებით გამორჩეულია ტრაქტატი „ჭოუ ლი“ (ჩინურად ნიშნავს – ჭოუს რიტუალები, სხვა თარგმანია – ჭოუს ჩინოვნიკთა კანონი). მასში აღნუსხულია ქალაქთა დაგეგმარების პრინციპები: ქუჩების, მოედნების, ადმინისტრაციული და საცხოვრებელი ნაგებობების, პარკების ზომების და განთავსების ზუსტი მითითებით. დაკანონებული ნორმების თანახმად, კონკრეტული ქალაქისთვის ადგილმდებარეობის შერჩევას, უპირველეს ყოვლისა, ტარდებოდა დეტალური ტოპოგრაფიული და ჰიდროლოგიური გამოკვლევა, ირკვეოდა წყალმომარაგებისა და საწყლო გზებთან სიახლოვის საკითხები. ამათანავე, უპირატესობა ენიჭებოდა ისეთ ადგილს, რომელიც ქარისგან მთებით იყო დაცული, ბუნებრივად ნიაკდებოდა და, იმავდროულად, მზიანიც იყო.

შერჩეული ადგილის რელიეფის თავისებურებები სათანადო თანხვედრაში უნდა ყოფილიყო ციური სხეულების მდებარეობასთან, მაგნიტურ ველებთან, კოსმიურ ძალებსა და სიმბოლოებთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გეომეტრიული სიმბოლოების ერთმანეთთან შეთავსებას (ან შეხამებას?), მათგან ყველაზე ხშირად – წრისა და კვადრატისა (წრე განასახიერებდა მამაკაცურ სანჯისს, ცას, ხოლო კვადრატი – ქალურ სანჯისს, მიწას). მხოლოდ აღნიშნული პირობების დამაკმაყოფილებელი შედეგების საფუძველზე ესა თუ ის ტერიტორია ითვლებოდა მშენებლობისათვის შესაფერისად.

ტრადიციულად, ჩინეთის ძველ ისტორიულ ქალაქებს ჰქონდათ კვადრატული ფორმა, მკაცრი გეომეტრიული დაგეგმარებით. ქალაქი დაყოფილი იყო თანაბარი ზომის კვადრატულ კვარტლებად, ჭადრაკის დაფის მსგავსად. შენობა-ნაგებობები ისე იყო განთავსებული ბუნებრივ ლანდშაფტში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო დადებითი ენერჯის მაქსიმალური რაოდენობით მიღება, ხოლო უარყოფითის – უკუგდება. ქალაქის კომპოზიცია მკაცრ სიმეტრიას ექვემდებარებოდა ცენტრალური ღერძის გასწვრივ – ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. ჩინეთის ნიმუშით მიმდინარეობდა ქალაქების აღმშენებლობა აზიის მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით ეს ეხება კორეასა და იაპონიას.

It is widely accepted that China is one of the oldest and richest centers of civilization in the world. Consequently, the history of its cities also dates back to distant past. Archeological excavations revealed that in the Neolithic Period (III-II millennium B.C) there were already cities in the Huangkhe river basin, which were bordered by the wall, had their infrastructure and all necessary components of the city. During this period traditions of the city-building in China and their specific characteristics were formed, which took finished forms in later times.

Presented paper focuses on traditions of building ancient historical cities, on their architectural and planning principles, the role of Chinese philosophical-religious doctrines – Taoism and Confucianism as well as Buddhism – penetrated from India, in the formation of separate laws of urban planning are emphasized. In this context, it should be noted that the mentioned rules were formulated in special works, of which the treatise of “Chow Lee” (on Chinese it means “the rituals of Chow”, in other translation – “Bureaucratic laws of Chow”) stands out. It outlines the principals of urban planning: with indication of street sizes, squares, administrative and residential buildings, the locations of the parks. According to legal norms, when selecting a location for a specific city, first of all detailed topographic and hydrological researchs were carried out, also clarifying issue of water supplies. At the same time the sunny place which was surrounded by mountains and safe from wind was preferable. The relief features of the chosen site must have been in good agreement with the location of celestial bodies, magnetic fields, cosmic forces and symbols. Particular attention was paid to the juxtaposition of geometric symbols, most often – the circle and the square (the circle symbolized the masculine beginning, the sky, and the square – the feminine beginning, the earth). Only on the basis of satisfactory results the area was considered suitable for construction.

Traditionally, China’s ancient historic cities had a square shape with a strict geometric layout. The city was divided into square blocks of equal size, like a chessboard. The buildings were located in the natural landscape in such a way that it was possible to receive the maximum amount of positive energy, while the negative – to reverse. The composition of the city was subject to strict symmetry along the central axis – from north to south. Following the example of China, cities were being built in neighboring Asian countries, especially in Korea and Japan.

References:

Li Li (2004). China's Cultural Relics. Beijing: China international Press. ISBN 7-5085-0456-9/K.509.

Li Xianyao, Luo Zhewen. (2009). China's Museums Treasures of Civilization. Beijing: China international Press. ISBN 978-7-5085-1699-8.

Cai Yanxin. (2010). Chinese Architecture: Palaces, Gardens, Temples and Dwellings. Beijing: China international Press. ISBN 978-7-5085-1726-1.

ეპიკური კანონების კონცეფცია
სკანდინავიურ ფოლკლორისტიკაში
THE CONCEPTION OF EPIC LAWS IN NORDIC
FOLKLORISTICS

ელენე გოგიაშვილი
Elene Gogiasvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ბეპირსიტყვიერება, ეპოსი, თქმულება,
ზღაპარი

Keywords: oral narrative, epic, saga, folktale

მეოცე საუკუნის პირველი ათწლეული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფოლკლორისტიკაში – ამ პერიოდს უკავშირდება საერთაშორისო სიუჟეტურ კატალოგზე მუშაობის დაწყება, რომელიც მომდევნო ასი წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეივსო, განახლდა და დღემდე უპირველეს გამოცემას წარმოადგენს ხალხური გადმოცემის ისტორიულ-კომპარატივისტული კვლევისთვის. ამავე პერიოდში დაიწყო თხრობითი ჟანრების სტრუქტურული შესწავლის პირველი ცდები, რომლებიც ნაკლებად ცნობილია ვლადიმერ პროპისა (1895-1970) და კლოდ ლევი-სტროსის (1908-2009) თეორიების ჩრდილქვეშ.

1908 წელს ბერლინის IV ინტერდისციპლინურ კონგრესზე, შუა საუკუნეებისა და ახალი ეპოქის კულტურულ-ისტორიულ სექციაში, ზეპირსიტყვიერი ჟანრების შესახებ მოხსენებები წაიკითხეს სკანდინავიელმა მეცნიერებმა – დანიელმა, აქსელ ოლრიკმა (1864-1917), ფინელმა, კაარლე კრონმა (1863-1933) და ნორვეგიელმა, ალექსანდერ ბუგემ (1870-1929). აქსელ ოლრიკის მოხსენებაში დახასიათებული იყო ხალხური გადმოცემის კომპოზიციის ძირითადი კანონები. იმ ეპოქის სხვა ფოლკლორისტული შრომებისგან განსხვავებით, აქსელ ოლრიკის „ხალხური სიტყვიერების ეპიკურმა კანონებმა“ (1909) გაუძლო კრიტიკას და დღემდე ძლიერი თეორიული საყრდენია ტრადიციული თხრობის საკითხებზე მომუშავე მეცნიერთათვის. მოხსენებაში წარმოდგენილია მისი სტატიის მიმოხილვა თანამედროვე ფოლკლორისტიკის პერსპექტივიდან.

ტერმინოლოგიური განმარტებისთვის დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ აქსელ ოლრიკი გერმანულ სიტყვა Sage-ს იყენებს ყველა ინკლუზიური ცნებისთვის, რომლებიც აერთიანებენ ზღაპარს, მითს, ლეგენდას და ხალხურ სიმღერას. Sage-ს განმარტება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც „ეპიკური კანონები“ არ არის შემოსაზღვრული მხოლოდ ერთი ჟანრით. ოლრიკისთვის თქმულებათა სამყარო (Sagenwelt) დამოუკიდებელი სამყაროა, რეალური სამ-

ყაროსგან გამიჯნული, რომელსაც თავისი რეგულაციები აქვს. თქმულებათა სამყაროს კანონები ისევე მოქმედებენ, როგორც ყოველდღიური კანონები ობიექტურ რეალობაში. სწორედ ეს აძლევს მეცნიერს იმის საფუძველს, რომ თქვას: ფოლკლორი უნდა შეფასდეს თავისი საკუთარი კანონებით და არა ცხოვრების კანონებით, ფოლკლორი არ არის ვალდებული, დაემორჩილოს სხვა კანონებს, გარდა საკუთარისა.

აქსელ ოლრიკი ზეპირსტყვიერების ფორმულისებურ წესებს „ეპიკურ კანონებს“ უწოდებს. ესენია: დასაწყისისა და დასასრულის კანონი, განმეორება, რიცხვი სამი, სცენიური ორის პრინციპი, საპირისპიროს კანონი, ტყუპების კანონი, ფინალური ეპიზოდის მნიშვნელობა (das Achtergewicht), შემოსაზღვრულობა, სქემატიზაცია, პლასტიკა (გაქვავებული სცენა), თქმულების ლოგიკა, მოქმედების ერთიანობა (ეპიკური და აგრეთვე იდეალური ერთიანობა), კონცენტრაცია მთავარ გმირზე.

პერსონაჟთა და მოქმედებათა განაწილებისას პირველისა და უკანასკნელის პრინციპი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ პერსონაჟს თანაუგრძნობს მთხრობელი. ოლრიკმა აქ სანაოსნო ტერმინები გამოიყენა წონასწორობის აღსანიშნად, კერძოდ, გემის ქიმი – წინა მხარე და გემის კიჩო – ზურგის ნაწილი (დანიურად forvaegt და bagvaegt). ეპიკური კანონის თანახმად, უკანასკნელი – კიჩო (გერმ. das Achtergewicht) ყოველთვის მნიშვნელოვანია.

ოლრიკის ეპიკური კანონების კონცეფცია ანალოგიურია ანთროპოლოგების ტერმინისა „კულტურის სუპერორგანული კონცეფცია“ (Kroeber, 1917: 162). სუპერორგანულში ანთროპოლოგები გულისხმობენ, რომ კულტურა ავტონომიური აბსტრაქტული პროცესია. ამ პროცესს ვერ განვმარტავთ სხვა ფენომენის წესრიგიდან, რომ ახსნას თავისი წარმოშობა, განვითარება და ოპერაციები (Bidney, 1953: 34-39). თუ ორგანული საფეხური გულისხმობს ადამიანს, სუპერორგანული დგას ადამიანზე „მაღლა“. სუპერორგანისტებს ანთროპოლოგიაში

აქვთ აბსტრაქტული მოდელი ან პრინციპები, როგორებიცაა ევოლუცია, ადამიანის საქციელი და კულტურა.

რადგანაც ოლრიკის ეპიკური კანონები სუპერორგანულის მსგავსია, ისინი წარმოდგენილია, როგორც მაკონტროლებელი ძალა ინდივიდუალური მთხრობელისთვის. თუ ამ მოსაზრებას მივიღებთ, ხალხური მთქმელი მხოლოდ ბრმად მისდევს ამ კანონებს. ეს კი ფოლკლორისტიკაში სადავო საკითხია.

სუპერორგანული კანონები ყოველგვარ ინდივიდუალურ კონტროლზე მაღლა დგას. ამგვარი მოსაზრება ფოლკლორის საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესწავლის ობიექტს ამსგავსებს, ხალხს გამორიცხავს ფოლკლორიდან. ამ მეთოდით თითქმის არარელევანტური ხდება, რომ ფოლკლორი ადამიანურ ინდივიდუალობას სხვა ადამიანებთან აკავშირებს.

ოლრიკი არ არის ერთადერთი ფოლკლორისტი, რომელიც სუპერორგანულ კანონებს აღიარებს. ერთ-ერთი მაგალითია ვალტერ ანდერსონის თვითკორექციის კანონი (*das Gesetz der Selbst-Berichtigung*), რომლის თანახმადაც ნარატივები არსებითად თვითონ არეგულირებენ თავიანთ ტრადიციულობას და მთხრობელები მხოლოდ მისდევენ ხალხური თხრობის კანონებს (Anderson, 1923: 397-403).

ფოლკლორი, თავისი მარად განმეორებადი ფორმებითა და თემებით უძვირფასეს მასალას წარმოადგენს იმ მკვლევრებისთვის, რომელთაც ზოგადად ადამიანის ყოფის კანონზომიერებათა პრინციპების აღმოჩენა აინტერესებთ. აქსელ ოლრიკის ეპიკური კანონების თეორია კი ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტია ფოლკლორის სტრუქტურულად შესასწავლად.

The first decade of the 20th century was the most fruitful period for the discipline of folklore studies – design on international catalogue of the system of European tale types, revised many times and constituted a fundamentally edition for scholars oriented on historical-comparative research. At that time started the first challenges

to structural studies of narrative genres. These researches are not as well known as the works of Claude Lévi-Strauss (1908-2009) and Vladimir Propp (1895-1970).

In 1908 at the 4th interdisciplinary congress in Berlin has been presented the papers of Scandinavian folklorists Axel Olrik (1864-1917), Kaarle Krohn (1863-1933), and Alexander Bugge (1870-1929). The essay of Axel Olrik was an attempt to delineate some of the principal laws governing the composition of folk narrative. Unlike folklore studies of the same time, Olrik's "Epic Laws of Folk Narratives" (1909) have withstood the criticism of the passing years and they continue to be a strong theoretical background for each new generation of folklorists. The paper attempts to present Axel Olrik's essay from the perspective of contemporary folkloristics.

The German word "Sage", as defined by Olrik, is virtually an all-inclusive term and is meant to incorporate such forms as folktale, myth, legend, and folksong. This definition is important inasmuch as Olrik feels that "the Epic Laws" are not limited to just one genre. To Olrik the world of Sage is an independent domain, a realm of reality separate from the real world, subject to its own rules and regulations. These "Sagenwelt" rules are such that they take precedence over the everyday rules of objective reality. It is for this reason, he argues, that folklore must be measured by its own laws, not the laws of everyday life. Folklore does not have to obey any laws but its own.

Axel Olrik calls the formal rules of folk narratives "the Epic Laws" which include: the Law of Opening and Closing, the Law of Repetition, the Law of Three, the Law of Two to a Scene, the Law of Twins, the Importance of Final Position ('das Achtergewicht'), the Law of the Single Strand, the Law of Pattering, the Use of Tableau Scenes, the Logic of the Sage, the Unity of Plot, and the Concentration on a Leading Character (Olrik 1965: 140).

Whenever a series of persons or things occurs, then the principal one will come first. Coming last, though, will be person for whom

the particular narrative arouses sympathy. We may designate these relationships with nautical expressions, “the Weight of the Bow” and “the Weight of the Stern” (Dan. ‘forvaegt’, ‘bagvaegt’). The centre of gravity of the narrative always lies in the Weight of the Stern (Germ. ‘das Achtergewicht’).

Olrik’s conception of these laws is analogous to what anthropologists term a superorganic conception of culture. By superorganic, anthropologists mean that culture is an autonomous abstract process, *sui generis*, which requires no reference to other orders of phenomena for an explanation of its origin, development, and operation. If the organic level includes man, the superorganic is “above” man, and it is independent of and thus not reducible to purely human terms. The rationale is that just a man himself is considered to be more than the sum of inorganic (chemical) elements of which he is composed, so the superorganic is assumed to be more than the organic elements which underlie it. Superorganicists in anthropology have abstract patterns or principles, such as evolution, governing human behavior and culture.

Because Olrik’s epic laws are conceived to be superorganic, they are presented as actively controlling individual narrators. The folk narrator, according to this view, can only blindly obey the epic laws.

The superorganic laws are above any individual’s control. This kind of thinking, although it apparently makes folklore somewhat akin to a natural science, takes the folk out of folklore. With this approach, it becomes almost irrelevant that folklore is communicated by human individuals to other human individuals. From the point of view of modern folkloristics, this topic is quite suspicious.

Olrik was not the only folklorist to advocate superorganic laws. An example is Walter Anderson’s law of self-correction, according to which narratives essentially correct themselves and thereby keep their remarkable stability safe from the possible ravages of errors or inadvertent changes (Anderson 1923: 397-403).

Folklore because of its rigid adherence to recurring forms and themes makes excellent source material for those interested in discovering principles controlling human culture generally. Without of doubt, Olrik's theory on epic laws is one of the strongest arguments in favor of a structural approach to folklore.

References:

- Anderson, W. (1923).** Keiser und Abt: Die Geschichte eines Schwanks. Helsinki: Suomalaisen tiedeakatemia.
- Bidney, D. (1953).** Theoretical Anthropology. New York: Columbia University Press.
- Dundes, A. (1965).** The Study of Folklore. Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N.J.
- Kroeber, A. L. (1917).** The Superorganic. *American Anthropologist*, Vol. 19, 162-213.
- Olrik, A. (1909).** Epische Gesetze der Volksdichtung. *Zeitschrift für deutsches Altertum und deutsche Literatur*. Bd. 51, Heft 1, 1-12.
- Olrik, A. (1965).** Epic Laws of Folk Narrative. Dundes, A. *The Study of Folklore*. Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N.J., 129-141.
- Uther, H.J. (2004).** The Types of International Folktales. A Classification and Bibliography. Based on the System of Antti Aarne and Stith Thompson. Part 1. Helsinki: Academia Scientiarum Fennica.

**შუა საუკუნეების ესთეტიკის
ერთი ასპექტის შესახებ**

ABOUT ONE ASPECT OF MEDIEVAL AESTHETICS

ნანა გულიაშვილი

Nana Guliashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ესთეტიკა, სახე-ხატი, ონტოლოგია,
გნოსეოლოგია, რელიგია

Keywords: aesthetics, face-icon, Ontology, Gnoseology, religion

ახალი დროის ევროპულ კულტურაში ჩამოყალიბებული რაციონალისტური და სციენტისტური პარადიგმის მიხედვით დღესაც ხდება შუა საუკუნეების შეფასებისას ისეთი უსამართლო ცნებების გამოყენება, როგორებიცაა ჩამორჩენილობა, სიბნელე და ა.შ.

საქმე ისაა, რომ მეცნიერული სულისკვეთება იქცა ახალი დროის ჭეშმარიტების დადგენის ერთადერთ უტყუარ ფაქტორად.

ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, რომ სინამდვილის შუასაუკუნოებრივი სურათი ემყარება იმ ონტოლოგიურ წანამძღვრებს, რომლებითაც განპირობებულია აღნიშნული სურათი. ამდენად, შუა საუკუნეების შეფასება ევროპული რაციონალიზმის პოზიციიდან მთლად მართებული არ არის. ეს ეპოქა არ წარმოადგენს ინტელექტუალური კრიზისის ეპოქას, ისე როგორც ახალი დროის მოაზროვნეებს ესმით. ადამიანისა და სინამდვილის ურთიერთობის შუა საუკუნეების მოდელში, გვხვდება აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშები, რისი დემონსტრირებაც გახლავთ იოანე დამასკელის მოძღვრება „სახე-ხატის“ შესახებ.

„ხატმებრძოლეობის“ თითქმის ათასწლეულმა გამოიწვია კულტურის ზოგიერთი სფეროს შესუსტება. კერძოდ, პრაქტიკულად შეწყდა რელიგიური სახვითი ხელოვნების განვითარება. მაგრამ სწორედ ამ პერიოდს უნდა უმადლოდეს ბიზანტიური კულტურა მთელი აღმოსავლეთ ბიზანტიური ესთეტიკური თეორიის ჩამოყალიბებას.

სახე-ხატის თეორია აერთიანებდა ონტოლოგიას, გნოსეოლოგიას, რელიგიას, ხელოვნებას. ყოველივე ეს ერთიანდებოდა მისი ესთეტიკური მნიშვნელობის საფუძველზე. სახე-ხატის პრობლემას აცნობიერებდნენ პირველი ქრისტიანი მოაზროვნეებიც, მაგრამ ყურადღების ცენტრში ეს საკითხი დგება მხოლოდ რელიგიური გამოსახულებების ოფიციალური აკრძალვის შემდეგ.

ხატმებრძოლეობას აქტურად დაუპირისპირდა იოანე დამასკელი (675-749). დამასკელი თვლის, რომ ყოველი სახე არის ყოველივე დაფარულის გამოვლინება და ჩვენება. სახის

საშუალებით შეიცნობს ადამიანი სამყაროს. ადამიანის სულის შემეცნებითი უნარი შეზღუდულია მატერიალური ბუნებით, მას არ შეუძლია, ცხადად წარმოიდგინოს უხილავი, ამიტომ, მისი აზრით, სახე გამოგონილია, ცოდნის მეგზურის როლის შესასრულებლად, ასევე, დაფარულის გამოსავლენად.

დამასკელის აზრით, „ღვთიური ბუნება არ აღიწერება და არ გამოისახება“, უხილავი ღვთაების ასახვა შეუძლებელია, მაგრამ ადამიანის სხეულში განხორციელებული ღვთაება უნდა აისახოს, ეს აუცილებელიც არის. ხატი არის თაყვანისცემის სახე, თაყვანისცემა კი არის მონივნების, მორჩილების ნიშანი. ხატში თაყვანს სცემენ არა მის მატერიას, არამედ მასში ასახულ სახეს – არქეტიპს.

ლიტერატურა:

იოანე დამასკელი. (1976). დიალექტიკა. თბილისი.

ჭელიძე, მ. (1981). „იოანე დამასკელი – სქოლასტიკის ფუძემდებელი“. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები. ნაწ. I. თბ.

ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია (1963). ტ. III. თბ. გვ.129-135-171.

According to the rationalist and scientist paradigm established in modern European culture, such unfair notions are still used in the assessment of the Middle Ages, such as backwardness, darkness, etc.

The point is that the scientific spirit has become the only unmistakable factor in establishing the truth of the new time.

Our aim is to show that the medieval picture of reality is based on the ontological preconditions by which that picture is conditioned. Thus, the assessment of the Middle Ages from the position of European rationalism is not entirely correct. This era is not an era of intellectual crisis, as modern-day thinkers understand it. In the medieval model of the relationship between man and reality, we find brilliant examples of thinking, what is demonstrated is the doctrine of John of Damascus about the “face-icon”.

Nearly a millennium of “iconoclasm” has weakened some areas of culture. In particular, the development of religious fine arts has virtually ceased. But, it is this period that Byzantine culture should be thankful for, the formation of the whole Eastern Byzantine aesthetic theory.

Face-icon theory combined ontology, epistemology, religion, art. The unification of all this was done on the basis of its aesthetic significance. The problem of the face-icon was also realized by the first Christian thinkers, but the issue comes to the fore only after the official ban on religious images.

Iconoclasm was actively opposed by John of Damascus (675-749). Damascus believes that every face is a manifestation and display of everything hidden. Through the face man will know the world. The cognitive capacity of the human soul is limited by material nature, he can not clearly imagine the invisible, that’s why he thinks the face is made up, to act as a knowledge guide as well as to reveal the hidden.

According to Damascus, “the divine nature is not described and is not reflected”. It is impossible to reflect an invisible deity, but the deity embodied in the human body must be reflected, this is also necessary. The Icon is the face of worship, worship is a sign of fear, obedience. The Icon is worshiped not its matter, but also the image reflected in it – the archetype.

References:

- Ioane damaskeli. (1976).** Dialeqtika. [John of Damascus. Dialectics. Tbilisi]
- Chelidze M. (1981).** “Ioane damaskeli – sqolastikis fudzemdebeli”. Shua saukuneebis filosofis istoriis problemebi [M. Chelidze “John of Damascus – Founder of Scholasticism”. Problems of the History of Medieval Philosophy. Part I. Tbilisi]
- Bizantiuri literatures istoria. (1963).** [History of Byzantine Literature. V. III. Tb. S. 129-135-171].

ხალხური დღესასწაულის
ტრანსფორმაცია ეთნიკური იდენტობის
მარკერად (მარიობა თურქეთში)

THE TRANSFORMATION OF FOLK FESTIVAL INTO
ETHNIC IDENTITY MARKER (MARIOBA IN TURKEY)

როზეტა გუჯეჯიანი

Rozeta Gujejani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართველები თურქეთში, იმერხევი,
ბოღაზქოი, მარიობა, ტრადიციის ტრანსფორმაცია

Keywords: Georgians in Turkey, Imerkhevi, Bogazkoy, Marioba,
transformation of tradition

ხალხური დღესასწაული „მარიობა“, რომელიც საფუძვლით ღვთისმშობლის მიძინების საეკლესიო დღესასწაულიდან მომდინარეა, ჯერ კიდევ გვხვდება თურქეთის ქართულ დასახლებებში.

მიუხედავად იმისა, რომ დღეობა ტრანსფორმირებულია და დაკარგული აქვს რელიგიური შინაარსი, იგი, როგორც ქართული ხალხური დღეობა, გვევლინება თურქეთის ქართველთა ტრადიციული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტად. თურქეთის ქართველთათვის „მარიობა“ წარმოადგენს ეთნიკური იდენტობის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიშანს.

„მარიობა“ შემოინახეს როგორც ტაო-კლარჯეთის ავტოქტონმა ქართველებმა (თანამედროვე ართვინისა და არზრუმის რეგიონები), ისე XIX საუკუნის ბოლო ოცნლეულიდან ოსმალეთის ცენტრალურ და შავიზღვისპირეთის მხარეებში გადასახლებულ ქართველთა შთამომავლებმაც თავიანთ კომპაქტურ დასახლებებში (მარმარილოს ზღვისა და შავიზღვისპირეთის რეგიონები).

„მარიობას“ აღნიშნავენ ზაფხულობით. ზოგიერთ სოფელში მას იხსენიებენ პარალელური სახელით „შუამთობა“.

ტერმინი და დღეობა „მარიობა“ შემონახულია მთელ იმერხევში, ზემო მაჭახელში, დევსქელისა და ბაგინისწყლის ხეობებში, შუახევში, ხებასა და მარადიდში, კატაფხიას ხეობაში, მურღულის ხეობაში, ორჯის, თხილაძის, ქართლას თემებში, პარხლისწყლის ხეობის ქართულ სოფლებში და სხვ.

XX საუკუნის 60-იან წლებში იმერხეველ ქართველთა ერთი ჯგუფი დასახლებულა სამსუნის მხარეში, მაგრამ ვერ შეჰკვებიან იქაურობას და დაუწყიათ ახალი სამოსახლოს ძებნა. მოსწონებიან ბურსის რეგიონის ქარაჯაბეის რაიონის ერთ-ერთი სამეურნეო ბაზა. ამის შემდეგ დაუწყიათ პროპაგანდა იმერხევის სოფლებში, შეუკრებიან გადასახლების მსურველი ოჯახები და ერთობლივი თანხებით უყიდიათ სამეურნეო ბაზების ერთი ნაწილი. 70-იან წლებში უკვე გაუშენებიათ ქართული სოფელი. სოფელს ბოდაბქოი ჰქვია.

სოფელს, ფაქტობრივად, დაბის სახე აქვს. დღეისათვის იქ 130 კომლი სახლობს და მათგან 90 კომლი ქართველია, 450 მუდმივი მცხოვრებია, ზაფხულში კი მოსახლეობის რაოდენობა მკვეთრად იზრდება. ქართველებთან ერთად აქ სახლობენ ტრაპიზონის მხარიდან გადმოსახლებულნი, რომლებიც თავიანთ იდენტობას აღნიშნავენ ტერმინით „რუმი“ (პონტოელი), არის ხუთიოდე თურქული ოჯახიც.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისამდე სოფლის სამეურნო ყოფის მთავარ საძირკველს ქმნიდა მესაქონლეობა და მემინდვრეობა. აქ 70-იან წლებშივე ჩამოყალიბდა „ბაირამობისათვის“ შესაწირავი ზვარაკის („ყურბან“) გამოზრდის სამეურნეო ბაზა, რომელმაც სახელი გაითქვა მთელ რეგიონში. მესაქონლეობის განვითარებას ხელს უწყობდა იმერხველთა ტრადიციული გამოცდილება ამ დარგისა და ადგილზე არსებული ვრცელი საძოვრები. ამავე დროს, იმერხველებმა ახალ დასახლებაშიც დანერგეს ცოდნა ტრადიციული ქართული მემინდვრეობისა, მეხილეობისა, მებოსტნეობისა. სოფელი მოღონიერდა და ერთ-ერთ შეძლებულ პუნქტად მიიჩნეოდა ბურსის რეგიონში. ამან საშუალება მისცა ქართველებს, რომ უმაღლესი გაანთლება მიეცათ შვილებისათვის. თითქმის ყველა ოჯახის მეორე თაობამ უკვე უმაღლესი ცოდნა შეიძინა.

XXI საუკუნის დასაწყისიდან გაძლიერდა შიდა მიგრაციული პროცესი, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გადასახლდა ქალაქად. დაიხურა სკოლაც. ჩვენი დროისათვის ბოლაზქოიში მუდმივად ცხოვრობენ პენსიონერები, ხოლო ზაფხულობით იქაურობა ახალგაზრდებითა და ბავშვებითაც ივსება.

ქართველთა უფროსმა თაობამ, ცხადია, იცის ქართული. დედაენაზე მეტყველებს შუახნის მოსახლეობის დიდი ნაწილიც. ახალგაზრდათა შორის დედაენის მცოდნე შედარებით ნაკლებია. მიუხედავად ამისა, ყველა ამაყად აფიქსირებს საკუთარ ეთნიკურობას – ქართველობას. ამ სოფლიდანაა მწერალი ეშრეფ ილმაზი (მახარაძე).

შექმნილია ქართული სათვისტომო – ბოლაზქოის ქართველთა ასოციაცია (ხელმძღვანელი: დოდან ილმაზ-მახა-

რადე). ჰყავთ ქართული ხალხური ანსამბლი. ამ ასოციაციის თაოსნობით ბოლო წლების განმავლობაში მასშტაბურად აღინიშნება დღეობა „მარიობა“. დღეობას მიეცა ერთგვარი ფესტივალის სახე. დღეობის სამზადისში ჩართულია ყველა ქართული ოჯახი.

დღეობის ფორმატი:

ქალაქად მყოფნი შვებულების თარიღს ამთხვევენ „მარიობის“ დროს და ოჯახებიანად ჩამოდიან სოფელში. მოსახლეობა საგულდაგულოდ აწესრიგებს ღია ცის ქვეშ არსებულ სასოფლო მოედანს, აწყობენ სცენას, ამზადებენ ტრადიციულ იმერხეულ საკვებს (გნსაკუთრებით აღსანიშნავია ქადათა მრავალფეროვნება), ქალები იმოსებიან იმერხეული სამოსით. დღეობის საპატიო სტუმრები არიან საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს, ადგილობრივი მმართველობის, სხვა ქართული ასოციაციების წარმომადგენლები, აგრეთვე, საქართველოდან სპეციალურად ამ დღეობის სანახავად ჩამოსულნი და სხვ.

დღეობა იწყება საღამოს. სცენიდან ულოცავენ მოსახლეობას ამ დღეს ორგანიზატორები, ადგილობრივი მმართველობისა და ჩვენი დიპლომატიური სამსახურების წარმომადგენლები. იმართება კონცერტი – წარმოადგენენ ქართულ ხალხურ ცეკვებს, მღერიან ქართულ სიმღერებს, იგონებენ გარდაცვლილ თანასოფლელებს, კონტეინერებით ჩამოარჩევენ ტრადიციულ იმერხეულ პურს, ქაღებს, მანონს და სხვ.

დღეობის ამჟამინდელ ფორმატს, ცხადია, სრულიად ახლებური იერი აქვს და იგი განსხვავდება იმერხევის მთებში („თა“) გამართული „მარიობისაგან“. დაკარგულია ამ დღეობის თანმხლები ტრადიციული ქართული ხალხური საკარნავალო რიტუალებიც.

მიუხედავად სრულიად ახლებური ფორმატისა, ბოლახქოის „მარიობა“ გვევლინება ადგილობრივ ქართველთა ქართული იდენტობის მნიშვნელოვან გამოხატულებად. სწორედ ამ კუთხით ვლინდება მისი განსაკუთრებული არსი და დანიშნულება.

ლიტერატურა:

გუჯეჯიანი რ. (2021). ქართული ხალხური საკარნავალო რიტუალები თურქეთის რესპუბლიკის ეთნიკურ ქართველთა შორის, – მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, 2, (28), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება. ეძღვნება ჯულიეტა რუხაძის დაბადებიდან 100 წლისთავს. „მერიდიანი“, თბ.

Gujejani R. (2016). The Ways to Maintain the Ethnic Identity: Folk Festivals of Georgians in Artvini Region (the Republic of Turkey), – “Fundamentalism. Ethnographies on Minorities, Discrimination and Transnationalism”, Marcello Mollica (ed.) LIT Verlag Zurich 2016, Fribourg Studies in Social Anthropology, Band 44.

გუჯეჯიანი რ. (2014). ეთნიკურ ქართველთა ტრადიციული სულიერი კულტურის ისტორიიდან –შავშეთ-იმერხევი, – კრ., გივი წულაია 80, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბ.

გუჯეჯიანი რ. (2015). ქართული ხალხური დღესასწაულები ართვინის რეგიონის (თურქეთის რესპუბლიკა) ეთნიკურ ქართველთა შორის (ძველით ახალი წელი, შუამთობა, მარიობა) – კრ. ტრადიციული რელიგიური სისტემა და თანამედროვეობა, თბ., გვ., 93-113.

The folk holiday “Marioba”, which originates from the church holiday of the Assumption of the Virgin Mary, is still carried out in Georgian settlements in Turkey.

Although the holiday has been transformed and has lost its religious content, as a Georgian folk day, it is one of the most important facts in the traditional culture of Georgians in Turkey. For Georgians in Turkey “Marioba” is one of the most visible signs of ethnic identity.

“Marioba” was preserved both by the autochthonous Georgians of Tao-Klarjeti (modern Artvin and Arzrum regions) and by the descendants of Georgians who migrated to the central regions of the Black Sea within the Ottoman Empire in the last two decades of the 19th century and established the compact settlements there (Marmara Sea and Black Sea region).

“Marioba” is celebrated in summer. In some villages it is referred by the parallel name “Shuamtoba”.

The term and holiday “Marioba” is preserved throughout Imerkhevi, Zemo Machakheli, Devskeli and Baginistskali gorges, Shuakhevi, Kheba and Maradidi, Katapkhia gorge, Murghuli gorge, Orji, Tkhiladze, Kartla communities, Georgian villages of Parkhlists-kali gorge and others.

In the 60s of the XX century, a group of Georgians from Imerkhevi moved to Samsun region, but they could not get used to it and started looking for a new place. They choose one of the agricultural areas of Karajabei district of Bursa region. After that, they initiated propaganda in the villages of Imerkhevi, gathered families wishing to relocate and bought a part of the agricultural lands with joint funds. A Georgian village was built in the 70s. The village is called Boghazkoy. The village, in fact, is bigger than the village. Nowadays 130 households live there and among them 90 households are Georgians, 450 persons are permanent residents, and the population increases sharply in summer. Along with Georgians, there are living people from the Trabzon region who identify themselves as “Rumi” (Pontians), there are about five Turkish families as well.

Until the beginning of the twenty-first century, the main branch of rural agriculture was the cattle breeding and farming. Here in the 70’s has been established the agricultural base for growing Zvaraki (“Kurban”), which was donated to “Bayram”, which made famous the whole region. The development of cattle-breeding was facilitated by the traditional experience of the Imerkhians in this field and presence of the extensive pastures on the site. At the same time, the

Imerkhevians introduced knowledge of traditional Georgian agriculture, fruit growing and horticulture. The village flourished and was considered as one of the wealthiest settlement in the Bursa region. This allowed Georgians to give higher education to their children. The second generation of almost every family is educated in high schools.

Since the beginning of the XXI century, the internal migration process has intensified, a large part of the youth has moved to the cities. The school was also closed. Now the permanent residents of Boghazkoy are mainly the retired people, and only in summer is the village again filled by the youth and children.

The older generation of Georgians obviously know Georgian. A large part of the middle-aged population also speaks their native language. The knowledge of the native language is relatively low among the youth. Nevertheless, everyone is proud of their ethnicity – Georgian. The writer Ashref Ilmaz (Makharadze) is from this village.

There is functioning the Georgian Community – Boghazkoy Georgian Association (Head: Dogan Ilmaz-Makharadze). They founded a Georgian folk ensemble. Under the leadership of this association, Marioba holiday has been widely celebrated in recent years. The holiday has a form of a kind of festival. All Georgian families are involved in the preparation of the day.

The format of the holiday is the following:

The city dwellers are coinciding their vocational time-period with the date of the holiday and come to the village with their families. The population carefully organizes the open-air rural square, sets the stage, prepares traditional Imerkhevian food (especially the variety of kadas), women wear Imerkhevian clothes. The honoured guests are the representatives of the Embassy and Consulate of Georgia, local government, other Georgian associations, as well as those who are coming from Georgia to participate, etc.

The holiday begins in the evening. The organizers of the holiday, representatives of the local government and our diplomatic ser-

vices greet the population from the stage. A concert is held – they present Georgian folk dances, sing Georgian songs, respect the deceased villagers, distribute the traditional Imerkhebian bread, kadas, matsoni, etc. in containers.

The current format of the day, obviously, has a completely new form and it differs from the “Marioba” held in the mountains of Imerkhevi (“Ta”). The traditional Georgian folk carnival rituals accompanying this day are also lost.

Despite the completely new format, Boghazkoy’s “Marioba” appears to be an important expression of the Georgian identity of the local Georgians. This is the special essence and purpose of the holiday.

References:

Gujejiani R. (2021). Georgian folk carnival rituals among the ethnic Georgians of the Republic of Turkey, Materials of Georgian Ethnography 2 (28), ivane Javakhishvili Tbilisi State University, Institute of History and Ethnology, dedicated to the 100 anniversary of Julietta Rukhadze, Meridiani, Tb.

Gujejiani R. (2016). The Ways to Maintain the Ethnic Identity: Folk Festivals of Georgians in Artvini Region (the Republic of Turkey), – “Fundamentalism. Ethnographies on Minorities, Discrimination and Transnationalism”, Marcello Mollica (ed.) LIT Verlag Zurich 2016, Fribourg Studies in Social Anthropology, Band 44.

Gujejiani R. (2014). From the history of the traditional spiritual culture of Ethnic Georgians – Shavshet-Imerkhevi, volume Givi Tsulaia 80, Sokhumi Stte university, Institute of Georgian History and Ethnology, Tb.

Gujejiani R. (2015). Georgian Folk Festivals (Old New Year, Shuamtoba, Marioba) of ethnic Georgians in Artvin Region (Republic of Turkey), vol. traditional religious system and modernity, Tb.

სიტყვის მაგიური ძალა: ზოგი
საინტერესო ფაქტი ფრაზეოლოგიისა
და ფსიქოსომატიკის
ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით

THE MAGIC POWER OF WORDS: CERTAIN
INTERESTING FACTS REGARDING THE RELATION
BETWEEN PHRASEOLOGY AND PSYCHOSOMATICS

ირინე დემეტრაძე

Irine Demetradze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ფრაზეოლოგიური ერთეულები, სომატური
კომპონენტი, დადებითი კონოტაცია, უარყოფითი
კონოტაცია, ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე.

Keywords: phraseological units, somatic component, positive
connotation, negative connotation, impact on human health.

ცნობილია, რომ ყველა ენაში უხვად მოიძებნება სომატური კომპონენტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულები. ეს არის უთარგმნელი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ემყარება ადამიანის სხეულის ნაწილებს, ასევე, სასუნთქი, ნერვული და გასტრო-ენტეროლოგიური სისტემების შემადგენელ ორგანოებს.

მოხსენების მიზანია სომატური კომპონენტების შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების შესწავლა ინგლისურ და ქართულ მასალაზე დაყრდნობით. ცხადია, ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები მრავალენათმეცნიერსაქვს შესწავლილი ორივე საკვლევ ენაში, მაგრამ მოცემული მოხსენების სიახლე ისაა, რომ მასში ყურადღება გამახვილებულია საკვლევ ფრაზეოლოგიური ერთეულების ფსიქოლოგიურ ეფექტზე, რაც საბოლოოდ დადებითად ან უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე. ნეირომეცნიერებისა და ფსიქოლოგების ნაშრომებზე დაყრდნობით, მოხსენებაში განხილულია სომატური კომპონენტის შემცველი ფრაზეოლოგიური ერთეულების გავლენა ადამიანის ფსიქიკურ მდგომარეობასა და ჯანმრთელობაზე. არაერთმა სამეცნიერო ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ ზოგიერთი (უარყოფითი სემანტიკის) ფრაზეოლოგიური ერთეული საზიანოა ჯანმრთელობისთვის, ხოლო სხვა ერთეულებს (რომლებიც დადებითი სემანტიკისაა) სამკურნალო ძალა აქვთ. მოხსენებაში განხილულია ორივე ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები და მათი გავლენა ადამიანის ფსიქიკასა და ორგანიზმზე. ინგლისური ემპირიული მასალა აღებულია იდიომების ბეჭდური და ელექტრონული ლექსიკონებიდან, ქართული მასალა კი მოპოვებულია როგორც ლექსიკონებიდან, ისე ცოცხალი მეტყველებიდან.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია იმ ინგლისურ და ქართულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებზე, რომლებიც უკავშირდებიან სხეულის შემდეგ ნაწილებს: თავი, თვალები, ყურები, გული, ყელი, ფეხი და ხელი. ვრცელი ემპირიული მასალის ანალიზი ადასტურებს, რომ ყოველდღიურ ცხოვ-

რებაში უმჯობესია, მოვერიდოთ ნეგატიური კონოტაციის ფრაზეოლოგიური ერთეულების გამოყენებას და ჩავანაცვლოთ ისინი დადებითი სემანტიკის ფრაზეოლოგიური ერთეულებით.

It is well known that every language abounds in phraseological units with somatic components. These are untranslatable expressions containing the names of various parts of the human body as well as the elements of the respiratory, neural and gastro-intestinal systems.

The paper aims to study the phraseological units with somatic components in English and Georgian languages. Numerous linguists have dealt with the study of such units in both languages under analysis. However, the novelty of the given paper is that it approaches the above-mentioned units with regard to their psychological impact, which, in the long run, either affects or benefits the human health system. Therefore, based on the works of neuroscientists and psychologists, the paper outlines the positive and negative impacts of phraseological units with somatic components on human health. Numerous research works and experiments have proved that some of the phraseological units under analysis (the ones with the negative semantic content) are harmful to our health, whereas others (the ones with positive semantic content) are safe, and, what is more, have a certain healing power. The paper discusses both types of phraseological units and their impact on human health. All the English empirical material is taken from numerous printed and electronic dictionaries of idioms. As for the Georgian material, it is taken from printed and online dictionaries as well as live colloquial speech.

The English and Georgian idioms related to parts of the human body and analyzed in the given paper are as follows: head, eyes, ears, heart, throat, foot, hand. Based on the analysis of ample empirical data, the paper proves that in our everyday speech we should

try to avoid using phraseological units with negative meaning and try to replace them with positive ones.

References:

Burbo L. 1989. "Listen to Your Body, Your best Friend on Earth". E.T.C. Inc. Quebec. Canada.

Dingenmase M. 2006. "The Body in Yoruba. A Linguistic Study". MA Thesis. Leiden University.

Hurst K. 2016. "The Secret Law of Attraction. Master the Power of Intention". London. Greater Minds Ltd.

Iunescu M. R. 2005. "The Human Body as Reflected in English Somatic Verbal Idioms". In "Language and Literature. European Landmarks of Identity", Selected Papers of the 12th International Conference of the Faculty of Letters. University of Pitești, Romania. pp 39-46.

Newberg, A. Waldman, M.R. 2012. "Words Can Change Your Brain: 12 Conversation Strategies to Build Trust, Resolve Conflict, and Increase Intimacy". Penguin Publishing Group.

Oltean S. Takacs I. 2014. "Idioms of Body Parts in English. A Cognitive Perspective." Cluj-Napoca.

Oniani A. 1966. "Kartuli Idiomebi" [Georgian Idioms]. "Nakaduli". Tbilisi. (In Georgian).

Oxford Dictionary of English Idioms. 2009. Oxford University Press.

Sinelnikov V. 2018. "**Vozliubi Bolezn Svoyu**" [Love Your Disease]. Tsentrpoligraph. Moscow (In Russian).

ენა და პოეზია ამერიკულ დემოკრატიაში
ალექსი დე ტოკვილის მიხედვით

LANGUAGE AND POETRY IN AMERICAN DEMOCRACY
ACCORDING TO ALEXIS DE TOCQUEVILLE

მამუკა დოლიძე

Mamuka Dolidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: დემოკრატია, ენა, პრაქტიკა,
მორფოლოგია

Keywords: democracy, language, practice, morphology

მე-19 საუკუნეში, საფრანგეთის არისტოკრატის ახალ-გაზრდა წარმომადგენელმა, ალექსი დე ტოკვილმა იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებში და დაწერა ცნობილი წიგნი „დემოკრატია ამერიკაში“, რომელიც დღესაც არ კარგავს თავის აქტუალურ მნიშვნელობას. ჩვენ გვსურს შევხვით ამ წიგნის ერთ-ერთ თემას, კერძოდ, თუ როგორ ახდენს ამერიკული დემოკრატია ბრიტანული ინგლისური ენის მოდიფიცირებას და სამყაროს პოეტური ხედვის ტრანსფორმაციას.

ტოკვილი შენიშნავს, რომ ამერიკულმა ინგლისურმა გარკვეული ცვლილებები და სიახლე შეიტანა ბრიტანულ ენაში. დემოკრატიული წყობილება ორიენტირებულია მეტყველების ცოცხალ პრაქტიკაზე, არისტოკრატიული ენის იდეალური კონსტრუქციების საპირისპიროდ, სადაც მორფოლოგია მიისწრაფის, მთლიანად, ამომწურავად გამოხატოს სიტყვის მნიშვნელობა. ესპანური ენის ზეგავლენის ძალით, რომელიც შეერთებულ შტატებში მეორეენაა, ამერიკული ინგლისურში უფრო წინადადების კონტექსტი თამაშობს სიტყვის მნიშვნელობის დამაზუსტებელ როლს. ლათინური ენის გავლენა აძლიერებს აგრეთვე ფრაზის ემოციურ არტიკულაციასაც.

ამერიკულ დემოკრატიას შეაქვს ახალი სიტყვები ძველ ინგლისურში მაშინაც კი, როცა ამის საჭიროება არ არსებობს. ავტორი ფიქრობს, რომ ამით დემოკრატიული ერი ხაზს უსვამს პრაქტიკის უპირატესობას ენის იდეალური კონსტრუქციების წინაშე. ეს მეტად მნიშვნელოვანი იდეაა, რომელსაც ავტორი განავითარებს თავის ნაშრომში.

ლიტერატურა:

ტოკვილი, ა. (1990). დემოკრატია ამერიკაში, ტომი 2, გვ. 64 -77. ნიუ იორკი, კლასიკურ თხზულებათა გამომცემლობა.

Travelling in America in XIX century, a young representative of the French aristocracy wrote an outstanding book “ Democracy in America”. Our aim is to discuss the problem he stated in this book – how American democracy modifies the English language and changes the poetry .

Alexis de Tocqueville claimed that American English developed through the process of modernizing the British language. Democracy was oriented on practical aspects of speech whereas the aristocratic Great Britain was inclined towards some ideal concept of language, where the morphology was responsible for expressing the content. Due to the influence of Spanish, which was considered to be the second language in the USA, a linguistic context obtained the significant function to form the sense of verbal expressions. It also increased the emotional articulation of the words.

American democracy has been inclined to insert new words in the language of a mother country, even if there was no necessity for it. Through this innovation, the democratic nation showed the advantage of practice before ideal theoretical constructions of the aristocratic speech. That was the remarkable idea, which the young author developed in one of the chapters of his book.

Reference:

Alexis de Tocqueville. (1990). demokratia amerikashi {Democracy in America. Vol 2, Pp 64 -77. New York, Vintage Books Edition.}

**თანსაცმლის უნივერსალური სტილები და
მოდა ქართულ მონეტებზე**

**UNIVERSAL STYLES OF CLOTHING AND FASHION
ON GEORGIAN COINS**

თედო დუნდუა

Tedo Dundua

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: თანსაცმელი, უნივერსალური სტილები,
მოდა ქართულ მონეტებზე

Keywords: clothing, universal styles, fashion on Georgian coins

ევროპას და აზიას, ამ ორ ძირითად საინტეგრაციო ზონას, არქიტექტურის, ტანსაცმლის და ა. შ. საკუთარი ცვალებადი უნივერსალური სტილები გააჩნდა. ელინისტურ აღმოსავლეთთან ინტეგრირებული ქართველები სპარსული სტილის ტანსაცმლით იმოსებოდნენ. უკვე „ბიზანტიურ თანამეგობრობაში“ (აღმოსავლეთ ევროპის საინტეგრაციო ზონა) მყოფებმა ის ბიზანტიური ყაიდის სამოსით შეცვალეს. თანამედროვე საქართველოს სტილი მოდერნია. ყველაფერი ეს ქართულ მონეტებზე აისახა.

ა) კლარჯეთის ერისთავის ბაგადატ (ბაგრატ) ბიურატის (ბივრატის) ძის ვერცხლის მონეტების I და II ტიპებზე (ძვ. წ. III საუკუნის II ნახევარი) სპარსულად ჩაცმული ბაგადატია გამოსახული.

ბ) საიმპერატორო ტანსაცმელში გამონყობილი არიან საქართველოს შემდეგი მეფეები: დავით IV აღმაშენებელი 1118-1125 წწ.-ში მოჭრილ სპილენძის მონეტაზე, გიორგი IV ლაშა 1210 წელს მოჭრილ სპილენძის მონეტაზე, დავით ულუ და დავით ნარინი 1261-1262 წწ.-ში მოჭრილ ვერცხლის მონეტებზე.

წვერ-ულვაშის ტარება თუ სუფთად გაპარსული სახე უფრო მოდის საკითხია, ვიდრე სხვა რამ. ქართველები წვერ-ულვაშს ატარებდნენ მთელი ფეოდალური პერიოდის განმავლობაში. ბაგადატის ფულებზე წვერულვაშისანი ბაგადატია გამოსახული. წვერ-ულვაში ამშვენებს დავით IV აღმაშენებელს 1118-1125 წწ.-ში მოჭრილ სპილენძის მონეტაზე, აზიურ-ბიზანტიურ ტანსაცმელში ჩაცმულ გიორგი III-ს 1174 წელს მოჭრილ მონეტებზე და იმერთა მეფე გიორგი II-ს (1565-1585 წწ.) I ტიპის მონეტებზე.

XIX ს-ის II ნახევარსა და XX ს-ის დასაწყისში ყველგან, ევროპაში, მათ შორის საქართველოში, წვერ-ულვაშს ატარებდნენ. ამ დროის მნიშვნელოვანი პიროვნებები მოგვიანებით ქართულ ბანკნოტებზე გამოსახეს.

Europe and Asia, two principal zones of integration, had their universal changeable styles in architecture, clothing etc. When affiliated to Hellenistic Orient, Georgians were dressed in Persian-style clothing. When affiliated to “Byzantine Commonwealth” (East European world), Georgians were dressed in Byzantine-style clothing. Modern Georgia means Modern style. The story is depicted on Georgian coins.

a) Georgian dressed in Persian-style clothing is shown on the coins of Bagadat, son of Biurat, duke of Klarjeti (Southwest Georgia). I and II types. Second half of the 3rd c. B.C.

b) Georgians dressed in Byzantine-style clothing are shown on David IV's (king of Georgia) copper coin, type – king in Imperial coat, 1118-1125; coin of Giorgi IV (king of Georgia) – king in Imperial dress, 1210; coins with the effigy of two Davids (David Ulugh and David Narin, kings of Georgia), 1261-1262.

Wearing or shaving the facial hair has been more a matter of fashion, than something else. Georgians favoured beard and mustache during the whole Feudal period as seen on the coins of Bagadat, son of Biurat (Obverse: head of Bagadat, bearded, with mustache), David IV's copper coin, type – king in Imperial coat (Obverse: bust of bearded king in Imperial coat), coins of Giorgi III (king of Georgia) – king with falcon on hand, 1174 (Obverse: bearded king in Asian-Byzantine dress), coins of Giorgi, king of Imereti (Western Georgia). I type. 1565-1585 (Obverse: head of bearded man in jewelled crown).

Like everywhere in Europe, beard and mustache were beloved in Georgia in the second half of the 19th c.-beginning of the 20th c. Prominent figures of this period are represented now on the Georgian banknotes.

ვერიზმი XIX საუკუნის პროზაში
VERISMO IN THE PROSE OF THE XIX CENTURY

ეკა ვარდოშვილი

Eka Vardoshvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ვერიზმი, ქართული, ევროპული,
ლიტერატურა

Keywords: Verismo, Georgian, European, literature

XIX საუკუნის დასასრულს შექმნილ პროზაულ თხზულებებში ვერიზმის პრობლემა იჩენს თავს. ვერიზმს ორი მიმართულება ახასიათებს. ადამიანის სიდეუსეობა, სოციალურად მძიმე ყოფაა ასახული მოთხრობათა ერთ ციკლში, ხოლო მეორე ჯგუფის მწერალთა თხზულებებში ადამიანის შინაგანი სამყაროს ასახვის ცდაა ნაჩვენები. თუ პირველები სოფლის ცხოვრებას გვიხატავენ, მეორე ჯგუფის მწერლებში ქალაქის ყოფას ასახვენ და ინტელიგენტთა სახეებს ქმნიან.

„პირველი ჯგუფის მწერალთა შემოქმედებაში საკმაოდ დიდი როლი აქვს წარმოდგენილი ნატურალისტური ელემენტები. ეს შტო 90-იანი წლების ქართველი მწერლებისა უფრო ნატურალიზმის იტალიურ ნაირსახეობას უახლოვდება, რომელიც ვერიზმის სახელით არის ცნობილი“ (ანდრონიკაშვილი, 1984:209). ამ მიმართულების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად ეგნატე ნინოშვილი სახელდება.

პერსონაჟთა დეპროიზაციის პროცესი დამახასიათებელია ამგვარი თხზულებებისათვის.

ეგ. ნინოშვილის პერსონაჟები გრძნობენ თავის უძღურებას სამყაროში, ისინი დაცლილნი არიან მაღალი იდეალებისაგან, თავის გადარჩენის ინსტინქტი ამოძრავებს მათ. პერსონაჟთა ასეთ სახეებს ვხვდებით მწერლის მთელ შემოქმედებაში.

ვერიზმის სამშობლოდ იტალია სახელდება, მის მამამთავრად კი – ჯოვანი ვერგა. იტალიური ვერიზმის წარმომადგენლები არიან ასევე კაპუანა და პირანდელო, თუმცა, ლუიჯი პირანდელო თავისი შემოქმედების მეორე ეტაპზე თავისუფლდება ვერიზმის გავლენისაგან.

ალსანიშნავია, რომ XIX ს. დასაწყისში რომანტიზმმა „ზედმეტი ადამიანის“ პრობლემა შემოიტანა ლიტერატურაში. ესაა საზოგადოებისგან გამდგარი, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი. იდეალისა და სინამდვილის დამოკიდებულების საკითხი მის არსებაში ქმნის წინააღმდეგობას. ეს არ არის საზოგადოებრივ ურთიერთობებში მყოფი ადამიანის სახე.

რეალისტებმა თავიანთი გმირები წარმოადგინეს რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, კონკრეტულ სოციალურ, ისტორიულ და კულტურულ გარემოში. რეალურ, ადამიანურ ურთიერთობებში ყალიბდება მათი სახე და ხასიათი. იმავედროულად, თავს იჩენს ადამიანის გაუცხოების საკითხიც. „როგორი უნდა იყოს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა, სვამენ კითხვას ნაწარმოებთა ავტორები და ამ კითხვას თავად საზოგადოებამ უნდა გასცეს პასუხი“ (ვარდოშვილი, 2018:94).

კრიტიკული რეალიზმისთვის დამახასიათებელ სოციალურ რომანში დახატული გმირები ძლიერი მხატვრული სახეებია, რომლებიც იბრძვიან საზოგადოებრივ ურთიერთობებში არსებულ მანკიერებათა წინააღმდეგ. რეალისტები ასევე უპირისპირდებიან დეკადენტურ ლიტერატურას.

ამდენად, საუკუნის დასაწყისში არსებული „ზედმეტი ადამიანი“, საუკუნის ბოლოს გვევლინება „პატარა ადამიანად“. „პატარა ადამიანის“ პრობლემა უკავშირდება ვერიზმის საკითხს მსოფლიო ლიტერატურაში.

ლიტერატურა:

ანდრონიკაშვილი, ვ. (1984). ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ვარდოშვილი, ე. (2018). ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა, თბილისი: „უნივერსალი“.

The problem of verismo appears in the prose works created at the end of the XIX century. Verismo is characterized by two directions. Human misery and difficult social conditions are reflected in one cycle of short stories, while the writings of the other group of writers show an attempt to reflect the inner world of a human. If the

first depicts rural life, the second group of writers depicts urban life and creates the faces of intellectuals.

“Naturalist elements are presented in a sufficient dose in the works of the first group of writers. This branch of the Georgian writers of the 90s is closer to the Italian variety of naturalism, which is known as Verismo” (Andronikashvili, 1984:209). Egnate Ninoshvili is the most visible representative of this direction.

The process of deglorification of the characters is typical for such compositions. The characters of Egnate Ninoshvili feel their feebleness in the universe, they are drained of high ideals and their survival instinct drives them. We find such faces of characters in all creative works of the writer.

Italy is the birthplace of verismo and its founder father is Giovanni Verga. Representatives of Italian Verismo are also Capuana and Pirandello, however, Luigi Pirandello is freed from the influence of Verismo in the second stage of his creative works.

It is noteworthy that in the early nineteenth century, Romanticism introduced the problem of the “extra man” into literature. This is a person isolated from society, locked in himself. The question of the relation between the ideal and the reality creates a contradiction in its existence. This is not the face of a human in public relations.

Realists portrayed their characters in real public relations, in specific social, historical, and cultural contexts. In real human relationships, their face and character are formed. At the same time, it raises the issue of human alienation. “The authors of the works ask the question, what should be the relationship between the individual and the society, and the society must answer this question” (Vardoshvili, 2018:94).

The characters, depicted in the social novel characteristic for critical realism, are powerful artistic figures fighting against vices in the public relations. At the same time, the realists oppose decadent literature.

Thus, the “extra man” at the beginning of the century appears to be a “little man” at the end of the century. The problem of the “little man” is related to the issue of verismo in the world literature.

References:

Andronikashvili, V. (1984). Narkvevebi XIX saukunis qartuli literaturis istoriidan, [“Essays from the history of Georgian literature of the XIX century“], Tbilisi: “Soviet Georgia”.

Vardoshvili, E. (2018). Axali qartuli literature da evropuli mwerloba, [“New Georgian Literature and European Writings“], Tbilisi: “Universal”.

ჰერმენევტიკული პარადიგმა
გ. დერჟავინის ოდის „ღმერთი“
ინესა მერაბიშვილის ქართულ თარგმანში
HERMENEUTICAL PARADIGM OF G. DERZHAVIN'S
ODE "GOD" IN GEORGIAN TRANSLATION
BY INNES MERABISHVILI

თამარ ვეფხვაძე

Tamar Vepkhvadze

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Social and Political Sciences

საკვანძო სიტყვები: ჰერმენევტიკა, პოეტიკა, ლიტერატურა,
თარგმანი

Keywords: Hermeneutics, poetics, literature, translation

ჰერმენევტიკა არის მეცნიერება ტექსტის გაგებისა და ინტერპრეტაციის შესახებ. ინტერპრეტაცია კი არის მნიშვნელობის ამოღება ტექსტიდან. რამდენადაც თარგმანი ორიგინალური ტექსტის სამიზნე ენაზე ინტერპრეტაცია ან ინტერპრეტაციის პროცესია, შესაბამისად, ჰერმენევტიკასა და თარგმანს პირდაპირი კავშირი აქვთ, რადგან თარგმანის მთავარი ამოცანაა არა მხოლოდ ენობრივი ერთეულების გადატანა ერთი ენიდან მეორეზე, არამედ ორიგინალური ტექსტის იდეებისა თუ ჩანაფიქრების სრული პრეზენტაცია.

ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციისთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მხატვრული ნაწარმოებების ტექსტები, რომლებიც ასოცირდება ამ სტილის ტექსტის წინაშე მდგარ განსაკუთრებულ ამოცანებთან. „მხატვრული კომუნიკაცია იწყება შემოქმედებითი აქტით, ავტორის თვითგამოხატვით და სრულდება მხატვრული ტექსტის გააზრებით. მწერალი თავის იდეას ახორციელებს ლიტერატურულ ტექსტში, რომელიც შუამავლის როლს ასრულებს ავტორის მკითხველთან ურთიერთობის პროცესში“ [გადამერი, 1988: 704].

მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელის წინაშე დგას ამოცანა, გადმოსცეს ორიგინალის მხატვრული და ესთეტიკური ღირსებები და შექმნას სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოები თარგმანის ენაზე. ეს, ერთი მხრივ, ავტორის იდეისა და ტექსტის ორიგინალური მნიშვნელობის სრულ გაგებას, მეორე მხრივ კი, მთარგმნელისგან გარკვეულ კრეატიულობას, ტექსტის სუბიექტივიზაციას მოითხოვს. ნაწარმოებში საკუთარი პიროვნებისა და კულტურული ფონის ჩართვას ტექსტის ხელმეორედ დაბადების დროს. ტექსტის თარგმნისას მთარგმნელი გადის ორ ძირითად ეტაპს: მისი მნიშვნელობის გაგება და ტექსტის მეორეული გენერირება თარგმანის ენაზე. პოეტური ტექსტების თარგმნისას ეს პროცესი კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს [ბახტინი, 1979: 76].

პოეტური ტექსტების, პოეზიის ნიმუშების თარგმნა რთული შემოქმედებითი პროცესია, რამდენადაც, აქ მხატვრულ-გამო-

მსახველობითი საშუალებები, ტროპები, სიმბოლიკა, ნიშნები, ალეგორია და, რაც მთავარია, ვერსიფიკაციის მახასიათებლები მნიშვნელოვან დომინანტს წარმოადგენს სემანტიკასთან დაკავშირებით.

ჰერმენევტიკას არა მარტო ნიშნებისა და სიმბოლოების გაგება აინტერესებს ნიშნიდან მნიშვნელობამდე, არამედ ისიც, რაც მკაფიოდ არ არის განამრტებული. ასევე მნიშვნელოვანია ჩანაფიქრის კონსტრუირების განსაზღვრა და მისთვის მნიშვნელობის მინიჭება, რომელიც დაკავშირებულია ენის ანალიზსა და სემანტიკასთან.

ჰერმენევტიკა ქრისტიანულ სამყაროში გაიგებოდა ბიბლიის განმარტებისა და ინტერპრეტაციის ხელოვნებად, თუმცა თანამედროვე მეცნიერება მიიჩნევს, რომ ჰერმენევტიკა მეცნიერების დარგია, მისთვის დამახასიათებელი სრულფასოვანი ელემენტებით: სისტემა, თეორიები, მეთოდოლოგია, წესები და ა.შ. ჰერმენევტიკა ქრისტიანული თეორიული აზროვნების ძლიერ პრაქტიკულ ინსტრუმენტად იქცა და ბიბლიის განმარტებისა და კომენტარების მრავალსაუკუნოვან ტრადიციას ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, მან დიდი როლი შეასრულა შუა საუკუნეების ქრისტიანული ღვთისმეტყველების თეორიული გამყარებისა და საღვთისმეტყველო აზროვნების აღორძინების საქმეში, რამდენადაც ის მოიცავდა ტექსტებთან მუშაობის მრავალფეროვან რელიგიურ, ფილოსოფიურ და კულტურულ გამოცდილებებს. შუა საუკუნეებისა და ახალი დროის ევროპაში ჰერმენევტიკა, ძირითადად, მისი ქრისტიანული განხრით იყო წარმოდგენილი. ჰერმენევტიკის სეკულარული, მეცნიერული ფორმა მე-18 საუკუნის ბოლოდან იწყებს ჩამოყალიბებას.

ქრისტიანული ჰერმენევტიკისა და პოეზიის თანხვედრის თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა გავრიილ დერჟავინის ცნობილი შედევი, ოდა „ღმერთი“.

1780-1784 წლებში დერჟავინმა შექმნა ოდა „ღმერთი“, რომელიც გახდა მისი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი

ნანარმოები. ამ ოდით მან გაილაშქრა მე-18 საუკუნის ფრანგი მატერიალისტების წინააღმდეგ.

დერჟავინის ოდა ერთგვარ სენსაციად იქცა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი ითარგმნა 15-ჯერ ფრანგულად, რვაჯერ გერმანულად, რამდენჯერმე პოლონურად. გარდა ამისა, დერჟავინის ოდა ითარგმნა ინგლისურ, იტალიურ, შვედურ, ჩეხურ, ლათინურ, ბერძნულ და იაპონურ ენებზე.

ქართულად ეს ლექსი მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე უთარგმნია ათზე მეტ პოეტს. ამათაგან: პ. ლარაძეს, ი. ბაზლიძეს, დ. დადიანს, მოგვიანებით – დ. ციციშვილს (ამ უკანასკნელის თარგმანი კიდევ დაიბეჭდა), მირიან, იოანე ბატონიშვილებს, გიორგი ავალიშვილს, დიმიტრი მაღალაშვილს, რევაზ ყორჩიბაშსა და ალ. ჭავჭავაძეს. ჩვენამდე მოღწეულია უცნობი ავტორის ის თარგმანიც, რომელიც ალ. ნიკოლსკის წიგნ „რუსული სიტყვიერების საფუძვლებიდანაა“ შესრულებული. ეს თარგმანები ჩვენ მიერ შესწავლილი და გამოკვლეულია. თუმცა, თანამედროვე ეპოქაშიც არ წყდება ინტერესი ამ ლექსის მიმართ და მე-20-21-ე საუკუნეებში ის ორი ქართველი მთარგმნელის, ესმა ონიანისა და ინესა მერაბიშვილის ყურადღების ობიექტი ხდება. ჩვენი კვლევის საგანი სწორედ ინესა მერაბიშვილის მიერ თარგმნილი ვარიანტია.

მთავარი თემა, რომელიც ოდის კვინტესენციას წარმოადგენს, არის ღვთაებრივი შვილობის თემა. ყოვლისშემძლე უფალმა, ჩვენი ცნობიერებისგან დაფარულმა, ერთი სიტყვით (იგულისხმება შემოქმედებითი აქტი) შექმნა მატერია, საიდანაც შემდგომში შექმნა ფიზიკური სამყარო. ზეციური შემოქმედის განზრახვის, ყოვლისშემძლეობისა და მარადისობის განდიდებით, გავრიილ დერჟავინი ოდა „ღმერთში“ შემდეგ საკითხებს წამოსწევს:

- ა. სამყაროს რელიგიურ-კოსმოლოგიური სურათი;
- ბ. ადამიანურ და ღვთაებრივ გონებათა ურთიერთმიმართების დიალექტიკა;

გ. პოეტის პოზიცია სტიქიური მატერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ოდის საეკლესიო-რელიგიური ფორმიდანაც გამოსჭვივის;

დ. ადამიანური ყოფის ძირითადი წინააღმდეგობების, მაკრო და მიკროკოსმოსის ურთიერთმიმართებისა და განვითარების იდეა.

ინესა მერაბიშვილის თარგმანის ჰერმენევტიკული სტრატეგია ითვალისწინებს ორიგინალის ენისა და კულტურის ელემენტების შენარჩუნებას თარგმანის (ქართულ) ენაზე მშობლიური ერის კულტურული იდენტობის გათვალისწინებით. ასეთი, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავი კონტინუუმი ხორციელდება უცხო ენის ენობრივი და კულტურული რეალობის ტექსტში შენარჩუნების გამო, ერთი მხრივ, და მათი ინტრატექსტუალური თუ ექსტრატექსტუალური ინტერპრეტაციით, რაც უზრუნველყოფს ტექსტის გაგების შესაბამის ხარისხს თარგმანში.

ჰერმენევტიკული თარგმანის სტრატეგიაში ინესა მერაბიშვილი, როგორც მთარგმნელი, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ალუზიების ინტერპრეტაციას, რომლებიც კულტურათა მენტალიტეტის შესახებ ინფორმაციის ყველაზე ღირებული წყაროა. ალუზიარის ტექსტური იმპლიკაციის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც აკავშირებს სხვა ტექსტების მნიშვნელობებს მოცემული ტექსტის მნიშვნელობების სისტემასთან, რაც მთარგმნელს კონკრეტულ შემთხვევაში მაღალი ოსტატობით შემოაქვს ინტერტექსტუალურობის სფეროში.

ინესა მერაბიშვილისთვის, როგორც მთარგმნელისთვის, არსებითია არა მხოლოდ იმ ტექსტის მნიშვნელობის გააზრება, რომელსაც მისი ალუზია ეხება, არამედ ამ ინტერტექსტუალური მნიშვნელობის ჰარმონიულად ჩართვა მის მიერ ნათარგმნი ნაწარმოების მნიშვნელობათა სისტემაში. ჰერმენევტიკის თვალსაზრისით აქ ალუზია მოქმედებს არა როგორც ნაწილი, არამედ, როგორც გაფართოებული კონტექსტი ნაწარმოების მთლიანობაში.

დერჟავინის ოდა „ღმერთის“ ინესა მერაბიშვილის მიერ მაღალი მხატვრული ოსტატობით შესრულებული ქართული თარგმანი ძალზე საინტერესოა როგორც ჰერმენევტიკული ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ისე მთარგმნელის ჰერმენევტიკული მარშრუტის დომინანტური მინიშნებების ინტერპრეტაციის კუთხით, რომლებიც აერთიანებს ნაწარმოების ყველამნიშვნელობას ერთსისტემაში, აგრეთვე უზრუნველყოფს სივრცე-დროითი ჩარჩოების, სენსორული ასოციაციებისა და სინესთეტიკური ტრანსფერების გადაცემას. ამ თარგმანის ჰერმენევტიკული სტრატეგიის ფარგლებში განსაკუთრებით საინტერესოა მთარგმნელის ენობრივი პიროვნების გამოვლინება თარგმანის ტექსტში ინტერპრეტაციის გზით.

ლიტერატურა:

Бахтин, М. М. (1979). Эстетика словесного творчества. Москва: “Искусство”.

Гадамер, Х. Г. (1988). Истина и метод: Основы философской герменевтики. Москва: “Прогресс”.

Hermeneutics is the science of understanding and interpreting text. Interpretation is the drawing of meaning from a text. Since translation is interpretation or the process of interpretation of the original text to the target language, therefore, hermeneutics and translation are directly related, as the main task of translation is not only to transfer linguistic units from one language to another, but also to fully present the ideas or intentions of the original text.

The texts of works of art associated with the particular tasks facing the text of this style are of particular interest for hermeneutic interpretation. Artistic communication begins with a creative act, the author's self-expression, and ends with an understanding of the fictional text. The writer implements his/her idea in a literary text that acts as a mediator in the author's relationship with the reader.

The task of the translator of fiction is to convey the artistic and aesthetic virtues of the original text and to create a full work of fiction in the language of translation. This, on the one hand, requires a full understanding of the author's idea and the original meaning of the text, and, on the other hand, a certain creativity from the translator, subjectivation of the text. Involvement of one's own personality and cultural background in the work during the rebirth of the text. When translating a text, the translator goes through two main stages: understanding its meaning and second-generation of the text in the language of the translation. This process becomes even more intense when translating poetic texts.

Translation of poetic texts and samples of poetry is a complex creative process, as, here, artistic and expressive means, tropes, symbols, signs, allegories and, most importantly, versification characteristics play a significant dominant role in relation to semantics.

Hermeneutics is interested not only in understanding signs and symbols from a sign to a meaning, but also in what is not explicitly explained. It is also important to define the drafting of the idea and to give it a meaning related to language analysis and semantics.

Hermeneutics was understood in Christendom as the art of clarification and interpreting the Bible, however, modern science considers hermeneutics to be a field of science with its full value elements: system, theories, methodology, rules, and so on. Hermeneutics has become a powerful practical tool of Christian theoretical thinking, and has rendered invaluable service to the centuries-old tradition of Bible explanation and commenting, it played a major role in theoretical strengthening of medieval Christian theology and the revival of theological thinking, as it included a variety of religious, philosophical, and cultural experiences of working with texts. Hermeneutics of medieval and modern Europe, was mainly represented by its Christian aspect. The secular, scientific form of hermeneutics began to establish in the late XVIII century.

In terms of the compatibility of Christian hermeneutics and poetry, the famous masterpiece of Gavrila Derzhavin, the Ode “God”, is very noteworthy.

In 1780-1784, Derzhavin composed the Ode “God”, which became one of his most significant works. At this time, he marched against the French materialists of the 18th century.

Derzhavin’s Ode has caused a sensation all over the world. It has been translated 15 times into French, eight times into German, several times into Polish. In addition, Derzhavin’s Ode was translated into English, Italian, Swedish, Czech, Latin, Greek, and Japanese.

This poem was translated into Georgian by more than ten poets at the turn of the 18th and 19th centuries. Among them were: P. Laradze, I. Bazlidze, D. Dadiani, later – D. Tsitsishvili (the translation of the latter was even published), Mirian and Ioane Princes, Giorgi Avalishvili, Dimitri Magalashvili, Revaz Korchibashi and Al. Chavchavadze. We also obtained the translation of an unknown author, which had been performed from the book of Al. Nikolsky “Fundamentals of Russian Speech”. These translations have been studied and researched by us. However, even in the modern era, the interest in this poem is still actual and, in the 20th, and 21st centuries it became the object of attention of two Georgian translators, Esma Oniani and Inesa Merabishvili. The subject of our research is the version translated by Inesa Merabishvili.

The main topic, which is the quintessence of the ode, is the topic of divine adoption. The Almighty Lord, hidden from our consciousness, in one word (the act of creation is meant) created matter, from which he subsequently created the physical world. Praising the intention, omnipotence, and eternity of the heavenly Creator, Gavrila Derzhavin raises the following questions in the Ode “God”:

- a. Religious-cosmological image of the world,
- b. The dialectic of the interrelationship of human and divine minds,

c. The poet's position against the spontaneous materialism, which blinks also from the ecclesiastical-religious form of the ode, and

d. The idea of the basic contradictions of human existence, the interrelationships and development of the macrocosm and microcosm.

The hermeneutical strategy of Inesa Merabishvili's translation takes into account preserving the original language and the elements of culture in the translated language (Georgian) with regard to the cultural identity of the native language. At first, such a mutually exclusive continuum is realized due to preservation in the text of linguistic and cultural reality of a foreign language, on the one hand, and with their intertextual or extratextual interpretation, which ensures the appropriate degree of comprehension of the text in the translation.

In the strategy of hermeneutic translation, Inesa Merabishvili, as a translator, pays special attention to the interpretation of allusions, which are the most valuable source of information about the mentality of cultures. An allusion is a special type of textual implication that connects the meanings of other texts with the system of meanings of a given text, which the translator, in a particular case, brings with great skill to the field of intertextuality.

For Inesa Merabishvili, as for a translator, it is important not only to understand the meaning of the text to which her allusion refers, but also to harmoniously incorporate this intertextual meaning into the meaning system of the work she had translated. In terms of hermeneutics, the allusion here acts not as a part but as an extended context of the work as a whole.

The translation of Derzhavin's Ode "God" into Georgian performed by Inesa Merabishvili with great artistic skills is very interesting both in terms of hermeneutic interpretation and interpretation of dominant hints of the translator's hermeneutical route, which combine all the meanings of a work into one system, as well as en-

sure transmission of space-time frames, sensory associations, and synesthetic transfers. Within the hermeneutic strategy of this translation, it is particularly interesting to reveal the translator's linguistic personality through interpretation in the text translation.

References:

Bakhtin M.M. (1979). Estetika slovesnogo tvorchestva. [Aesthetics of verbal creativity]. Moscow: Iskusstvo.

Gadamer H.G. (1988). Istina i metod: Osnovi filosofskoi hermenevtiki. [Truth and Method: Fundamentals of Philosophical Hermeneutics]. Moscow: Progress.

**მარადიული მშვიდობის ეთიკური ჭრილი –
(უტილიტარიზმის დისკურსი)**

**ETHICAL DIMENSION OF PERPETUAL PEACE –
(DISCOURSE OF UTILITARIANISM)**

ანასტასია ზაქარიაძე

Anastasia Zakariadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მარადიული მშვიდობა, მარადიული
სიკეთის მდგომარეობა, სარგებლიანობის პრინციპი
Keywords: Perpetual Peace, eternal goodness, principle of utility

„მარადიული მშვიდობის“ ფილოსოფიური გაგება ემყარება მშვიდობის, როგორც ურღვევი იდეალის იდეას, როგორც მარადიული სიკეთის მდგომარეობას, რომელშიც ომს ადგილი არ აქვს. ამ თვალსაზრისის ფარგლებში „მარადიული მშვიდობა“ გარკვეულწილად უტოპიური შინაარსის მატარებელია. შესაბამისად, ამ იდეაზე დაფუძნებული პოლიტიკური თეორიების რეალიზება შეუძლებელია და რჩება მიუღწეველ იდეალად. თუმცა პრემოდერნულ ეპოქაში თვისობრივად ახალი დისკურსის დაბადებასთან ერთად გაჩნდა ამ კონცეპტის გააზრების განსხვავებული შესაძლებლობა. კერძოდ, ბრიტანელი ფილოსოფოსი, ჯერემი ბენტემი, წამოაყენებს უტილიტარიზმს, როგორც „სარგებლიანობის პრინციპს“ (ბენტემი:2021), რომელსაც ზნეობის სფეროში წამყვან როლს მიაკუთვნებს. მოგვიანებით ჯონ სტუარტ მილმა საბოლოოდ დაამკვიდრა უტილიტარიზმში სიკეთის, როგორც სარგებელის ან ბედნიერების გაგება (მილი:2004).

სარგებლის იდეამ ევროპის პოლიტიკურ-სამართლებრივი გაერთიანების თემაზე ფილოსოფიურ მოსაზრებებში წამყვანი ადგილი დაიკავა. უტილიტარიზმის თეორიის ფუძემდებელმა, ბენტემმა, შექმნა წმინდა პრაქტიკული ხასიათის თხზულება, რომელიც მიზნად ისახავს მის მიერ თეორიულად დასაბუთებული უტილიტარული პრინციპების დემონსტრირებას, „გეგმა საყოველთაო და მარადიული მშვიდობისათვის“, და დაიწერა 1786-1789 წლებში (ბენტემი:2022).

თეზისებმა სარგებლიანობის, როგორც ადამიანური საქმიანობის მიზნის, შესახებ ბენტემს საშუალება მისცა, დაესვა საკითხი საგარეო პოლიტიკის ამოცანების შესახებ ერის ინტერესებთან შესაბამისად, ასევე გამოეკვეთა საკითხი ომის, როგორც ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად მისაღები გადაუდებელი ზომების, შესახებ.

ბენტემი იწყებს საკმაოდ მოსალოდნელი პრაქტიკული პოზიციებიდან, მიმართავს ევროპის დღევანდელ მდგომარეობას: „ჩვენი გეგმა ეფუძნება ორ ფუნდამენტურად მნიშვნელოვან

შეთავაზებას: 1) შევინარჩუნოთ ევროპის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების შეიარაღებული ძალების გარკვეულ დონემდე შემცირება; 2) დამოუკიდებლობის მინიჭება ყველა ქვეყნისთვის, რომლებიც დაქვემდებარებულ მდგომარეობაშია.“ დეტალიზებულად კონკრეტული მიდგომა, რომლითაც ბენტემი უახლოვდება მარადიული მშვიდობის იდეალის გააზრებას, ხელს უწყობს ევროპის მოქალაქეს, უფრო ნათლად დაინახოს ამ პროექტის პერსონული სარგებლიანობა. „მიზანია, დავრწმუნდეთ სამი ძირითადი დებულების შესაბამისობაში – მმართველობის სიმარტივე, ეროვნული სახსრების ეკონომიური გამოყენება და მშვიდობა“ (ბენტემი:2022).

ბენტემი აჩვენებს ევროპაში მშვიდობის დამყარების უნივერსალურ სარგებელსა და ხეირს, აღწერს ერთიანი ევროპული პოლიტიკის კონკრეტულ გზებს, რომლებიც მშვიდობიანი თანაარსებობის მიღწევისათვისაა საჭირო.

ბენტემის მიერ თავისი „გემის...“ გამოცხადებიდან ორი ათეული წლის შემდეგ გერმანელი ფილოსოფოსი კარლ ქრისტიან ფრიდრიხ კრაუზე აქვეყნებს თხზულებას – „ევროპული სახელმწიფოების გაერთიანების პროექტის მონახაზი, როგორც საყოველთაო მშვიდობის საფუძველი და ლეგალური საშუალება ევროპის შიდა და გარე თავისუფლების ყოველგვარი ხელყოფის თავიდან ასაცილებლად“¹(კრაუზე).

ამ ნაშრომში გამოთქმული კრაუზეს იდეები განმსჭვალულია ევროპელი ხალხებისთვის სარგებლის იმ უტილიტარული სულისკვეთებით, რომელიც ამ თემაზე ბენტემის რეფლექსიებსა და არგუმენტების მამოძრავებელი ძალა გახდა. უტილიტარიზმის პოზიციებზე მდგარი ფილოსოფოსები საკუთარი დისკურსის ფარგლებში არგუმენტირებულად

¹ დაინტერესებული მკითხველი შეძლებს ამ ნაშრომის გაცნობას გერმანულ ენაზე: Krause K. Ch. Fr. (1920) Entwurf eines europäischen Staatenbundes als Basis des allgemeinen Friedens und als rechtliches Mittel gegen jeden Angriff wieder die innere und äussere Freiheit Europas, Leipzig.

ამტკიცებენ ევროპული ერთიანობის მნიშვნელობას. მათთვის ეს არის ბედნიერების სასურველი მდგომარეობა, სარგებლიანობის პრინციპის აქტუალიზაცია ევროპის ყოველი მკვიდრისთვის.

უტილიტარული ხედვის წყალობით მარადიული მშვიდობის კონცეპტმა თეორიული განაზრებებიდან გადაინაცვლა პრაქსისში, გახსნა მისი აქტუალიზაციის შესაძლებლობა.

ლიტერატურა:

მილი, ჯ. ს. (2004). თავისუფლების შესახებ. უტილიტარიზმი, თბილისი, გამომცემლობა „დიოგენე“.

Birnbacher, D. (1998). *Legal Rights for Natural Objects a Philosophical Critique.* In: Morscher, E., Neumaier O., Simons P. (eds) *Applied Ethics in a Troubled World.* Philosophical Studies Series, volume 73. Springer,

Göcke, B. P. (2018). *The Panentheism of Karl Christian Friedrich Krause (1781-1832) From Transcendental Philosophy to Metaphysics,* Peter Lang, New York.

Krause, K. Ch. Fr. (1920). *Entwurf eines europäischen Staatenbundes als Basis des allgemeinen Friedens und als rechtliches Mittel gegen jeden Angriff wieder die innere und äussere Freiheit Europas,* Leipzig.

Bentham J. *The Principles of International Law. Essay 4 A Plan for an Universal and Perpetual Peace.* <https://www.laits.utexas.edu/poltheory/bentham/pil/pil.e04.html> 26 Febr, 2022.

Bentham J. *Introduction to the Principles of Morals and Legislation*”. UCL Bentham Project.. <https://www.ucl.ac.uk/bentham-project/publications/collected-works-jeremy-bentham/introduction-principles-morals-and-legislation/ipml> Retrieved 26 May 2021.

Vergara, F. (2011). „Bentham and Mill on the “Quality” of Pleasures“. *Revue d'études benthamiennes.* Paris (9). doi:10.4000/etudes-benthamiennes.422

The philosophical understanding of “Perpetual peace” is based on the idea of peace as an indestructible ideal, as a state of eternal goodness in which war has no place. According to this view, “Perpetual peace” has a somewhat utopian content. Consequently, political theories based on this idea are fatally unrealizable and remain an unattainable ideal. However, with the birth of an essentially new discourse in the pre-modern era, a different possibility of understanding this concept emerged. Namely, the British philosopher Jeremiah Bentham introduces utilitarianism as a “principle of utility”, which has a leading role in the field of morality (Bentham: 2021). Later John Stuart Mill finally established the understanding of goodness as benefit, or happiness, in utilitarianism (Mill: 2004).

The idea of utility has taken a leading place in philosophical considerations on the subject of European political-legal union.

Bentham, the founder of the theory of utilitarianism, created works of a purely practical nature, aimed to demonstrate his theoretically substantiated utilitarian principles in an essay “A Plan for an Universal and Perpetual Peace”, worked out in 1786-1789 (Bentham:2022). Theses on utility as the goal of human activity allowed Bentham to raise the issue of foreign policy objectives in line with the nation’s interests, as well as the urgent measures to be taken against war as an evil.

Bentham starts from quite expected practical positions, addressing the current state of Europe: ” The following plan has for its basis two fundamental propositions:--1.The reduction and fixation of the force of the several nations that compose the European system;--2. The emancipation of the distant dependencies of each state. Each of these propositions has its distinct advantages; but neither of them, it will appear, would completely answer the purpose without the other.” (Bentham: 2022,, Essay 4).

The detailed concrete approach by which Bentham approaches the understanding of the ideal of eternal peace helps a European

citizen to see more clearly the personal benefits of this project.” “The end in view is to recommend three grand objects, -simplicity of government national frugality, and peace” (Bentham: 2022, Essay 4).

Bentham demonstrates the universal benefits and benefits of establishing peace in Europe, outlining the specific paths of a unified European policy that are needed to achieve peaceful coexistence. Two decades after Bentham announced his “Plan ...” the German philosopher Karl Christian Friedrich Krause publishes his essay “Outline of the European Union project as a basis for universal peace and a legal means to prevent any violation of Europe’s internal and external freedoms”¹.

Ideas expressed in this paper are imbued with the utilitarian spirit of benefit to the peoples of Europe that has become the driving force behind Bentham’s reflections and arguments on the subject. Philosophers of utilitarianism, within their discourse, argue the importance of European unity. For them, this is the desired state of happiness, the actualization of the principle of utility for every inhabitant of Europe. Thanks to the utilitarian vision, the concept of eternal peace has shifted from theoretical considerations to practice, opening up the possibility of its actualization.

References:

მილი, ჯ. ს. (2004). თავისუფლების შესახებ. უტილიტარიზმი, თბილისი, გამომცემლობა „დიოგენე“.

Birnbacher, D. (1998). *Legal Rights for Natural Objects a Philosophical Critique*. In: Morscher, E., Neumaier O., Simons P. (eds) *Applied Ethics in a Troubled World*. Philosophical Studies Series, volume 73. Springer,

¹ Those who are interested in the issue can read only a German version of the philosopher’s work, see: Krause K. Ch. Fr. (1920) *Entwurf eines europäischen Staatenbundes als Basis des allgemeinen Friedens und als rechtliches Mittel gegen jeden Angriff wieder die innere und äussere Freiheit Europas*, Leipzig.

- Göcke, Benedikt Paul (2018).** The Panentheism of Karl Christian Friedrich Krause (1781-1832) From Transcendental Philosophy to Metaphysics, Peter Lang, New York.
- Krause, K. Ch. Fr. (1920).** Entwurf eines europäischen Staatenbundes als Basis des allgemeinen Friedens und als rechtliches Mittel gegen jeden Angriff wieder die innere und äussere Freiheit Europas, Leipzig.
- Bentham Jeremy *The Principles of International Law. Essay 4 A Plan for an Universal and Perpetual Peace.* <https://www.laits.utexas.edu/poltheory/bentham/pil/pil.e04.html> 26 Febr, 2022.
- Bentham Jeremy Introduction to the Principles of Morals and Legislation". UCL Bentham Project.. <https://www.ucl.ac.uk/bentham-project/publications/collected-works-jeremy-bentham/introduction-principles-morals-and-legislation/ipml> Retrieved 26 May 2021.
- Vergara, Francisco (2011).** „Bentham and Mill on the “Quality” of Pleasures“. *Revue d'études benthamiennes*. Paris (9). doi:10.4000/etudes-benthamiennes.422

ამანდ ფონ ლერხენფენდი კავკასიის
შესახებ (ისტორიოგრაფიული
მნიშვნელობისათვის)

AMAND VON LERCHENFEND ON THE CAUCASUS
(FOR HISTORIOGRAPHICAL SIGNIFICANCE)

სარდიონ ზედელაშვილი
Sardion Zedelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: კავკასია, საქართველო,
ისტორიოგრაფია, ამანდ ფონ ლერხენფენდი
Keywords: Caucasus, Georgia, Historiography, Amand von
Lerchenfend

მოხსენებაში განხილულია ავსტრიელი ავტორის ამანდ ფრაიჰერ ფონ შვაიგერ ლერხენფენდის (1846-1910) ნაშრომი „ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ“, რომელიც არის ამავე ავტორის სრული შრომის „დუნაისა და კავკასიას შორის: სახმელეთო და საზღვაო მოგზაურობები შავი ზღვის რეგიონში“ (1887, ვენა) ნაწილობრივი თარგმანი. თარგმანი შეასრულა და გამოსცა „ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის ცენტრმა“ (2018). აღნიშნული ცნობები წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიოგრაფიულ წყაროს შავიზღვისპირეთის რეგიონისა და მომიჯნავე ტერიტორიების გეოგრაფიული აღწერისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ასევე ეთნოსთა შორის ურთიერთობის თვალსაზრისით. მთლიანი წიგნიდან თარგმნილი და გამოცემული სამი თავი: „კავკასია“, „ამიერკავკასია“ და „სომხურ-პონტოური რეგიონი“ აღწერილია საქართველოს ცალკეული მხარეების, ეთნოგრაფიული ჯგუფებისა და გეოგრაფიული ერთეულების თავისებურებანი. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებზე და გვანჯდის დანვრილებით ცნობებს ამ ქალაქების მკვიდრთა შესახებ.

ამანდ ფონ ლერხენფენდი განსაკუთრებული სიზუსტით აღწერს კავკასიის მთების გეოგრაფიულ თავისებურებებს, აღწერს დევდორაკის მყინვარის დაშვებას და მის საფრთხეებს, მთებში მცხოვრები ხალხების ყოფასა და კულტურას. ავტორი კავკასიის მთებს ადარებს ალპებს და ალპებში მცხოვრები ხალხების მდგომარეობას – კავკასიის მთებში მცხოვრები ხალხების მდგომარეობას. ლერხენფენდი გვანჯდის კავკასიის ენების ენობრივ კლასიფიკაციას ფრიდრიხ მიულერის კლასიფიკაციაზე დაყრდნობით და გამიჯნავს ენდოგენურ და ეგზოგენურ ენებს. ის დანვრილებით საუბრობს ჯვრის მთის შესახებ და ე. წ. „კავკასიის რკინიგზის“ პროექტში ამ მთის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ (აღნიშნული პროექტი ცალკე შესწავლის საგანი უნდა გახდეს).

მოსხენებაში გაანალიზებულია ამანდ ფონ ლერხენფენდის ისტორიოგრაფიული წყაროს მნიშვნელობა კავკასიის შესწავლისა და კავკასიოლოგიის განვითარების საქმეში. ასევე ნაშრომი შედარებულია სხვა ამ ტიპის ნაშრომებთან და გამოკვეთილია მათ შორის მსგავსება და განსხვავება.

The report discusses the work “Information about Georgia and the Caucasus” by the Austrian author Amand Freicherr von Schweiger Lerchenfend (1846-1910), which is a partial translation of the same author’s complete work “Between the Danube and the Caucasus: Land and Sea Voyages in the Black Sea Region” (1887, Vienna); Translated and published by the Centre for the Studies of Ethnicity and Multiculturalism (2018). These data are an important historiographical source in terms of geographical description and historical-ethnographic, as well as relations between the ethnic groups of the Black Sea region and adjacent territories. Three chapters translated and published from the whole book: “Caucasus”, “Transcaucasia” and the „Armenian-Pontic region“ describe the peculiarities of separate parts of Georgia, ethnographic groups and geographical units. The author pays special attention to individual cities and settlements and provides detailed information about the inhabitants of these cities.

Amand von Lerchenfend describes with special accuracy the geographical features of the Caucasus Mountains, describes the access to the Devdorak Glacier and its dangers, the existence and culture of the peoples living in the mountains. The author compares the Caucasus Mountains with the condition of the peoples living in the Alps and compares the condition of the peoples living in the Caucasus Mountains. Lerchenfend provides a linguistic classification of Caucasian languages based on Friedrich Müller’s classification and distinguishes between endogenous and exogenous languages. He talks in detail about the Mountain of the Cross and the so-called On

the strategic importance of this mountain in the Caucasus Railway project (this project should be the subject of a separate study).

The report analyzes the importance of Amand von Lerchenfeld's historiographical source in the study of the Caucasus and the development of Caucasology. The paper is also comparable to other works of this type and the similarities and differences between them are highlighted.

ერეკლე II-ის ურთიერთობა მუსლიმურ
სახანოებთან 1783-1786 წლებში

RELATIONS OF EREKLE II WITH THE MUSLIM
KHANATES IN 1783-1786

აპოლონ თაბუაშვილი

Apolon Tabuashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ერეკლე II, სახანოები, მდინარე
არაქსი, მფარველობა

Keywords: Erekle II, Khanate, Araks River, Protectorate

ქართლ-კახეთის სამეფოს გავლენა, როგორც ცნობილია, მეზობელ მუსლიმურ სახანოზე ვრცელდებოდა. რაც შეეხება მდინარე არაქსის სამხრეთით მდებარე სახანოებს, ქართული სამეფოს მათთან ურთიერთობის დეტალები სრულყოფილად შესწავლილი არ არის. საზგასმულია მხოლოდ, რომ თავრიზის, ურმიის, ხოის, ყარადაღის და სხვა მცირე მფლობელები ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს პატივისცემის ნიშნად ხშირად გამორჩეულ საჩუქრებს უგზავნიდნენ. ჩრდილოეთ ირანის დასახელებული სახანოებიდან 1780-იან წლებში გამორჩეული იყო ხოის სახანო, რომლის მფლობელმა – ახმედ ხანმა 1783 წლის პირველ ნახევარში თავრიზის ხანთან ერთად ურმიის სახანო დალაშქრა და იქ საკუთარი გავლენა განამტკიცა. თავის მხრივ, ეკონომიკური თავალსაზრისით რეგიონში გამორჩეულ ქალაქს წარმოადგენდა თავრიზი, რომლის ხანს მარანდა და მარადაც ემორჩილებოდა.

დასახელებულ სახანოებთან ქართველი მეფის ურთიერთობის შესასწავლად საინტერესოა საარქივო მონაცემები. ისტორიული საბუთებით დასტურდება, რომ იმ პერიოდში ყარაბაღის ხან იბრეიმს და ერეკლეს დაუპატიმრებიათ ყარადაღის ხანი. შესაბამისად, ყარადაღის სახანო მოკავშირეებს – იბრეიმ ხანსა და ერეკლეს – დაემორჩილა. 1783 წელს კი ხოის მფლობელ ახმედ ხანს თავრიზის დაკავება განუზრახავს, რისთვისაც დახმარების თხოვნით ერეკლესათვის მიუმართავს. დახმარების სანაცვლოდ ახმედ ხანი ქართველ მეფეს ერთჯერადად საკმაოდ სოლიდურ თანხას – 17 000 თუმანს სთავაზობდა, ხოლო თავრიზის დაუფლების შემდგომ ხარკის სახით ყოველწლიურად 8000 თუმნის გადახდის პირობას დებდა. თავის მხრივ, არდებილის საკმაოდ სუსტი ხანი ერეკლეს მოკავშირე ყარაბაღის მფლობელ იბრეიმ ხანთან ახლო კავშირში იმყოფებოდა.

პარალელურად, 1783 წლის გაზაფხულიდან რუსეთის მთავრობამ მიზნად დაისახა, ერეკლე II-ის დახმარებით, ჩრდილოეთ ირანის სახანოების მფარველობაში მიღება. რაღა

თქმა უნდა, რუსეთის პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა ერეკლე II-ის ინტერესებს. შესაბამისად, ქართველი მეფე ფრთხილად მოქმედებდა და აყოვნებდა რუსეთის იმპერიის მოხელეების მიერ „არდიბეჟანის ხანებთან“ გაგზავნილი წერილების ადრესატებამდე მისვლას. 1783 წლის შემოდგომაზე კავკასიის ხაზის მთავარსარდალი, პავლე პოტიომკინი, დაუფარავ საყვედურს გამოთქვამდა ქართველი მეფის მიმართ, რომელიც დუმდა „არდიბეჟანელი ხანების საქმეზე“.

საარქივო მასალითვე დასტურდება, რომ თავდაპირველი თავშეკავების მიუხედავად, 1784 წლის იანვრიდან ერეკლე II-მ რუსეთის სასარგებლოდ დაიწყო მოქმედება. მისი რჩევით, ყარაბაღისა და ხოის ხანებმა თავისი წარმომადგენლები გაგზავნეს რუსეთში და იმპერატორის მფარველობაში მიღება ითხოვეს.

სწორედ აღნიშნულმა პოლიტიკურმა აქტიურობამ ოსმალეთის მთავრობა განსაკუთრებით შეაშფოთა. შესაბამისად, ოსმალებმა, ერთი მხრივ, დასახელებული ხანების გადაბირება დაიწყეს, ხოლო მეორე მხრივ, მაქსიმალურად გაზარდეს წნეხი ქართლ-კახეთის სამეფოზე. შედეგად, 1785-1786 წლებში ერეკლე II-მ არა მხოლოდ დაკარგა გავლენა მუსლიმ სახანოებზე, არამედ სამეფოს მდგომარეობა უკიდურესად გართულდა.

ერეკლესთან დაახლოებული ყარსის ფაშა ქართველ მეფეს ურჩევდა, რომ უარი ეთქვა რეგიონში რუსეთის იმპერიის სასარგებლო პოლიტიკის გატარებაზე. კერძოდ, ერეკლეს უნდა აეღო ვალდებულება, რომ საქართველოში არ შემოვიდოდა დამატებითი რუსული ჯარი, აქ მყოფი ორი ბატალიონი მხოლოდ თავდაცვითი მიზნებით გამოეყენებინა და რუსული ჯარით არ შეეცია „არდიბეჟანის ხანებისათვის“. ყარსის ფაშას თქმით, ამ შემთხვევაში თურქულ მხარესთან საზავო შეთანხმების დადება შესაძლებელი იყო.

რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, 1786 წლის სექტემბერში ერეკლე II ოსმალურ პირობებს დასთანხმდა და ახალციხის ფაშასთან ხელშეკრულება გააფორმა. აღნიშნული

შეთანხმების შედეგად ერეკლე II-მ რეალურად „არდიბეჟანის ხანების“ მიმართ რუსული პოლიტიკის გატარებაზე უარი განაცხადა.

ლიტერატურა:

ბურნაშვი, ს. (2020). პოლკ. სტეფან ბურნაშვიის სამი ნაშრომი კავკასიის შესახებ. რუსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ. თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი.

გამრეკელი, ვ. (1991). Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (Конец 60-х -начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы. Сост. В.Н. Гамрекели. I Выпуск. Тбилиси: Мецниереба.

გამრეკელი, ვ. (1980). Межкавказские политические и торговые связи Восточной Грузии (Конец 60-х – начало 90-х годов XVIII в.). Документы и материалы. Сост. В.Н. Гамрекели. II Выпуск.Тбилиси: Мецниереба.

ცაგარელი, ა. – Цагарели, А. (1901). Новые материалы для жизнеописания и деятельности С. Д. Бурнашева, бывшего в Грузии с 1783 по 1787 г. Собрал и издал с приложением карт, портретом и факсимиле С. Н. Бурнашев. Под редакцией А. А. Цагарели. С.-Петербург: Государственная типография

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Н-2300.

საქართველოს ეროვნული არქივი. 1449 ფონდი, საბუთი № 2950, 2951, 2978.

The influence of the Kingdom of Kartli-Kakheti, as it is known, extended to the neighboring Muslim Khanates. As for the khanates south of the Araks River, the details of the Georgian kingdom's ties with them have not been fully studied. It has been emphasized only that the rulers of Tabriz, Urmia, Khoi, Karadagh often sent special

gifts to the king Erekle II of Kartli-Kakheti as a sign of respect. Among the so-called khanates of northern Iran in the 1780s was the Khoi Khanate, whose ruler, Ahmed Khan, invaded the Khanate of Urmia in the first half of 1783, together with the Khan of Tabriz, and strengthened his influence there. For its part, from an economic point of view, the most prominent city in the region was Tabriz, which for a long time was ruled by Marand and Marāgha.

Archival data are interesting for studying the relations of the Georgian king with the mentioned khanates. Historical documents confirm that Karabagh's khan Ibrahim and Erekle arrested Karadagh's khan. In 1783, Ahmed Khan, the ruler of Khoi, intended to capture Tabriz, for which he appealed to Erekle for help. In exchange for the aid, Ahmed Khan offered the Georgian king a lump sum of 17,000 tumans, and promised to pay 8,000 tumans a year in tribute after the conquest of Tabriz. For his part, the rather weak khan of Ardabil was in close contact with Ibrahim Khan, Erekle's ally and ruler of Karabakh.

At the same time, from the spring of 1783, the Russian government intended, with the help of Erekle II, to take over the Khanates of northern Iran. Of course, Russian policy was in conflict with the interests of Erekle II. Accordingly, the Georgian king acted cautiously and delayed the arrival of letters sent by the officials of the Russian Empire to the "Khans of Ardibezhan". In the autumn of 1783, the commander-in-chief of the Caucasus Line, Pavel Potyomkin, openly rebuked the Georgian king, who was silent on the "case of the Ardibezhan Khans."

The archival material also confirms that despite the initial restraint, from January 1784 Erekle II began to act in favor of Russia. On his advice the khans of Karabakh and Khoi sent their representatives to Russia and asked to be received under the patronage of the emperor.

It was this political activism that particularly alarmed the Ottoman government. Consequently, the Ottomans, on the one hand, began to lure the named Khans, and on the other hand, to increase

the pressure on the Kingdom of Kartli-Kakheti. As a result, in 1785-1786, Erekle II not only lost influence over the Muslim khanates, but the state of the kingdom became extremely complicated.

Pasha of Kars, close to Erekle, advised the Georgian king to abandon the beneficial policies of the Russian Empire in the region. In particular, Erekle should have made a commitment not to send additional Russian troops to Georgia, to use the two battalions here only for defensive purposes, and not to attack the Russian army “for the time of Ardibejan.” According to Kars Pasha, in this case it was possible to conclude a peace agreement with the Turkish side.

Due to the difficult situation, in September 1786 Erekle II agreed to the Ottoman conditions and signed an agreement with Pasha of Akhaltsikhe. As a result of this agreement, Erekle II actually refused to pursue a Russian policy towards the “Ardibezhan Khans”.

References:

Burnashev, S. (2020). Three works by Stephan Burnashev about the Caucasus. Translation from Russian into Georgian, introductory article, commentary and index of names of David Merkviladze. Tbilis: ARTA-NUJI Publishers.

Gamrekeli, V. (1980). Inter-Caucasian political and trade relations of Eastern Georgia (Late 60s – early 90s of the 18th century). Documents and materials. Comp. V. N. Gamrekeli. I part. Tbilisi: Metsniereba.

Gamrekeli, V. (1991). Inter-Caucasian political and trade relations of Eastern Georgia (Late 60s – early 90s of the 18th century). Documents and materials. Comp. V. N. Gamrekeli. II part. Tbilisi: Metsniereba.

Tsagareli, A. (1901). New materials for the biography and activities of S. D. Burnashev, who was in Georgia from 1783 to 1787. Collected and published with maps, a portrait and a facsimile by S. N. Burnashev. Edited by A. A. Tsagareli. St. Petersburg: State Printing House.

Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts. H-2300.

National Archives of Georgia. 1449 Fund, Document № 2950, 2951, 2978.

**სამოციქულოს ხელნაწერები ივირონის
მონასტრის ქართულ ხელნაწერთა
კოლექციაში**

**PRAXAPOSTOLOS MANUSCRIPTS IN THE
COLLECTION OF GEORGIAN MANUSCRIPTS
OF THE HOLY MONASTERY OF IVIRON**

დარეჯან თვალთვაძე

Darejan Tvaltvdze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სამოციქულო, საქმე მოციქულთა,
ძველი ქართული ხელნაწერები, ივირონის
მონასტერი

Keywords: Praxapostolos, The Acts of the Apostles,
old Georgian manuscripts, Holy monastery of Iviron

ბიბლიური ხელნაწერი წიგნი, რომელიც „სამოციქულოს“ (ბერძნ. Πραξαποστολος) სახელითაა ცნობილი, მოციქულთა საქმეებს და ეპისტოლეებს აერთიანებს, რომელთა რაოდენობა დარიგი კრებულში ახალი აღთქმის კანონის ჩამოყალიბებამდე ცვალებადი იყო (Metzger, Bruce M., 1987). საბოლოოდ, „სამოციქულოში“ 22 წიგნი გაერთიანდა: მოციქულთა საქმეები, 7 კათოლიკე და პავლე მოციქულის 14 ეპისტოლე. ეს წიგნები ქართულ ენაზე ადრევე (IV-V სს.) უნდა ეთარგმნათ, ხანმეტ პალიმფსესტებში დადასტურებული პავლეს ეპისტოლეთა ფრაგმენტები გვავარაუდებინებს სამოციქულოს სხვა წიგნების ქართული თარგმანის არსებობასაც, თუმცა ადრეულმა ნუსხებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მოღწეულთა შორის უძველესები კი მეთავე საუკუნით თარიღდება.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულ სამწიგნობრო ტრადიციაში მოციქულთა საქმეები და ეპისტოლეები ერთ წიგნად არის წარმოდგენილი, მათი კრიტიკული ტექსტი ცალ-ცალკე გამოიცა (აბულაძე, ი., 1950; Garitte, G., 1955; ლორთქიფანიძე, ქ., 1956; ძონენიძე, ქ., დანელია, კ., 1974). აღნიშნულ გამოცემებში სამოციქულოს 12 ხელნაწერის მონაცემებია ასახული, რომელთა შორის, ორი ათონური კოლექციისაა – Ivir.georg.42 და Ivir.georg.78 (ეს უკანასკნელი მხოლოდ პავლეს ეპისტოლეებისთვის).

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტზე (FR-21-7518) მუშაობისას, რომელიც მიზნად ისახავდა „საქმე მოციქულთას“ ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადებას, გამოვლინდა კიდევ 10-მდე ხელნაწერი, რომლებშიც აღნიშნული ტექსტია დაცული, მათ შორის, ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ნუსხა Ivir.georg.19, რომელიც აქამდე არ ყოფილა გამოყენებული ტექსტის დადგენისა და გამოცემისას. აღნიშნული კოდექსი, რომელიც მოციქულთა საქმეებთან ერთად შეიცავს ეპისტოლეებსაც, რ. ბლეიკის მიერ XIII-XVI საუკუნეებითაა დათარიღებული და, მისი აზრით, გიორგი ათონელის რედაქციის ტექსტს შეიცავს (Blake,

R.,1932:117). ხელნაწერს XIV-XVI საუკუნეებით ათარიღებს ალ. ცაგარელი (Цагарели А., 1886:201). ტექსტის გამომცემლებს, რომელთაც თავად ხელნაწერზე ხელი არ მიუწვდებოდათ, სავარაუდოდ, მისადმი ინტერესი სწორედ მანუსკრიპტის გვიანდელი გამო არ გამოუვლენიათ. ახლახან გამოცემულ ივირონის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა კატალოგში კოდექსის შექმნის თარიღად XIII-XIV საუკუნეებია მითითებული (Gippert J., et al, 2022:202), ხოლო მანუსკრიპტის ციფრული ასლის მიხედვით კრებული არქიტექტონიკაზე დაკვირვებამ და „საქმე მოციქულთას“ ტექსტის წინასწარმა შესწავლამ აჩვენა, რომ იგი წინათონური (B) რედაქციისა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ „ტექსტი არ შეიძლება ხელნაწერზე უფრო ახალი იყოს, მაგრამ ის ძალიან ხშირადაა მასზე ძველი“ (Лихачев, Д., 1964:38).

ლიტერატურა:

აბულაძე, ი. (1950). საქმე მოციქულთა ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

ლორთქიფანიძე, ქ. (1956). კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ვერსიები: X-XIV საუკუნის ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ქეთევან ლორთქიფანიძემ, რედაქტორი ა. შანიძე. თბილისი, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

ძონენიძე, ქ., დანელია, კ. (1974). პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები, გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძონენიძემ და კორნელი დანელიამ აკაკი შანიძის რედაქციით, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

Blake, R. (1932). Catalogue des Manuscrits Georgiens de la Bibliothèque de la laure D'Iviron au mont antos, by Robert Pierpont Blake, II, Paris.

- Garitte, G. (1955).** L'ancienne version géorgienne des Actes des apôtres d'après deux manuscrits du Sinai, Louvain University (Series Bibliothèque du Muséon: 38)
- Gippert J. et al. (2022).** Jost Gippert, Bernard Outtier, Sergey Kim, et al. Catalogue of the Georgian Manuscripts of the Holy Monastery of Iviron, Mount Athos.
- Metzger, Bruce M. (1987).** The Canon of the New Testament: Its Origin, Development and Significance, Oxford University, Clarendon Press.
- Лихачев, Д. (1964).** Текстология, Краткий очерк, Москва-Ленинград, Издательство «Наука».
- Цагарели, А. (1886).** Сведения о памятниках Грузинской письменности, выпуск I, Санкт-петербург.

The Biblical manuscript known as “Praxapostolos” (Greek Πραξαπόστολος) embraces the acts of the Apostles and Epistles. Their number and order varied in the collection prior to the development of the canon of the New Testament (Metzger, Bruce M., 1987). Finally, “Praxapostolos” united 22 books: acts of the Apostles, 7 Catholic epistles and 14 epistles by St. Paul. These books must have been translated into Georgian in the early period (IV-V centuries). Fragments of St. Paul’s epistles found in the Khanmeti Palimpsests prove that there were Georgian translations of other books of the “Praxapostolos” as well. However, earlier manuscripts have not survived, and the most ancient preserved ones are dated by the tenth century.

Although in the old Georgian literary tradition the Acts of the Apostles and epistles are presented in one book, their critical texts were published separately (Abuladze, I., 1950; Garitte, G., 1955; Lortkipanidze, K., 1956; Dzotsenidze, K., Danelia, K, 1974). These publications represent the data of 12 manuscripts of “Praxapostolos”, out of which two belong to the Athonite collection – Ivir.georg.42 and Ivir.georg.78 (the latter refers solely to St. Paul’s Epistles).

While working on the project financed by Shota Rustaveli National science Foundation (FR-21-7518) aimed at the preparation for

publication of the critical text of the Old Georgian translation of the “Acts of Apostles”, we found approximately 10 additional manuscripts of the above-mentioned text, including the codex from the collection of Georgian manuscripts of the Holy Monastery of Iviron – Ivir.georg.19. Until now, this manuscript has not been used for the identification and publication of the texts. This codex, which, alongside with the Acts of the Apostles, contains epistles, has been dated by R. Blake by XIII-XVI centuries. According to R. Blake, it contains a text edited by George the Hagiorite (Blake, R.,1932:117). A. Tsagareli dates the manuscript by XIV-XVI centuries (Tsagareli A., 1886:201). The publishers of the text, who had no access to the manuscript itself, must have neglected the manuscript because it was dated by later period. The recently published catalogue of Georgian manuscripts of the Holy Monastery of Iviron dates the manuscript by XIII-XIV centuries (Gippert J., et al., 2022:202). However, observation of the architectonics of the collection based on the digital copy of the manuscript and analysis of the text of the “Acts of the Apostles” have made us think that the manuscript is of Pre-Athonite (B) redaction. This once again proves that “the text cannot be newer than the manuscript, but there are frequent cases when the text is older than the manuscript” (Likhachev, D., 1964:38).

References:

- Abuladze, I. (1950).** Saqme mociquita dzveli qartuli khelnatserebis mikhedvit gamosca ilia abuladzem a. shanidzis redaqqiit. [The Acts of the Apostles According to Old Georgian Manuscripts, published by Ilia Abuladze. Edited by Shanidze]. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR.
- Lortkipanidze, K. (1956).** Katolike epistoleta qartuli versiebi: X-XIV saukunis khelnatserebis mikhedvit gamosca qetevan lortqipanidzem, redaqtori a.shanidze. [Georgian versions of the Catholic Epistles: published by Ketevan Lortkipanidze, according to the manuscripts of

the 10th-14th centuries, edited by A. Shanidze]. Tbilisi, Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR.

Dzotsenidze, K. Danelia, K. (1974). Pavles epistoleta qartuli versiebi. gamosacemad moamzades qetevan dzostenidzem da korneli dane-liam akaki shanidzis redaqtii. [Georgian versions of St. Paul's Epistles, prepared for publication by Ketevan Dzotsenidze and Korneli Danelia under the editorship of Akaki Shanidze] Tbilisi, "Tbilisi University Press".

Blake, R. (1932). Catalogue des Manuscrits Georgiens de la Bibliothèque de la laure D'Ivion au mont antos. [Catalogue of Georgian Manuscripts from the Library of the Monastery of Iviron on Mount Athos] II, Paris.

Garitte, G. (1955). L'ancienne version géorgienne des Actes des apôtres d'après deux manuscrits du Sinai, Louvain University [The Old Georgian Version of the Acts of the Apostles according to two Manuscripts from Sinai] Louvain University (Series Bibliothèque du Muséon: 38)

Gippert J. et al. (2022). Jost Gippert, Bernard Outtier, Sergey Kim, et al. Catalogue of the Georgian Manuscripts of the Holy Monastery of Iviron, Mount Athos.

Metzger, Bruce M. (1987). The Canon of the New Testament: Its Origin, Development, and Significance, Oxford University, Clarendon Press. Likhachev, D. (1964) Текстология, Краткий очерк. [Textology, Brief Essay], Moscow-Leningrad, Publishing House "Nauka".

Tsagareli, A. (1886). Сведения о памятниках Грузинской письменности [The Data about the Georgian Written Monuments], issue I, St. Petersburg.

კვლევა განხორციელდა შოთა ჰუსთავედიის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [SRNSFG. გიანტის ნომერი FR-21-7518].

The research was carried out with the financial support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia [SRNSFG. Grant number FR-21-7518].

სლავური ფენტეზის მითოლოგიური სათავეები

MYTHOLOGICAL ORIGINS OF SLAVIC FANTASY

მაია თუხარელი

Maya Tukhareli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სლავური ფენტეზი, ზღაპრულ-
მითოლოგიური საფუძველი, მითოლოგიური
წარმომავლობა, სამყაროს მოდელი, მითების
არქიტექტონიკა

Keywords: Slavic fantasy, tale-mythological basis,
mythological origin, a model of the world,
architectonics of myths

სლავური ფენტეზი არის ფანტასტიკური ჟანრის ერთგვარი სახეობა, რომელიც განასახიერებს ზოგადად მასობრივი ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებს, მაგრამ აქვს საკუთარი ჟანრული სპეციფიკა. მისი ძირითადი მახასიათებლები ზღაპრული და ფანტასტიკური ლიტერატურის ტრადიციებიდან წარმოიქმნება: მხატვრული სამყაროს ზღაპრულ-მითოლოგიური საფუძველი, მიზანდასახულობა მხატვრულ მონაგონზე, მთავარი გმირი-მეომრის ფიგურა, რომელიც ამარცხებს მსოფლიო ბოროტების ძალებს.

ჟანრის მკვლევრები, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავენ მის ადგილს ფანტასტიკის სამყაროში. ფენტეზი აღნიშნული ჟანრის განსაკუთრებული მიმართულებაა, სადაც ბუნდოვანია საზღვრები რეალურს, ფანტასტიკურსა და მისტიკურს შორის, ხოლო სიუჟეტი ეფუძნება ირაციონალურ ვარაუდებს. ასეთ ვარაუდს ტექსტში არავითარი ლოგიკური მოტივაცია არ გააჩნია. სწორედ ეს ირაციონალურობა და ზღაპართან სიახლოვე განასხვავებს ფენტეზის სამეცნიერო ფანტასტიკისგან (ჟანრის ფუძემდებელი, ტოლკინი, თავის ნამუშევრებს „ჯადოსნურ ზღაპრებს“ უწოდებდა).

ფენტეზის ასევე ძლიერი მითოლოგიური წარმომავლობა აქვს: არაერთი მკვლევარი ფენტეზის არა ზღაპართან, არამედ უშუალოდ მითთან აკავშირებს. ფენტეზის ყოველთვის საფუძვლად უდევს „ან მითების შესწორებული კანონიკური სისტემა, ან ორიგინალური საავტორო მითოპოეტური კონცეფცია, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია მეორეული სამყაროს შექმნა (სამყაროსა და ადამიანის სრულყოფილი ხედვა), სადაც ადამიანი არის მიკროკოსმოსი მაკროკოსმოსის სისტემაში“. ფენტეზი აგებულია სამყაროს ისეთ მოდელებზე, რომელიც გამოხატავს მითოლოგიური აზროვნების ისეთ თვისებებს, როგორცაა ადამიანის შერწყმა გარემოსთან, სიკეთისა და ბოროტების პერსონალიზაცია, ბუნებრივი მოვლენების ჰუმანიზაცია, მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის იდენტიფიკაცია, სივრცობრივი-დროის სინკრეტიზმი, ბინარული ლოგიკა.

სლავური ფენტეზის უმეტეს ნაწარმოებში აგებულია სამყაროს მითოლოგიური სურათი. ე.მ. მელეტინსკი აღნიშნავდა, რომ ცხოვრების მიღებული ფორმების გარდატეხით მითი ქმნის ახალ ფანტასტიკურ „უმაღლეს რეალობას“, რომელიც აღიქმება, როგორც პირველადი წყარო და იდეალური პროტოტიპი.

შესასწავლი ჟანრის ნაწარმოებებში აღნიშნული ზოგადი მითოლოგიური საფუძველი თავის რეალიზაციას ახდენს სლავურ მითოლოგიაში. სლავური ფენტეზის მხატვრული სამყარო თავისი სტრუქტურით შეესაბამება კოსმოგონიური მითების არქიტექტონიკას.

სლავური ფენტეზის ჟანრის ავტორები ქმნიან ტრადიციულ მითოლოგიაზე დაყრდნობილ მითოლოგიურ მოდელს: ისინი აღწერენ სამყაროს შექმნის ეტაპებს, ღმერთების გამოჩენას (ჟანრის პირველ ნიმუშებში ღმერთები თავად ხდებიან მთავარი გმირები), ლეგენდები და თქმულებები გმირის წარმოშობის შესახებ. მითოლოგიური მოტივების ექსპლუატაცია ფენტეზში საკმაოდ ცხადს ხდის იმ ტენდენციას, რომ „მითოლოგია ხდება თანამედროვე სამეცნიერო ფანტასტიკის ფუნქციური ქვესისტემა“.

Slavic fantasy is a kind of fantasy genre that embodies the most characteristic features of mass literature in general, but has its certain specificity. Its main features are rooted in the traditions of fairy tale and fantasy literature.

Fantasy, in fact, is also strong in its mythological origin: in the view of some researchers fantasy should be elevated not to the level of the fairy tale, but directly to myth. The focus of fantasy is always set in “either redefined canonical system of myths, or author’s original mythopoetic concept, the most important feature of which is creation of a secondary world (holistic view of the world and human being), where the man is a microcosm in the macrocosm system”. Fantasy builds a model of the world revealing such features of mythological thinking as the inseparability of humans from the

environment, the personification of good and evil, the humanization of nature, the identification of microcosm and macrocosm, spatial and temporal syncretism, binary logic.

Most works of Slavic fantasy build a mythological vision of the world. E.M. Meletinsky noted that refracting the accepted forms of life, the myth creates some new fantastic “higher reality”, which is perceived as the primary source and ideal prototype.

The general mythological basis in the works of the studied genre is implemented in Slavic mythology. The artistic world of Slavic fantasy in its structure corresponds to the architectonics of cosmogonic myths.

In Slavic fantasy, the authors create a mythological model inspired by traditional mythology: they describe the stages of the world creation, appearance of the gods, legends and stories recalling the origins of the main character. The exploitation of mythological motifs in fantasy genre quite clearly confirms the following trend: “mythology is becoming a functional subsystem of modern fiction” .

References:

- Meletinski E. (2012).** Poetika mifa. [Meletinsky, E. M. Poetics of myth.] Moscow: Mir: Academic Project.
- Gopman V. (2003).** Fentezi //Literaturnaia enciklopedia terminov I poniatii. [Gopman V.L. Fantasy // Literary encyclopedia of terms and concepts.] M.: Intelvak.
- Frumkin K. (2004).** Filosofia i psihologia fantastiki [K. Frumkin. Philosophy and psychology of fantasy].

დიმიტრი უზნაძე მითრიდატე VI
ევპატორზე

DIMITRI UZNADZE ON MITHRIDATES VI
EUPATOR

მერაბ კალანდაძე

Merab Kalandadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაქულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: დიმიტრი უზნაძე, მითრიდატე
VI ევპატორი, პირველი ეროვნული სასკოლო
სახელმძღვანელო, კოლხეთი, პონტოს სამეფო

Keywords: Dimitri Uznadze, Mithridates VI Eupator,
historiography, First National school manual,
Kingdom of Pontus

ჩვენ განვაგრძობთ ისტორიულ მეცნიერებაში დიმიტრი უზნაძის წვლილის შესწავლას. საქართველოს გასაბჭოებამდე ის სკოლაში ასწავლიდა მსოფლიო ისტორიას და აქტიური მონაწილეობამიიღო მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების შექმნის პროცესში. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. უბრალოდ, მეტის გაკეთება დროის იმ მცირე მონაკვეთში, ველარ მოასწრო.

მსოფლიო ისტორია მან სამი მიმართულებით შეისწავლა და ეს, უმთავრესად, მსოფლიო ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში აისახა. სულ ეს იყო, რისი გაკეთებაც მან მოასწრო: 1. უძველესი ისტორია. წინარეისტორიული ხანა და ძველი აღმოსავლეთის ისტორია. 2. ანტიკური ისტორია. ძველი საბერძნეთის და რომის ისტორია. 3. ახალი ისტორია. ეს სახელმძღვანელო მან ივანე გველესიანთან ერთად დაწერა. სავარაუდოა, რომ მას დაწერილი ჰქონდა „შუა საუკუნეების ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელო, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი გამოცემა გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ მოუხერხებია და ამ სახელმძღვანელომ დღის სინათლე ვერ იხილა. ეს იყო რეალობა.

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გამოარკვევოს, თუ როგორ არის გაშუქებული მითრიდატე VI ევპატორის მოღვაწეობა დიმიტრი უზნაძის რომის ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოში.

თავდაპირველად ის ძალზე მოკლედ ეხება პონტოს სამეფოს ისტორიას მითრიდატე VI ევპატორის (ქრისტე შობამდე 120-63) ტახტზე ასვლამდე. ეს, ცხადია, ურიგო არ იყო. შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და საინტერესო ისტორიულ ფონს ქმნის მთავარი თემის გაშუქებისათვის. ის ამართლებს თავის თავს. მას ორმაგი დატვირთვა გააჩნია, როგორც რომის წარსულის, ისე ქართველ ტომთა შორეული ისტორიის გაშუქებისათვის. ეს დიმიტრი უზნაძეს, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდა გათავისებული.

შევეცდებით გამოვარკვიოთ ორი საკითხი, როგორ იყო სახელმძღვანელოში შეფასებული მითრიდატე VI ევპატორის პიროვნება. ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა და მეორე, რამდენად ინფორმირებული იყო დიმიტრი უზნაძე ამ საკითხში. ამას აქვს მნიშვნელობა და ბევრად განაპირობებს სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის ღირებულებას.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოს ეს მონაკვეთი არ წარმოადგენს ფაქტების მშრალ თხრობას, ფაქტების გროვას. ეს საინტერესო არ იქნებოდა. შემეცნებით დატვირთვასთან ერთად მას გააჩნია შეფასებითი მუხტი, რაც ამ თემაზე მსჯელობის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს სახელმძღვანელოში მითრიდატე VI ევპატორის დახასიათება, რაც მისი მოღვაწეობის შეფასების ტოლფასია. როგორც ჩანს, დიმიტრი უზნაძე იზიარებდა ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას და მითრიდატე VI ევპატორზე მაღალი აზრის არ უნდა იყოს, რაც, ვფიქრობთ, სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების საერთო დონეს. ფრიად სიმპტომურია, რომ იგი აქცენტს აკეთებდა პონტოს მეფის ხასიათის უარყოფით თვისებებზე. მისი ასეთი მუქი საღებავებით დახასიათება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და რომაული წყაროების გამოძახილია. ისინი პონტოს მეფეს, როგორც რომის დაუძინებელ მტერს, ძალზე უარყოფითად ეკიდებოდნენ. ამას ჰქონდა თავისი რეზონი, აზრი. ასეთი შეიძლება ყოფილიყო მისი დამოკიდებულება პონტოს მეფისადმი.

უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი ინფორმირებულობა, ის საქმეში ჩახედული უნდა ჩანდეს, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და ემპირულ, ფაქტობრივ, მასალაში ცოდნის გამოძახილია. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ მან ამ საკითხზე იმაზე გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე ეს დიმიტრი უზნაძის სასკოლო სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთიდან შეიძლება ჩანდეს.

ის ეხება მითრიდატეს მიერ კოლხეთის დაპყრობას, ამჯერად თარიღს ასახელებს. ეს მოხდა ქრ. შ.-მდე II-I საუკუნეების მიჯნაზე. ეს ხომ არ არის კიდევ ერთი მიზეზი პონტოს მეფისადმი დიმიტრი უზნაძის ინდიფერენტული დამოკიდებულების? ვფიქრობთ, ძალიან კარგი იქნებოდა, უფრო მეტი ყურადღება დასთმობოდა ქართულ კონტექსტს. ეს საინტერესოა და სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს შინა-არსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა. ეს მოსწავლეებს ისტორიისადმი ინტერესს გაუღვიძებდა. ის ხაზს უსვამს პონტოს სამეფოს ტერიტორიულ გაფართოვებას, მის გაძლიერებას. რომთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და ამის ლოგიკური შედეგია.

რომსა და პონტოს სამეფოს შორის დაპირისპირების გაშუქება სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის დასკვნით აკორდად გვევლინება. ყველაზე უფრო მეტი უკმარისობის გრძნობა და შესიტყვების სურვილი სწორედ ამ მონაკვეთმა გავიჩინა. ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ის ძალზე ზოგადია, მიმოხილვითია და კონკრეტიკა აკლია. ფაქტობრივად, არაფერია ნათქვამი მითრიდატეს და რომს შორის მომხდარ სამომხე. არსად არ არის მითითებული მათი თარიღები. თარიღებისადმი დამოკიდებულება ინდიფერენტულად მიგვაჩნია. სასურველი იქნებოდა, მას უფრო მეტი ყურადღება მიჰქცეოდა. ეს ხომ სკოლის სახელმძღვანელოში იქნებოდა. პირველი ომი მოხდა ქრ. შ.-მდე (89-84), მეორე (83-82), მესამე (74-69). ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. საუბარია ქერონეასთან და ორქომენტან ბრძოლაზე, მაგრამ თარიღი მითითებული არაა. ეს მოხდა ქრ. შ.-მდე 86 წელს.

შეიძლება ითქვას, რომ მის წინაშე მდგარ მთავარ ამოცანას, კულტურტრეგერულ მისიას, ურიგოდ როდი გართვა თავი, რაც მის წარმატებად მიგვაჩნია. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს აღნიშნული საკითხის პოპულარიზაციის ერთ-ერთ პირველ მცდელობასთან. ეს იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. როგორც პირველი მცდელობა,

ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა, ხოლო მის შემდგომ დახვეწაზე, სრულყოფაზე, მუშაობის საშუალება, პოლიტიკური ქართვეილების გამო, აღარ მისცემია.

ლიტერატურა:

უზნაძე, დ. (1919). რომის ისტორია. თბილისი: არაბიძის და ამხანაგობის გამომცემლობა.

ქავთარია, გ. (2020). ძველი რომი, ნანილი II. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Dimitri Uznadze's contribution to the historical science has long been in the focus of our research. The issue had not been studied thoroughly, and we tried to fill this gap. Neglect of the given issue was not a mere coincidence. This neglect is not purely academic. It had obvious political reasons. Above all, it was due to the negative attitude to the success of the Georgian Democratic Republic in the years 1918-1921. Such attitude was based on ideology and politics. Currently, this attitude is outdated and forms a kind of retro in historiography. In our opinion, it is quite natural that the most fruitful and intense activities of Dimitri Uznadze in the historical field coincided with the existence of the Georgian Democratic Republic in the years 1918-1921.

Prior to the establishing of the Soviet regime in Georgia, Dimitri Uznadze taught world history at school. He actively participated in the creation of the first national manuals of world history for school children. Although the quantity of his works in history is insignificant, the quality is extremely valuable. We should envisage this criterion in our research. This small number of works was all he could create in the extreme circumstances in a short period of time.

Dimitri Uznadze studied the world history based on three main directions. His studies were chiefly reflected in school manuals. He

simply had no time to implement most of his brilliant ideas. The above-mentioned three directions are as follows: 1. Ancient history. The prehistoric era and the history of the ancient orient. 2. Antique history. The history of ancient Greece and Rome. 3. Recent history. He wrote this manual together with Ivane Gvelesiani. It is highly probable that he had also written a school manual on the medieval history, but failed to publish it.

The given paper is of historiographic nature. It aims to find out how Dimitri Uznadze described the activities of Mithridates VI Eupator in the first national manual on the History of Rome.

In our opinion, Dimitri Uznadze's evaluation of Mithridates VI Eupator in his school manual on the history of Rome has the following positive aspects:

1. The author speaks briefly and laconically about the history of the Kingdom of Pontus prior to the reign of Mithridates VI Eupator. The description provides an important historical background for the coverage of the main issue. The author analyzes both the history of Rome and the ancient history of the Kartvelian tribes.

2. Another merit of the manual is the correct evaluation of the activities of Mithridates VI Eupator. The author reveals a thorough knowledge of the empirical material. The manual performs a mission of a cultural trigger, and the author has achieved this goal successfully. Dimitri Uznadze contributed to the promotion of the given issue. This was a significant step forward, taking into account the Georgian reality of the given period.

3. Dimitri Uznadze's attitude to the activities of Mithridates VI Eupator fully corresponds to the strict requirements of the historical science of the given period. Dimitri Uznadze shared a widespread scholarly opinion. Hence, he did not praise the King of Pontus. This can be explained by the influence of the Roman sources.

4. Another merit of the manual is Dimitri Uznadze's knowledgeability of the issue. This is not surprising, because the author was well aware of the empirical, factual material.

Analysis of certain issues given in the manual has revealed certain shortcomings, namely:

1. The manual does not provide detailed information regarding the acute opposition between the Kingdom of Pontus and Rome. In fact, the author does not mention the three wars between Mithridates and Rome. The information regarding the issue is overly general and lacks concrete facts.

2. Another shortcoming of this passage is the author's indifference to facts. He fails to mention the dates of the three wars with Rome. He does not provide the dates of battles with Chaeronea and Orchomenus. It would have been extremely useful to provide this information in the school manual.

References:

Uznadze, D. (1919). Romis istoria [The History of Rome, Part II]. Tbilisi: Arabidze&Company Publishing House.

Kavtaria, G. (2020). Dzveli Romi, natsili II. [Ancient Rome]. Tbilisi: Tbilisi University Press.

**იდეასთან მხატვრული მასალის
მიმართების საკითხი ილია ჭავჭავაძის
მოთხრობაში „სარჩობელაზედ“**

**THE ISSUE OF THE RELATION OF FICTIONAL
MATERIAL WITH AN IDEA IN ILIA CHAVCHAVADZE'S
STORY "ON THE GALLOWS"**

ხათუნა კალანდარიშვილი

Khatuna Kalandarishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: იდეური ჩანაფიქრი, საზოგადოება,
დანაშაული, სიკვდილით დასჯა

Keywords: Idea, Society, Crime, Capital punishment

ილია ჭავჭავაძემ თავისი პატარა მოთხრობით „სარჩობელაზედ“ ქართულ სააზროვნო და ლიტერატურულ სივრცეში შემოიტანა საზოგადოებისა და მისი ცალკეული წევრის ურთიერთობის, დანაშაულისა და სასჯელის საკითხები და გაილაშქრა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით მუშაობას მკითხველამდე იდეალების ნათლად და დაუბრკოლებლად მიტანის სურვლი წარმართავს – მის პროზაულ თხზულებათა დიდ ნაწილში ნაწარმოების იდეური ჩანაფიქრი მხატვრულ მასალას იქვემდებარებს, მასალა იმ ნიშნითაა შერჩეული, რომ სათქმელი მაქსიმალური სიზუსტით, თუმცა, ამავე დროს, ზემოქმედების დიდი ძალით გამოიხატოს.

ეს მეთოდია გამოყენებული პატარა მოთხრობის – „სარჩობელაზედ“ – შექმნის დროსაც. ნაწარმოების კომპოზიციურ ღერძს მოხუცი პეტრეს პერსონაჟი წარმოადგენს. იგი ხალხის წიაღიდან გამოსული, ხალხის წიაღში აღზრდილი კაცია, რომლის ბუნება, მენტალიტეტი, დამოკიდებულება გარესამყაროსადმი ხალხის მსოფლმხედველობის გამომხატველია. მის ადამიანობას, ზნეობას, კაცთმოყვარეობას ის გარემო კვებავს, რომელშიც იგი ჩამოყალიბდა. პეტრე თავისი მომხიბვლელი, ბავშვური სიმარტივით, გულბრყვილობით, შინაგანი სისუფთავითა და სინრფელით უახლოვდება ადამიანის პირველსახეს. მისი მთავარი თვისება სხვა ადამიანებისადმი სიყვარულია და ეს განსაზღვრავს მის უანგარო სიკეთეს, გულმხურვალეობას, შენდობის უნარს. მოთხრობაში ამ პერსონაჟთან მიმართებითაა გამოკვეთილი ყველა მნიშვნელოვანი აზრობრივი და იდეური მომენტი:

საზოგადოების დეგრადაცია, გულცივობა, სისასტიკემდე მისული უპასუხისმგებლობა ნაწარმოებში იმითაა ნაჩვენები, რომ მოხუც პეტრეს უკვირს ხალხის დამოკიდებულება სიკვდილით დასჯის აქტისადმი.

პროტესტი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, სასჯელის ამ ფორმის მიუღებლობა, ადამიანობის არსთან მისი შეუ-

თავსებლობა გამოხატულია იმით, რომ პეტრე, თუმცა თავისი თვალთ ხედავს ყველაფერს, მაინც არ შეუძლია დაიჭეროს, რომ ცოცხალი ადამიანი „კატასავით ჩამოჰკიდეს“ და სიკვდილით დასაჯეს.

პეტრესადმი მიწერილ წერილში გაანალიზებულია დანაშაულისა და მისი შესაბამისი სასჯელის პრობლემა. დანაშაულამდე განვლილი ცხოვრების გზა წერილში აღწერილია იმ ადამიანის პირით, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა ის უნუგეშო მდგომარეობა, როდესაც კაცს ცხოვრება არჩევანის საშუალებას ართმევს და დანაშაულისკენ უბიძგებს. ეს მკითხველს საშუალებას აძლევს, მხოლოდ მსაჯულის პოზიციიდან კი არ უყუროს ძმების საქციელს, არამედ მათი თვალთაც დაინახოს მოვლენები, რათა დანაშაულის მხოლოდ რაციონალურ, ცივ შემფასებლად კი არ დარჩეს, არამედ ის მორალურ საფუძველზე აღმოცენებული ადამიანური პოზიციით დააბალანსოს. მხოლოდ ასეთი ჰუმანური დამოკიდებულება განსაზღვრავს სამართლიან მსჯავრს. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელი უბრალო შურისძიებად გადაიქცევა და აღარ იარსებებს ზნეობრივი საფუძველი, რომელიც მსჯავრმდებელს დამნაშავისაგან განასხვავებს. ამგვარი მიდგომა საზოგადოების გაჯანსაღების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ლიტერატურა:

ვაჟა-ფშაველა. (1961). თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტომი V, თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

მინაშვილი, ლ. (1995). ილია ჭავჭავაძე, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მინაშვილი, ლ. (2020). საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემია, შრომები, X, თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“. უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი წმიდა სახარება, მათესი, მარკოსისი, ლუკასი და იოანესი, საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი, ტფილისი.

- ჭავჭავაძე, ი. (1988).** თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი II, თბილისი: „მეცნიერება“, „საბჭოთა საქართველო“.
- ჭავჭავაძე, ი. (2007).** თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტომი XIII, თბილისი: „ილიას ფონდი“.

With his short story “On the Gallows” Ilia Chavchavadze brought the issues of the relationship of an individual with the society, crime, and punishment into the Georgian intellectual and literary space and made a stand against capital punishment.

The primary driver of Ilia Chavchavadze’s creative work is the will to deliver the ideals to the readers with clarity and without obstructions. In a large segment of his prosaic work the idea is expressed through fictional material. The material is chosen to exhibit the idea with maximal precision and to leave a strong impression.

This same method is used in the short story – “On the Gallows.” The compositional center of the story is the character of old Petre. He is a man formed and brought up by people, his nature, mentality, and his attitude towards his environment express people’s world views. His humanity, morality, and kindness are products of the environment that shaped him. With his charming childlike simplicity, naïveté, internal purity, and honesty, Petre comes close to the human ideal. His primary trait is his love towards other people which determines his unconditional kindness, warmth, and forgiveness. In the story all the important ideas and thoughts are expressed in relation to this character:

Social degradation, indifference, and irresponsibility turned to cruelty are shown in the short story through old Petre’s confusion about people’s attitude towards the act of capital punishment.

The protest against capital punishment and its cruelty, along with its incompatibility with the human ideal is shown through the fact, that even though Petre observes all of this with his own eyes, he cannot believe that they hung a living human “like a cat.”

The letter written to Petre provides an analysis of the problem of crime and fair punishment. Life before the crime is retold in the letter from the point of view of a person who experienced the miserable situation of life taking away their choice and pushing them to crime firsthand. This enables the readers to not only judge the brothers, but to gain perspective and see the events through their eyes. This way the reader can balance the purely rational and cold judgement of the crime with a humanitarian position based in morality. Only such humanitarian attitude can produce fair judgement. Otherwise, punishment turns into revenge, and the moral barrier that separates the judge from the criminal disappears. Such approach is one of the primary requirements towards a healthier society.

References:

Vazha-Pshavela, (1961). Complete collection of stories in five tomes, Tome V, Tbilisi: Published by “Sabtchota Sakartvelo”.

Minashvili, L. (1995). Ilia Chavchavadze, Tbilisi: Published by Tbilisi University

Minashvili, L. (2020). Georgian academy of literary sciences, Works, X, Tbilisi: Published by “Meridiani”.

The holy gospel of our Lord Jesus Christ, Matthew, Mark, Luke, and John, Acts of the apostles and Epistle of the apostles, Tiflis:

Chavchavadze, I. (1988). Complete collection of stories in twenty tomes, Tome II, Tbilisi: “Metsniereba”, “Sabtchota Sakartvelo”.

Chavchavadze, I. (2007). Complete collection of stories in twenty tomes, Tome XIII, Tbilisi: “Ilias Fondi”.

**ერთი მნიშვნელოვანი უზუსტობა
ვახტანგ VI-ის პორტრეტთან დაკავშირებით**

**ONE IMPORTANT INACCURACY ABOUT
THE PORTRAIT OF VAKHTANG VI**

გიორგი კალანდია

George Kalandia

სსიპ საქართველოს ხელოვნების სასახლე

– კულტურის ისტორიის მუზეუმი

LEPL Georgian Art Palace

– Museum of Cultural History

საკვანძო სიტყვები: ვახტანგ VI, პორტრეტი, სამეფო
სამოსი, სამეფო გვრიგვინი

Keywords: Vakhtang VI, portrait, Royal attire, Royal Crown

ქართული ფართო თუ სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი ქართლის სახელოვანი მეფის, ვახტანგ მეექვსის, პორტრეტი, რომელიც 1709 წელს ტფილისში დაბეჭდილ სახარებაშია ჩართული. საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ვირტუალურ სივრცეში ცნობილია ვახტანგ მეექვსის კიდევ ერთი პორტრეტი, რომელზეც პირველი ინფორმაცია 1948 წელს „ლიტერატურული ძიებანის“ IV ტომში თორნიკე ჭყონიამ გამოაქვეყნა. ნახატის აღმომჩენი წერს რომ „ვახტანგ მეექვსის ამგვარი სხვა პორტრეტი არ არის ცნობილი“. ტილოზე, უკანა მხარეს, წარწერა რუსულ ენაზეა გაკეთებული, რომლის მიხედვითაც გამოსახული პირის იდენტიფიცირება ხდება. აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი 1971 წელს წიგნში „ქართული ხელოვნების ისტორია“ პორტრეტთან დაკავშირებით წერს: „ვახტანგ VI დახატულია რუსეთის მეფეთა საზეიმო სამოსელში, რომელშიც ჩვეულებრივ ხატავდნენ მეფე ალექსი მიხეილის ძეს. უაღრესად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ვახტანგ VI გამოსახულია ძველი რუსული ფერწერის ტრადიციის... მიხედვით“.

პორტრეტის ყურადღებით შესწავლა და არსებული მასალის გაანალიზება საშუალებას გვაძლევს დანამდვილებით განვაცხადოთ, რომ დღემდე ვახტანგ VI-ის პორტრეტად მიჩნეულ ტილოზე სულ სხვა ისტორიული პირია გამოსახული. 2020 წელს საშუალება მოგვეცა გავცნობოდი თრუსი ხელოვნებათმცოდნის, ი. შოკოლოს, პუბლიკაციას „პატრიარქ ფილარეტის XVIII-XIX საუკუნეების პორტრეტები, როგორც ისტორიული პორტრეტის მაგალითი“. ჩვენდა გასაოცრად, სტატიაში გამოქვეყნებულია ფოტომასალა, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ნახატთან დაკავშირებით აბსოლიტურად ცვლის დამკვიდრებულ აზრს. ჩვენ ასევე საშუალება გვქონდა გვენახა რომანოვთა სახლის მცველის, ვლადიმერ ტრუტოვსკის, წიგნი „Патриарх Филарет Никитич и некоторые памятники его в Москве“. აქ პირველ ტაბულის პირველ ფოტოზე დაბეჭდილია პორტრეტი,

რომელიც ჩვენში აქამდე ცნობილი ვახტანგ მეექვსის სახების იდენტურია, მეტიც, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრუტოვსკის ნიგნში ის ტილოა გამოქვეყნებული, რომელიც ეროვნულ მუზეუმშია დაცული. ფოტოზე არსებული მინაწერის მიხედვით, აქ რუსეთის მეფე, თევდორე მიხეილის ძეა გამოსახული.

ამდენად ცხადია, რომ დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის პატრიარქის, ფილარეტის, პორტრეტი შეცდომით ვახტანგ მეექვსედ მიიჩნეოდა. საბედნიეროდ, ჩვენ შემორჩენილი გვაქვს ქართლის სახელოვანი მეფის, სულ მცირე, სამი ნამდვილი პორტრეტი, პირველი მათაგანი 1709 წელს დაბეჭდილი. მეორე პორტრეტი შემორჩენილია პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცულ „ქილილა და დამანას“ მდიდრულად მოხატულ ნუსხაში. ქართლის მეფის კიდევ ერთი გამოსახულება შემორჩენილი ყოფილა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, ის შეუსრულებია მხატვარ პიოტრ როსსის (1781-1831).

ლიტერატურა:

ამირანაშვილი, შ. (1971). ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი. გვ. 435.

სხირტლაძე, ზ. (2016). “მასალები სვეტიცხოვლის ტაძრის მოხატულობის შესწავლისთვის. კათედრალის ფრესკების ძველი ფერწერული ასლები“, გელათის მეცნიერებათა აკადემიის შრომები, II 245-296.

ჟყონია, თ. (1948). გორკის ოლქში აღმოჩენილი ქართული სიძველენი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. IV, 255-287.

Портреты Патриарха Филарета XVIII–XIX вв. как пример исторического портрета И. Н. Шоколо. (2012). ჟურნ: История и культура Ростовской земли. 310-316. როსტოვი.

The portrait of the famous King of Kartli Vakhtang VI, which is included in the Gospel printed in Tbilisi in 1709, is well known to the Georgian general and scientific community. Another portrait of Vakhtang VI is well known in society, especially in the virtual space, which was first mentioned by Tornike Chkonia who published the first information in 1948 in the IV volume of the "Literary Search". The discoverer of the painting writes that "no other such portrait of Vakhtang VI is known." The inscription on the back of the canvas is made in Russian, according to which the person depicted in the painting is identified. Academician Shalva Amiranashvili writes about the portrait in the book "History of Georgian Art" in 1971: „It is highly characteristic that Vakhtang VI is depicted according to the tradition of old Russian painting ... “ Thus, if we analyze this notion well, we will understand that the famous king of Kartli was depicted in the ceremonial robe of the Russian kings, according to the tradition of old Russian painting.

Careful study of the portrait and analysis of the available material allows us to state with certainty that the painting, which is still considered a portrait of Vakhtang VI, depicts a completely different historical figure. This view has completely altered our understanding since in 2020 we had the opportunity to get acquainted with the Russian art critic I. Shokolo's publication "Portraits of Patriarch Philaret of XVIII-XIX centuries as an example of a historical portrait." Surprisingly, photo material published in an article changes the established opinion regarding the painting preserved in the Georgian National Museum. We also had the opportunity to see the photo in the book by Vladimir Trutovsky, the Guardian of the Romanov House: "Патриарх Филарет Никитич и некоторые памятники его в Москве" (Patriarch Filaret Nikitich and Some Memories of Him in Moscow). The first portrait printed in the book is identical to the hitherto famous Vakhtang VI. Moreover, we can say that portrait published in Trutovsky's book is preserved in the National Museum. According to

the inscription on the photo, Russian King Theodore son of Mikheil is depicted here.

It is thus clear that for a long time the portrait of Russian Patriarch Filaret was mistakenly considered to be of Vakhtang VI's. Fortunately, we have at least three real portraits of the famous king of Kartli. The first of them was printed in 1709 and we have already talked about it. The second portrait is preserved in the list of "Kalila and Demna". Another image of the King of Kartli has been preserved in the Svetitskhoveli Patriarchal Cathedral. It was painted by the artist Peter Ross (1781-1831).

References:

Amiranashvili, Sh. (1971). Qartuli xelovnebis istoria. [History of Georgian Art]. p. 435.

Skhirtladze, Z. (2016). "Masalebi sveticxovlis tadzris moxatulobis sheswavlistvis. Katedralis freskebis dzveli ferweruli aslebi". [Materials for studying the painting of Svetitskhoveli temple. Old copies of the cathedral frescoes]. Proceedings II of Gelati Academy of Sciences, 245-296.

Chkonia T. (1948). Gorkis olqshi aghmochenili qartuli sidzveleni. [Georgian antiquities found in Gorki region, Literary Searches], IV, 255-287. Portraits of Patriarch Filaret of the XVIII-XIX centuries. as an example of a historical portrait of I. N. Shokolo. (2012). Magazine: History and culture of the Rostov land. 310-316. Rostov.

კავკასიური ომის ისტორიები: პრინც
ალბრეხტის და თეოდორ ჰორშელტის
ჩანაწერები

CAUCASIAN WAR STORIES: RECORDS OF PRINCE
ALBRECHT AND THEODOR HORSCHOLT

დალი კანდელაკი

Dali Kandelaki

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: რუსეთი, კავკასიური ომი, XIX საუკუნე,
პრინცი ალბრეხტი, თეოდორ ჰორშელტი

Keywords: Russia, Caucasian War, XIX century, Prince Albrecht,
Theodor Horscholt

XIX საუკუნის უცხოელი ავტორები საკუთარ თხზულებებში დიდ ადგილს უთმობდნენ რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებულ ყველაზე სისხლიან და ხანგრძლივ კავკასიურ ომს. ამ წიგნების ზოგი ავტორი რუსეთის მხარეს იბრძოდა, ზოგი კი გვერდით ედგა კავკასიელ მთიელებს. აღსანიშნავია, რომ ორივე პოზიციაზე მყოფი უცხოელები თავდაუზოგავად იბრძოდნენ ამა თუ იმ მხარეს. ნაშრომებიდან აშკარად იკვთება მათი პოლიტიკური შეხედულებები, სუბიექტური მიდგომა ომისა თუ მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხებისადმი. უცხოელი ავტორები მოვლენების შეფასებისას ხშირად ტენდენციურები არიან, საკითხებს მათთვის სასურველი ინტერპრეტაციით განიხილავენ, თუმცა მათი ნაშრომები მნიშვნელოვან პირველწყაროებს წარმოადგენს კავკასიური ომის შესწავლისათვის.

სტატიაში განხილულია რუსეთის პოლიტიკის მხარდამჭერი, მათ მხარეს მებრძოლი ორი გერმანელის – პრუსიის მეფის, ვილჰელმ I-ის ძმის, პრინც ალბრეხტის (1809-1872) ნაშრომი „კავკასიაში. 1862“ და მხატვარ თეოდორ ჰორშელტის ჩანაწერები კავკასიური ომის შესახებ, რომელიც 1880 წელს გამოიცა მიუნხენში – „თეოდორ ჰორშელტი. მისი ცხოვრება და მისი ნაწარმოებები. ესპანეთი, ალჟირი, კავკასია“ (Horschelt, 1880).

მრავლისმომცველ ინფორმაციას შეიცავს პრუსიის პრინც ალბრეხტის თხზულება, რომელშიც თითქმის ას გვერდზე (Albrecht, 1865: 339-457) მეტს კავკასიელების წინააღმდეგ ბრძოლის ამბებს უთმობს. ის პირადად მონაწილეობდა ადიღელების წინააღმდეგ მოწყობილ 7-დღიან (1862 წლის 4-10 ნოემბერი) სამხედრო ექსპედიციაში. რუსების მიერ ბრძოლის წარმატებით დასრულების და რაზმის ყოფილ ბანაკში დაბრუნების შემდეგ, უაღრესად კმაყოფილმა პრინცმა რუსის ჯარის მიმართ სიტყვიერი და წერილობითი ქება გამოხატა და რაზმისადმი თავისი მიმართვა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „გაუმარჯოს რუსეთს და ღმერთო, დაიფარე მეფე!“ (Милютин,

1999: 416). გერმანელი პრინცი ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნავს რუსეთისა და პრუსიის მეფეების, ალექსანდრ II-ის და ვილჰელმ I-ის, მეგობრულ დამოკიდებულებას.

რამდენადაც გასაგებია პრინც ალბრეხტის ვიზიტის მიზანი, ერთკვირიანი ბრძოლა რუსეთის დამპყრობლურ სამხედრო ექსპედიციებში, იმდენად გაურკვეველია მხატვარ თეოდორ ჰორშელტის თავგანწირული და შეუპოვარი ბრძოლა, 1858-1862 წლებში კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ. გერმანელმა მხატვარმა საკუთარ ჩანაწერებში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და დაწვრილებით აღწერა ჩრდილო კავკასიაში მიმდინარე საომარი მოქმედებები და ბრძოლის დეტალები (კანდელაკი, 2019: 68-88).

აღსანიშნავია, რომ 1862 წლის 10 სექტემბრიდან, 21 დღის განმავლობაში, თეოდორ ჰორშელტმა ბაქოსა და ერევანში პრუსიის პრინც ალბრეხტთან ერთად იმოგზაურა. ორივე გერმანელი ავტორი თავიანთ ნაშრომებში გულთბილად მოიხსენიებენ ერთმანეთს. რუსეთის იმპერატორმა კავკასიაში გამოჩენილი მამაცობისათვის ორივე გერმანელს არაერთი ჯილდო მიანიჭა.

ლიტერატურა:

კანდელაკი, დ. (2019). უცნობი კავკასია XIX საუკუნის უცხოური წყაროების მიხედვით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. <http://eprints.tsu.ge/1588/1/Dali-Kandelaki-Unknown-Caucasus.pdf>

Albrecht, Friedrich Heinrich Prinz von Preußen (1865). Im Kaukasus 1862. Reisebeschreibung. Berlin, Hayn. Privatdruck. 603 S.

Horschelt, Th. (1880). Theodor Horschelt. Sein Leben und Seine Werke. Spanien, Aljier, Kaukasus. Hrsgb. von Joseph Albert. Muenchen.

Kamissek, Ch. (2016). German Imperialism before the German Empire. Russo-Prussian Military Expeditions to the Caucasus before 1871 and the Continuity of German Colonialism. Journal of Modern European

History. Vol. 14, No. 2, The Imperial Cloud, pp. 183-201. Published By: Sage Publications, Inc. <https://www.jstor.org/stable/26266235>

Poljakov, R. (1999). „Mit aufrichtiger Feder meist gegenwärtigen aufgezeichnet“ – Russlandberichte deutscher Reisender vom 16. bis zum 19. Jahrhundert. Peter Lang. Europäischer Verlag der Wissenschaften. Frankfurt am Main; Berlin; Bern; New York; Paris; Wien.

Милютин Д. А. (1999). Воспоминания генерал-фельдмаршала графа Дмитрия Алексеевича Милютина 1860 – 1862. Под редакцией д.и.н., профессора Л.Г. Захаровой. Студия ТРИТЭ, РИО «Российский Архив», 555 с. <http://www.historichka.ru/istoshniki/milutin/>

Foreign authors of the 19th century devoted a significant part of their work to the bloodiest and longest-running Caucasian war waged by the Russian Empire. Some of the authors of these books fought on the Russian side, while others sided with the Caucasian mountaineers. It is noteworthy that the foreigners in both positions fought selflessly on the side of their choice. The works clearly express their political views, subjective approach to issues of war or peaceful coexistence. Foreign authors are often biased in their assessment of events, analyzing issues in their preferred way of interpretation, although their works remain as important primary sources for the researching purposes of the Caucasian war.

The article discusses the works of two Russian supporters who fought on their side, Prince Albrecht's (1809-1872), brother of King Wilhelm I of Prussia, work "In Caucasus. 1862" and the notes of painter Theodor Horschelt about the Caucasus War, published in Munich in 1880 – "Theodor Horschelt. His life and his works. Spain, Algeria, Caucasus" (Horschelt 1880).

Extensive information is contained in the works of Prince Albrecht of Prussia, where he devotes almost a hundred pages (Albrecht 1865: 339 – 457) to the stories of battles against the Caucasians. He personally participated in a seven day military expedition

(November 4-10, 1862) against the Adyghei. After the successful completion of the battle by the Russians and the return of the detachment to the former camp, the highly contented prince expressed his praise to the Russian army orally and in a written form, concluding with the following words: "Long live Russia and God, please protect the king!" (Milyatin 1999: 416). The German prince in his work emphasizes the friendly attitude of the kings of Russia and Prussia, Alexander II and Wilhelm I.

As the purpose of Prince Albrecht's visit is clearly understandable, as vague as it stays the reason behind the selfless and relentless fight of the painter Theodor Horschelt against the Caucasian mountaineers in 1858-1862. The German artist described the ongoing hostilities and details of battles in the Northern Caucasus in a chronological order and very specifically (Kandelaki 2019: 68 – 88).

It is noteworthy that from September 10, 1862 onwards, for 21 days, Theodore Horschelt traveled to Baku and Yerevan with Prince Albrecht of Prussia. Both German authors warmly mention each other in their works. The Russian emperor awarded numerous awards to both Germans for outstanding bravery in the Caucasus.

References:

- Albrecht, F. H. P. (1865).** Im Kaukasus 1862. Reisebeschreibung. Berlin, Hayn. Privatdruck. 603 S. [Albrecht, Friedrich Heinrich Prince of Prussia (1865). In Caucasus 1862. Travelogue. Berlin, Hayn. private printing. 603 p.].
- Horschelt, Th. (1880).** Theodor Horschelt. Sein Leben und Seine Werke. Spanien, Aljier, Kaukasus. Hrsgb. von Joseph Albert. Muenchen. [Horschelt, Th. (1880). Theodor Horschelt. His life and his works. Spain, Aljier, Caucasus. Ed. by Joseph Albert. Munich. 1880].
- Kamissek, Ch. (2016).** German Imperialism before the German Empire. Russo-Prussian Military Expeditions to the Caucasus before 1871 and the Continuity of German Colonialism. Journal of Modern European

History. Vol. 14, No. 2, The Imperial Cloud, pp. 183-201. Published By: Sage Publications, Inc. <https://www.jstor.org/stable/26266235>

K'andelak'i, D. (2019). utsnobi k'avk'asia XIX sauk'unis utskhouris ts'qaroebis mikhedvit. tbilisis universit'et'is gamomtsemloba. [Kandelaki, D. (2019). Unknown Caucasus. Based on foreign sources of the XIX century. Tbilisi University Publishing House]. <http://eprints.tsu.ge/1588/1/Dali-Kandelaki-Unknown-Caucasus.pdf>

Miljutin D. A. (1999). Vospominanija general-fel'dmarshala grafa Dmitrija Alekseevicha Miljutina 1860 – 1862. Pod redakciej d.i.n., professora L.G. Zaharovoj. Studija TRITJe, RIO «Rossijskij Arhiv», 555 s. [Milyatin D. A. (1999). Memoirs of Field Marshal Count Dmitry Alekseevich Milyatin 1860 – 1862. Edited by Doctor of Historical Sciences, Professor L.G. Zakharova. Studio TRITE, RIO “Russian Archive”, 555 p.]. <http://www.historichka.ru/istoshniki/milutin/>

Poljakov, R. (1999). „Mit aufrichtiger Feder meist gegenwärtigen aufgezeichnet“ – Russlandberichte deutscher Reisender vom 16. bis zum 19. Jahrhundert. Peter Lang. Europäischer Verlag der Wissenschaften. Frankfurt am Main; berlin; Bern; New York; Paris; Wien. [Polyakov, R. (1999). “Recorded mostly from the present with a sincere pen” – Reports on Russia by German travelers from the 16th to the 19th century. Peter Lang. European publisher of science. Frankfurt am Main; Berlin; Bern; New York; Paris; Vienna].

ფილოსოფიური შემეცნება
PHILOSOPHICAL COGNITION

ნაპო კვარაცხელია
Napo Kvaratskhelia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanites

საკვანძო სიტყვები: ფილოსოფიური შემეცნება,
ობიექტური რეალობა, შემეცნების ფენომენი
Keywords: Philosophical Cognition, objective reality,
Cognition phenomena

საკუთრივ ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში შემეცნების ფენომენის გაგება არ ყოფილა ერთიანი. თავისთავად ცხადია, რომ შემეცნების ბუნების, მისი საზრისისა და ღირებულების გაგება სულ სხვა იყო, ვთქვათ, ანტიკურ ეპოქაში ან შუა საუკუნეებში, ვიდრე ჩვენს დროში, როცა მეცნიერება უშუალო მწარმოებლურ ძალად გადაიქცა და, შესაბამისად, შემეცნებითი მოღვაწეობის მიზანს მატერიალური დოვლათის წარმოება განსაზღვრავს. დღეს მეცნიერებას გადასაწყვეტ პრობლემებს მეტწილად ქარხნები და ლაბორატორიები უკარნახებენ. ანტიკური ეპოქის მოაზროვნე არისტოტელესთვის კი, პირიქით, მეცნიერებათა შორის უმაღლესია ფილოსოფია, რადგან ის თავისუფალია. ეს ნიშნავს: იგი არაფრით არის განსაზღვრული და თავისი არსებობის მიზანი თავის თავში აქვს. პირველი მიზეზებისა და საწყისების ჭვრეტა ყველა სხვა მოღვაწეობაზე მაღლა დგას. იგი, არისტოტელეს აზრით, ღმერთის საკადრისი, ხოლო ადამიანისათვის აღმატებული საქმიანობაა. ამიტომ არ შეიძლება ფილოსოფიურ შემეცნებაზე მაღლა დავაყენოთ რომელიმე სხვა მეცნიერება, რადგან ყველაზე ღვთაებრივი, ამასთანავე, ყველაზე ღირებულიც არის. „ყველა სხვა მეცნიერება უფრო აუცილებელია, ვიდრე ფილოსოფია, მაგრამ მასზე უკეთესი და ღირებული არც ერთი არ არის“ (Аристотель, 1976:70), დაასკვნის არისტოტელე.

ამრიგად, არისტოტელეს მიხედვით, სინამდვილისადმი გონება-ჭვრეტითი დამოკიდებულება თავისთავად ღირებული რამ არის. მას თავისი გამმართლებელი და საზრისისმიმცემი ინსტანცია თავის თავში გააჩნია. ამიტომ თეორიული მოღვაწეობის ღირებულებას ადამიანისთვის მისგან გამომდინარე სასარგებლო შედეგები კი არ განსაზღვრავს, არამედ თვითონ ქვეშარიტების ჭვრეტა ან, როგორც შემდეგ სპინოზა იტყვის, ღმერთისადმი ინტელექტუალური სიყვარული. ამ აზრით, ის არის ნამდვილი ენტელეხია („ენტელეხია“ სიტყვასიტყვით მიზნის თავის თავში ქონას ნიშნავს). ამ მხრივ შემეცნების, როგორც თვითმიზნური და თავისთავადი ღირებულების მატარებელი მოღვაწეობის, არისტოტელესეული გაგება სრულიად საპირისპიროა შემეცნების ახალდროინდელი გაგებისა, რომელიც ფრენსის ბეკონმა ჩამოაყალიბა. ბეკონის მიხედვით, ცოდნა ძალაა,

ამიტომ შემეცნებითი მოღვაწეობის ღირებულებას განსაზღვრავს ის პრაქტიკულ – უტილიტარული შედეგები, რომლებიც მისგან გამომდინარეობს, სახელდობრ, ადამიანის გაბატონების დონე ბუნების ძალებზე.

ასევე სულ სხვაა შემეცნების ბუნების გაგება, მაგალითად, ჰერაკლიტე ეფესელის მიერ. მისი აზრით, რაიმე მოვლენის შემეცნება ნიშნავს გაიგო ამ მოვლენის ადგილი სამყაროს უნივერსალურ ერთიანობაში და ამ ერთიანობის ლოგოსთან მიმართებაში. ამიტომ ამბობს ჰერაკლიტე: „სიბრძნის ნიშანია – თანხმობაში იყო არა ჩემთან, არამედ ლოგოსთან. გესმოდეს რა ის, რომ ყველაფერი ერთიანობაშია“; რადგან „არსებობს ერთადერთი სიბრძნე – შეიმეცნო საზრისი, რომლითაც მოწყობილია სამყაროში ყოველივე ყოველივეს მეოხებით“ (Антология мировой философии, 1969:279).

სიბრძნე, ცოდნა ამ ერთიანობასთან მიმართებას და მის შენარჩუნებას გულისხმობს. ამიტომ საქმე ბევრის ცოდნა კი არ არის, არამედ იმ ერთისა, რომელიც განაგებს სამყაროს საგანთა და მოვლენათა უნივერსალურ მთლიანობას. მაშასადამე, როგორც ჩანს, ჰერაკლიტეს შემეცნება სხვაგვარად ესმის, იგი შემეცნებისაგან უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე უბრალოდ მისი ფაქტიური და უშუალო მოცემულობის აღწერას, თუნდაც მისი უახლოესი მიზეზების დადგენას. შემეცნების ასეთი ღრმა გაგებიდან გამოსული ჰერაკლიტე, რა თქმა უნდა, შემეცნების თანამედროვე მეცნიერულ გაგებას საერთოდ არ ჩათვლიდა შემეცნებად. საქმე აქ მხოლოდ შემეცნების ჰერაკლიტესეული გაგების ისტორიულ-დროულ შეზღუდულობას როდი შეეხება, არამედ შემეცნების ცნების სხვადასხვაგვარ გაგებას, შემეცნების განსხვავებულ მსოფლმხედველობრივ მოდელთა არსებობას. ასე მაგალითად, თანამედროვე ბოტანიკის მეცნიერება ჩვენ გვაძლევს გარკვეულ ცოდნას, ვთქვათ, სუროს ან ბრონეულის მცენარის შესახებ. კერძოდ, იგი აღწერს ამ მცენარეთა მორფოლოგიურ სტრუქტურას (რომ სუროს ახასიათებს ფოთლების მოზაიკური განლაგება და ა. შ.), ადგენს მათი ფუნქციონირებისა და ცხოველქმედების ბიოლოგიურ

კანონზომიერებას. მაგრამ ბოტანიკა, სანამ საერთოდ ამ მეცნიერების ფარგლებში ვრჩებით, ვერ გვეტყვის, რატომ გამოვლინდა ერთიანი სამყაროული ყოფიერება მცენარეული ყოფიერების სახით, ხოლო, თავის მხრივ, მცენარეული ყოფიერება რატომ მოგვევლინა „სუროს“ ან „ბრონეულის ყვავილის“ მოდუსში. ეს, საბოლოოდ, ფილოსოფიურმა შემეცნებამ უნდა გვითხრას, რა თქმა უნდა, ბოტანიკის თუ სხვა კონკრეტულ მეცნიერებათა მონაცემების გათვალისწინებით, ცხადია, ჰერაკლიტეს, შემეცნების თავისებური გაგებიდან გამოსულს, ვერ დააკმაყოფილებდა მცენარის შესახებ მხოლოდ ბოტანიკის მონაცემები; მეტიც – იგი საერთოდ არ ჩათვლიდა ამას „შემეცნებად“.

უკვე ჩვენს დროში, მეცნიერების არნახული განვითარების ეპოქაში, მ. ჰაიდეგერი აყენებს დებულებას: „მეცნიერება არ აზროვნებს“ (die Wissenschaft denkt nicht (Heidegger, 1971: 4).

უფრო გვიან ჰაიდეგერი ამ თავის, ერთი შეხედვით პარადოქსულ, დებულებას შემდეგნაირად განმარტავდა: „მეცნიერება არ აზროვნებს“ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერება არ მოძრაობს ფილოსოფიის განზომილებაში. მისი აზრით, მეცნიერება ყოფიერის ან ყოფიერთა მთლიანობის სფეროში რჩება და ვერასოდეს გადის ყოფიერებაში. ამიტომ მას არაფერი ესაქმება ყოფიერების გააზრებასთან. „აზროვნება“, შემეცნება ნამდვილი აზრით პოეზიისა და ფილოსოფიის საქმეა და არა მეცნიერების, რადგან ამ უკანასკნელის საფუძველი თანამედროვე ტექნიკის განვითარებაში ძვეს და არა, პირიქით (Heidegger, 1970).

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ შემეცნების ცნების სხვადასხვაგვარ გაგებათა შესახებ დიდ შემეცნების თეორიულ სისტემებში გნოსეოლოგიის ისტორიის მთელ მანძილზე. ასე მაგალითად, შემეცნება, როგორც სამყაროს უნივერსალური ერთიანობის საზრისის, მისი „ლოგოსის“ წვდომა – ჰერაკლიტესთან, შემეცნება, როგორც გახსენება თუ მოგონება – პლატონთან, შემეცნება, როგორც შე-

მეცნების საგნის აგება შემეცნების პროცესში – კანტთან, შემეცნება, როგორც თეორიული ღირებულების აღიარება – რიკერტთან, შემეცნება, როგორც ყოფიერების თვითგაცხადება და მასში ყოფნა – ეგზისტენციალიზმში, შემეცნება, როგორც ობიექტური სინამდვილის კანონზომიერების ასახვა მისი გარდაქმნის მიზნით – მარქსისტულ გნოსეოლოგიაში და ა. შ. ეს გაგებანი შემეცნების ცნებისა, რა თქმა უნდა, გარკვეულ ერთიანობაში არიან, რომლის გარეშე, ცხადია, ვერ იარსებებდა შემეცნების თეორიული აზროვნების ერთიანი ისტორია.

ლიტერატურა:

Аристотель, Соч., т. I, М., 1976,

Антология мировой философии, т. I, М., 1969,

Heidegger, M. (1971). Was heist denken? Tubingen.

Heidegger M. (1070). im Gespräch, Freiburg – Munchem.

It is no secret that understanding of the phenomenon of cognition in the history of philosophy has never been uniform. It is clear that understanding of the nature of cognition, its meaning and value was quite different, let's say in the antic epoch or the Middle Ages than it is in our times when science has become an immediate productive power and, accordingly, the aim of the cognitive activity is determined by the production of material goods. Nowadays the problems that science has to solve are posed by factories and laboratories. But for Aristotle, one of the most prominent philosophers of Antiquity, philosophy is the supreme among all sciences since it is free. It means that it is not determined by anything and has the end of its existence in itself. Contemplation of the first causes and principles is prior to all other activities. According to Aristotle, it is a supreme activity. That is why it is impossible to place any other science above philosophical cognition since the most divine is the most

valuable as well. Aristotle concludes that all other sciences are more necessary than philosophy though none is better and more valuable than it (Aristotle, 1976:70) Thus, according to Aristotle, a contemplative attitude to reality is valuable in itself. It has in itself the instance that justifies it and attaches the meaning to it. Therefore, the significance of the theoretical work for man is determined not by the truth itself or, as later Spinoza will say, intellectual love for God. In this sense, it is a real entelechy (“entelechy” means having the end in itself). In this respect, the Aristotelian interpretation of cognition as an activity which has its end in itself and is of the original value opposes the understanding of the cognition formulated in the New Times by Francis Bacon. According to Bacon, knowledge is power, therefore the value of the cognitive activity is determined by the practical-utilitarian results ensuing from it, namely, such a result is man’s domination over the forces of nature.

A quite different interpretation of the essence of cognition is given by Heraclitus of Ephesus. According to him, cognition of an event means understanding the place of this event in the universal unity of the world and the relation of this unity to Logos. That is why Heraclitus says that the mark of wisdom is to be in consent not with him, but with Logos and to understand that everything is in unity since there is only one wisdom – to use everything to conceive the essence which constitutes all things in the world (Anthology of the world Philosophy, 1969:279).

Wisdom and knowledge imply the relation to this unity and retaining it. Therefore, the matter is not how much we know but whether we know the One that rules the universal unity of the things and phenomena in the world. Therefore, it is evident that Heraclitus understands cognition in his own way and needs much more from cognition than a mere description of its factual and immediate presence or even determining its closest causes. Heraclitus who relies on such a deep conception of cognition would, of course, have never admitted that the present-day scientific interpretation of cogni-

tion is cognition. It is not just a historical-chronological limitation of Heraclitus's interpretation of cognition that matters, but a different understanding of the concept of cognition, and the existence of different world outlook models of cognition. Thus, for example, present-day botany offers us certain knowledge on ivy or a pomegranate tree. In particular, it describes the morphological structure of these plants (e.g., ivy is characterized by a mosaic arrangement of leaves, etc.), and states the biological regularities of their functioning and vital activities. But botany as long as we remain within the limits of this science will fail to explain why the united world being displayed itself as a vegetal being and, in its turn, why the vegetal being is displayed in the modus of 'ivy' or 'a pomegranate flower'. This eventually is to be explained by philosophy which certainly will have to consider the data obtained by botany or any other special science. It is certain that Heraclitus relying on his specific understanding of cognition would not be satisfied with the data concerning plants given by botany only. Even more, he would never have considered it a "cognition".

In our epoch of unprecedented development of science M. Heidegger stated that science does not think (*die wissenschaft denkt nicht*) (Heidegger M. 1971:4). Later Heidegger interpreted this, at the first sight, paradoxical statement when said that the phrase "science does not think" means that science does not move in the dimension of philosophy. He thinks that science remains in the sphere of an existing or the unity of existings and never manages to enter the sphere of the being. Therefore, it has nothing to do with the conceptualization of the being. "Thinking"/ cognition in its genuine sense is the task of poetry and philosophy and not of science since the basis of science is in the development of the contemporary technique and not vice versa (Heidegger M. 1970:72).

Therefore, as we can see, it is possible to speak about various understandings of the concept of cognition in the great systems of the theory of cognition throughout the whole history of gnosiology.

Thus, for example, cognition as comprehension of the meaning, the “logos” of the universal unity of the world is given by Heraclitus, cognition as remembering or reminiscence is found at Plato, cognition as constituting the object of cognition in the process of cognition – at Kant, cognition as admitting theoretical value – at Rickert, cognition as self-revealing of the being and existing in it – in existentialism, cognition as a reflection of the regularities of the objective reality in order to transform it – in the Marxist gnosiology, etc. These interpretations of the concept of cognition, of course, form a certain unity without which there could be no united history of cognitive theoretical thinking.

References:

Aristotle. (1976). Works, v. I. Moscow, p. 70 (in Russian).

Anthology of the world Philosophy. (1969). v. I, Moscow, p. 279 (in Russian)

Heidegger, M. (1971). Was heist denken? Tubingen. p. 4 (in German).

Heidegger, M. (1970). Im Gespräch, Freiburg-Munchem, p.72 (in German).

**ქართველიზმები ჯალალ ედ-დინ რუმის
„არსთა მესნავიში“**

**SOME GEORGIAN LEXICAL ITEMS IN THE
MATHNAWI BY JALĀL AL-DĪN RŪMĪ**

გიორგი ლობჯანიძე
Giorgi Lobzhanidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: რუმი, არსთა მესნევი, ჰიპერბოლა,
ქართული პარალელი

Keywords: Rūmī, Mathnawī, Hyperbola, Georgian parallel

მეცამეტე საუკუნის დიდი სპარსელი პოეტი-მისტიკოსის, ჯალალ ედ-დინ რუმის (1207-1273), 6-ნაწილიანი პოემა დღემდე აქტიურად ითარგმნება და შეისწავლება მსოფლიოში. „არს-თა მესნევი“, რომელიც რუმის თანამედროვეთა მიერ სამართლიანად იქნა აღიარებული „სუფიზმის ენციკლოპედიად“ და რომელსაც სპარსული პოეზიის უკანასკნელმა კლასიკოსმა, აბდ ორ-რაჰმან ჯამიმ (1414-1472), „სპარსული ყურანი“ უწოდა, თემების, სიუჟეტების ალუზიებისა თუ რემინისცენციების ამოუნურავ საბადოს წარმოადგენს.

მთელი ამ ნარატივის „მუსლიმურ-აღმოსავლური ნაწილი“ საუკუნეების განმავლობაში საფუძვლიანად არის შესწავლილი და დამუშავებული. „მესნევის“ შექმნის შემდგომ დღევანდლამდე დაინერა ათეულობით კომენტარი, რომელთა ავტორებიც პოემას სხვადასხვა კუთხით განმარტავდნენ და არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ასპექტი რუმის შედეგრისა, რომ ამ კომენტარებში საგულდაგულოდ არ იყოს განხილული და შეძლებისდაგვარად ახსნილი თუ კლასიფიცირებული.

ამ ფონზე ჩვენთვის მოულოდნელობა აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ტექსტში არის გარკვეული მონაკვეთები თუ ადგილები, რომელთა წინაშეც კომენტატორები საკუთარ უძღურებას აღიარებენ და შემოთავაზებული ვერსიის მიუხედავად, მსჯელობას ასრულებენ შუა საუკუნეების არაბულ-მუსლიმურ ლიტერატურაში გავრცელებული ფრაზა-კოდიტ: **مألف الله**, „და ალაჰმა უკეთ უწყის“, რაც მანამდე წარმოდგენილი აზრების სათუობას გამოხატავს.

საქმე ის არის, რომ ეს ფრაზა ხშირად არამხოლოდ რთული სუფისტური კონცეფციების ახსნისას გამოიყენება, არამედ გარკვეულ ლექსიკურ ერთეულებთანაც, რომელთა ზუსტი შინაარსიც კომენტატორთათვის უცნობია და მხოლოდ კონტექსტის მიხედვით უწევთ, გაარკვიონ, რას გულისხმობდა „დიადი განდობილი“.

ასეთი ლექსიკური ერთეულების დიდი ნაწილის შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ჯალალ ედ-დინ რუმის პოემის ტექსტში

ჩართული აქვს ქართული სიტყვები, რომელთაც, ძირითადად, იყენებს როგორც მხატვრულ ხერხს ე. წ. „გაუცხოების“ ეფექტის შესაქმნელად.

ჩვენმა სპეციალურმა კვლევამ და დაკვირვებამ ათეულობით ასეთი სიტყვა გამოავლინა, რომელთა შესახებაც ვმსჯელობთ წარმოდგენილ მოხსენებაში. შევეცადეთ ამ ლექსიკური ერთეულების გარკვეულ კლასიფიკაციასაც – ისეთ სიტყვებად, რომლებიც უსათუოდ ქართული წარმოშობისაა (მაგალითად, „დილა“لايلا, „ციხე“ سيخه) და ისეთებად, რომელთა ქართული წარმოშობა, შესაძლოა, გარკვეულმა კვლევამ საეჭვო გახადოს, მაგრამ მაინც გვგონია, რომ რუმი სწორედ ქართული მასალითა და კონტექსტით სარგებლობდა (მაგ., „პური“ پور).

ლექსიკური ერთეულების გარდა, გვაქვს ორიოდე შემთხვევაც, როცა ქართველები და საქართველო სხვა კონტექსტში და განსხვავებული მხატვრული დანიშნულებით გვხვდება „მესნევიში“. კერძოდ, ქართველები, როგორც ომში დაუმარცხებლობისა და სიმამაცის გარკვეული სიმბოლოები, რთული აზრობრივ-მხატვრული მეტაფორებისა თუ ჰიპერბოლების შესაქმნელადაა გამოყენებული.

ლიტერატურა:

جلال الدين رومي مثنوي معنوي به كوشش دكتور توفيق ه سبحاني تهران 1373

شرح جامع مثنوي معنوي كريم زماني تهران 1378-1381

ჯალალ ედ-დინ რუმი, „არსთა მესნევი“. (2020). სპარსულიდან თარგმნა, შესავალი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჯანიძემ, წიგნი პირველი.

ჯალალ ედ-დინ რუმი, „არსთა მესნევი“. (2021). სპარსულიდან თარგმნა, შესავალი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჯანიძემ, წიგნი მეორე.

The six-volume poem by the thirteen-century great Persian poet-mystic Jalāl al-Dīn Rūmī (1207 – 1273) is still actively translated and studied worldwide. *Mathnawi* is an inexhaustible source of themes, plot allusions, and reminiscences. Rumi's contemporaries rightly recognized it as the "Encyclopedia of Sufism", and the last classic Persian poet Abd al-Rahman Jami (1414-1472) even called it the "Persian Qur'an".

The "Muslim-Eastern part" of the narrative has been thoroughly and elaborately studied over the centuries. From the creation of *Mathnawi* until today, dozens of commentaries have been written, authors have interpreted the poem from different angles, and almost no aspect of Rumi's masterpiece remained untouched and unexplained or unclassified as much as possible in these commentaries.

Against this background, we were surprised by the fact that there are certain passages or places in the text, in front of which the commentators admit their weakness and, despite the proposed version, they reason with a phrase-code common in the Arab-Muslim literature of the Middle Ages: *والله أعلم* , „and Allah knows better“, which shows the uncertainty of the aforementioned idea.

The fact is that this above-mentioned phrase is used not only to explain complex Sufi concepts but also with certain lexical items, the exact content of which is unknown to the commentator, and it is up to the context only to find out what was meant by the "Great Esoteric".

In the case of a large part of such lexical units, the text of Jalāl al-Dīn Rūmī 's poem includes Georgian words as an artistic technique to create the effect of "alienation".

Our special research and observation showed dozens of such words, which are being discussed in the paper. We classified such lexical units into two parts – words of Georgian origin (for example, "morning" *ديلا*, "castle" *سيخه*) and those whose Georgian Origin is doubtful, but we still think that Rūmī used Georgian material and context (for example, "bread" *بورى*).

Apart from lexical units, we have cases where we come across Georgians and Georgia in different contexts and for various artistic reasons. For example, Georgians as a symbol of undefeatability and bravery, are used to create numerous artistic metaphors and hyperbolas.

References:

جلال البين رومي مثنوي معنوي به كوشش دكتور توفيق ه سبجاني تهران 1373

شرح جامع مثنوي معنوي كريم زماني تهران 1378-1381

Jalāl al-Dīn Rūmī, Mathnawi, translated from Persian, with a Preface and commentaries by Giorgi Lobzhanidze, Book I, 2020.

Jalāl al-Dīn Rūmī, Mathnawi, translated from Persian, with a Preface and commentaries by Giorgi Lobzhanidze, Book II, 2021.

**ჭოლა ლომთათიძის მოთხრობა
„სახრჩობელის წინაშე“ – იდეოლოგიური
და ლიტერატურული განზომილებები**

**CHOLA LOMTATIDZE’S STORY “IN FRONT
OF THE GALLOWS” – IDEOLOGICAL AND LITERARY
DIMENSIONS**

კახაბერ ლორია

Kakhaber Loria

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ცნობიერების ნაკადი,
ეგზისტენციალიზმი, სოციალ-დემოკრატია,
მოდერნიზმი

Keywords: The Stream of consciousness, Existentialism,
Social Democracy, Modernism

ჭოლა ლომთათიძის პრობა მეოცე საუკუნის გარიჟრაჟის ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ მწერლის გარდაცვალების შემდეგ მის შემოქმედებას ინტერესი არ მოკლებია, მაინც უნდა დანანებით აღინიშნოს, რომ ჭოლას სიცოცხლეში ლიტერატურული კრიტიკა საკმაოდ აუხსნელ გულგრილობას იჩენდა მის მიმართ. ეს შეიძლება, გარკვეულწილად, განპირობებული იყო მწერლის პოლიტიკური აქტივობითაც. მასში, როგორც ჩანს (და სავსებით დამსახურებულადაც), ანგარიშგასაწევ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფიგურას, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს, რუსეთის სათათბიროს დეპუტატს ხედავდნენ, რაც, იმავდროულად, ჭოლას თანამედროვეებში საკმაოდ ართულებდა მის სერიოზულ ლიტერატურულ ავტორად აღქმას. თუმცა ჭოლას გარდაცვალებას, შეიძლება ითქვას, მყისიერად მოჰყვა მისი, როგორც მწერლის, დაფასება: ჯერ კიდევ 1915 წლის 15 ნოემბერს გაზეთ „თავისუფალ აზრში“ ნოე ჟორდანიას ფსევდონიმით აქვეყნებს ჭოლასადმი მიძღვნილ გამოსათხოვარ წერილს, რომელშიც საკმაოდ ვრცლად და, სხვათა შორის, ლიტერატურულად დამაჯერებლად საუბრობს ჭოლას სამწერლობო ტალანტზეც, მოიხსენიებს რა მას ჩვენში „კნუტ გამსუნის შკოლის“ ერთადერთ მწერლად. ამის შემდეგ ჭოლას შემოქმედებისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მოთხრობას „სახრჩობელის წინაშე“. შეიძლება ითქვას, რომ 1907 წელს დაწერილი ეს ნაწარმოები გამორჩეულია არამარტო ჭოლას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, არამედ მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურულ პროცესშიც. უნდა შეუფარავად აღინიშნოს, რომ ისევე როგორც არაერთი მარქსისტი მწერალი, ჭოლაც, ერთი მხრივ, თავის შემოქმედებას ღია პოლიტიკური პროპაგანდისათვის იყენებს და ამას არც არასდროს მალავს. ამ მხრივ „სახრჩობელის

წინაშე“ გამონაკლისს არ წარმოადგენს. პირიქით, ხსენებული თვალსაზრისით „სახრჩობელის წინაშე“ სწორედაც რომ ქოლას ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოლიტიკურად აქცენტირებული ნაწარმოებია, რომელიც ავტორისა და მთხრობელი პერსონაჟის პოლიტიკურ იდეოლოგიას თითქმის ყოველ წინადადებაში ქადაგებს. აქ უამრავჯერ მახვილდება ყურადღება პროლეტარიატზე, პროლეტარიატის საქმეზე, პროლეტარიატის მხრიდან არ დავიწყებაზე და ა.შ. რაც შეეხება ქოლას ერთგვარ „ალტერ ეგოს“, მთხრობელი პერსონაჟის, ჯეირან ვარდოსანიძის, სიტყვის ტექსტს, რომლის წარმოთქმასაც იგი სასამართლოზე აპირებს, მასში აშკარად და, ჩემი აზრით, მიზანმიმართულად გამჭვირვალედ იკითხება მარქსისტულ-რევოლუციური შეხედულებები და იდეოლოგიური დებულებები.

მაგრამ „სახრჩობელის წინაშე“, უპირველეს ყოვლისა, მაინც შთამბეჭდავი ლიტერატურული ტექსტია და არა შიშველი პარტიულ-პუბლიცისტური ნაშრომი. ნაწარმოებში უმწვავესად არის დასმული ეგზისტენციალური ხასიათის პრობლემები (რად ღირს ამ მხრივ თუნდაც თხზულების სათაური და ტექსტის ეპიგრაფი), გვხვდება მინიშნება დუმილის ესთეტიკაზე და ა.შ. ქოლა ლომთათიძის მოთხრობაში „სახრჩობელის წინაშე“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ცნობიერების ნაკადის“ ფენომენის გამოვლინება. საგულისხმოა, რომ ეს ლიტერატურული ფენომენი ქრონოლოგიური თვალსაზრისით ქოლასთან ვლინდება უკვე მაშინ, როცა ის თავად ევროპული მწერლობისთვისაც კი აშკარა სიახლეს წარმოადგენს. ხსენებულიდან გამომდინარე, ქართული ლიტერატურის ისტორიისთვის ამ თხზულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ჩემი აზრით, არსებობს ყველა საფუძველი იმისა, რომ მოთხრობა „სახრჩობელის წინაშე“ ქართულ პროზაში ერთ-ერთ პირველ სრულფასოვან მოდერნისტულ ნაწარმოებად მივიჩნიოთ.

ლიტერატურა:

- ან. /ჟორდანია, ნ./ (1915).** ქოლა. „გაზ. თავისუფალი აზრი“, 15 ნოემბერი 1915.
- საითიძე გ. (1999).** ქოლა ლომთათიძის მსოფლმხედველობის გაგებისათვის. „ჟურნ. ლიტერატურული ძიებანი, N20“).
- ძიგუა, მ. (2005).** ლიტერატურული წერილები. თბილისი: გამომცემლობა „ცოდნა“.
- ჭილაია, ს. (1986).** ოცნლეული (1921-1940): წლები და პრობლემები. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- XX საუკუნის ქართული ლიტერატურა. (2016). ნაწილი I. თბილისი: „GCLA Press“.

Chola Lomtadze's prose should be considered an important event in Georgian literature at the dawn of the twentieth century. Although there was no shortage of interest in his work after the writer's death, it should be noted with regret that his works received insufficient critical acclaim during his lifetime. The writer's political activism might have been one of the reasons. It is clear that he was recognized as an accountable socio-political figure, one of the leaders of the Social-Democratic movement and a member of the Russian Duma, which, at the same time, made it difficult for his contemporaries to perceive him as a serious literary author. However, it can be said that Chola's death was immediately followed by his appreciation as a writer: As early as November 15, 1915, in the newspaper "Tavisuphali Azri" ("Free Opinion) Noe Jordania, published a farewell letter dedicated to Chola under a pseudonym. In the letter he speaks extensively and convincingly about Chola's literary talent, referring him as the only writer of the "Knut Gamsun School" in Georgia. Since then, interest in Chola's literary heritage has grown and the process continues.

The story "In Front of the Gallows" has a special place in Chola Lomtatidze's work. It can be said that this work, written in 1907, is distinguished not only in the literary heritage of Chola but also in the Georgian literary process at the beginning of the twentieth century. It should be noted that, like many Marxist writers, Chola, on the one hand, uses his work for open political propaganda. "In Front of the Gallows" is no exception in this regard, but, on the contrary, "In Front of the Gallows" is one of the most politically accentuated works by Chola preaching the political ideology of the author and the narrator in almost every sentence. Often the focus is on the proletariat, the business of the proletariat not to get forgotten by the proletariat, etc. As regards the sort of Chola's alter ego – the narrator Jeiran Vardosanidze's speech text, which he intends to utter in court, it clearly and, in my opinion, purposefully reads as Marxist-revolutionary views and ideological provisions.

However, "In Front of the Gallows" is first and foremost an impressive literary text, not a naked partisan-publicist work. Problems of an existential nature are acutely posed in the work (even the title of the work and the epigraph are much worthy in this regard), there is a reference to the aesthetics of silence, etc. In Chola Lomtatidze's story "In Front of the Gallows," the manifestation of the "stream of consciousness" phenomenon deserves special attention. It is noteworthy that this literary phenomenon with Chola was revealed when it was an apparent novelty even for European writing. Based on the above, this work should be given profound importance to the history of Georgian literature. I think there is every reason to consider the story "In Front of the Gallows" as one of the first full-fledged modernist works in Georgian prose.

References:

An. /Zhordania N./. (1915). **Chola. Newspaper "Tavisupali Azri" (The Free View)**, November 15, 1915.

Chilaia S. (1996). The 20s (1921-1940): Years and Challenges. Tbilisi, "Tbilisi State University Press"

Dzigua M. (2005). Letters on Literature. Tbilisi, "Printing House: Knowledge".

Saitidze G. (1999). For Understanding Chola Lomtadze's vision. "Journal Literary Researches, N20".

XX Century Georgian Literature. (2016), Part I. Tbilisi: "GCLA Press".

იზიგუროს კლონები

ISHIGURO'S CLONES

დავით მაზიაშვილი

David Maziashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: იზიგურო, პლატონი, პოსტჰუმანიზმი,
კლონები

Keywords: Ishiguro, Plato, Posthumanism, Clones

ნობელიანტი ბრიტანელი მწერლის, კაზუო იშიგუროს, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული რომანი „არასოდეს გამიშვა“ 2005 წელს გამოქვეყნდა. ამ რომანმა ადამიანის იდენტობის თუ კლონირების ეთიკურ პრობლემატიკას ახალი ათასწლეულის ბრიტანულ ლიტერატურასა და მხატვრულ აზროვნებაში ახალი განზომილება შემატა. 2010 წელს რომანის კინემატოგრაფიული ვერსიაც გადაიღეს, რამაც ნაწარმოებში დასმულ საკითხებს უფრო ფართო აუდიტორია შესძინა. ამიტომ იშიგუროს რომანში ადამიანის კლონირების თემას, ადამიანებისა და კლონების იდენტობასა და მათი რეალობა-ირეალობის საკითხებს სამი მიმართულებით განვიხილავ:

1. კლონების იდენტობა და რეალობა;
2. პლატონის გამოქვაბულის ალეგორიის იშიგუროსეული რემინისცენცია;
3. ადამიანის, როგორც ბიბლიური კლონის ბედი სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ეპოქაში.

ლიტერატურა:

იშიგურო, კ. (2005). „არასოდეს გამიშვა“
მიტჩელი, დ. (2004). „ღრუბლიანი ატლასი“
პლატონი. (2003). „სახელმწიფო“: ნეკერი.

Nobel Prize winner contemporary British novelist Kazuo Ishiguro is one of the most remarkable figures in British and world literature. His notable works include not only novels but also variety of film scripts. The most famous fictions by Ishiguro include: “The Remains of the Day”, “When We were Orphans”, “Never Let Me Go”, “Klara and Sun” etc.

The goal of my paper is to study Ishiguro’s one of the well-known and popular novel “Never Let Me Go” (2005) from philosophical and socio-political standpoints, to learn interpretation of science and

arts, as well as of love and sexuality; and analyze the author's relation to Posthumanism. We can easily say that this fiction gave new dimension to the problem of ethics and identity of human cloning in the new millennium's British literature. For this purpose, I try to discuss the novel in three directions:

1. Identity and reality of clones;
2. Ishiguro's interpretation of Plato's Cave;
3. Fate of humans as biblical clones in the era of technology.

References:

Ishiguro, K (2005). "Never Let Me Go": ibook.

Mitchell, D (2004). "Cloud Atlas": ibook.

Plato (2003). "Republic": Nekeri.

ფოლკლორული მოტივები ვახუშტი
ბაგრატიონის ნაშრომში „აღწერა
სამეფოსა საქართველოსა“

FOLKLORE MOTIFS IN VAKHUSHTI BAGRATIONI'S
WORK "DESCRIPTION OF THE KINGDOM
OF GEORGIA"

ხვთისო მამისიმედიშვილი

Khvtiso Mamisimedishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ვახუშტი ბაგრატიონი, ქართული
ფოლკლორისტიკა, ლეგენდები, ხალხური
ეტიმოლოგია

Keywords: Vakhushti Bagrationi, Georgian folklore, legends,
folk etymology

ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე თავისი ფასდაუდებელი მნიშვნელობით ერთ-ერთი გამორჩეული ნაშრომია ვახუშტი ბაგრატიონის წიგნი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც ქართული ჰუმანიტარული თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერების მრავალი დარგისთვის უაღრესად მდიდარ და მნიშვნელოვან მასალას შეიცავს. იგი წარმოადგენს ძვირფას წყაროს როგორც საქართველოს, ისე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიის, ეთნოგრაფიისა და გეოგრაფიის შესასწავლად.

ცხადია, რომ „აღწერა სამეფო საქართველოსა“ ვახუშტიმ დაწერა წინასწარშერჩეული გეგმითა და მეთოდოლოგიით. ის ხელმძღვანელობს შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მეთოდით და ნაშრომში იყენებს როგორც ისტორიულ წყაროებს, ისე ინფორმატორთა ცნობებს კონკრეტული კუთხის ტოპონიმების, ციხე-ქალაქების, ხალხური ყოფის, სიძველეების, რელიგიური სინამდვილისა და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის გადმოსაცემად. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ისტორიული შინაარსის ლეგენდებს, ქრისტიანულ სასწაულებს, ხალხურ ეტიმოლოგიას. საქართველოს თითოეული კუთხის მცხოვრებთა აღწერას საფუძვლად უდევს წიგნის ავტორის ღრმა ცოდნა და განსწავლულობა, ერუდიცია და დაკვირვების ხანგრძლივი პრაქტიკა.

ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფო საქართველოსა“, როგორც ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი, უაღრესად საინტერესოა ასევე ფოლკლორისტიკის თვალსაზრისით. ავტორისეული თხრობა ხშირად ზეპირ გადმოცემებს ემყარება. წიგნში ის იყენებს ფოლკლორული ჟანრების ამსახველ ტერმინოლოგიას და ხალხური ტექსტების მოქმელ-შემსრულებელთა სახელწოდებებს.

ვახუშტის ნაშრომში საქართველოს წმინდა ადგილებთან, სალოცავებსა და მეფეთა მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ამბებს აშკარად ეტყობათ ზეპირსიტყვიერების გავლენის კვა-

ლი, ზოგიერთი ეპიზოდი კი უშუალოდ ფოლკლორული ტრადიციით საზრდოობს.

ავტორის ცნობებს რომ ხშირად ხალხური ტრადიცია უდევთ საფუძვლად, დაადასტურა მოგვიანო პერიოდში გამოვლენილმა და ჩანერილმა ზეპირსიტყვიერმა მასალამაც. აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, ვახუშტი ბაგრატიონი საკმაოდ განსწავლული ყოფილა ზეპირსიტყვიერებაში და ის კარგად იცნობდა ქართველი ხალხის ფოლკლორულ შემოქმედებას.

ვახუშტი თავის ნაშრომში გვანვდის ცნობებს ყველა იმ კუთხის შესახებ, რომლებიც ისტორიულად საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში შედიოდა. შესაბამისად, ვახუშტი „აღწერაში“ მოგვითხრობს აფხაზების, ჩერქეზების, ოსების, ლილველების, ქისტების, დიდოელების, ნეს-ჩვეულებების, ხალხური შემოქმედების ცალკეული ელემენტისა და რელიგიური რწმენის შესახებ.

გეოგრაფიული სახელების ახსნა-განმარტებისას ვახუშტი ხშირად მიმართავს ხალხური ეტიმოლოგიის მონაცემებს. აქედან გამომდინარე, კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილებთან დაკავშირებით ნაშრომში ვხვდებით ტოპონიმურ გადმოცემებს. ვახუშტის „აღწერაში“ მოჰყავს ხალხური ლექსებისა და სიმღერების ფრაგმენტები. ის იყენებს ხატოვან სიტყვა-თქმებსა და ანდაზებს, მათ შორის ისეთ ანდაზებსაც, რომლებმაც ჩვენამდე ზეპირი სახით ვეღარ მოაღწია.

ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში დადასტურებულ ფოლკლორულ მოტივებსა და სიუჟეტებს ფოლკლორისტიკის ისტორიისთვის აქვს უაღრესად მაღალი მეცნიერული ღირებულება, რადგან ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების სისტემური ჩანერა დაიწყო მხოლოდ XIX საუკუნის II ნახევრიდან. ამდენად, ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძველ წყაროს ქართული ფოლკლორული შემოქმედების შესასწავლად.

ლიტერატურა:

- ახვლედიანი, გ. (1990).** „ქართლის ცხოვრების“ ფოლკლორული წყაროები, თბილისი: „საქართველო“.
- ბაგრატიონი, ვ. (1973).** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ჯაგოდნიშვილი, თ. (2004).** ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

Vakhushti Bagrationi's book "Description of the Kingdom of Georgia" is one of the most outstanding works in the field of Georgian culture and science, which contains extremely rich and important material for many fields of Georgian humanities and natural sciences. It is a valuable source for studying the history, ethnography and geography of both the peoples of Georgia and the North Caucasus.

It is clear that Vakhushti Bagrationi wrote the "Description of the Kingdom of Georgia" with a pre-selected plan and methodology. He is guided by the method established in medieval historiography and uses both historical sources and informants in conveying toponyms, fortress-towns, folklore, antiquities, religious shrines, and the agricultural activities of the population. An important place in the work is occupied by legends of historical content, Christian miracles, folk etymology. The description of the inhabitants of each corner of Georgia is based on the deep knowledge and learning of the author of the book, his erudition and long practice of observation.

Vakhushti Bagrationi's "Description of the Kingdom of Georgia", as an encyclopedic work, is very interesting also from the point of view of folklore. Authorial narratives are often based on oral tradition. In the book he uses the terminology of folk genres and the names of the speakers and performers of folk texts.

In Vakhushti Bagrationi's work, the stories related to the holy places of Georgia, shrines and the work of kings are clearly traces of the influence of oral tradition, and some episodes are directly nurtured by the folk tradition.

The fact that the author's information is often based on folk tradition was also confirmed by the oral material revealed and recorded in a later period. Therefore, we must think that Vakhushti Bagrationi was quite educated in oral tradition and he was well acquainted with the folklore of the Georgian people.

In his work Vakhushti Bagrationi provides information about all the corners that were historically part of the united feudal monarchy of Georgia. Accordingly, Vakhushti in the "Description" tells about the customs of Abkhazians, Circassians, Ossetians, Ghilghvalians, Kists, Didoelians, certain elements of folklore and religious beliefs.

When explaining geographical names, Vakhushti Bagrationi often refers to the data of folk etymology. Therefore, we find toponymic references in the paper regarding specific geographical places. Vakhushti in his "Description" quotes fragments of folk poems and songs. He uses figurative words and proverbs, including proverbs that could not have reached us orally.

The folklore motifs and stories confirmed in the work of Vakhushti Bagrationi have a very high scientific value for the history of folklore, because the systematic recording of Georgian oral samples began only in the second half of the XIX century. Thus, Vakhushti Bagrationi's "Description of the Kingdom of Georgia" is one of the oldest sources for the study of Georgian folklore.

References:

Akhvlediani, G. (1990). "Kartlis Tskhovrebi" folkloruli ckaroebi. [Folklore sources of "Kartlis Tskhovreba"]. Tbilisi: "Sakartvelo"

Bagrationi, (V). (1973). Agtsera samefosa sakartvelosa, Kartlis Tskhovreba, Tomi IV, [Description of the Kingdom of Georgia, Kartlis Tskhovreba (History of Georgia), Volume IV, Edited by S. Kaukhchishvili]. Tbilisi: "Sabtsota Sakartvelo"

Jagodnishvili, T. (2004). Kartuli folkloristikis istoria. [History of Georgian Folkloristik]. Tbilisi: "Tbilisi State University Publishing House"

რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა
ამიერკავკასიაში მე-19 საუკუნეში

RUSSIAN COLONIAL POLICY IN THE CAUCASUS
DURING THE 19TH CENTURY

ანა მანაგაძე

Ana Managadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანო სიტყვები: რუსეთის იმპერია, საქართველო,
კოლონიალური პოლიტიკა

Keywords: Russian Empire, Georgia, Colonial Policy

XIX საუკუნის პირველ ნახევარში კავკასიელები რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის იმპერია ცეცხლითა და მახვილით ამყარებდა თავის ბატონობას, დამორჩილებულ ამიერკავკასიაში გადაწყვეტილ იქნა, გაეტარებინათ რიგი რეფორმები, რათა მომხდარიყო ამიერკავკასიის საბოლოო ინტეგრაცია იმპერიაში. უზენაესი ხელისუფლების მიზანი იყო ეს იმპერიის მეტროპოლია გადაექცია ისეთ მხარედ, რომელიც პოლიტიკურად სანდო იქნებოდა, ხოლო ეკონომიკურად – მაქსიმალურად მომგებიანი. ამ პროგრამის განხორციელებას ცარიზმი ცდილობდა სხვადასხვა გზით, რომელთა შორის, უმთავრესს ქვეყნის კოლონიზაცია და რუსიფიკაცია წარმოადგენდა. სამხედრო დასახლებები ძირითადად მთელ კავკასიაში რუსული კოლონიის განმტკიცების მიზნით იყო შექმნილი. საქართველოს სამხედრო გზის უზრუნველყოფის მიზნით მასზე სამხედრო მოსახლეობის დაბინავებას შეუდგნენ. დაბებიდან დროთა განმავლობაში მთელი სოფლები იქმნებოდა, რომლებსაც სინორს უწოდებდნენ, ასეთებია მანგლისი, Белый Ключ (თეთრი წყარო), Царские Колонцы (დედოფლისწყარო), გომბორი, ლაგოდეხი და სხვ. ნაშრომში განხილულია და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოგვაქვს ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი ავტორების ნაშრომები.

In the first half of the 19th century, Caucasians fought against the Russian Empire for keeping the independence. In the North Caucasus, the Russian Empire was consolidating its dominance with fire and sword, in the subjugated Transcaucasia it was decided to carry out a number of reforms in order to achieve the final integration of the Transcaucasia into the Empire. The goal of the supreme power was to turn this metropolis of the empire into a party that would be politically credible and economically as profitable as possible.

Implementation of this program, Tsarism attempted through the various ways, the most important of which were the colonization and Russification of the country. Military settlements were established mainly throughout the Caucasus to strengthen the Russian colony. In order to provide the Georgian military road, the military population was accommodated on it. During some period, from the small towns the whole villages were formed, which were called Sinor, such as Manglisi, Белый Ключ, (White Spring), Царские Колодцы (Dedoplistskaro), Gombori, Lagodekhi and etc. The present topic discusses and introduces works of authors unknown to Georgian historiography into the scientific movement.

ნიკოლოზ ბარათაშვილის
ლიტერატურული მემკვიდრის საკითხი
THE ISSUE OF NIKOLOZ BARATASHVILI'S LITERARY
SUCCESSOR

ლადო მინაშვილი
Lado Minashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ლიტერატურა, ნიკოლოზ
ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე
Keywords: Georgian literature, Nikoloz Baratashvili, Ilia
Chavchavadze

ნიკოლოზ ბარათაშვილის პიროვნებისა და პოეზიის შესწავლა-დახასიათებისადმი იმთავითვე გამოვლინდა განსაკუთრებული ინტერესი. დაგროვდა დიდძალი კრიტიკული და სამეცნიერო ლიტერატურა. ასე რომ, ძალზე საშურია ნ. ბარათაშვილის შესწავლის საკუთრივი ისტორიის დაწერა. გენიალური პოეტის შესწავლის გზაზე წამოჭრილ პრობლემატიკაში ძალზე მნიშვნელოვანია ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრის საკითხი. ეს საკითხი პირველად დასვა აკაკი წერეთელმა. აღორძინების ხანიდან მოყოლებული ქართულ პოეზიაში იგი ერთადერთ ნიკოლოზ ბარათაშვილს ცნობდა, რომელსაც ქვეყნის ტკივილით სტკიოდა გული და მის მომავალზე ფიქრობდა; ხოლო ნ. ბარათაშვილის ერთადერთ მემკვიდრედ ამ მხრივ მის მოკანანახედ აღიარებდა ილია ჭავჭავაძეს. აკაკი წერეთელი, როგორც დიდი სამოციანელი, ეპოქის მოთხოვნებით სულდგმულობდა და ამ მოთხოვნათა შესაბამისად ილია ჭავჭავაძეს იდეურად მიიჩნევდა ნ. ბარათაშვილის მემკვიდრედ, მისი აზრების განმავითარებლად.

საკითხს ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრის შესახებ უკვე მე-19 საუკუნის 90-იან წლებში შეეხო მეორე დიდი სამოციანელი, ილია ჭავჭავაძე. ილია ნ. ბარათაშვილს განიხილავს გოეთეს, ბაირონის, ლერმონტოვის...გარემოცვაში, მათ გვერდით, რითაც იმაზეც თვალნათლივ მიუთითებს, რომ, ილიას მიხედვით, ნ. ბარათაშვილი გენიალური შემოქმედია, ხოლო გენიოსებს ძნელად ჰყავთ მემკვიდრე; ისინი ან უმემკვიდროდ რჩებიან, ან უიშვიათესად ტოვებენ გზის გამგრძელებელს. ერთი სიტყვით, ილია უკვე იდეურ მემკვიდრეზე კი არ მსჯელობს, არამედ ნ. ბარათაშვილის ტიპის, მისი სულით მონათესავე მემკვიდრეზე. ილია ძალიან ფრთხილად იმასაც მიაჩნებდა, რომ ბოლო დროს გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა, რომელმაც რამდენიმე მაგალითი გვიჩვენა იმისა, რომ სურს ნ. ბარათაშვილის კვალში ჩადგომა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არაა საკმარისი პირობა, რომ იგი ნ. ბარათაშვილის მემკვიდრედ გამოვაცხადოთ. ილიამ სავსებით შეგნებულად

არ დაასახელა ეს ახალგაზრდა. მიუხედავად ილია ჭავჭავაძის სიფრთხილისა, მისი მინიშნება გახდა იმის საფუძველი, რომ შესანიშნავმა პოეტმა და ლიტერატორმა, ტიცინან ტაბიძემ, განაცხადა, რომ ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდა პოეტში ვაჟაფშაველას გულისხმობდა. გარკვეული ავტორებისათვის ტიცინანის ეს აზრი მისაღები აღმოჩნდა.

XXსაუკუნეშიამ პრობლემის შესახებ მსჯელობა გაგრძელდა. ამ მხრივ საინტერესო მოსაზრებები, დაკვირვებები, მეტნაკლებად სარწმუნო პარალელები წარმოადგინეს პავლე ინგოროყვამ, სიმონ ჩიქოვანმა, აკაკი თოფურია და სხვებმა. ნიკოლოზ ბარათაშვილის ქეშმარიტი პოეტური მემკვიდრის ბუნებით, სულით მონათესავე მისი კონგენიალური შემოქმედის მეცნიერული ჩვენება-დახასიათების თვალსაზრისით დიდი დამსახურება მიუძღვის გამორჩეულ ქართველ მეცნიერს, გრიგოლ კვიციანიძეს. მის ფუნდამენტალურ წიგნში „მეტყველების სტილის საკითხები“ (1957 წელი) მეცნიერულ ენაზეა დასაბუთებული, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ქეშმარიტი სულიერი მემკვიდრე გალაკტიონ ტაბიძეა. გრიგოლ კვიციანიძე საგანგებოდ მიუთითებს იმ ძირითად თავისებურებებზე, რაც ამ ორ გენიოს შემოქმედს ანათესავებს ერთმანეთთან.

From the very beginning, a special interest was shown in the study of Nikoloz Baratashvili's personality and poetry. Accumulated vast scientific literature. The issue of Nikoloz Baratashvili's literary successor is very important in the problems arising on the way of studying the works of the genius poet. This issue was first raised by Akaki Tsereteli. In Georgian poetry since the Renaissance, he considered Nikoloz Baratashvili to be the only poet who thought about the future of the country. Ilia Chavchavadze was recognized as the only successor of Nikoloz Baratashvili. Akaki Tsereteli was inspired by the demands of the epoch and in accordance with these demands he

considered Ilia Chavchavadze as the successor of Nikoloz Baratashvili, to develop his thoughts.

Ilia Chavchavadze addressed the issue of Nikoloz Baratashvili's poetic successor in the 90s of the nineteenth century. Ilia considers Nikoloz Baratashvili next to Goethe, Byron, Lermontov, next to them, which clearly indicates that, according to Ilia, Nikoloz Baratashvili is a genius creator, and geniuses rarely leave heirs. They are either left without an heir, or rarely leave a successor. In a word, Ilia is not talking about an ideological successor, but about Nikoloz Baratashvili's type, his soulmate. Ilia was also very careful in pointing out that recently a young man appeared who showed several examples of wanting to follow in the footsteps of Nikoloz Baratashvili, although this is still not a sufficient condition to declare him Baratashvili's successor. Ilia did not quite consciously name this young man.

Despite Ilia Chavchavadze's caution, his reference became the basis for the remarkable poet and writer Titian Tabidze to say that Ilia Chavchavadze meant Vazha-Pshavela in the young poet. For some authors, Titian's opinion was acceptable. Discussions about this problem continued into the twentieth century. Interesting opinions, observations, more or less credible parallels were presented by Pavle Ingorokva, Simon Chikovani, Akaki Topuria and others. In terms of characterizing Nikoloz Baratashvili's true poetic heir, great credit goes to the outstanding Georgian scholar Grigol Kiknadze. In his fundamental book "Issues of Speech Style" (1957) it is scientifically substantiated that Galaktion Tabidze is the true spiritual heir of Nikoloz Baratashvili. Grigol Kiknadze especially points out the main features that make these two geniuses related to each other.

ღვთაება ნემესისის კულტი გვიან
ანტიკური პერიოდის ქართლში

THE CULT OF THE DEITY NEMESIS OF THE PERIOD
OF LATE ANTIQUITY IN KARTLI

მარია მშვილდაძე

Marika Mshvildadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: რელიგია, ისტორია, პოლიტიკა,
გლიპტიკა

Keywords: religion, history, politics, engraved gems

ნემესისი ერთ-ერთი უძველესი და პატივდებული – ბედის განმასახიერებელი ღვთაება იყო ძველ საბერძნეთში. იგი სამართლიანი შურისძიების ქალღმერთად გვევლინება. მის მოვალეობას დანაშაულისათვის დასჯა (სიკვდილი), მოკვდავთა შორის სიკეთის თანაბრად გადანაწილება... წარმოადგენდა. ძველ რომში ღვთაება წარმოადგენდა ერთგვარ „იმპერიის ფორტუნას“, რომელიც, ერთი მხრივ, იმპერიის შურისძიებას, ხოლო, მეორე მხრივ, იმპერიის მიერ სუბსიდირებულ საჩუქრებს არიგებდა.

გვიანანტიკურ ხანაში ნემესისის კულტი საქართველოს ტერიტორიაზე ქართლის (იბერია) სამეფოში – დიდი მცხეთის, ურბნისისა და ჟინვალის ტერიტორიებზე ფიქსირდება. კერძოდ, აქ აღმოჩენილ გემა-ინტალიოებზე, რომლებიც ძირითადად საშუალო ფენის მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი. აღმოჩენილი შვიდი ინტალიოდან სამი – რკინის, ერთი – ბრინჯაოს, ორი – ვერცხლის, ხოლო ერთი ოქროს ბეჭედშია ჩასმული. ინტალიოები მასობრივი პროდუქციის ნიმუშებს წარმოადგენს, რომლებიც არ განსხვავდება გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი მასობრივი პროდუქციის ნიმუშებისგან. ბეჭდები და ინტალიოები ახ. წ. II-III სს.-ით თარიღდება. მხოლოდ ერთ ოქროს ბეჭედში ჩასმული ინტალიო თარიღდება III-IV სს.-ით.

ნემესისის გამოსახულებიანი ინტალიოების კვლევის შედეგად დგინდება, რომ ქართლის სამეფოში გავრცელებულია ანტიკური წარმართული პანთეონი. აშკარაა, რომ ქართლი ანტიკური ოიკუმენის ნაწილია, რაც ასახულია კიდევ ჭრილა ქვებზე. ღვთაება ნემესისის გამოსახულებიანი ბეჭდები შემოდის სწორედ იმ დროს, რომელ პერიოდშიც რომის იმპერიაშია პოპულარული ეს ღვთაება II-III სს.

ლიტერატურა:

ლორთქიფანიძე, მ. (1958). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები, II, თბილისი: „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი“.

ჯავახიშვილი, ქ. (1972). ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბილისი: „მეცნიერება“.

მშვილდაძე, მ. (2021). დიდი მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალში დაცული გვიანანტიკური ხანის გლიპტიკური ძეგლები, მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, VI-VII, თბილისი: „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“. გვ. 452-469. ISSN – 1512-0872.

Nemesis was one of the most ancient and revered deities in ancient Greece. She appears to be the goddess of just revenge. Its duty was the punishment (death) for a crime, and distribution of kindness equally among mortals ... In ancient Rome, the deity was a kind of “empire fortune” which, on the one hand, avenged the empire and, on the other hand, distributed gifts subsidized by the empire.

In late antiquity, the cult of Nemesis was recorded on the territory of Georgia in the Kingdom of Kartli (Iberia) – on the territory of Greater Mtskheta, Urbnisi and Zhinvali. In particular, the intaglios found here, which were mainly used by the middle class population. Of the eight intaglios found here, four are encased in iron, one in bronze, two in silver, and one in gold. Intaglios are mass-produced specimens that do not differ from the mass-produced specimens, characteristic of late antiquity. Seals and insignia date back to II-III centuries. Only one intaglio incased in a gold ring belongs to the III-IV centuries.

As a result of the research of the intaglios with the image of Nemesis, it has been established that the ancient pagan pantheon is spread in the Kingdom of Kartli, it is obvious that Kartli is a part of the ancient ecumene. which is reflected even in the cut stones. Rings with the image of the deity Nemesis enter Kartli at the very time when this deity was popular in the Roman Empire of II-III centuries.

References:

- Lordkipanidze M. (1958).** Sakartvelos saxelmtsipo muzeumis moambe, II. Tbilisi: „saqartvelos saxelmwifo muzeumi“. [Gems from Georgian National Museum, II, Tbilisi: „Georgian National Museum“].
- Javakhishvili K. (1972).** Urbnisis nakalakariss gliptikuri dzeglebi, Tbilisi: „Mecniereba“. [Glyptic Monuments of Urbnisi. Tbilisi: „Mecniereba“ (Science)].
- Mshvildadze M. (2021).** Didi Mtskhetis arkeologiur museum-nkrdzalshi daculi gvian antikuri xanis gliptikuri dzeglebi. Muzeumi da kulturuli memkvidreoba, VI-VII. Tbilisi. „Sakartvelos kulturuli memkvidreobis dacvis saagento“. p.452-469.[Glyptic monuments of Late Antique period, preserved in Mtskheta Museum-Reserve. Museum and Cultural Heritage, VI-VII, Tbilisi, p.452-469. „National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia“]. ISSN – 1512-0872.

ყვარყვარე IV-ის კონფესიური
დიპლომატია (ახლებური წაკითხვა)
CONFESSIONAL DIPLOMACY OF QVARQVARE IV
(INNOVATIVE READING COMPREHENSION)

მურმან პაპაშვილი
Murman Papashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ყვარყვარე IV, კონფესიური
დიპლომატია, პროტესტანტები
Keywords: Qvarqvare IV, Confessional Diplomacy,
Protestants

ისტორიოგრაფიაში ცნობილია, რომ ოსმალთა ჯარის სარდალმა, ლალა მუსტაფა ფაშამ, 1579 წლის 20 აპრილს სამცხის ათაბაგი ყვარყვარე IV (1574-1581) და მისი ძმა მანუჩარი სტამბოლში გაგზავნა, რათა სამთავროს პოლიტიკური მომავალი სულთანს მათ მიერ მუსლიმობის მიღების საფუძველზე გადაეწყვიტა. ძმები სულთნის კარზე აღნიშნული წლის 3 ივნისს დიდი პატივითა და ზეიმით მიიღეს, თუმცა ყვარყვარემ, მანუჩარისაგან განსხვავებით, უარი თქვა მუსლიმობის მიღებაზე.

პირველწყაროების საფუძველზე ირკვევა, რომ სტამბოლში ყვარყვარეს მიმართ ძალდატანებისათვის არ მიუმართვათ. პირიქით, სულთანმა, მურად III-მ, სამთავროს მმართველის დედისიმედის სათხოვარი, რომ მისი შვილისათვის, ყვარყვარესათვის, ქრისტიანობა შეენარჩუნებინათ, დააკმაყოფილა და ზოგიერთი პრივილეგიაც უბოძა.

ევროპული პირველწყაროების თანახმად, ოსმალეთში მყოფმა ყვარყვარე IV-მ დიპლომატიური კავშირი გააბა კონსტანტინოპოლში აკრედიტებულ ჰაბსბურგთა საელჩოსთან. ეს მიანიშნებს, რომ ორივე მხარე თანაბრად იყო დაინტერესებული, მაგრამ ინიციატივა ყვარყვარესაგან მოდიოდა. ეს უკანასკნელი შეეცადა ჰაბსბურგთა საელჩოსთან დაკავშირებას, რაც მიზნად ისახავდა: პირველი, ჰაბსბურგთა საელჩოსთან კონფესიური კავშირის მეშვეობით მიეღო ინფორმაცია ირან-ოსმალეთის მიმდინარე ომისადმი ევროპის ანტიოსმალურ ძალთა დამოკიდებულებაზე და მეორე, ლუთერის რეფორმაციით დაინტერესებული ყვარყვარე გარკვეულიყო პროტესტანტიზმის მოძღვრების არსში.

ყოველივე ეს აიხსნება მხოლოდ იმ საღვთისმეტყველო ნერილობითი დიალოგის საფუძველზე, რომელიც 1573-1581 წლებში მიმდინარეობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქ იერემია II-სა (1536-1595) და ლუთერან თეოლოგებს შორის. ამ უკანასკნელთა მიზანი იყო სამოციქულო ტრადიციის ერთგული დამცველი აღმოსავლური მართლმადიდებელი ეკლესია

დამოწმებინათ კათოლიკობასთან ბრძოლაში, ანუ პაპის გარეშე არსებულ აღმოსავლურ მართლმადიდებელ ეკლესიას კათოლიკეებთან ბრძოლაში მხარი დაეჭირა ლუთერანებისათვის. ამ კონტექსტში კათოლიკეების წინააღმდეგ დავაში ყვარყვარესთან კონტაქტის დამოწმება მყარ არგუმენტად გამოდგებოდა მართლმადიდებლობისა და ლუთერანობის იდენტობის წარმოსაჩენად. რამდენადაც სულტანი მურად III პროტესტანტებში ხედავდა რომის პაპისა და საღვთო იმპერიის წინააღმდეგ პოტენციურ მოკავშირეს, სულტნის კარი მიესალმებოდა კიდევაც ყვარყვარეს კავშირს პროტესტანტებთან.

ლიტერატურა:

ტაბალუა, ი. (1984). საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბილისი: „მეცნიერება“.

Gabriel, G. (2008). Dialogul dintre teologia cuvântului și teologia misterului. Corespondența dintre teologii luterani de la Tübingen și Patriarhul Ieremia al II-lea-1573-1581, Studia Universitatis Babeș- Bolyai. Theologia Orthodoxa. Anul LIII, 2, 53-72, Romania.

It is known in historiography that Lala Mustafa Pasha a commander of the Ottoman military sent Atabeg of Samtskhe Qvarqvar IV (1574-1581) and his brother Manuchar to Istanbul on April 20, 1579 as the Sultan decided the political future of the principality on the basis of their converting to Islam. The brothers were treated with honor and solemnity at the Sultan's court on June 3 in the above-mentioned year but unlike Manuchar Qvarqvar refused to convert to Islam.

On the basis of the primary sources and the newest special literature, it is found out that they did not force him to convert in Istanbul. On the contrary, the Sultan Murad III met the request of Dedismedi the ruler of the principality as to maintain Christianity for her son Qvarqvar and granted him some privileges.

In accordance with European primary sources, Qvarqvare IV being in the Ottoman Empire established a diplomatic intercourse with the Habsburg embassy accredited in Constantinople. It seems that both parties were equally interested in it but the initiative was taken from Qvarqvare. The latter tried to connect with the Habsburg embassy the aims of which were: the first, by means of confessional relations with the Habsburg embassy he tried to get information about the attitude of European anti-Ottoman forces towards the current Ottoman-Persian War, and the second, being interested in Luther's reformation Qvarqvare made the essence of the doctrine of Protestantism clear.

All of these are only explained on the basis of the theological written dialogues which were carried on between Jeremiah II, Patriarch of Constantinople (1536-1595) and Lutheran theologians in 1573-1581. The aim of the latter was to confirm the Eastern Orthodox Church loyal protector of the apostolic tradition to be engaged in a struggle with Catholicism, that is to say the Eastern Orthodox Church being without a pope ought to have supported the Lutherans in the struggle against Catholics. Within this context engaged in an argument with Catholics confirmation of coming into contact with Qvarqvare would have proved as a solid argument to present the identity of Christianity and Lutheranism. Insofar as the Sultan Murad III saw the potential ally in Protestants against the Pope and the Holy Roman Empire, the Sultan's court even welcomed Qvarqvare's contact with Protestants.

References:

Tabaghua, I. (1984). Sakartvelo Evropis arkivebsa da cignsacavebshi (XIII-XVI ss.). [Georgia in the European archives and depositories (XIII-XVI cc.), Tbilisi: "Mestniereba".

Gabriel, G. (2008). Dialogul dintre teologia cuvântului și teologia misterului. Corespondența dintre teologii luterani de la Tübingen și Patriarhul Ieremia al II-lea-1573-1581, *Studia Universitatis Babeș- Bolyai. Theologia Orthodoxa*. Anul LIII, 2, 53-72, Romania.

**უცნობი ავტორის „ეუსთათი მცხეთელის
მარტვილობა“ და იოანე საბანიძის
„აბო თბილელის წამება“ – ტიპოლოგიური
ანალიზი**

**THE MARTYRDOM OF EUSTATHIUS OF MTSKHETA
BY AN UNKNOWN AUTHOR AND THE MARTYRDOM
OF ABO OF TBILISI BY IOANE SABANISDZE –
TYPOLOGICAL ANALYSIS**

ნინო პოპიაშვილი

Nino Popiashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული ჰაგიოგრაფია, პროზელიტიზმი,
ტიპოლოგიური ანალიზი

Keywords: Georgian hagiography, proselytism, typological analysis

ქართული ჰაგიოგრაფია, როგორც ქართული ლიტერატურის განვითარების საფუძველი, მდიდარ და მრავალფეროვან ლიტერატურულ ტრადიციას ქმნის. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ჟანრობრივი კლასიფიკაციისას მნიშვნელოვანია გამოვყოთ ტრადიციულ ჟანრებთან ერთად, როგორებიცაა „წამებანი“ და „ცხოვრებანი“, დამატებითი მახასიათებლები და ასპექტები, მაგალითად, პროზელიტური ჟანრის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები.

უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ და იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ პროზელიტური ჟანრის ნაწარმოებებია. ამ თხზულებებში აღწერილია არაქართველთა, უცხოელთა პროზელიტიზმი, რომელიც სწორედ ამიტომ იქცა წამების საბაბად. ორივე თხზულება მეცნიერთა ფართო შესწავლის საგანია და მრავალმხრივ არის გამოკვლეული, შესწავლილია თხზულებების ტექსტოლოგიური, ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურის თეორიის სხვადასხვა საკითხი.

მოხსენებაში ვისაუბრებთ უცნობი ავტორის „ევსტათი მცხეთელის მარტვილობისა“ და იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამების“ ტიპოლოგიურ ასპექტებზე. ყურადღებას გავამახვილებთ პროზელიტი პერსონაჟების ასახვის მოდელში შინაარსობრივ, სტრუქტურულ, აზრობრივ და ფრაზეოლოგიურ სიახლოვესა და დამთხვევებზე.

ლიტერატურა:

Acts of the Martyrs (2005). Cross, F. L., ed. Acts of the Martyrs, The Oxford dictionary of the Christian church. New York: Oxford University Press.

Galley, S. (2005). Jüdische und christliche Heilige — Ein Vergleich. Zeitschrift Für Religions- Und Geistesgeschichte, 57(1), 29-47.

პოპიაშვილი, ნ. (2020) (ა). პროზელიტიზმი ჰაგიოგრაფიულ ტექსტში: კლასიფიკაცია და ნაციონალური თავისებურებები, ჟურნ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XXII, გვ. 101-112. თბილისი:

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი“.

პოპიაშვილი, ნ. (2020) (ბ). ქართული ჰაგიოგრაფიის ჟანრული შედგენილობა და პარადიგმული სისტემა, ჟურნ. ქართველოლოგი, #28, გვ. 63-76, თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.

პოპიაშვილი, ნ. (2021) (ბ). ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ტიპოლოგიური მოდელის განსაზღვრისათვის, ჟურნ. „სჯანი“, #22, გვ. 209-226, თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა.

Georgian hagiography, as the basis for the development of Georgian literature, creates a rich and varied literary tradition. In the genre classification of Georgian hagiographic monuments, it is important to single out, along with traditional genres such as “martyrdoms” and “lives”, additional characteristics and aspects, for example, hagiographic works of the proselytizing genre.

The Martyrdom of Eustathius of Mtskheta by an unknown author and The Martyrdom of Abo of Tbilisi by Ioane Sabanisdze belong to the works of the proselytizing genre. These works describe the proselytism of non-Georgians, foreigners, which is why it has become a reason for martyrdom. Both works are the subject of extensive study by scientists and have been thoroughly researched, various issues of textual criticism, history of literature and literary theory of works have been studied.

The report will focus on the typological aspects of the works the Martyrdom of Eustathius of Mtskheta by an unknown author and the Martyrdom of Abo of Tbilisi by Ioane Sabanisdze. We will pay special attention to the content, structural, semantic and phraseological similarities and coincidences in the proselyte character portrayal model.

References:

- Acts of the Martyrs (2005).** Cross, F. L., ed. Acts of the Martyrs, The Oxford dictionary of the Christian church. New York: Oxford University Press.
- Galley, S. (2005).** Jüdische und christliche Heilige — Ein Vergleich. Zeitschrift Für Religions- Und Geistesgeschichte, 57(1), 29-47.
- Popiashvili, N. (2020) (a).** Prozelitizmi hagiografiul tekstshi [Proselytism in a Hagiographic Text: Classification and National Peculiarities]. "Kartuli Tskarotmtsodneoba", XXII, pp. 101-112, Tbilisi: "Ivane Javakhsishvili Institute of History and Ethnology".
- Popiashvili, N. (2020) (b).** Kartuli hagiografiis zhanruli shedgeniloba da paradigmul sistema, [Genre Composition and Paradigmatic System of Georgian Hagiography]. Kartvelologi, The Kartvelologist – Jurnal of Georgian Studies, #28, pp. 63-76. Tbilisi: "Tsu Press".
- Popiashvili, N. (2021).** Hagiografiuli natsarmoebis tipologiuri modelis gansazgvrisatvis [For the Definition of the Typological Model of Hagiographic Work]. Sjani, #22, 83. 209-226. Tbilisi: "Literature Institute Press".

**ხელოვნება, როგორც მეტაფიზიკის
პირველადი ბუნებრივი ფორმა**

**THE ART AS THE FIRST NATURAL FORM
OF METAPHYSICS**

ვალერიან რამიშვილი

Valerian Ramishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of humanitarian sciences

საკვანძო სიტყვები: ხელოვნება, მეტაფიზიკა,
დაუფარაობა(ალეთეა) ყოფიერება, დასაბამი
Keywords: Art, metaphysics, unconcealment (alethea),
the Being, beginning (ursprung)

დასავლური აზროვნების ტრადიცია პლატონის, კანტიისა და ჰუსერლის სახით გეომეტრიაში ხედავდნენ მეცნიერულობის იდეალს, იგი ყველაზე უკეთ გამოხატავდა აზროვნების არსს, რომელსაც უნდა დამსგავსებოდა ფილოსოფიაც. ჰაიდეგერი სხვა გზით მიდის, იგი ფილოსოფიის და ხელოვნების სიახლოვეს უსვამს ხაზს, მას სურს დაინახოს ფილოსოფიასა და ხელოვნებას შორის არსებული უფრო ფარული და ღრმა კავშირი.

ჰაიდეგერი თვლის, რომ ხელოვნება და ხელოვნების ქმნილების ყოფნის წესი ეფუძნება ყოფიერების, როგორც ალეთეას, ხდომილებას. ეს ნიშნავს, რომ ყოფიერება, როგორც ალეთეა, არის ხელოვნების დასაბამი, რომელიც ხელოვნების როლს და ადგილს განსაზღვრავს ადამიანის ყოფიერებაში. ხელოვნება არის არსებულის დაფარულობიდან გამოსვლის დერივატული წესი, რომელიც ყოფიერების ალეთეას, ყოფიერების, როგორც დაფარულობიდან გამოსვლის, საფუძველზე არსებობს. ხელოვნება არის მეტაფიზიკის პირველადი, ბუნებრივი ფორმა. ხელოვნება უნდა განვიხილოთ, როგორც ბუნებრივი მიდრეკილება მეტაფიზიკისაკენ.

ჰაიდეგერი ცდილობს, უპასუხოთ ჰეგელის დებულებას, რომ ხელოვნებამ თავისი საწყისისეული დანიშნულება ამოწურა. მას ჰეგელის დებულება მიაჩნია მთელი დასავლური აზროვნების შეჯამებად და ამ აზროვნების არსის გამოაშკარავებად. იგი ამის საფუძველს ადამიანის მიერ ყოფიერებისა და ყოფიერების ალეთეას დავინყებაში ხედავს.

ყოფიერება არის ხელოვნების დასაბამი, რადგან ყოფიერება თავის თავში მოიცავს ხელოვნებად ყოფნის წესს და ამდენად შესაძლებელს ხდის ხელოვნების ქმნილებას. დასაბამი არ არის მიზეზი, საფუძველი, მიზანი, რომელიც წარმოშობს არსებულს, საგანს. დასაბამი არის ის, საიდანაც და რისი მეოხებითაც, არსებული არის ის, რაც არის. დასაბამი განსაზღვრავს არსებულის რაობას და აქედან გამომდინარე მისი ყოფნის წესსაც.

ხელოვნება არ არის მეცნიერული გამოკვლევა, არც თეორიული ჭკრეტა, არამედ არსებულის დაფარულობიდან გამოყვანა. ხელოვნების დასაბამი არის ის, რაც ხელოვნებას, როგორც არსებულის დაფარულობიდან გამოსვლას, შესაძლებელს ხდის. ფილოსოფიის და ხელოვნების მსგავსება ისაა, რომ ორივეს დაფარულობიდან გამოჰყავს არსებული, ოღონდ ხელოვნება არის ნივთის გამოყვანა ადამიანის ყოველდღიურობის უფერულობის, შეჩვეულობისა და გულგრილობის დაფარულობიდან. ყოველდღიურობაში მიჩქმალულია ადამიანის სამყაროში ყოფნის იდუმალება, მისი, მისია და დანიშნულება, დაივიწყა თავისი ადამიანურობა.

ხელოვნებამ შეინარჩუნა ალეთეას ფენომენი, იგი, როგორც ბუნებრივი მეტაფიზიკური მიდრეკილება, ჭეშმარიტების ქმნადობას, არსებულის დაფარულობიდან გამოყვანას გულისხმობს, რაც აუცილებელია მეცნიერული ჭეშმარიტების გვერდით. ფილოსოფიამ და ხელოვნებამ, როგორც არსებულის დაფარულობიდან გამოყვანის (ალეთეა) წესმა, ადამიანს უნდა მისცეს სინამდვილის სხვაგვარი ხედვის შესაძლებლობა, რაც ადამიანს მისცემს შანსს, სხვაგვარად შეხედოს ტექნიკის ფენომენს და ტექნიკის ბატონობას. ეს არის ადამიანის ადამიანურობის, თავისუფლებისა და ღირსების შენარჩუნების საფუძველი. ფილოსოფიური აზროვნება და ხელოვნება ცდილობენ, ადამიანი და სამყარო გაიაზრონ მის იდუმელებასა და უჩვეულობაში, რაც მიუწვდომელია მეცნიერული-ტექნიკური შემეცნებისთვის და ადამიანს სხვა მხრიდან დაანახოს საკუთარი ყოფნის თავისებურება ამ სამყაროში, იქნებ სწორედ ეს არის ფილოსოფიური აზროვნებისა და ხელოვნების ქმნილების მნიშვნელობა თანამედროვე ადამიანის ყოფიერებაში.

The tradition of Western thought according to Plato, Kant, and Husserl considered geometry as the ideal of science, it best expressed the essence of thought, to which was likened to philosophy.

Heidegger goes the other way, he emphasizes the closeness of philosophy and art, he wants to see a more hidden and deeper connection between philosophy and art.

Heidegger thinks that the Art and the works of art are based on the occurrence of the Being as an alethea. This means that the Being, as alethea, is the foundation of the Art, which defines the role and place of the Art in human existence. The Art is a derivative form of the alethea. The Art is the primary, natural form of metaphysics. The Art should be viewed as a natural propensity for metaphysics.

Heidegger considered Hegel's statement: art has exhausted its primordial purpose, as a summary of all Western thought and revealing the essence of western thought. He supposed the basis for this is man's oblivion of the Being and the alethea of the Being.

The Being is the beginning (Ursprung) of art, includes in itself the rule of being the art and makes possible existence the work of art. The Being as a beginning (Ursprung) is not the cause, the basis, the purpose that gives rise to the beings, the object. The beginning (Ursprung) determines and define what is and how is the beings, in other words the essence and form of existence of the beings.

The Art is not scientific research, nor theoretical contemplation, but the lead out of the being from the concealment. The beginning (ursprung) of art is what makes the Art possible lead out the beings from the concealment. The similarity between philosophy and art is that they brings both lead out the beings from the concealment into unconcealment, but the Art is the lead out the beings from the concealment of human everydayness: from colorlessness, habit and indifference. In Human everydayness is hidden mystery of the human existence in the world its mission and purpose, is forgotten his humanity.

The Art has preserved the phenomenon of Alethea, it, as a natural metaphysical inclination, means the creation of truth, the lead out beings from the concealment, which is necessary alongside scientific truth. Philosophy and art, as a rule of the unconcealment (alethea)

of the existing Thing, should give man the possibility of a different view of reality, which will give man the chance to look differently at the phenomenon of technology and the domination of technology. It is the basis for the preservation of human humanity, freedom and dignity. Philosophical thinking and the Art try to understand man and the world in its mystery and unusualness, which is inaccessible to scientific and technical cognition, to show man the peculiarity of his being in this world from another angle, maybe this is the meaning of philosophical thought and the Art for modern man.

**დადებითი ემოციის (სიყვარული)
კულტურულ -მეტაფორული მოდელი
ქართულ და ინგლისურ ენებში**

**A CULTURAL METAPHORIC MODEL OF POSITIVE
EMOTION (LOVE) IN GEORGIAN AND ENGLISH**

მანანა რუსიეშვილი, მარიამ ქებურია

Manana Rusieshvili, Mariam Keburia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of humanitarian sciences

საკვანძო სიტყვები: კულტურა, კონცეპტუალური მეტაფორა,
დადებითი ემოცია

Keywords: culture, conceptual metaphor, positive emotion

მოხსენება ეხება სამყაროს დიფერენციაციის პროცესის თავისებურებების კვლევას კონცეპტუალური მეტაფორის მოდელებისა და სამყაროს მოდელის ენობრივი გამოვლინებების შესწავლის გზით. უფრო კონკრეტულად, მოხსენებაში განხილულია დადებითი ემოციის (სიყვარული) კულტურულ-მეტაფორული მოდელების სისტემა ქართულ და ინგლისურ ენებში, გამოყოფილი და შედარებულია ამ ცნების გამომხატველი კონცეპტუალური მეტაფორების სემანტიკურ-კულტურული, უნივერსალური და ვარიანტული მოდელები.

მოხსენების მეთოდოლოგიური ბაზაა კონცეპტუალური მეტაფორის სისტემისადმი ლექსიკური მიდგომა, რომელიც ეკუთვნის ზოლტან კოვეჩეშს (2005), და მ. რუსიეშვილის მიერ შემოთავაზებული მეტაფორის მოდელი (მ. რუსიეშვილი, 2005; Rusieshvili-Cartledge and Dolidze, 2020), რომელიც წარმოაჩენს ენის გამომსახველობითი საშუალებების მნიშვნელობას კულტურული მეტაფორის შექმნაში, და რომელთა ანალიზი დიდ როლს ასრულებს მეტაფორის ენობრივი, კულტურულ-სემანტიკური მოდელების კვლევის დროს.

ლიტერატურა:

Kövecses, Z. (2005). Metaphor in culture. Universality and variation. New York/Cambridge: Cambridge University Press.

რუსიეშვილი, მ. (2005). ანდაზა, გამომცემლობა „ლომისი“.

Rusieshvili-Cartledge, M & Dolidze R. (2020). A Contrastive Study of Metaphoric Idioms in English, Georgian, Russian and Turkish. In Contrastive Phraseology: Languages and Cultures in Comparison. Cambridge: Cambridge Scholars Publishing.

This paper describes the specific features of the process of the differentiation of the world based on the conceptual metaphoric and semantic models. The data are based on the cultural-metaphorical model of positive emotion (love) in Georgian and English.

The methodological basis of the paper is the lexical approach to the conceptual metaphor, introduced by Zoltan Kövecses (2005) and the model of metaphor by Rusieshvili (Rusieshvili 2005; Rusieshvili-Cartledge and Dolidze (2020) and emphasises expressive stylistic means of the language, the analysis of which plays a significant role in the formation of cultural-semantic models of conceptual metaphors. The specific features of the semantic-cultural models of conceptual metaphors expressing the concept of love in both languages are identified and compared, universal and variant models are singled out.

References:

Kövecses, Z. (2005). Metaphor in culture. Universality and variation. New York/Cambridge: Cambridge University Press.

Rusieshvili, M (2005). andaza. "Lomisi"/ Rusieshvili M, The Proverb. The Publishing house "Lomisi."

Rusieshvili–Cartledge, M & Dolidze R., (2020). A Contrastive Study of Metaphoric Idioms in English,Georgian,Russian and Turkish. In Contrastive Phraseology: Languages and Cultures in Comparison. Cambridge: Cambridge Scholaras Publishing.

მეტროპოლიტან მუზეუმის სკილოს
ძვლის ფირფიტის ჯვარცმის უნიკალური
იკონოგრაფია X საუკუნის მეორე ნახევრის
ბიზანტიის იმპერიალური იდეოლოგიის
კონტექსტში

UNIQUE ICONOGRAPHY OF AN IVORY CRUCIFIXION
PLAQUE AT THE METROPOLITAN MUSEUM
OF ART IN THE CONTEXT OF BYZANTINE
IMPERIAL IDEOLOGY IN THE SECOND HALF
OF THE X CENTURY

ნინო სიმონიშვილი

Nino Simonishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ბიზანტია, ომი, იდეოლოგია,
ჯვარცმა, X საუკუნე

Keywords: Byzantium, war, ideology, crucifixion, X century

მუსლიმებმა, რომელთაც ქრისტიანებთან წარმოებულ ომებში უკვე მერვე საუკუნის დასაწყისისთვის შეძლეს ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვენების დამორჩილება, სწრაფი და მზარდი წარმატებებით დიდი საფრთხე შეუქმნეს ბიზანტიის იმპერიას. იმპერიის წარუმატებელმა მცდელობამ, დაებრუნებინა არაბებთან წარმოებულ ომებში დაკარგული ტერიტორიები, ნათლად წარმოაჩინა მანამდე არსებული ბიზანტიური საომარი იდეოლოგიის სისუსტე და ომის კონცეფციის გადასინჯვის აუცილებლობა.

ახალი, სახეცვლილი საომარი იდეოლოგია IX საუკუნის დასასრულისათვის, მაკედონური დინასტიის მმართველობის პერიოდში, ჩამოყალიბდა და განსაკუთრებულად განვითარდა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე პორფიროგენეტის მმართველობის (945-959) წლებში. მტრის წინააღმდეგ ქრისტიანების მიერ წარმოებულმა ახალმა ომებმა თანდათან „წმინდა ომის“ ხასიათი მიიღო.

საომარ რიტორიკაში მომხდარი ცვლილებები შესაბამისად აისახა თანადროულ ბიზანტიურ ვიზუალურ მედიაშიც. ომის თემის ინტეგრირება სხვადასხვა ფორმით მოხდა ბიზანტიურ მონუმენტურ მხატვრობაში, რელიეფურ სკულპტურასა და მცირე პლასტიკის ხელოვნების ნიმუშებში, რომელთა იკონოგრაფიამ მნიშვნელოვანი კონცეპტუალური ცვლილება განიცადა: რელიგიურმა თემებმა საომარი თემატიკის სემანტიკური დატვირთვაც შეიძინა.

მოხსენება ამ კონტექსტში განიხილავს ნიუ იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმის X საუკუნით დათარიღებული სპილოს ძვლის ფირფიტას, ჯვარცმის გამოსახულებით, რომელიც თავდაპირველად ტრიპტიქის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენდა (ტრიპტიქის გვერდითი ნაწილები დაკარგულია და უცნობია, თუ რა იყო მათზე გამოსახული).

მიუხედავად არასრული მხატვრული სახისა, ჯვარცმის ეს უჩვეულო იკონოგრაფია, რომელიც უდავოდ ბიზანტიური საიმპერატორო წრის ძეგლს წარმოადგენს, დღემდე იქცევა

სპეციალისტთა განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან მას პარალელი არ გააჩნია.

ჯვარცმის ტრადიციული იკონოგრაფია, რომელიც ჯვარცმული ქრისტეს, ღვთისმშობლის, იოანესა და ანგელოზების ფიგურებისაგან შედგება, ამ შემთხვევაში გართულებულია დამატებითი იკონოგრაფიული დეტალებით, რომელთაც აშკარა სემანტიკური დატვირთვა აქვთ.

მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჯვარცმის ქვედა რეგისტრში წარმოდგენილი იმ ფიგურის იდენტიფიკაცია, რომელსაც ქრისტეს ჯვარი უფატრავს მუცელს. მეცნიერთა ერთი ჯგუფი მას ძველი ბერძნული მითოლოგიიდან ცნობილ ქვესკნელის ღვთაება ჰადესის პერსონიფიკაციად მიიჩნევს. განსხვავებული ინტერპრეტაციით კი, ფიგურა ჯვარცმის კომპოზიციისთვის ჩვეული ადამის გამოსახულების პერსონიფიკაცია უნდა იყოს.

მოხსენებაში ახლებურად იქნება გააზრებული ჯვარცმის ეს უნიკალური იკონოგრაფია. გამოიკვეთა, რომ მისი რთული ვიზუალური სინტაქსის გასაშიფრად, საჭიროა როგორც კომპოზიციის შემავალი ყველა კომპონენტის ერთ მთლიან სისტემად გააზრება, ისე იმ ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინება, რომლის დროსაც გახდა შესაძლებელი ასეთი ცვლილებების შეტანა ჯვარცმის იკონოგრაფიაში. ასეთი ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოითქვას ახალი მოსაზრება ჯვარცმის შესრულების თარიღისა და სავარაუდო დამკვეთის შესახებ.

ლიტერატურა:

Goldschmidt, A. & Weitzmann, K. (1934). *Die byzantinischen Elfenbeinskulpturen des X.-XIII, Jarhunderts*, vol.II, Berlin, Cassirer.

Frazer, M. (1994). "Hades Stabbed by the Cross of Christ." *Metropolitan Museum Journal*, Vol. 9, 153-161.

Klein, H. A. (2004). "Eastern Objects and Western Desires: Relics and Reliquaries between Byzantium and the West." *Dumbarton Oaks Pa-*

pers, 58, 283-314. Dumbarton Oaks research Library and Collection, Washington D.C.

Markopoulos, A. (2012). "The Ideology of War in the Military Harangues of Constantine Porphyrogenetos." In J. Koder/I. Stouraitis (eds.) *Byzantine War Ideology Between Roman Imperial Concept and Christian Religion*. (Akten des Internationalen Symposiums, Wien,19-21,2011), 47-56. Österreichische Akademie der Wissenschaften, Denkschriften, 452.

Oikonomides, N. (1995). "The Concept of Holy War and Two Tenth-Century Byzantine Ivories." *Peace and War in Byzantium. Essays in honor of George T. Dennis, S. J.*, eds. T. S. Miller & J. Nesbitt. 62-86. The Catholic University of America Press.

McGeer, E. (1995). *Showing the dragon's teeth: Byzantine warfare in the tenth century*. Dumbarton Oaks research Library and Collection, Washington D.C.

Nelson, R.S (2011-2012). "And So, With the Help of God": The Byzantine Art of War in the Tenth Century." *Dumbarton Oaks Papers*, 65/66, 169-192. Dumbarton Oaks research Library and Collection, Washington D.C.

Pentcheva, B.V. (2007). "Containers of Power: Eunuch and Reliquaries in Byzantium." *Journal of Anthropology and Aesthetics*, 51, 109-20. University of Chicago Press.

Pentcheva, B.V. (2006). *Icons and Power: Mother of God in Byzantium*. 61-109. The Pennsylvania State University Press, University Park: PA.

The rapid military successes of the Muslims, who at the beginning of the eighth century were able to subdue the lands of the Middle East and North Africa posed a great threat to the Byzantine Empire. The Empire's failed attempt to regain territories lost in the wars demonstrated the weakness of Byzantine war ideology and the need to revise the concept of war.

A changed ideology was formed by the end of the IX century, during the rule of the Macedonian dynasty, and especially during the reign of Byzantine Emperor Constantine VII Porphyrogenetus (945-959).

The changes in rhetoric had a reflection in Byzantine visual media. The religious iconography underwent a significant conceptual change and acquired a semantic meaning of war.

The paper analyzes Byzantine ivory plaque from the Metropolitan Museum of Art, which is only surviving portion of a triptych whose wings are now missing. The plaque's iconography is unique among the surviving Byzantine representations of the Crucifixion and no other related images survive.

While the crucified Christ, Virgin, St John and the two angels are frequent elements of the iconography of Crucifixion, there are unusual iconographic details. First of all is unique depiction of the reclining figure at the foot of the cross whose belly is pierced by Christ's cross. The scholarly discussion has been concentrated on this remarkable innovation. Some identified it as Hades- the god of the underworld, another as Adam-a usual image of the Crucifixion iconography.

The paper will offer a new analyze of this unique iconography. It will show that to decipher its complex visual syntax, it is necessary to understand the components of the composition as a whole system, as well as to take into account the historical and political context in which such changes in the crucifixion iconography were made. The paper offers a new opinion on the date and the possible donor of the ivory plaque.

References:

Goldschmidt, A. and Weitzmann, K. (1934). *Die byzantinischen Elfenbeinskulpturen des X.-XIII, Jarhunderts*, vol.II, Berlin, Cassirer.

Frazer, M. (1994). "Hades Stabbed by the Cross of Christ." *Metropolitan Museum Journal*, Vol. 9, 153-161.

- Klein, H. A. (2004).** "Eastern Objects and Western Desires: Relics and Reliquaries between Byzantium and the West." *Dumbarton Oaks Papers*, 58, 283-314. Dumbarton Oaks research Library and Collection, Washington D.C.
- Markopoulos, A. (2012).** "The Ideology of War in the Military Harangues of Constantine Porphyrogenetos." In J. Koder/I. Stouraitis (eds.) *Byzantine War Ideology Between Roman Imperial Concept and Christian Religion. (Akten des Internationalen Symposiums, Wien,19,-21,2011)*, 47-56. Österreichische Akademie der Wissenschaften, Denkschriften, 452.
- Oikonomides, N. (1995).** "The Concept of Holy War and Two Tenth-Century Byzantine Ivories." *Peace and War in Byzantium. Essays in honor of George T. Dennis, S. J.*, eds. T. S. Miller & J. Nesbitt. 62-86. The Catholic University of America Press.
- McGeer, E. (1995).** *Showing the dragon's teeth: Byzantine warfare in the tenth century.* Dumbarton Oaks research Library and Collection, Washington D.C.
- Nelson, R.S (2011-2012).** "And So, With the Help of God": The Byzantine Art of War in the Tenth Century." *Dumbarton Oaks Papers*, 65/66, 169-192. Dumbarton Oaks research Library and Collection, Washington D.C.
- Pentcheva, B.V. (2007).** "Containers of Power: Eunuch and Reliquaries in Byzantium." *Journal of Anthropology and Aesthetics*, 51, 109-20. University of Chicago Press.
- Pentcheva, B.V. (2006).** *Icons and Power: Mother of God in Byzantium.* 61-109. The Pennsylvania State University Press, University Park: PA.

**ამირანის მხატვრული სახე – გზა
ფოლკლორიდან ლიტერატურამდე**

**ARTISTIC IMAGE OF AMIRANI – THE PATH FROM
FOLKLORE TO LITERATURE**

ქეთევან სიხარულიძე
Ketevan Sikharulidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ამირანის ეპოსი, ფოლკლორი,
მითი, ლიტერატურა
Keywords: Amirani epic, folklore, myth, literature

ამირანის ეპოსი უძველესი წარმოშობისაა. ანტიკური ხანის ავტორებთან გვხვდება ცნობები, რომ კავკასიაში არსებობდა თქმულება მიჯაჭვული გოლიათის შესახებ. დროთა განმავლობაში მან გარკვეული ცვლილებები განიცადა. სავარაუდოდ, ამირანის ამბავი თავდაპირველად შეიქმნა, როგორც მითი, რომელშიც აისახა დაპირისპირებულთა ბრძოლის უნივერსალური მოდელი. მოგვიანებით ჩამოყალიბდა თქმულებათა ციკლი, რომელმაც საბოლოოდ ეპოსის სახე მიიღო.

არქაულ პლასტებს შეერია შედარებით ახალი მოტივები, რამაც განაპირობა მთავარი პერსონაჟის წინააღმდეგობრივი ხასიათი. დღეს ძნელია იმის დადგენა, რა ცვლილებები მოხდა ტექსტის შინაარსსა და სტრუქტურაში, რადგან თქმულების ჩანაწერები მოგვეპოვება XIX საუკუნიდან. ამ პერიოდიდან იწყება ხალხური ეპოსის ტექსტში ჩარევა. ზოგჯერ პუბლიკაციების ავტორები თვითნებურად ცვლიდნენ ჩანაწერს, რედაქტირებული ტექსტი კი გავლენას ახდენდა თხზულებაზე და მის ცალკეულ მოტივზე.

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობამ განაპირობა ამირანის სახის ახლებური გააზრება. ამ დროს დაიწყო მიჯაჭვული გმირის გაიდება და მისი გათავისუფლება სოციალური თანასწორობის აღდგენას დაუკავშირდა. ეროვნული ძირების წარმოსაჩენად საჭირო გახდა საერთო ქართველური გმირის სახე, რომელსაც სიმბოლური დატვირთვა ექნებოდა. სწორედ ამან განაპირობა ამირანის ზოგადქართულ სახალხო გმირად გადაქცევა. მე-20 საუკუნემ მემკვიდრეობით მიიღო ამირანის გამორჩეული გმირული პათოსი და სამშობლოს თავისუფლების იდეის მატარებელ სახედ დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში.

ლიტერატურა:

კიკნაძე, ზ. (2001). ქართული ხალხური ეპოსი. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.

სიხარულიძე, ქ. (2006). კავკასიური მითოლოგია. თბილისი: კავკასიური სახლის გამომცემლობა.

ჩიქოვანი, მ. (1959). ქართული ეპოსი, I. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჩხვიძე, რ. (1991). ამირანის თქმულება. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

The Amirani epic is of ancient origin. Ancient authors noted that there was a legend about a chained Goliath in the Caucasus. Over time he has undergone some changes. Presumably, Amirani's story was created as a myth that reflected a universal model of adversarial struggle. A cycle of legends later formed, which eventually took the form of an epic.

Archaic layers are mixed with relatively new motifs, which led to the controversial character of the main hero. It is difficult to determine what changes have taken place in the content and structure of the text, as records of the narrative date back to the 19th century. It is from this period that interference with the text of the folk epic begins. Sometimes the authors of the publications arbitrarily changed the record, and the edited text influenced the work and its motifs.

The rise of the national liberation movement in Georgia has led to a new understanding of Amirani. It was at this time that the chained hero began to be ostracized, and his release was linked to the restoration of social equality. To present the national roots, it became necessary to have the image of a common Kartvelian hero, which would have a symbolic meaning. This was the reason why Amirani became a general Georgian hero. The 20th century inherited Amirani's distinctive heroic pathos and became the bearer of the idea of freedom of the homeland in Georgian literature.

References:

Kiknadze, Z. (2001). Kartuli xalxuri eposi. [Georgian Folk Epic]. Tbilisi: Logos Press Publishing House

- Sikharulidze, K. (2006).** Kavkasiuri mitologia. [Caucasian Mythology]. Tbilisi: Caucasian house publishing.
- Chikovani, M. (1959).** Kartuli eposi, I. [Georgian Epic]. Tbilisi: Publishing House of the Georgian Academy of Sciences.
- Chkheidze, R. (1991).** Amiranis tkmuleba. [The story of Amirani]. Tbilisi: Nakaduli Publishing House.

**ქალთა მისია ქართლის გაქრისტიანებაში
„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით**

**THE MISSION OF WOMEN IN THE
CHRISTIANIZATION OF KARTLI ACCORDING
TO THE “CONVERSION OF KARTLI”**

ნესტან სულავა, ნანა გონჯილაშვილი
Nestan Sulava, Nana Gonjilashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ნმ. ნინო, გაქრისტიანება, ქალი,
კულტი

Keywords: St. Nino, christianity, woman, cult

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ თავისი რელიგიური, კულტურული-ისტორიული შინაარსით, სიუჟეტითა და მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი თხზულებაა.

„წმ. ნინოს ცხოვრება“ სხვა აგიოგრაფიულ თხზულებათაგან მკვეთრად გამოირჩევა ძალზე საყურადღებო ფენომენით – ქალის კულტით. აღნიშნულის თქმის საფუძველს გვაძლევს არა მხოლოდ ის, რომ ქართლის განმანათლებელი ქალია, არამედ ქართლის გაქრისტიანების ისტორიის მონაწილე დედების რიცხვი და, უმთავრესად, მისია (კაბადოკიიდან დაწყებული და ქართლით დამთავრებული) ბევრად აღემატება მამაკაცი პერსონაჟებისას. თხზულების არაერთი ეპიზოდი მოგვითხრობს წმ. ნინოსთან დაკავშირებული ქალების შესახებ, ესენი არიან კვართის მიმრქმელი სიდონია (საქართველოს პირველი წმინდანი), დედამისი (საქართველოს პირველმარტვილი), ელენე დედოფალი, დვინელი ნიაფორი (უფლის კვართის ადგილსამყოფლის მაცნე), რიფსიმე და გაიანე, ნანა და სოჯი დედოფლები, სიდონია და მრავალი სხვა. ქართლის მოქცევაში მონაწილე დედებს დიდი მისია აკისრიათ: ნაწილი წმ. ნინოს კურნებებთანაა დაკავშირებული, ზოგი სვეტი-ცხოვლის აღმართვის მონაწილეა, სხვები – ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრებისათვის მებრძოლნი, წმ. ნინოს ცხოვრების აღმწერნი, წმ. ნინოს თანამდგომ-თანამზრახველნი, ყველა ერთად კი „ასულნი სარწმუნოებისანი“, როგორც მათ წმ. ნინო უწოდებს.

თხზულებაში ქალის კულტს ისიც განაპირობებს, რომ განმანათლებელი ქალია, ასევე – დედათა ბუნების წყობა, ღრმა სულიერება, ხედვის მრავალპლანიანობა, სიახლის წვდომამიმღებლობა, მზაობა დამტევნელობისა. აქ, უმთავრესად, ყურადსაღებია ქალის ფენომენთან დაკავშირებული ის ნანამძღვრები, რომლებიც წარმართობიდან იღებს სათავეს (ღვთაება მზის ქალური საწყისი – „მზე დედაა ჩემი...“, ქალღვთაებები – ადგილის დედა, ბარბაღე, დალი, ხელსამძივარი და სხვ.), რომლებიც ქრისტიანობაში ღვთისმშობლის კულტით გვირგვინდება (საქართველო – ღვთის-

მშობლის წილხვედრი ქვეყანა, წმ. ნინო – ღვთისმშობლის ხელდასხმული).

როგორც ცნობილია, ენა ერის სული, ერის გონია. ქართველთა კულტურასა და ყოფა-ცხოვრებაში ქალის მნიშვნელობის და მნიშვნელოვანების (მათი ქმედითუნარიანობის) ამსახველია ქართული ენობრივი მსოფლხედვა, კერძოდ, ქალის ფენომენტან დაკავშირებული თავისებურებანი (განსხვავებით სხვა ენებისგან). აქ ორი ასპექტია გამოსაყოფი, ერთი – ლექსიკურ ერთეულებზე „დედის“ დართვით სიტყვების მნიშვნელობის ამაღლება, ზოგადიდან მთავარ სიტყვად გარდაქმნა (მაგ., დედამინა, დედასამშობლო, დედაენა, დედაქალაქი და ა.შ.) და კიდევ – ორი სქესით წარმოდგენილ კომპოზიტებში (სხვა ენებისგან განსხვავებით), პირველ ადგილზე ქალის დასახელება (მაგ., და-ძმა, დედ-მამა, ქალ-ვაჟი და სხვ.). ამდენად, ქართულის ენობრივი მსოფლხედვა აფიქსირებს ქალის როლს ქართველთა კულტურულ-ისტორიულ ყოფაში. ვფიქრობთ, ქართლის გაქრისტიანებაში ქალის წამყვანი როლი ზემოაღნიშნულს კიდევ ერთხელ ცხადყოფს. „წმ. ნინოს ცხოვრების“ საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართლის მოქცევა ქალთა მხრებზე დგას.

ლიტერატურა:

მოქცევა ქართლისა (შატბერდულ-ჭელიშური რედაქცია)/ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია აბულაძის საერთო რედაქციით, თბილისი, 1963.

გულაბერიძე, ნ. (2007). თხზულებანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან სულავამ, მცხეთა.

სირაძე, რ. (1997). „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა, თბილისი.

სულავა, ნ. (2008). წმიდა ნინოს ხატ-სახეები ნიკოლოზ გულაბერიძის თხზულებებში. წმიდა ნინო, სამეცნიერო შრომების კრებული, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 312-321.

„Conversion of Kartli“ is the most important work in terms of its religious, cultural-historical content, story and artistic-aesthetic point of view.

„Conversion of Kartli“ is sharply distinguished from other hagiographic works by a very remarkable phenomenon – the cult of women. This is based not only on the fact that the enlightener of Kartli is a woman, but also on the number of mothers participating in the history of Christianity in Kartli, and, above all, the mission (starting from Cappadocia and ending with Kartli) far exceeds that of male characters. Numerous episodes of the works are narrated by Sts. About the women associated with Nino, these are the robe-laden Sidonia (Georgia’s first saint), her mother (Georgia’s first martyr), Queen Helen, the Dvinian niaphorus (messenger of the Lord’s robe), Ripsime and Guyane, Nana and Soji queens, Sidonia and many others. Mothers participating in the conversion of Kartli have a certain mission: part of St. Related to Nino’s healings, some are involved in the erection of the pillar-animal, others – the fighter for the spread and establishment of Christianity, St. Descriptor of Nino’s life, St. Nino’s companions, all together “daughters of the faith”, as their St. Nino calls.

The cult of woman in the works is also conditioned by the fact that she is an enlightened woman, as well as – the structure of mother nature, deep spirituality, multiplicity of vision, access to novelty, readiness for charity. Here, most notably, are the precepts of the female phenomenon that originate from paganism (the female deity of the sun – “the sun is my mother ...”, the deities – the mother of the place, Barbale, Dali, the head, etc.), who are crowned with the cult of the Virgin in Christianity. (Georgia – the country of the Virgin Mary, St. Nino – the ordained of the Virgin).

As is well known, language is the soul of a nation, the mind of a nation. The Georgian linguistic worldview reflects the importance and significance of women (their effectiveness) in the culture and life of Georgians, in particular, the peculiarities related to the phe-

nomenon of women (unlike other languages). There are two aspects to distinguish, one – increasing the meaning of words by adding “mother” to lexical items, transforming them from the general to the main word (eg, earth, mother tongue, mother tongue, capital, etc.) and another – in composites represented by two sexes (unlike other languages). Name of the woman in the first place (e.g., sister-brother, mother-father, wife-son, etc.). Thus, the Georgian linguistic world fixes the role of women in the cultural-historical life of Georgians. We think that the leading role of women in the Christianization of Kartli once again proves the above. Based on „St. Nino’s Life“, it can be boldly said that the conversion of Kartli stands on the shoulders of women.

References:

- Conversion of Kartli. (1963).** (edition Shatberdi and Chelishi) / Monuments of Old Georgian Hagiographic Literature, I, edited by Ilia Abuladze, Tbilisi.
- Gulaberidze, N. (2007).** Essays, prepared for publication, research, dictionary and search engines added by Nestan Sulava, Mtskheta.
- Siradze, R. (1997).** “Life of St. Nino” and the beginning of Georgian hagiography, Tbilisi.
- Sulava, N. (2008).** Icons of St. Nino in the works of Nikoloz Gulaberidze./ St. Nino, Collection of Scientific Works, Georgian Patriarchate, Tbilisi. p. 312-321.

დოსტოევსკის მორალური ფილოსოფია
და კანტის პრაქტიკული ფილოსოფია

DOSTOEVSKY AS A MORAL PHILOSOPHER AND
KANT'S CRITIQUE OF PURE REASON

მამია სურმავა

Mamia Surmava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: დოსტოევსკი, მორალური ფილოსოფია,
კანტის პრაქტიკული ფილოსოფია

Keywords: Dostoevsky, Moral Philosopher, Kant's *Critique of Pure Reason*

ჩვენს სტატიაში ფიოდორ დოსტოევსკის შეხედულებებს განვიხილავთ ზნეობისა და ადამიანის თავისუფლების შესახებ და მათ ი. კანტის პრაქტიკული ფილოსოფიის კონტექსტში ვაანალიზებთ. ე. ი. ვცდილობთ გავიაზროთ, როგორ მიემართება ერთმანეთს დოსტოევსკის ეთიკა და კანტის „პრაქტიკული გონების კრიტიკა“.

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად დოსტოევსკის რომანებიდან ერთ-ერთს ვიღებთ. ეს არის მისი ბოლო გამოქვეყნებული წიგნი – „ძმები კარამოზოვები“. კიდევ უფრო კონკრეტულად, ჩვენი ანალიზის ობიექტი მისი ორი თავია „ამბოხი“ და „დიდი ინკვიზიტორი“.

ამ ორი თავის ანალიზის საფუძველზე ჩვენ თანმიმდევრულად ვადგენთ დიდი რუსი მწერლის თვალსაზრისს ადამიანზე, მის ბუნებაზე, რელიგიაზე, თავისუფლებაზე, სინდისზე, ზნეობაზე და ადამიანის უნარზე, რომ იცხოვროს ზნეობრივად. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ არ ვეთანხმებით გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს დოსტოევსკის თვალსაზრისს მხოლოდ ალიოშა კარამაზოვი გამოთქვამს, ხოლო ივანე კარამაზოვის შეხედულებები დოსტოევსკის პრაქტიკული ფილოსოფიის ანტიპოდური თვალთახედვაა. ამის საპირისპიროდ ჩვენ ვთვლით, რომ ორივე ძმის პოზიციაში არის ის დებულებები, რომლებიც საკუთრივ დოსტოევსკის ანთროპოლოგიას და მორალის ფილოსოფიას გადმოსცემენ.

ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, ნათლად დავინახოთ, რომ ფ. დოსტოევსკი კანტის ანალოგიურ პოზიციაზე დგას. კერძოდ, მისი აზრით, ზნეობრიობის საფუძველში პრაქტიკული გონება, ავტონომია, კატეგორიული იმპერატივია. ამასთან, პრაქტიკული გონება პრინციპულად განსხვავდება ადამიანის გრძნობადი ბუნებისაგან. ადამიანის ნოუმენალური და ფენომენალური ბუნება ერთმანეთთან შეუთავსებელია. მათ შორის მუდმივი და გადაუღალახავი კონფლიქტია.

კანტის მიხედვით, ასეთ ვითარებაში ადამიანს ძალას ზნეობრივი მოქმედებებისათვის რწმენა აძლევს. მხოლოდ რწმენის საფუძველზე შეიძლება ადამიანმა იმოქმედოს, როგორც თავისუფალმა, ზებუნებითმა არსებამ. კანტის ამ შეხედულების მსგავსი მიდგომა არის ორივე თავში. როგორც ივანე კარამაზოვი ამბობს, ადამიანს თავისი გრძნობადი ბუნება საშუალებას არ აძლევს, იყოს თავისუფალი, იმოქმედოს თავისუფლად, რადგან ეს ტანჯვასთან არის დაკავშირებული. იგი თმობს თავისუფლებას, რომლის ძალა რეალურად მას არა აქვს. ადამიანისათვის მთავარია არა თავისუფლება, არამედ ბედნიერი ცხოვრება. ბედნიერად ცხოვრებისათვის ადამიანი მზადაა, დათმოს თავისი ადამიანური ბუნება და ჭიანჭველად იქცეს.

დოსტოევსკი შეუძლებლად თვლის ივანე კარამაზოვის მორალური ფილოსოფიის არგუმენტებით გადალახვას. ე.ი. იგი შეუძლებლად თვლის ადამიანის რაციონალური მსჯელობით დარწმუნებას, რომ იყოს თავისუფალი, იცხოვროს თავისუფალი სინდისის კარნახით და არა გრძნობადი ინტერესების კარნახით. იმას, რომ დოსტოევსკი ასე ფიქრობს, მოწმობს ის ფაქტი, რომ დიდი ინკვიზიტორის არგუმენტებს ქრისტე ჩუმად უსმენს. ასევე იქცევა ალიოშაც ძმასთან საუბრისას. არგუმენტებს ქრისტეც და ალიოშაც ერთნაირი ქმედებით პასუხობენ: დგებიან და ლოყაზე კოცნიან მოსაუბრეს. რას ნიშნავს ეს? დოსტოევსკი ამით ამბობს, რომ მთავარი და ერთადერთი არგუმენტი გრძნობადი შეზღუდულობის პრაქტიკული გადალახვაა, რადგან ეს ნათლად აჩვენებს, რომ ადამიანს შეუძლია თავისუფალი იყოს და ზნეობრივად იცხოვროს. თუმცა, ისევე როგორც კანტი, დოსტოევსკიც ფიქრობს, რომ ამის ძალას ადამიანს რწმენა აძლევს. რწმენა კანტისთვისაც და დოსტოევსკისთვისაც თავისუფლების აქტია, მიმართული ზეგრძნობადი კანონებით ცხოვრებისაკენ.

In this article we discuss the views of Fyodor Dostoevsky on morality and human freedom, analyzing them in the context of Kant's practical philosophy. Accordingly, we are trying to understand the relationship between Dostoevsky's ethics and Kant's Critique of the Practical Reason.

To solve this problem, the analysis focuses on one of Dostoevsky's novels. This is his last great book, *The Brothers Karamazov*. In particular, we are interested in its two chapters: *The Rebellion* and *The Grand Inquisitor*.

Based on the consideration of these two chapters, we consistently define the views of the great Russian writer on the human being, its nature, religion, freedom, good and evil, conscience, morality, and man's ability to lead a moral life. It should also be noted that we do not agree with the widespread opinion that only Alyosha Karamazov expresses Dostoevsky's outlook and Ivan Karamazov's views are the opposite of Dostoevsky's practical philosophy. Contrary to this position, we believe that in the thinkings of both brothers there are statements that convey Dostoevsky's own anthropology and philosophy of morality.

This approach lets us to clarify that F. Dostoevsky is characterized by the same account of Ethics as Kant. In particular, we know that according to Kant morality is based on a practical reason, autonomy, and a categorical imperative. However, the practical reason is fundamentally different from the sensual nature of man. The nominal and phenomenal nature of man are incompatible with each other. They are in constant and irresistible conflict.

According to Kant, in such a situation, man for moral actions takes ability merely from faith. Only on its ground can a person act as a free non-natural being. A similar opinion can be found in the both chapters. As Ivan Karamazov says, sensual nature does not allow a human being to be free, to act freely, because acting freely makes it be suffering. Humankind renounces freedom, the power of

which he actually does not have. For a human being, the main thing is not freedom, but happy life. For the sake of a happy life, a man is ready to give up his human nature (freedom) and become an ant.

Dostoevsky considers it impossible to overcome Ivan Karamazov's standpoint by rational arguments. It seems to him impossible to convince anybody, whoever he is, by rational discourse that a man is free to live according to the dictates of a free conscience, and not of feelings and sensual inclinations. About Dostoevsky's approach in this way refers the fact that Christ does not dispute anything the Grand Inquisitor says. Listening silently, he offers no counterarguments during the whole encounter. But what is most important for our examination is what they do. Christ approached the old man in silence and softly kissed him on his lips, and on his part the same did Alyosha regarding his brother. What these behaviors mean? By depicting these behaviors of Christ and Alyosha Dostoevsky emphasizes that the only argument by which it is really possible to overcome Ivan's and Grand Inquisitor's assertions about inability of human being determined by its sensual inclinations to live morally, is the practical action which is based the pure reason, free conscience. Practical actions clearly show that man can be free and live morally. However, like Kant, Dostoevsky believes that what gives to man the power to be a moral agent is faith. For both Kant and Dostoevsky, faith is an act of freedom and as such a true ground to live according to super sensual laws.

**ქალის გამოსახულება პოლონელი
დეზნილი „კავკასიელი“ პოეტების
ლირიკაში**

**THE IMAGE OF A WOMAN IN THE LYRICS OF POLISH
EXILED “CAUCASIAN” POETS**

მარიამ ფილინა

Mariam Filina

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: პოლონელი „კავკასიელთა“ ქალთა
გამოსახულება ლირიკაში, ქალი, როგორც ოცნება,
მარტოობის გრძნობა, „კავკასიელი ანგელოზის
ქანდაკება“

Keywords: woman in the lyrics of Polish exiled “Caucasian”
poets, woman as a dream, a feeling of loneliness,
“sculpture of a Caucasian angel”

XIX საუკუნის 30-50-წლების პოლონელი „კავკასიელთა“ პოეზია, უმეტესწილად, გზავნილებისა და ეპიტაფიების პოეზიაა. ქალისადმი მიძღვნივ კი ხშირად იმედის, სიყვარულის ერთგვარ ეპიტაფიას გვაგონებს, რადგან თავიდანვე ცნობილია, რომ შეხვედრა არ შედეგება.

ლიტერატურის კავკასიური განშტოება ცალსახად მამაკაცურ სამყაროს წარმოადგენს, რომელიც გადასახლებისა და ომის წესებს ემორჩილება. იმ პერიოდის პოლონელ კავკასიელ ავტორებს შორის არ იყვნენ ქალები, გარდა ერთისა, რომელსაც არ ჰქონდა კავშირი გადასახლების ლიტერატურასთან – ავტორისა, რომელიც ხელს შემდეგნაირად აწერს „პაულინა კ.“. თემები, მსოფლალქმა, ენა და გამოხატვის ფორმებიც კი ექსტრემალურ სიტუაციას ექვემდებარება. ეს ერთგვარი ანგარიშია ჯარისკაცთა ბედისა და მათი გადაადგილებების შესახებ, ეს არის „სამხედრო ლაშქრობის მწერლობა“, არ აქვს მნიშვნელობა, ლირიკული გზავნილი იქნება ეს, მოგონება თუ დღიური. ამ უაღრესად მამაკაცურ პოეზიაში რაღაც მნიშვნელოვანი გვაკლია – ქალის არსებობა. რა თქმა უნდა, ჩნდება ქალთა სახეები, მაგრამ თითქმის არ არის რეალური ობიექტი, რომელიც მთავარი უნდა იყოს „მამაკაცურ“ პოეზიაში. ეს კი მარტოსულობის განწყობას სძენს გადასახლების ლიტერატურას.

ბოლო, „კავკასიურ“, პერიოდში ეს განცდა უფრო ღრმავდება, თუმცა სრულ არამინიერებასთან ერთად სახე იძენს ახალ, რეალურ საფუძველს: ქალი შორსაა და სამუდამოდ არის დაკარგული.

„კავკასიელთა“ პოეზიაში არის ქალისადმი მიმართვის მეორე „ვარიანტი“. იგი კონკრეტულია, მაგრამ მიუწვდომელი, როგორც ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი, რომელსაც აღმერთებდა ვ. პოტოცკი, ლექსებს უწერდა ეკატერინეს ალბომში. თითქმის ყველა პოეტმა დატოვა მიმართვა ქალებისადმი, რომელთა სახელების გაშიფვრა, როგორც ჩანს, ვერ ხერხდება. მაგალითად, ზაბლოცკიც წერს „ვიქტორია ბ...სკაიას“, „კარო-

ლინა პ...სკაიას“, „კატაჟინას ს...რვაიადან“, „ამალია ე...სკაიას“. ლექსების ნაწილი, შესაძლოა, მოხვდა რეალურ ალბომებში, ხოლო ნაწილში, რომლებიც კავკასიაში შეიქმნა, შეიძლება მხოლოდ იგულისხმებოდეს ალბომი...

მამაკაცისთვის, რომელიც მზერას აპყრობს ქართველ ქალს, ეს ქალი მიუწვდომელ ქანდაკებად რჩება, ოღონდ „კავკასიელი ანგელოზის ქანდაკებად“, ე. ი. მიუწვდომელ ფასეულობათა განსახიერებად.

ქსავერი პეტრაშევიჩიმა ხოტბა შეასხა მოცეკვავე ქართველ ქალს. მან ლექსს დანვრილებითი კომენტარები დაურთო. მის სტრიქონებში თავს იჩენს სცენის კონკრეტულობა, მატერიალურობა, თუმცა გარეგნული სახის მიღმა უფრო ღრმა შრეა დამალული. მოცეკვავე ქართველი ქალი არის ქალურობის განსახიერება და, იმავდროულად, ქართველი ხალხის სულიერების სიმბოლოც.

ამგვარად, „კავკასიელთა“ შემოქმედებაში ქალები ოცნებათა სამყაროში სახლობენ, ოცნებებისა, რომელთა ახდენის იმედი თითქმის არ არსებობს. ეს კიდევ ერთი „ბოლომდე გაუფლერებელი ხმაა“, რომლის მიღმაც პირადი დრამა იმალება. იგი მთელი გადასახლების ლიტერატურას ერთგვარად „დაობლებულის“ ტონს სძენს.

The poetry of the Polish „Caucasians“ of the 1830-50s is, for the most part, the poetry of messages and epitaphs. Even devotion to a woman often reminds us of a kind of epitaph of hope, of love, since it is known from the beginning that a meeting does not take place.

The Caucasian branch of literature is uniquely a masculine world that obeys the rules of exile and war. Topics, worldview, language and even forms of expression are subject to extreme situations. This is a kind of account of the fate of the soldiers and their movements, it is a “military campaign writing”.

In this highly masculine poetry we lack something important – the existence of a woman. Of course, the faces of women appear, but it is almost not a real object, which should be the main one in “masculine” poetry.

Tadeush Lada-Zablotsky steadfastly avoids the reality of romantic love in a dream world. We do not even know if he had a real girlfriend in the Caucasus. We cannot understand this from poetic messages. In the last, “Caucasian” period, this feeling deepens, but with the complete unearthiness, it takes on a new, real basis: the woman is far away and lost forever.

Stanislav Vinicki has a lyrical poem “Georgian Woman”. For a man who catches the eye of a Georgian woman, this woman remains an inaccessible statue, but a “statue of a Caucasian angel”, that is, an embodiment of inaccessible values.

Xavier Petrashkevich praised the dancing Georgian woman. He added detailed comments to the poem. Its lines show the specificity of the scene, the materiality, although there is a deeper layer hidden behind the appearance. Dancing Georgian woman is the embodiment of femininity and at the same time, a symbol of the spirituality of the Georgian people.

Thus, in the work of “Caucasians”, women live in the world of dreams, dreams that have almost no hope of being realized. This is another “voice to the end”, behind which is hidden personal drama. It tones the whole literature of exile in a kind of “weakened” way.

References:

- Vozniak, A. (1997).** Gruzinska viprava dami z kresuv. [WoŹniak A. GruziŹska wyprawa damy z kresów]. Warszawa, „Pro Georgia”. t. 6, s. 7–19. [WoŹniak A. Georgian expedition of a lady from the borderlands]. Warsaw: press of “Pro Georgia”. Vol. 6, pp. 7–19].
- Ianion, M. (1992).** Tadeush Lada-Zablotski. In: Literatura kraiova v okrese romantizmu 1831-1861. [Janion M. Tadeusz Łada-Zab³ocki, w: Litera-

tura krajowa w okresie romantyzmu 1831–1863]. [Janion M. Tadeusz Łada-Zab³ocki, in: National Literature in the Romantic Period 1831–1863]. Warszawa 1992 t. 3, s. 333– 368.

Osovka, D. (1983). Polske relacje y Kaukazu lat tshidzestykh-shedzie-siontykh a literatura rosiiska. [Ossowska D. Polskie relacje z Kaukazu lat trzydziestych–szeœædziesi¹tych XIX wieku a literatura rosyjska]. Praca doktorska. Warszawa: IS PAN. [Ossowska D. Polish relations from the Caucasus in the 1830s and 1860s and Russian literature]. PhD thesis. Warsaw: IS PAN.

Paulina, K. (1839). Wspomnienia Gruzii. Z opowiadañ osoby, ktura tam podrucz w roku 1830 odbila. [Paulina K. Wspomnienia Gruzji. Z opowiadañ osoby, która tam podró¿ w roku 1830 odby³a]. [Paulina K. Memoirs of Georgia. From the stories of a person who traveled there in 1830]. Warsaw: press of „Niezapominajki”: pp. 61–79.

Filina, M, Osovka, D. (2018). Polonelta bedi Kavkasiashi. Natsili I. Polonel gadasakhebul poetta „Tbilisuri jgupi”. [The fate of Poles in the Caucasus. Part I. „Tbilisi Group” of Polish exiled poets. Tbilisi: press of „Universal”].

**მტკვარ-არაქსისა და ადრეყოფიანი
კულტურების ქრონოლოგიურ-
კულტურული ურთიერთმიმართების
კვლევისათვის**

**FOR THE RESEARCH OF CHRONOLOGICAL AND
CULTURAL INTERACTION OF KURA-ARAXES
AND EARLY KURGANS CULTURES**

მარინე ფუთურიძე

Marine Puturidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მტკვარ-არაქსის კულტურა, ბედენის
კულტურა, ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება,
ნამოსახლარები

Keywords: Kura-Araxes culture, Bedeni culture, chronological
correlation, settlements

შიდა ქართლი, რომელიც გამორჩეულია მტკვარ-არაქსული ხანის ნამოსახლართა განსაკუთრებული კონცენტრაციით, წარმოგვიდგენს რამდენიმე იმგვარ კომპლექსს, რომელიც უდავოდ მეტ სიცხადეს სძენენ აღნიშნული და უშუალოდ მისი მომდევნო ადრეყორღნების კულტურის ქრონოლოგიური და კულტურული ურთიერთმიმართების პრობლემატიკას.

მოხსენებაში ძირითადად გაანალიზებულია მრავალფენიან ნამოსახლართა და სამარხეულ ძეგლთა ის მონაცემები, რომელთა მიზანმიმართულ კვლევას შეუძლია, საფუძველი ჩაუყაროს მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში ახალი კულტურული ფენომენის – ე. წ. ადრეყორღნული კულტურის გამოჩენის ფაქტისა და მათი ურთიერთკავშირის კვლევას.

აღნიშნული საკითხი აქამდეც არაერთი მკვლევრის ინტერესს იწვევდა, თუმცა, მათი ერთი ნაწილი სკეპსისით უყურებდა ამ ორი სხვადასხვა კულტურის თანაარსებობას და მათ მხოლოდ ურთიერთმომდევნო და ერთმანეთის მონაცვლე მოვლენებებად მიიჩნევდა. ბოლო ხანებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად სულ უფრო მეტი მეცნიერი მზადაა, გადასინჯოს აღნიშნული პოზიცია და უშვებს იმ შესაძლებლობას, რომ მტკვარ-არაქსისა და ა. წ. ადრეყორღნული კულტურები უშუალოდ დასაწყისში შესაძლებელია სულაც არ იყოს ურთიერთმომდევნო. მიგვაჩნია, რომ ამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტამდე აუცილებლად უნდა გაგრძელდეს აქტიური კვლევა.

მიუხედავად ამისა, დღევანდელი ფაქტობრივი მონაცემების (ხაშურის ნაცარგორის, კავთისხევის ციხიგორისა და ბერიკლდეების ნამოსახლარების, ახლად გათხრილი ნამგალამინა III #1 ყორღნის) საფუძველზე ვფიქრობთ, რომ უფრო მეტად დამაჯერებელი ჩანს დროის მცირე მონაკვეთში აღნიშნული კულტურების თანაარსებობა. როგორც ჩანს, ეს მოვლენა უნდა მომხდარიყო ძვ.წ. მე-3 ათასწლეულის შუახანებში, სავარაუდოდ, 2600-2500 წლების ფარგლებში.

ლიტერატურა:

- მახარაძე, ზ. (1994).** ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი, თბილისი: "მეცნიერება".
- ორჯონიკიძე, ა. (1992).** შერეულკერამიკიანი კომპლექსები შიდა ქართლიდან, თბილისი:
- ფუტურიძე, მ. (2012).** ადრელითონების ხანის ანატოლიურ-სამხ-რეთკავკასიური კავშირურთიერთობების კვლევა არქეოლოგიურ მეცნიერებაში და მისი პერსპექტივები. კავკასიოლოგიური ძიებანი, #4, 219-242, თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
- ჯავახიშვილი, ა. (2017).** ბერიკლდეების ნამოსახლარი, თბილისი: „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“.
- ჯაფარიძე, ო. (2006).** ქართველი ერის ეთნოგენეზის სათავეებთან, თბილისი: „არტანუჯი“.
- Махарадзе З., Орджоникидзе А. (2007).** Проблемы изучения т.н. «культуры ранних курганов» в Грузии, Археология, Этнография, Фольклористика Кавказа, Махачкала.
- Rova E., Makharadze Z., Puturidze M. (2017).** Khashuri Natsargora: New Research on the Kura-Araxes and Bedeni Cultures in Central Georgia, SUBARTU, XXXVIII, At the Northern Frontier of Near Eastern Archaeology. Recent Research on Caucasia and Anatolia in the Bronze Age, (Eds. E.Rova & M. Tonussi), 153-172, Brussels: "Brepols".

Shida Kartli – a distinguishable region with an intensive concentration of the Kura-Araxian settlement sites, represents the certain amount of complexes, which gives much clearness to the problem of interconnection of the Kura-Araxes and the so-called Early Kurgans cultures. The last one from the chronological point of view directly succeeding to the Early Bronze Age above mentioned cultural unit.

In presented paper analyzing those essential data of multilayer settlement and burial sites, which makes possible to begin the pur-

poseful study of the issue of new cultural unit's, i.e. Early Kurgans phenomenon's appearance in the bosom of the famous and powerful Kura-Araxes Culture.

Above mentioned problem up to the present time attracts the attention of many scholars though some of them were expressing enough skeptical attitude to admit the coexistence of the Kura-Araxes and Early Kurgan's cultures at the beginning phase of the last one. They considered them only as chronologically followed to each other cultural unites. Since last few years the field archaeological and theoretical activities of scholars reveal the clear tendency that gradually more and more of them were ready to reconsider their position. They admit that Early Kurgans Culture at the initial stage of it might be not succeed to the Kura-Araxes but coexisted with it. Supposing that before the final solution of this problematic issue, it is necessary to continue the intensive study of this still discussing and essential issue.

Nevertheless, of all above mentioned, on the background of the factual information, we assume that current archaeological data (Khashuri Natsargora, Kavtiskhevi Tsikhiagora and Berikldeebi settlements as well as the Namgala III #1 kurgan) contains more evidences to discuss more convincingly in favor the coexistence of the above considered cultures at the certain short time interval. Supposing that this process of the coexistence had place at the middle of the III millennium, presumably ca.2600-2500 BCE.

References:

- Makharadze, Z. (1994).** Kura-Araxian settlement of Tsikiagora, Tbilisi" Metsniereba".
- Ordjonikidze, A. (1992).** The complexes with mixed ceramics from Shida Kartli, Tbilisi: Metsniereba".
- Puturidze, M. (2012).** For the Research of early metal's age Anatolian-South Caucasian interconnection in archaeological science and

its perspectives. *Caucasiological Studies*, #4, 219-242, Tbilisi: "Publishing house of Tbilisi University".

Javakhishvili, A. (2017). Berikldeebi settlement, Tbilisi: "Georgian National Museum".

Japaridze, O. (2006). At the Beginning of ethnogenesis of Georgians, Tbilisi: "Artanuji".

Махарадзе, З., Орджоникидзе А. (2007). Проблемы изучения т.н. «культуры ранних курганов» в Грузии, Археология, Этнография, Фольклористика Кавказа, Махачкала.

Rova, E., Makharadze, Z., Puturidze M. (2017). Khashuri Natsargora: New Research on the Kura-Araxes and Bedeni Cultures in Central Georgia, SUBARTU, XXXVIII, At the Northern Frontier of Near Eastern Archaeology. Recent Research on Caucasica and Anatolia in the Bronze Age, (Eds. E.Rova & M. Tonussi), 153-172, Brussels: "Brepols".

**ჟილბერტ დე ლენოი – ვერშემდგარი
ჯვაროსნული ლაშქრობის პროპაგანდისტი
და კურიერი**

**GILBERT DE LANNOY – THE PROPAGANDIST
AND CURRIER OF THE FAILED CRUSADE**

თეა ქარჩავა, თეა წითლანაძე
Tea Karchava, Tea Tsitlanadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities, direction

საკვანძო სიტყვები: ჯვაროსნული ლაშქრობა,
დიპლომატიური ურთიერთობები, ანტიოსმალური
კავშირები, თვითმხილველის ჩანაწერები

Keywords: Crusade, Diplomatic Relations, Anti-Ottoman Unities,
Notifications of eyewitness

მოხსენება ეხება XV საუკუნის მოგზაურსა და დიპლომატს, ჟილბერტ დე ლენოის, რომელიც ტრუას ზავში მონაწილეობამ სწრაფად დაანინაურა ბურგონის ჰერცოგის, ფილიპე კეთილის, სამსახურში. ლენოის მოღვაწეობის მასშტაბის გასაგებად საგულისხმოა აღინიშნოს, რომ გარდა ბურგონის ჰერცოგისა, იგი ინგლისის გვირგვინოსნის და ცენტრალური ევროპის მონარქთა დიპლომატიურ სამსახურსაც სწევდა.

ის ფაქტორი, რომ ლენოი ცნობისმოყვარეობით გამსჭვალული ბრწყინვალე დამკვირვებელია, ზუსტი მიგნებებით გამოირჩევა, როგორც თვითმხილველი და, ამასთანავე, ახერხებს იყოს ლაკონიური და ემოციურად ნეიტრალური, მის ჩანაწერებს [Voies et Ambassades] ტურბულენტური ეპოქის რეალიების რეკონსტრუქციისთვის ძვირფას წყაროდ აქცევს.

მოხსენება ფოკუსირებულია ჰენრი V-ის ლანკასტერში მსახურობის პერიოდში (1421-1423 წლებში) განხორციელებულ მოგზაურობაზე. ჰენრი V-მ, მას შემდეგ რაც ინგლისისა და საფრანგეთის მმართველად გამოაცხადა თავი, მყისვე, პაპის მოწოდების გარეშე დაგეგმა ჯვაროსნული ლაშქრობა თურქების წინააღმდეგ. ეს ნაბიჯი საერო ხელისუფლების განუხრელი ზრდის და საქრისტიანოს ერთი საერთო, საერო ხელისუფლების ქვეშ დარაზმვის გამოხატულება იყო, რომელი ამბიციაც ყველაზე ცხადად მომავალ საუკუნეში კარლ V-მ გამოხატა.

საჭირო ინფორმაციის მოკვლევის, მოგროვებისა და დიპლომატიური კავშირების დამყარების მიმართულებით, უკეთესი კანდიდატი, ვიდრე ჟილბერტ დე ლენოი – აღმოსავლეთ ევროპაში გამოცდილი (პოლონელებთან, უნგრელებთან ურთიერთობაში) პიროვნება, არ მოიძებნებოდა და, შესაბამისად, ის იქნა შერჩეული კურიერად. სწორედ მას უნდა შეესწავლა იმჟამინდელი პოლიტიკური კლიმატი, სამხედრო მზაობა და განწყობები ზოგადად ქრისტიანებს შორის, რათა ეს ექსპედიცია შესაძლებელი გამხდარიყო. აღსანიშნავია, რომ „წმინდა მიწაზე“ მდგომარეობის დაზვერვის მისია მისი მხლებ-

ლების უმეტესობისთვისაც კი ცნობილი არ იყო; ლენოის ჭეშმარიტი მიზნები საჭიროებდა ფორმალურ ვიზიტებსა და დიპლომატიურ კავშირებს იმ მმართველებთან, რომლებიც აკონტროლებდნენ სირია-პალესტინაში მიმავალი სამხედრო კამპანიის პოტენციური მარშრუტის გარკვეულ მონაკვეთებს.

საინტერესოა თავად მარშრუტი და ის სუბიექტები, რომლებსაც ამ მოგზაურობისას შეხვდა ლენოი (ტევტონთა ორდენის მაგისტრს; პოლონეთის მეფე ვლადისლავ V-ს, რომელიც თურქების მოკავშირე იყო უნგრელთა წინააღმდეგ; უკრაინის ტერიტორიაზე ლიტვის დიდ მთავარს, ვიტოლდს; ვალახიისა და მოლდავიის ვოევოდა ალექსანდრე I, ბიზანტიის იმპერატორ მანუელ II-სა და მის ვაჟ იოანეს; აპირებდა ოსმალების კარზე სტუმრობასაც, რაც ვერ მოხერხდა სულთნის სიკვდილის გამო ოსმალთა სასულთნოში გაჩაღებული დაპირისპირებით.

მოგზაურობისას ლენოი შავ ზღვაზე, გენუელთა პორტში, კაფაშიც, აღმოჩნდა. სავარაუდოდ, მას დავალებული ჰქონდა, მოენიშნა ყველა სავარაუდო მარშრუტი, რითიც სამხედრო კონტინგენტის გადაადგილება იქნებოდა ეფექტური. ფიქრობთ, ამიტომ დაჟინებით ცდილობდა მეგზურის პოვნას, რომელიც შეძლებდა წრიულად შემოევლო შავი ზღვისთვის და ასე წასულიყო იერუსალიმისკენ. ამ მიმართულების არჩევის შემთხვევაში მოგზაურის თვალსაწიერში ქართული მიწებიც უნდა მოხვედრილიყო, თუმცა საბოლოოდ ლენოიმ გემით ამჯობინა კონსტანტინოპოლში ჩასვლა.

დაგეგმილი ჯვაროსნული ლაშქრობა ჰენრი ლანკასტერის სიკვდილის გამო ვერ შედგა, თუმცა ლენოის ჩანაწერები ქართული სამეფოების საგარეო ვექტორის რეტროსპექტიულად შესწავლისთვის არაპირდაპირი, თუმცა მნიშვნელოვანი წყაროა.

ლიტერატურა:

Wade Lanarge, M. (2005). Medieval Travelers, The Rich and Restless, London: Phoenix;

- Zachariadou E. A. (1983).** Ottoman Diplomacy and Danube Frontier (1420-1424), Harvard Ukrainian Studies, Vol. 7, pp. 680-690, Harvard: Harvard Ukrainian Research Institute, <https://www.jstor.org>
- Brotton J. (2002).** The Renaissance Bazaar – From Silk Road to Michelangelo, Oxford: Oxford University Press;
- Menage, V. L. (1976).** The Annals of Murad II, Bulletin of the school of Oriental and African studies 39, part 3, pp. 570-584, <https://www.jstor.org>
- Halecki O. (1944).** Gilbert de Lannoy and his Discovery East Central Europe, Bulletin of Polish Institute of Arts and Science in America, Vol 2, N 2, pp. 314-331, Publisher: Polish Institute of Arts and Science in America <https://www.jstor.org>

The report represents Gilbert de Lannoy – XV-th century traveler and diplomat, who successfully participating in treaty of Troyes got a rapid advancement in the court of Duke of Burgundy, Philip the Good. For fully understanding the scale of Lannoy's activities, it is noteworthy that he was in a diplomatic service of English and Central European Monarchs as well.

The fact that Lannoy is curious and brilliant observer, accurately discerns as an eyewitness and at the same time he manages to be concise and emotionally neutral, makes his notifications [Voiages et Ambassades] as a valuable source for the reconstruction of that turbulent epoch.

The report is concentrated on that period of Diplomat's activities, when he under the service of Henry Lancaster, conducted the voyage in 1421-1423. After declaring himself sovereign of England and France, Henry V immediately declared Crusade against Ottomans without Pope's input. This step was an expression of the rapid growth of secular power and the unification of entire Christendom under its power. This ambition was most clearly expressed by Emperor Charles V in next century.

No better candidate could be found than Gilbert de Lannoy – an experienced person in Eastern Europe (communications with Poles, Hungarians) to investigate, collect the information and establish diplomatic relations. Therefore, he was selected as a courier.

He was the person who had to observe the current political climate, military readiness and attitudes among Christians in general in order to make this expedition possible. It is noteworthy, that the mission of reconnaissance of ‘Holy Land’ was not even known to most of his henchmen; Lannoy’s true intentions required formal visits and diplomatic contacts with those (rulers)- it can also be omitted who controlled certain section of potential route of military campaign towards Syria-Palestine.

The route itself and the persons who Lannoy met is very interesting (Master of Teutonic Order; King Vladislav V of Poland, who was an ally of Ottomans against the Hungarians; Vitold, Grand Duke of Lithuania, Byzantine Emperor Manuel II and his son John); He was also planning to visit the Ottoman court which failed due to the controversy in Turkish sultanate after the death of the Sultan.

During his travel, Lannoy also turned out to be in Genoese port on the Black Sea, Kaffa. Presumably, he had been instructed to mark all the possible routes which would move a military campaign forward more effectively. We suppose that was the reason why he insisted on finding a guide who would be able to bypass the Black Sea and thus move forward to Jerusalem. In case of choosing this direction Georgian Lands might have been in the sight area of the traveler but finally Lannoy preferred to go to Constantinople by ship.

The planned Crusade did not take place due to the death of Henry Lancaster, although Lannoy’s notifications are indirect but yet worthy source for the investigating the foreign vector of Georgian realms of those days retrospectively.

References:

- Wade Lanarge, M. (2005).** Medieval Travelers, The Rich and Restless, London: Phoenix.
- Zachariadou E. A. (1983).** Ottoman Diplomacy and Danube Frontier (1420-1424), Harvard Ukrainian Studies, Vol. 7, pp. 680-690, Harvard: Harvard Ukrainian Research Institute, <https://www.jstor.org>
- Brotton J. (2002).** The Renaissance Bazaar – From Silk Road to Michelangelo, Oxford: Oxford University Press.
- Menage V. L. (1976).** The Annals of Murad II, Bulletin of the school of Oriental and African studies 39, part 3, pp. 570-584, <https://www.jstor.org>
- Halecki O. (1944).** Gilbert de Lannoy and his Discovery East Central Europe, Bulletin of Polish Institute of Arts and Science in America, Vol 2, N 2, pp. 314-331, Publisher: Polish Institute of Arts and Science in America <https://www.jstor.org>

ახალი ქართული იდენტობის ფორმირება
და რუსიფიკატორული პოლიტიკა
(რელიგიური ასპექტი)

FORMATION OF A NEW GEORGIAN IDENTITY AND
RUSSIFICATION POLICY (RELIGIOUS ASPECT)

მაია ქვრივიშვილი
Maia Kvrivishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities, direction

საკვანძო სიტყვები: საქართველო, იდენტობა,
რუსიფიკაცია, რელიგია
Keywords: Georgia, Identity, Russification, Religion

1801 წელს, რუსეთის იმპერატორის ბრძანებით, ქართლ-კახეთის სუვერენული სამეფოს ოკუპაციისა და ანექსიის შემდეგ, ქართველი საზოგადოება სხვა გარემოში აღმოჩნდა. დაიწყო ქვეყნის რუსიფიკაციის პროცესი, რასაც ძალაუფლების გარეშე დარჩენილი ხალხის დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. მიუხედავად რელიგიურ-მართლმადიდებლური ერთიანებისა, რუსული სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური სივრცე მკვეთრად განსხვავდებოდა ქართულისგან. აიკრძალა ქართული ენა: სკოლებში, საჯარო დაწესებულებებსა და ეკლესიებში. მეფის ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ავტოკეფალია და სინოდალური მმართველობის ქვეშ მოაქცია. ქართული ეკლესიის დამცირებამ შეაშფოთა ხალხი, განსაკუთრებით სომხებმა, კათოლიკეებმა, ებრაელებმა და მუსლიმებმა რელიგიური ავტონომია შეინარჩუნეს. კულტურული იმპერიალიზმის მეშვეობით შეიქმნა იმპერიის ერთგული სასულიერო ელიტა, ასევე არისტოკრატია, რომელიც აქტიურად იყო ჩართული კოლონიური პოლიტიკის წარმოებაში. ქართულ ენასთან ერთად ქრისტიანობა საუკუნეების განმავლობაში იდენტობის ერთ-ერთი მარკერი იყო, განსაკუთრებით მუსულმანურ სამყაროსთან მიმართებაში. XIX საუკუნიდან მართლმადიდებლობა ქართველთა გადაგვარების მძლავრ იარაღად იქცა რუსი მტრის ხელში.

1860-იან წლებში განახლებული ეროვნული მოძრაობის მიზანი იყო ახალი ქართველი ერის ჩამოყალიბება. მეფის პოლიტიკამ ხელი შეუშალა ქართველ ერს ეროვნული კონსოლიდაციისკენ სწრაფვაში და შექმნა იდენტობის ნიშნები, რომლებიც მისაღები იქნებოდა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა თუ აღმსარებლობის წარმომადგენლებისთვის. განსაკუთრებით სასტიკი იყო იმპერიული პოლიტიკა მაჰმადიანი ქართველების მიმართ, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, ემიგრაციაში წასულიყვნენ თურქეთში. ეს იყო რუსების მიერ ეთნიკური წმენდის ერთ-ერთი ფორმა და საშუალება. ეროვნული მოძრაობის სურვილი იყო

საერო საზოგადოების შექმნა. ეს იყო როგორც შინაგანი მისწრაფებების, ისე ნაციონალიზმის გავლენის, და, ამავე დროს, ცარიზმის პოლიტიკაზე ერთგვარი რეაქციის შედეგი. ერის გაგების ცნება განისაზღვრა ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიების მიერ, სადაც ენა, ტერიტორია, კანონები, ისტორიული მემკვიდრეობა, საერთო კულტურა მნიშვნელოვან როლს და ადგილს იკავებდა და სადაც რელიგია უფრო ინდივიდუალურ განცდად ითვლებოდა. ეს იყო ერთგვარი პასუხი რუსეთის მართლმადიდებლური მისიონერული იდეოლოგიისა და პოლიტიკის მიმართ, სადაც ისინი გამოვიდნენ ისლამური სამყაროდან, როგორც „ქართველი ძმების“ მხსნელები და ცდილობდნენ ხაზგასმით აღენიშნათ საერთო მხარეები. 1918-1921 წლებში პირველი რესპუბლიკა იყო სეკულარული სახელმწიფო, სადაც რელიგიური იდენტობა ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. საინტერესოა საბჭოთა კავშირის რელიგიური პოლიტიკა, სადაც საქართველო იყო ერთ-ერთი კოლონია. საბჭოთა კავშირს ჰქონდა წმინდა ათეისტური პოლიტიკა, რელიგია კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საბჭოთა ხალხების მანიპულირებაში. რელიგიური იდენტობა გაქრა (ოფიციალურ დონეზე), იგი შეცვალა პარტიულმა იდენტობამ და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებაში.

რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის ერთ-ერთი იარაღი იყო რელიგია, რომელიც სხვადასხვა ეპოქაში (რომანოვის და საბჭოთა ეპოქაში) სხვადასხვა ინტენსივობითა და შინაარსით გამოიყენებოდა დაპყრობილი ხალხების დასამორჩილებლად და ასიმილაციისთვის.

ლიტერატურა:

ბოგიშვილი, დ., ოსუფაშვილი ი., გავაშვილიშვილი ე., გუგუშვილი ნ.,
ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია.
გამომცემლობა ნეკერი, თბილისი 2016. გვ 76.

- პატარიძე, ლ.,** ქართული იდენტობა (ისტორიული ხედვის პრობლემები). – საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბ., 2005. გვ. 217-226.
- ჩიქოვანი, ნ.,** ეთნიკური და რელიგიური ფაქტორების თანაფარდობა ქართველთა კულტურული იდენტიფიკაციის პროცესში (ისტორიული ასპექტი). კრებ.: მარიამ ლორთქიფანიძე 85. თსუ გამომცემ., თბილისის 2007, გვ.116-132.
- ჯანელიძე, ო.,** საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია : მე-19 ს. დამდეგიდან დღემდე (ავტორი). თბილისი, უნივერსალი, 2009.
- ბადრიძე, გ.,** რუსეთის იმპერიული იდეოლოგიები; ჟურნალ „ჩემი სამყარო,“ #26, 2019. გვ.4-13 https://www.gfsis.org/ge/my-world/26?fbclid=IwAR1cfW3dfbMjcdGAZp9Av6y43c-0MJiHe2EMmBPMZx5Cchhux6XRxnff_80 (ბოლოს ნანახია: 24.05.2022)
- მაისურაძე, გ.,** საქართველომ საკუთარ თავს გამოუცხადა ომი. <https://indigo.com.ge/articles/giorgi-maisuraze-saqartvelom-sakutar-tavs/>

After the occupation and annexation of the sovereign kingdom of Kartli-Kakheti by the order of the Russian emperor in 1801, the Georgian society found itself in a different environment. The process of Russification of the country began, which was followed by great resistance of the people left without power. Despite the religious-Orthodox unity, the Russian socio-cultural and political space was markedly different from the Georgian one. Georgian language was banned: in schools, public institutions and churches. The king's government abolished the centuries-old autocephaly of the Georgian Church and brought it under synodal rule. The humiliation of the Georgian Church has alarmed the people, especially Armenians, Catholics, Jews and Muslims who have maintained religious autonomy. Through cultural imperialism was created the faithful clerical elite of the empire, as well as the aristocracy, which was actively in-

volved in the production of colonial policies. Along with the Georgian language, Christianity has been one of the markers of identity for centuries, especially in relation to the Muslim world. From the 19th century, Orthodoxy became a powerful tool for the degeneration of the Georgians in the hands of the Russian enemy.

The goal of the renewed national movement in the 1860s was to form a new Georgian nation. The king's policy prevented the Georgian nation from striving for national consolidation and created signs of identity that would be acceptable to representatives of different nationalities or religions living in Georgia. The imperial policy towards the Muslim Georgians, who were forced to emigrate to Turkey, was especially cruel. It was one of the forms and means of ethnic cleansing by the Russians. The desire of the national movement was to create a secular society. It was the result of both internal aspirations and the influence of nationalism, and at the same time a kind of reaction to the politics of tsarism. The notion of understanding the nation was defined by the ideologues of the national movement, where language, territory, laws, historical memory, common culture played an important role and place, and where religion was considered a more individual feeling. It was a kind of response to the Russian Orthodox missionary ideology and policies, where they left the Islamic world as the saviors of the "Georgian brothers" and tried to emphasize the commonalities. From 1918 to 1921, the First Republic was a secular state where religious identity was less important. The religious policy of the Soviet Union, where Georgia was one of the colonies, is interesting. The Soviet Union had a purely atheistic policy, religion still played an important role in manipulating the Soviet peoples. Religious identity disappeared (at the official level), it was replaced by party identity and played an important role in the formation of Soviet man.

One of the tools of Russian imperialist policy was religion, which was used in different epochs (Romanov and Soviet eras) with different intensities and content to subjugate and assimilate the conquered peoples.

References:

- Bogishvili D., Osepashvili I., Gavashelishvili E., Gugushvili N.,** Georgian National Identity: Conflict and Integration. Nekeri Publishing House, Tbilisi 2016. p.76
- Pataridze L.,** Georgian identity (problems of historical vision). -Georgia at the crossroads of millennia. Tb., 2005. p. 217-226
- Chikovani N.,** The ratio of ethnic and religious factors in the process of cultural identification of Georgians (historical aspect). Collection: Mariam Lortkipanidze 85. TSU Publisher, Tbilisi 2007, pp.116-132
- Janelidze O.,** New and Modern History of Georgia: 19th Century. From the beginning to the present (author). – Tbilisi, Universal, 2009
- Badridze G.,** Russian Imperial Ideologies; Magazine “My World,” # 26, 2019. pp.4-13. https://www.gfsis.org/ge/my-world/26?fbclid=IwAR1cfW3dfbMjcqGAZp9Av6y43c-0MjiHe2EMmBPmZx5Cchhux6XRxnff_80
- Maisuradze G.,** Georgia has declared war on itself. <https://indigo.com.ge/articles/giorgi-maisuraze-saqartvelom-sakutar-tavs/>

**სხვათა სიტყვის ო-ნაწილაკიან ფორმათა
ადგილისათვის ქართული ანდაზების
ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებში**

**ON THE PLACE OF FORMS WITH THE DIRECT
SPEECH PARTICLE ო O IN THE HYPOTACTIC
CONSTRUCTIONS OF GEORGIAN PROVERBS**

რამაზ ქურდაძე

Ramaz Kurdadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities, direction

საკვანძო სიტყვები: ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, მთავარი
წინადადება, დამოკიდებული წინადადება, სხვათა
სიტყვის ნაწილაკები

Keywords: Hypotactic construction, main clause, subordinate
clause, direct speech particles

ცნობილია, რომ ქართულში სიტყვა-სიტყვით ნაწილაკ-თაგან ო მესამე პირის ნათქვამს (ან განაზრახის გამომხატველ სიტყვებს) დაერთვის და სხვათა სიტყვათა ნაწილაკი ჰქვია. იგივე ო ხშირად ერთვის ანდაზებს, რადგანაც ანდაზების მთქმელად მესამე პირი იგულისხმება.

ანდაზა სინტაქსური აგებულებით სხვადასხვა კონსტრუქციისაა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სხვათა სიტყვის ო ნაწილაკიანი ფორმის შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ანდაზები, რადგან მათში ო ნაწილაკი, რომელიც აღნიშნული კონსტრუქციის ერთ რომელიმე წევრს დაერთვის, მთლიან კონსტრუქციას წარმოადგენს, როგორც მესამე პირის ნათქვამად და არა ამ კონსტრუქციის რომელიმე ნაწილს – მთავარს ან დამოკიდებულს.

ასეთ ვითარებაში სტილისტურ-აზრობრივი თვალსაზრისით საინტერესოა ჰიპოტაქსური კონსტრუქციების მქონე ანდაზებში სხვათა სიტყვის ო ნაწილაკიანი ფორმის ადგილის განსაზღვრა.

მასალის განხილვამ ცხადყო, რომ, ჩვეულებრივ, ჰიპოტაქსურ კონსტრუქციაში ო ნაწილაკიანი ფორმა გვხვდება მთლიანი ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მეორე ან ბოლო ნაწილში – მთავარ ან დამოკიდებულ წინადადებაში. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგი ანდაზის ერთგვარი რიტმულობისათვის ო ნაწილაკიანი ფორმები ერთდროულად გვხვდება ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ორივე ნაწილში – მთავარსა და დამოკიდებულში. ასეთ დროს მთავარი და დამოკიდებული წინადადებები მარცვალთა შედგენილობით თანაბარია:

მაშასადამე, ადგილის მიხედვით, სხვათა სიტყვის ო ნაწილაკიანი ფორმების გამოყენებას ჰიპოტაქსური კონსტრუქციის მქონე ანდაზებში სამ შემთხვევაში ვადასტურებთ:

1. ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ბოლოს მთავარ წინადადებაში: „უხემი ხომ გაღაბხუნდება, გზა მაშინ გამოჩნდება-ო!“.“

¹ სხვათა სიტყვის ო ნაწილაკი ქართულში თანმხლებ სიტყვასთან ერთად იწერება, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში გამოვყოფთ დეფისით.

2. ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ბოლოს დამოკიდებულ წინადადებაში: „წამწამი ისე ახ გაიზიდა, ხომ წახბს ასციდეს-ო“.

3. ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ორივე ნაწილში (მთავარშიც და დამოკიდებულშიც) ერთდროულად: „თუ შენა გაქვს ისახი-ო, ფახად მეც მაქვს ფიცახი-ო“.

ამ სამი შემთხვევის ამსახველი მაგალითები არათანაბარი რაოდენობით გამოვლინდა, ამიტომაც მოხსენებაში საანალიზო შემთხვევათა გამოყენების სტატისტიკასაც წარმოვადგენთ, რასაც, ბუნებრივია, გარკვეული მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ ანდაზათა სტილური ვარიანტების გამოყენება-გავრცელებისათვის.

ნაშრომი შესხულებულია შოთა ხუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის: „ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველი ენათა ჰიპოტაქსური მოდელები“; FR-21-352 ფაჩვებში.

ლიტერატურა:

ლეჟავა, ლ. (1959). ქართული ანდაზების ენა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 139-267. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

კვაჭაძე, ლ. (1988). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: „განათლება“.

შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III. თბილისი: „თსუ გამომცემლობა.“

[ქართული ხლხური ანდაზები და გამონათქვამები] <https://kids.ge/sayings>

It is widely known that in Georgian there are certain particles referring to speech. Out of these particles, the particle *ო* is added to the speech (or to the words expressing intention) of the third per-

son. Hence, *mo* is termed as “direct speech particle”. This particle is often used in proverbs, because it is implied that the third person has uttered the proverbs.

Syntactically, proverbs are of diverse constructions. In this regard, special focus should be made on the proverbs of hypotactic construction containing the direct speech particle *mo*. In such proverbs, the particle *mo* is added to one of the members of the above-mentioned construction, but the particle represents the entire construction (and not its separate parts – either the main clause or the subordinate one) as the speech of the third person.

From the stylistic-semantic viewpoint, it is interesting to define the place of the direct speech particle *mo* in the proverbs with hypotactic constructions.

Analysis of the material has proved that, in general, in hypotactic constructions, the forms with the particle *mo* are found either in the second or in the final part of the hypotactic construction, i.e. either at the end of the main clause or at the end of the subordinate one. However, it should be noted that, for the purpose of rhythm, in certain proverbs, forms with the particle *mo* are simultaneously found in both parts of the hypotactic construction – the main clause and the subordinate one. In such cases, there is equal number of syllables in the main and the subordinate clause.

Thus, there are three options regarding the place of the forms with the direct speech particle *mo* in the proverbs with hypotactic construction:

1. At the end of the hypotactic construction, in the main clause:
უჩემი რომ გადარბუნდება, გზა მაშინ გამოჩნდება-ო¹
ueremi rom gadabrundeba gza mashin gamochndeba-o
gamochndeba-o
V-DSP

¹ Direct speech particle *mo* in Georgian is written together with the accompanying word, but because of illustrations in the examples provided here it is hyphenated.

“When the cart has turned over, the road will appear”

2. At the end of the hypotactic construction, in the subordinate clause:

წამწამი ისე ახ გაიზრდება, რომ წახბს ასცილდეს-მ
ts'amts'ami ise ar gaizrdeba, rom ts'arbs astsildes-o
astsdes-o

V-DSP

“An eyelash will not grow so high as to exceed the eyebrow”

3. In both parts of the hypotactic construction (the main clause and the subordinate clause) simultaneously:

თუ შენა გაქვს ისარი-მ, ფახარ მეც მაქვს ფიცარი-მ
tu shena gakvs isari-o, parad mec makvs pitsari-o
isari-o

N-DSP

pitsari-o

N-DSP

“If you have an arrow, I have a board as a shield”

Examples of these three cases are not equal in number. Therefore, the paper also provides statistical data regarding the use of these three cases. Naturally, this is important for the research of the usage and spreading of the stylistic variants of the above-mentioned proverbs.

The paper has been implemented within the framework of a project “Information Structure and the Hypotactic Patterns of Kartvelian Languages”, FR-21-352, financed by Shota Rustaveli National Science Foundation.

References:

Lezhava, L. (1959). kartuli andazebis ena, kartvelur enata strukturis sakitkhebi, I. [The Language of the Georgian Proverbs, The Issues of the Structure of the Kartvelian Languages, I], 139-267. Tbilisi: Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR.

Kvachadze, L. (1988). tanamedrove kartuli enis sintaksi. [Syntax of the Contemporary Georgian Language]. “Ganatleba”.

Shanidze, A. (1980). kartuli enis gramatikis sapudzvebi, t. III. [Basis of the Georgian Language Grammar, vol. III]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.

[Georgian Folck Proverbs and Expressions] <https://kids.ge/sayings>

Abbreviation:

DSP – Direct speech particle

N – Noun

V – Verb

**ინტეგრაციული პროცესის სირთულეები
გერმანიაში XX ს-ის 90-იან წლებში და
ინოვაციური პოლიტიკა ახალ მიწებზე**

**DIFFICULTIES OF THE INTEGRATION PROCESS
IN GERMANY IN THE 90S OF THE XX CENTURY
AND INNOVATIVE POLICIES ON NEW LANDS**

ფატი შეკლაშვილი

Pati Sheklashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: გერმანია, ინტეგრაცია, „ახალი
მიწები“, „Ossi“, „Wessi“, „ოსტალგია“

Keywords: Germany, Integration, “New Lands”, “Ossi”,
“Wessi”, “Ostalgie”

ორი დამოუკიდებელი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი გზა დასრულდა 1990 წლის 3 ოქტომბერს და მომენტალურად დაიწყო რეალური ინტეგრაციის რთული პროცესი, რომელიც მთელი სიმწვავით გაერთიანების პირველ ათწლეულში იგრძნეს გერმანიის, განსაკუთრებით კი ყოფილი გდრ-ის, მოქალაქეებმა როგორც საშინაო პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს გერმანიის მნიშვნელოვანი როლი თანამედროვე მსოფლიოში როგორც გეოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, ისე ძლიერი ეკონომიკით, რომელიც ერთიანი ევროპის ეკონომიკის საყრდენად მოიაზრება.

ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული და ფსიქოლოგიური სხვაობა ორი გერმანული სახელმწიფოს ინტეგრაციის პროცესში იმაზე ღრმა აღმოჩნდა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა.

ყოფილი გდრ-ის ეკონომიკის განვითარების შედეგებით დაბალი დონე და კონკურენტუნარიანობა, ფედერაციის ცენტრიდან და აღმოსავლეთ გერმანული მხრიდან ითხოვდა უზარმაზარ ფინანსებს, რასაც მოჰყვა წარმოების სტაგნაცია და უმუშევრობის ზრდა აღმოსავლეთ ნაწილში.

სერიოზულ პრობლემად იქცა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანელების, განსაკუთრებით საშუალო და უფროსი თაობის სოციალურ-ფსიქოლოგიური შეუთავსებლობა, რის გამოც მათ შორის დაძაბულობა, არა მხოლოდ გაერთიანების პირველ ათწლეულში, შემდგომშიც იგრძნობოდა.

სოციალური პრიორიტეტების სისტემის ცვლა, დემოგრაფიული სიძნელებები, ახალი კანონები, მტკივნეულად აისახა აღმ. გერმანიის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე. სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმებმა თავისი ტემპით გაუსწრო ფსიქოლოგიურმზადყოფნას, რასაც მოჰყვა ახალი პრობლემები, ერის ორად გახლეჩა: „Ossi“ (Ost – აღმოსავლეთი) და „Wes-

si“ (Westen – დასავლეთი). დასავლეთსა და აღმოსავლეთში ადამიანებს ჰქონდათ ცხოვრების განსხვავებული სტილი, ქცევის წესები, საზოგადოებრივი და კულტურული სფეროები. არსებული ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სტრუქტურების რღვევამ აღმ. გერმანიაში გააჩინა ტერმინი „ოსტალგია“ (დარდი წარსულზე, როგორც წესი, ძირითადათ, კარგს იხსენებდნენ).

საინვესტიციო პოლიტიკამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახალი მიწების ეკონომიკის ტრანსფორმაციაში. ფედერალური სახელმწიფოს სუბსიდიებმა განამტკიცა მათი ინოვაციური შესაძლებლობები. ინოვაციური პოლიტიკის ფარგლებში შემუშავდა ახალი პროგრამები, გაღრმავდა თანამშრომლობა კომპანიებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის.

შრომით ბაზარზე ვითარების შესამსუბუქებლად აღმოსავლეთ მიწებზე გატარდა ექსტრემისტული ღონისძიებები, პენსიაზე გაუშვეს დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ეს შეეხო ყველა სფეროს. შეიქმნა ფართო ქსელი კვალიფიკაციის ამაღლების, კადრების გადამზადებისა და ახალი პროფესიების ასათვისებლად.

თანამედროვე გერმანიაში ეს პრობლემები მნიშვნელოვნად აღმოფხვრილია და გერმანიის გაერთიანების შემდგომ დაბადებული თაობა წარმატებულად ინტეგრირდება გერმანულ საზოგადოებაში.

ლიტერატურა:

- Тоганова, Н.В. (2010).** Двадцать лет германского единства: проблемы и оценки / Н.В. Тоганова // *Международная экономика*, 4, 14–23.
- Ahbe, T. (1997).** Ostalgie als Selbstermächtigung. Zur produktiven Stabilisierung ostdeutscher Identität, *Deutschland Archiv*, 30, 614–619.
- Kohl, H. (2006).** *Erinnerungen 1982-1990*, Stuttgart: Droemer Knaur.
- Modrow, H. (1998).** *Ich wollte ein neues Deutschland*, Berlin: Dietz-Verlag.

On October 3, 1990, the long and controversial journey towards the unification of the two independent German states came to an end, and the tough process of actual unification began. This was felt with all the intensity in the first decade of German unification, especially by former GDR citizens and included local political, socio-economic, and socio-psychological aspects.

The urgency of the issue is determined by the crucial role of Germany in the modern world geographically, militarily and strategically, as well as by a strong economy, which is considered a backbone of a united European economy.

The economic, political, socio-cultural, and psychological gaps between the two German states in the unification process was much deeper than it initially appeared.

The low rate of economic development and competitiveness of the former GDR demanded a large amount of money from the central federation and parts of East Germany, resulting in a production stagnation and an increase in unemployment in the east.

The socio-psychological incompatibility of East and West Germans became a serious problem, especially between the middle and older generations, resulting in tensions between them not only during the first decades of unification, but even afterward.

Changes in the social priority system, demographic challenges, and new regulations have wreaked havoc on a substantial portion of East Germany's population. Socio-economic reforms outpaced psychological readiness with new problems arising, resulting in the country being divided into two parts: the "Ossi" (East Germans) and the "Wessi" (West Germans). People in the West and the East had quite distinct lifestyles, rules of conduct, and social and cultural spheres. In East Germany, the concept of "ostalgie" (sorrow about the past; as a rule, only good memories were remembered)

arose from the disintegration of established economic, sociopolitical, social, and cultural systems.

Investment policy played a crucial role in the transformation of the new lands economy. Subsidies from the federal government strengthened their new capabilities. New programs were developed as a part of the innovation policy framework, and collaboration between businesses and scientific institutions deepened. Extreme measures were taken in the eastern lands to ease the labor market issues, and a large number of workers were forced to retire. Every sphere was affected by the new policy. A large network was established to develop skills, retrain staff and learn new professions.

These issues have been significantly eliminated in modern Germany, and the generation born after the unification has been effectively integrated into German society.

References:

- Тоганова Н.В. (2010).** Двадцать лет германского единства: проблемы и оценки / Н.В. Тоганова // *Международная экономика*, 4, 14–23.
- Ahbe, T. (1997).** Ostalgie als Selbstermächtigung. Zur produktiven Stabilisierung ostdeutscher Identität, *Deutschland Archiv*, 30, 614–619.
- Kohl, H. (2006).** *Erinnerungen 1982-1990*, Stuttgart: Droemer Knaur.
- Modrow, H. (1998).** *Ich wollte ein neues Deutschland*, Berlin: Dietz-Verlag.

აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობის
სტატისტიკური სპეკულაცია

STATISTICAL SPECULATION OF THE POPULATION
OF ABKHAZIA

თამარ შინჯიაშვილი

Tamar Shinjiashvili

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sokhumi State University

საკვანძო სიტყვები: მოსახლეობის აღწერები, შიდა
მიგრაცია, ეთნო-დემოგრაფიული ბალანსი,
მოსახლეობის სტატისტიკა

Keywords: Population censuses, Internal migration, Ethno-
demographic balance, Population statistics

ჩვენი კვლევის მიზანია წარმოვაჩინოთ აფხაზეთის მოსახლეების ეთნო-დემოგრაფიული შემადგენლობის რეალური სტატისტიკური ანალიზი, რა არის მითი და რა რეალობა? სტატისტიკური მონაცემების დაზუსტებისთვის განსაკუთრებით ღირებულია მიგრაციასთან დაკავშირებული რუსული, აფხაზური და ქართული აღწერებისა და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირისა და პოსტსაბჭოთა პერიოდის სტატისტიკური აღწერების ანალიზს, აგრეთვე აფხაზურ ანალიტიკურ და საინფორმაციო პორტალებზე წარმოდგენილი ინფორმაციის კრიტიკულ შეფასებას.

ჩვენი ყურადღება მიიქცია აფხაზეთში მიმდინარე ეთნო-დემოგრაფიული პროცესების, ქართველი და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილების საკითხმა, სტატიაში ყურადღება გავამახვილეთ, აფხაზი ავტორების მხრიდან, სტატისტიკური მასალების ტენდენციურ ინტერპრეტაციაზე, ან მათ გულგრილ უგულებელყოფაზე, გაანალიზებულია აღწერის დავთრებსა და სიებში წარმოდგენილი ფაქტობრივი მონაცემები და აღდგენილია ისტორიული რეალობა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის პერიოდის სტატისტიკური აღწერები აფხაზი ისტორიკოსების მიერ მიზანმიმართულადაა გამოყენებული მცდარი ეთნო-დემოგრაფიული ბალანსების მისაღებად. მეტიც, სწორედ მსგავსი დაანგარიშებები ვრცელდება აფხაზური ნარატივის გამავრცელებელ ინგლისურენოვან საიტებზე, რასაც საკითხით დაინტერესებული უცხოელი მკვლევრები შეცდომაში შეჰყავს. ეს ფაქტები სიყალბესა და ტყუილებზე დაფუძნებული რუსული დეზინფორმაციის უახლესი და მკაფიო

მაგალითა აფხაზეთის ისტორიასთან დაკავშირებით და, ერთი მხრივ, ხსნის პროპაგანდის შიგთავსს, ხოლო, მეორე მხრივ, აღგვიწერს რეალურ ისტორიულ სურათს თავისი ფაქტოლოგიური და სტატისტიკური ქრონოლოგიითა და შეფასებებით.

The aim of our research is to present a real statistical analysis of the ethno-demographic composition of the population of Abkhazia, what is the myth and what is the reality? Russian, Abkhazian and Georgian descriptions and scientific literature related to migration are especially important for the accuracy of statistical data.

The research methodology is based on the analysis of statistical descriptions of the Russian Empire, the Soviet Union and the post-Soviet period, as well as the critical evaluation of information presented on Abkhazian analytical and information portals.

Our attention was drawn to the current ethno-demographic processes in Abkhazia, the quantitative and percentage distribution of the Georgian and Abkhazian populations. In the article, we focused on the tendentious interpretation of statistical materials by Abkhazian authors, or their indifferent neglect, analyzed the factual data presented in the census books and lists, and restored the historical reality.

The study highlighted that statistical descriptions from the Russian Empire and the Soviet period were deliberately used by Abkhaz historians to obtain erroneous ethno-demographic balances. Moreover, such calculations are spread on English-language websites that spread the Abkhazian narrative, which misleads foreign scholars interested in the subject. These facts point to the latest and clearest example of Russian disinformation based on falsity and lies about

the history of Abkhazia and, on the one hand, explain the content of propaganda and, on the other hand, describe the real historical picture with its factual and statistical chronology and assessments.

მთავლიტი და ლიტერატურა
(მეოცე საუკუნის 60-იანი წლები)

GLAVLIT AND LITERATURE
(IN THE SIXTIES OF THE 20TH CENTURY)

ნინო წერეთელი

Nino Tsereteli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მთავლიტი, 20-იანი წლები, XX საუკუნე

Keywords: Glavlit, 1960s, Soviet Union, literature

1922 წლის 6 ივნისს შექმნილ მთავლიტს – ლიტერატურისა და საგამომცემლო საქმეთა მთავარ სამმართველოს, ფუნქციების დაზუსტების შემდეგ ბეჭდვით სიტყვაში სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვა დაეკისრა, რამდენადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იდეოლოგიურ ცენზურას, ეს პერიოდი გამოირჩევა უმკაცრესი დადგენილებებით: საგამომცემლო საქმიანობის შესახებ (1931), ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ (1932). საბავშვო ლიტერატურის გამოცემის შესახებ (1933). პოლიტიკური ორიენტირების შეცვლამ, რომელსაც დათბობის ხანა დაერქვა, მთავლიტის წარმმართველი პოზიციები შეასუსტა. მას დარჩა უმთავრესი ფუნქცია – სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებების დაცვა. 1966 წლიდან მთავლიტი სსრკ მინისტრთა საბჭოს ბეჭდური სიტყვის სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველო გახდა. ამ პერიოდიდან იწყება ე.წ. „უძრაობის ხანა“. 1969 წლიდან ამოქმედდა ცენტრალური კომიტეტის საიდუმლო დადგენილება, რომლის მთავარი მიზანი იყო არასასურველი საინფორმაციო თუ მხატვრული პროდუქციის დღის სინათლის ხილვამდე განადგურება. ამ პირობებში გაძლიერდა ცენზორების და რედაქტორების ფუნქციები. ხაზგასასმელია ავტორთა თვითცენზურაც.

გაძლიერებული სახელმწიფო კონტროლის პირობებში უცხოელ ავტორებს სათარგმნელად გამსაკუთრებული სიფრთხილით არჩევდნენ. ამ პროცესს მთავლიტის სპეციალური განყოფილება აკონტოლებდა. იდეოლოგიური წნეხის ქვეშ მოექცნენ მთარგმნელებიც. თითოეული თარგმანი საბჭოთა პოლიტიკის პრინციპებისა და იდეალების პროპაგანდასთან დაკავშირებით განიხილებოდა. აღსანიშნავია, რომ 60-იან წლებში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა დაეკისრა წიგნის შემფასებლებს, რომელთაც ევალუბოდათ ბუკინისტური

წიგნის მაღაზიების მუდმივი კონტროლი ანტისაბჭოთა, ანტიბოლშევიკური, პოლიტიკურად მავნე და რელიგიური ლიტერატურის გამოსავლენად. განსაკუთრებული სიმკაცრით ეკიდებოდნენ „ხალხის მტრად“ წოდებულ ავტორთა წიგნებს (სამიზდატის გამოცემები, აკრძალული ლიტერატურა – სპეცფონდებში განთავსებული ლიტერატურა).

Founded on June 6, 1922, Glavlit initially as the “Main Directorate for Literary and Publishing Affairs”, after specification of its functions changed its name on “Main Administration for Protection of Military and State Secrets in the Press”. At that time, particular importance was attached to ideological censorship this period was marked by the strictest resolutions, such as “On printed matters” (1931), “On the transformation of literary and artistic organizations” (1932) “On the publication of children’s literature” (1933). The change of political orientations, commonly known as the “Thaw” led to the weakening of Glavlit’s role. It retained the most important function – the protection of state and military secrets. From this period on, the “stagnation era” started. In 1969, a secret resolution of the Central Committee came into force, the main purpose of which was the destruction of unwanted information or works of art before they came out. Under these conditions, the functions of censors and editors were strengthened. Authors’ self-censorship is also special.

In conditions of enforced state control, the selection of foreign authors for translation used to be carried out with particular care. This process was monitored by a special department of the Glavlit. Translators were also subjected to ideological pressure. Each translation was considered in connection with the propagation of the principles and ideals of Soviet policy. It is noteworthy that in the 1960s a special responsibility fell on book reviewers, who were in-

structed to constantly monitor second-hand bookshops for exposure of anti-Soviet, anti-Bolshevik, politically harmful and religious literature. The books of authors who were called “enemies of the people” were treated with particular severity (Samizdat publications, prohibited literature – literature placed in special funds).

მიქაელ მოდრეკილის ლიტურგიკული
მოღვაწეობიდან

FROM THE LITURGICAL ACTIVITY OF MICHAEL
MODREKILI

ლელა ხაჩიძე

Lela Khachidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მიქაელ მოდრეკილი ლიტურგიკა
კალენდარი კიმენი ჰიმნოგრაფია

Keywords: Michael Modrekili Liturgy Calendar Keimena
Hymnography

მიქაელ მოდრეკილი ჩვენი წარსულის ერთ-ერთი უდიდესი და, ამავე დროს, ნაკლებად შესწავლილი პიროვნებაა. ისაა შემდგენელი და ერთ-ერთი ავტორი უნიკალური კრებულის – „იადგარისა“ (978-988), რომელშიც შეკრიბა იმ დროისათვის ქართულენაზეარსებულ მთელი ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი – თარგმნილიც და ორიგინალურიც. ესაა „მეხური“ კრებული – შემკული იმდროინდელი სანოტო ნიშნებით – ნევმებით.

ამ კრებულში, სხვა ბერძენ და ქართველ ავტორებთან ერთად, დაცულია თავად მიქაელ მოდრეკილის 4 საგალობელი. მათ შორისაა ვრცელი ფორმის ჰიმნოგრაფიული კანონი – „წმიდა მამათა საგალობელი“, რომელიც ავტორის დიდ საღვთისმეტყველო განათლებას და პოეტურ ნიჭს მოწმობს. საგალობელი, ფაქტობრივად, შეუსწავლელია. მისმა კვლევამ ცხადყო მიქაელ მოდრეკილის მოღვაწეობის ახალი ასპექტი – მისი წვლილი უშუალოდ ლიტურგიკის სფეროში.

„წმიდა მამათა საგალობელში“ გვხვდება 425 ხსენება, მათ შორისაა ქართველი წმინდანებიც: წმ. ნინო, რომელიც საგანგებოდაა შექებული, შუშანიკ დედოფალი, აბო თბილელი. მოხსენიებული არიან ყრმა მარტვილები: ცხრა ძმა კოლაელი, დავით და ტირიჭანი დედასთან ერთად. ეს უკანასკნელი ხსენება ყურადღებას იმსახურებს იმ თვალსაზრისით, რომ დავითსა და ტირიჭანთან ერთად მოიხსენიება მათი დედაც. ეს ფაქტი შემდგომ კვლევას საჭიროებს.

საგალობელს ერთვის მიქაელ მოდრეკილის ანდერძი, რომელშიც ის ახდენს ამ ხსენებების კლასიფიკაციას. ანდერძის შესწავლამ ცხადყო, რომ ჰიმნოგრაფიის თვალსაჩინო ნიმუშთან ერთად, ფაქტობრივად, ჩვენ თვალწინაა „მიქაელ მოდრეკილის კალენდარი“. მასში, იერარქიის მიხედვით, მოიხსენიებიან მამამთავრები, წინასწარმეტყველები, მსაჯულები, მოციქულები და სხვანი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ კალენდარში დასახელებულია 100 მოწამე. მათთან ერთად, დაცულია 92 ხსენება – „მამათა“ – 52 და „დედათა“ – 40. ჩნდება კითხვა – რა წყაროებს ეყრდნობოდა მიქაელ მოდრეკილი ამ შემთხვევაში?

როგორც ცნობილია, დაახლოებით ამავე პერიოდში შედგენილი სხვა უნიკალური კრებული – „იოანე-ზოსიმეს კალენდარი“. ამ ორი ტექსტის შედარებამ გამოავლინა საერთო ხსენებები.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, მიქაელ მოდრეკილისთვის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა უძველესი – კიმენური ტექსტები. „კიმენტან“ საერთო აღმოჩნდა „მიქაელ მოდრეკილის კალენდრაში“ შესული ათეულობით ხსენება. „კიმენში“ ყველა შემთხვევაში დაცულია შესაბამისი ჰაგიოგრაფიული ტექსტები – „მარტვილობები“.

ძველ ქართულ „კალენდრებსა“ და კიმენურ ტექსტებში შემონახულია ბევრი ისეთი ხსენება, რომელთა აღდგენა დღეს მხოლოდ მათი საშუალებითაა შესაძლებელი.

ლიტერატურა:

ინგოროყვა, პ. (1913). ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, თბილისი

კიმენი, I, (1918). კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“

კიმენი, II, (1946). კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“

Garitte, G. (1958). Le calendrier palestinno-georgien du Sinaiticus 34, Xe s. Bruxelles: Published by Société des Bollandistes.

Michael Modrekili is one of the greatest and at the same time, least studied figures of our past. He is the compiler and one of the authors of a unique collection – “Iadgari” (978-988), in which he gathered the entire hymnographic repertoire that existed at that time in the Georgian language – both translated and original. This is a “Mekhuri” collection which contains the ancient notation signs – neumes.

This collection, along with other Greek and Georgian authors, preserves 4 hymns composed by Michael Modrekili himself. Among them is an extensive hymnographic canon – “The Hymn of the Holy Fathers”, which testifies to the author’s great theological education and poetic talent. The study of the hymn revealed a new aspect of Michael Modrekil’s work – his contribution directly to the liturgical sphere.

In the “Hymn of the Holy Fathers” we come across 425 commemorations. Among them are Georgian saints too. The hymn is supplemented with Michael Modrekili’s colophon, in which he classifies these commemorations. The study of the colophon revealed that along with the remarkable example of the hymnography, we actually deal with “Michael Modrekili’s Calendar.”

As is known, around the same period another unique collection was compiled – “The Calendar of Ioane-Zosime”. A comparison of the two texts revealed common commemorations.

As research has shown, one of the main sources for Michael Modrekil is the ancient – Keimenic texts. Dozens of commemorations included in “Michael Modrekil’s Calendar” appeared common to “Keimena”. In all cases, the relevant hagiographic texts – “Martyrdoms” are preserved in “Keimena”.

The old Georgian “Calendars” and “Keimenon” texts preserve lots of such commemorations, the restoration of which today becomes possible only with their help.

References:

Ingoroyva P. (1913). Dzveli Qartuli sasuliero poezia. [Old Georgian Spiritual Poetry]. Tbilisi.

Kimeni (1918). [Keimena]. Edited by acad. K. Kekelidze. Tbilisi: press of the Russian Science Academy.

Kimeni (1946). [Keimena]. Edited by acad. K. Kekelidze. Tbilisi: press of the Georgian SSR Science Academy.

Garitte G. (1958). Le calendrier palestinogéorgien du Sinaiticus 34, Xe s. Bruxelles: Published by Société des Bollandistes.

**ისტორიული მეთოდოლოგია და
ეთნოლოგიური კვლევები**

**HISTORICAL METHODOLOGY AND ETHNOLOGICAL
RESEARCH**

ქეთევან ხუციშვილი
Ketevan Khutsishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ეთნოლოგია, კვლევის მეთოდოლოგია,
ისტორიული მეთოდები

Keywords: Ethnology, Research Methodology, Historical Methods

ისტორიისა და ეთნოლოგიის საკვლევ ინტერესების გადაკვეთისა თუ თანხვედრის საკითხი, ეთნოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დარგის ჩამოყალიბების პროცესის თანმდევი თემაა. XX საუკუნეში სამეცნიერო მეთოდის განვითარებას, ინტერესთა სფეროების გაფართოებასა და ემპირიულ სიახლეებს მეთოდოლოგიური და თეორიული მიდგომების გადასინჯვა მოჰყვა. ეთნოლოგიური (ანთროპოლოგიური) სკოლებისა და ტრადიციების სხვადასხვაობამ განსხვავებული მიდგომების გაჩენა განაპირობა ინგლისურენოვან, გერმანულენოვან და ფრანგულენოვან სივრცეებში.

ინგლისურენოვან სამყაროში დარგის თეორიულ განვითარებაზე გავლენას ახდენდა, ერთი მხრივ, ფრანც ბოასის ისტორიული პარტიკულარიზმი, ხოლო, მეორე მხრივ, ბრონისლავ მალინოვსკისა და ალფრედ რედკლიფ-ბრაუნის მიდგომებმა მკვეთრი ზღვარი გაავლეს ეთნოლოგიასა და ისტორიას შორის. მათთვის სოციო-კულტურული ფენომენები ფუნქციონალური მიდგომით განიხილებოდა და ისტორიულ აღწერებს მხოლოდ ანმყოს ისტორიული ლეგიტიმაციის ფუნქციის მატარებლად აღიქვამდნენ. გერმანიაში ჩამოყალიბდა ისტორიული მიმართულების ანთროპოლოგია. ძირითადი საკვლევ კითხვა ისტორიის რეკონსტრუქციის შესაძლებლობებს ეხებოდა და ისტორიის მხოლოდ წერილობით წყაროებთან დაკავშირებას აკრიტიკებდა. მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ვენაში, ვ. ჰირშბერგის ხელმძღვანელობით, ჩამოყალიბდა ეთნოისტორიის მიმართულება, რაც ისტორიული და ეთნოგრაფიული კვლევების მიჯნაზეა. ეთნოისტორიული კვლევები ეფუძნება როგორც ისტორიულ, ისე ეთნოგრაფიულ მონაცემებსა და მიდგომებს. ეთნოისტორიული კვლევა წერილობითი წყაროებისა და დოკუმენტების ანალიზს ეფუძნება. ფრანგულენოვან სივრცეში გავლენა იქონია „ანალების“ ისტორიულმა სკოლამ, რომელმაც ყურადღება გადაიტანა ყოველდღიურობასა და უბრალო ადამიანებზე. გაიზარდა ინტერესი მიკროისტორიის მიმართ.

ასეთმა ტრადიციებმა განსაზღვრა ისტორიული მეთოდოლოგიის აქტუალობა. ისტორიული განზომილება უფრო მნიშვნელოვანი გახდა თანამედროვე ანთროპოლოგიისათვის 1980-იანი წლებიდან, რადგან საშუალებას იძლევა, გაანალიზდეს სოციალური ყოფის მსგავსება-განსხვავებები ისტორიულ ან გენეალოგიურ კონტექსტში და დაგროვდეს კომპარატიული ცოდნა ადამიანთა ყოფის შესახებ. ისტორიული მეთოდოლოგიის გამოყენება ისტორიულ ეთნოლოგიაში ნიშნავს თანამედროვე კულტურებიდან წარსულის რეტროსპექციას, დღეს მცხოვრები ადამიანების კულტურული მეხსიერების, ზეპირი ისტორების, ისტორიული წყაროებისა და დოკუმენტების წყალობით. ისტორიულ რეკონსტრუქციის მიზანი კი მთელი კონტექსტის აღდგენა უნდა იყოს და არა მისი ფრაგმენტებისა. კონტექსტები კი დროთა ვითრებაში ცვლებადია. შესაბამისად, ისტორიული განგრძობითობა იმავე კატეგორიების, ღირებულებებისა თუ მოტივების განგრძობითობაში კი არ არის საძიებელი, არამედ ტრანსფორმაციული პროცესების ლოგიკაში. ამიტომ არის სინქრონული და დიაქრონული ხედვების შეჯერება ყველაზე ეფექტური წარსულისა თუ თანამედროვეობის ჰოლისტური ანალიზისას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საკითხი კვლევის სფეროთა მკაცრად დადგენა-შემოსაზღვრის შესახებ დღეისათვის არ არის აქტუალური და ყურადღების ამ საკითხზე გადატანა კონკრეტულ სამეცნიერო წრეებში სხვა ტიპის პრობლემების არსებობაზე მიუთითებს.

ლიტერატურა:

- მარკუსი, ჯ., ფიშერი, მ. Marcus G., Fisher M. (1999).** Anthropology as cultural critique. An experimental moment in the human sciences, The university of Chicago press
- ფაბიანი, ჯ. Fabian J. (2001).** Anthropology with an Attitude. Critical Essay. Stanford University Press, Stanford, California, 2001 pp.70-86)

- ფენტონი, უ. Fenton W.N. (1952).** The training of historical ethnoogists in America, *Americal Anthropologist* 54
- ფოლფელს, ჯ. ბეილეი, ჯ. Peoples. J., Beiley G. (2012).** Humanity. An Introduction to Cultural Anthropology, 9th edition, Wadsworth

The question of the intersection or relation of the research interests of history and ethnology is an accompanying topic to the process of establishing ethnology as a scientific field. The development of scientific methodology in the twentieth century, the expansion of areas of interest, and empirical innovations were accompanied by a revision of methodological and theoretical approaches. Differences in ethnological (anthropological) schools and traditions have led to the emergence of different approaches in the English, German and French speaking spaces.

The theoretical development of the field in the English-speaking world was influenced, on the one hand, by the historical particularism of Franz Boas and, on the other, by the approaches of Bronislaw Malinowski and Alfred Radcliffe-Brown, who drew a sharp line between ethnology and history. They considered the socio-cultural phenomena from a functional point of view, and were perceiving the historical descriptions only as a bearer of the function of historical legacy of the present. Historical anthropology was developed in Germany. The main research question was the reconstruction of history, criticizing the connection of history only with the written sources. The ethnohistory as a special field was established from the 60s of the twentieth century in Vienna, under the leadership of Hirschberg. This field is on the edge of the historical and ethnographic studies. Ethnohistorical studies are based on both historical and ethnographic data and approaches. Ethnohistorical research is based on the analysis of written sources and documents. The French-speaking space was influenced by the historical school of the Annals, which focused on the everyday life and ordinary people. Attention was drawn to the microhistory.

Such traditions have determined the urgency of historical methodology. The historical dimension has become more important to modern anthropology since the 1980s because it allows the analysis of similarities and differences of social life in historical or genealogical contexts and makes possible the accumulation of the comparative knowledge about human existence. Using a historical methodology in historical ethnology means retrospectively the past from modern cultures, thanks to the cultural memory of the people living today, their oral histories, historical sources and documents. The goal of the historical reconstruction should be to restore the whole context and not its fragments. Contexts change over the time. Consequently, historical continuity must not be sought in the continuum of the same categories, values, or motives, but in the logic of transformational processes. Therefore the reconciliation of synchronic and diachronic approaches is the most effective for holistic analysis of the past or the present.

Based on the above mentioned, it can be said that the issue of strict definition of research areas is not relevant today and the shift of attention to this issue indicates the existence of the other types of problems within the specific scientific circles.

References:

- Marcus, G., Fisher M. (1999).** Anthropology as cultural critique. An experimental moment in the human sciences, The university of Chicago press.
- Fabian, J. (2001).** Anthropology with an Attitude. Critical Essay. Stanford University Press, Stanford, California, 2001 pp.70-86).
- Fenton, W.N. (1952).** The training of historical ethnologists in America, *American Anthropologist* 54.
- Peoples, J., Beiley G. (2012).** Humanity. An Introduction to Cultural Anthropology, 9th edition, Wadsworth.

ლიბერალიზმის დისკურსის
პარადიგმულიობა პოლიტიკურ
ფილოსოფიაში

THE PARADIGM OF THE DISCOURSE OF
ILLIBERALISM IN POLITICAL PHILOSOPHY

დემურ ჯალაღონია
Demur Jalaghonia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanites

დემოკრატია, როგორც თეორიული განაზრება, ყურადღების ცენტრში საუკუნეებია დგას. უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტად ყურადღებას იქცევს ანტიელიტისტური ხასიათის (პოპულისტურად წოდებული) სახალხო მოძრაობები. ამის ნათელი მაგალითია ილიბერალიზმი, როგორც ლიბერალური დემოკრატიის პარადიგმა.

ჰაიეკმა პინოჩეტის ჩილეში ვიზიტისას განაცხადა, „მე პირადად უპირატესობას ვანიჭებ ლიბერალურ დიქტატურას, ვიდრე ლიბერალიზმს მოკლებულ დემოკრატიულ მთავრობას“.

ილიბერალიზმი გაბორ ჰალმაიმ შემოიტანა, როგორც ლიბერალიზმის მიმართ კრიტიკული რეაქცია (ჰალმაი, 2020).

ილიბერალური თეორიის წარმომადგენლები აკრიტიკებენ პოლიტიკური ლიბერალიზმის ღირებულებებს: ადამიანთა უფლებებს, სამართლიანობას, თანასწორობას და კანონის უზენაესობის პრინციპებს. მათი კრიტიკის ობიექტია ლიბერალური თეორიები და ლიბერალური საზოგადოებები.

სტივენ ჰოლმსი აღნიშნავს; არალიბერალებსა და ანტი-ლიბერალებს არ აქვთ სურვილი, შეისწავლონ ლიბერალური თეორიები და ლიბერალური საზოგადოებები ერთმანეთისგან განცალკევებით, რადგან მიიჩნევენ, რომ ლიბერალური საზოგადოებები წარმოადგენენ ლიბერალური იდეების იდეალურ განსახიერებას. შესაბამისად, ლიბერალური საზოგადოებების მარცხი ავტომატურად გამოწვეულია ლიბერალური პრინციპების არაადეკვატურობით (ჰოლმსი, 1993).

ილიბერალიზმი უპირისპირდება ლიბერალურ დემოკრატიას, რადგან როგორც საყოველთაოდ მიღებულია, არ არსებობს დემოკრატია ლიბერალიზმის გარეშე და, იმავდროულად, შეუძლებელია ლიბერალური უფლებების არსებობა დემოკრატიის გარეშე. ამ თვალსაზრისით „ილიბერალური ან ანტი-ლიბერალური დემოკრატია“ არ არსებობს. ისინი, ვინც დემოკრატიას განიხილავენ, როგორც ლიბერალურ წყობას, ასევე აცხადებენ, რომ ილიბერალიზმი თავისი არსით ეწი-

ნააღმდეგება კონსტიტუციონალიზმთან დაკავშირებულ დემოკრატიის ძირითად ინსტიტუციონალურ ასპექტებს.

ფუკუიამა თავის ცნობილ ნაშრომში (1989) წინასწარმეტყველებდა „პოლიტიკური ლიბერალიზმის ცალსახა გამარჯვებას“ და „დასავლური ლიბერალური დემოკრატიის, როგორც ადამიანური მმართველობის საბოლოო ფორმის, უნივერსალიზაციას“ (ფუკუიამა, 1999), მაგრამ შემდგომში პროცესები სულ სხვა მიმართულებით განვითარდა.

საინტერესო განცხადება გაავრცელა ორბანმა, რომ „სურს უნგრეთი გადააქციოს ისეთ სახელმწიფოდ, რომელიც „თავის თავზე აიღებს იმ ნეგატიურ დარტყმას, რომელიც მოჰყვება აღიარებას, რომ უნგრეთი არ არის ბუნებით ლიბერალური ქვეყანა“. მან გამოხატა მხარდაჭერა ილიბერალური დემოკრატიის მიმართ და აღნიშნა, რომ იგი ქრისტიანულ დემოკრატიასაც ილიბერალურად მიიჩნევს: „არსებობს ლიბერალური დემოკრატიის ალტერნატივა, მას ქრისტიანული დემოკრატია ეწოდება... ნება მოგვეცით, დარწმუნებით განვაცხადოთ, რომ ქრისტიანული დემოკრატია არ არის ლიბერალური. ლიბერალური დემოკრატია ლიბერალურია, მაშინ როდესაც ქრისტიანული დემოკრატია, თავისი ბუნებით არ არის ლიბერალური, შეიძლება ითქვას, რომ ილიბერალურია“ (Orban, 2018).

როგორც ჩანს, პოლიტიკურ ველზე დუდილის პროცესი მიდის. ცივილიზაციის ძირითად ფასეულობებს საფრთხე ემუქრება. მსოფლიოს ბევრ რეგიონში უკვე გაქრა ადამიანური კეთილშობილებისა და თავისუფლების არსებითი პირობები.

დასავლელი ადამიანის ყველაზე ძვირფას მონაპოვარს, აზროვნებისა და გამოხატვის თავისუფლებასაც კი, საფრთხე ემუქრება. თვითნებური ძალაუფლების გაფართოება თანდათანდ ძირს უთხრის ინდივიდუალებისა და ნებაყოფლობითი ჯგუფების პოზიციას. კონცეპტუალური ხარვეზების დიაგნოსტიკა და გამოსწორება შესაძლებელია, თუ მონ პელერინის საზოგადოების მსგავსად, გამორჩეულად მოაზროვნე ადამიან-

ნების ინტენსიურ სადისკუსიო თემად გავხდით კლასიკური ლიბერალიზმის ნაწილობრივი მარცხით გამონვეულ შედეგებს.

ლიტერატურა:

ჰალმაი გ. (2020). ილიბერალიზმი აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XIV გამოცემა.

ჰოლმსი ს. (1993). ანტილიბერალიზმის ანატომია, XIV გამოცემა.

ფუკუიამა, ფ. (1999). ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბილისი. პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანის გამოსვლა ბალვანიოს 28-ე ღია საზაფხულო უნივერსიტეტსა და სტუდენტურ ბანაკში, 2018 წლის 28 ივლისი, ბელიეტუშნადში, <http://www.miniszterelnok.hu/prime-minister-viktor-orbans-speech-at-the-29th-balvanyos-summer-open-university-and-student-camp/> აღნიშნული წერილი გამოაქვეყნა “Politico”-მ: <https://www.politico.eu/article/viktor-orban-rejects-epp-concerns-rule-of-law/>).

Democracy as a theoretical concept has been in the spotlight for centuries. In recent years, anti-elitist (so-called populist) public movements have become increasingly popular. A clear example of this is illiberalism as a paradigm of liberal democracy.

“I personally prefer a liberal dictatorship than a democratic government devoid of liberalism,” Hayek said during a visit to Chile by Pinochet.

Illiberalism was introduced by Gabor Halmai as a critical reaction to liberalism (Gabor Halmai, 2020).

Representatives of the liberal theory criticize the values of political liberalism: – Human rights, justice, equality and the principles of the rule of law. The object of their criticism is liberal theories and liberal societies.

Stephen Holmes notes: non-liberals and anti-liberals are reluctant to study liberal theories and liberal societies separately from each others because they believe that liberal societies are the ideal embodiment of liberal ideas. Accordingly the failure of liberal societies is automatically caused by the inadequacy of liberal principles. (S. Holmes, 1993).

Liberalism opposes liberal democracy because, as generally accepted, there is no democracy without liberalism, and at the same time, it is impossible for liberal rights to exist without democracy. In this sense, “illiberal or anti-liberal democracy” does not exist. Those who consider democracy as a liberal formation also argue that illiberalism fundamentally contradicts with institutional aspects of basic democracy associated with constitutionalism.

In his famous work (1989), Fukuyama predicted the “Unequivocal Victory of Political Liberalism” and the “Universalization of Western Liberal Democracy as the Ultimate Form of Human Government” (Fukuyama, 1999), but later the processes developed in a completely different way.

An interesting statement was made by Orban that “He wants to turn Hungary into a state that “will take the negative blow that will follow the recognition that Hungary is not a liberal country by nature”. He expressed his support to illiberal democracy and noticed that he also considers Christian democracy to be liberal: “There is an alternative to liberal democracy, it is called Christian democracy ... let us state with certainty that Christian democracy is not liberal. Liberal democracy is liberal, while Christian democracy, by its very nature, is not liberal. It can be said that it is illiberal”. (Viktor Orban 2018).

As it seems there is an ongoing process of fermentation in the political field. The core values of civilization are in danger. The essential conditions of human nobility and freedom have already disappeared in many regions of the world. Even the most precious achievement of Western man, freedom of thinking and expression is

in danger. The expansion of arbitrary power gradually undermines the position of individuals and voluntary groups. Conceptual gaps can be diagnosed and corrected if we make the results of the partial collapse of classical liberalism an intense topic of discussion for people with distinctive thinking like the Mont Pellerin society.

References:

Halmay, G. (2020). Illiberalism in Eastern and Central Europe. Review of Constitutional Law, XIV Edition.

Holmes, S. (1993). Anatomy of Anti-Liberalism. XIV.

Francis, F. (1999). The End and Last Man of History, Tbilisi.

Speech by Prime Minister Viktor Orban at the 28th Balvanio Open Summer University and Student Camp, July 28, 2018, in Beiley-Tushnad, <http://www.miniszterelnok.hu/prime-minister-viktor-orbans-speech-at-the-29th-balvanyos-summer-open-university-and-student-camp> / This letter was published by "Politico": [https://www.politico.eu/article/viktor-orban-rejects-epp-concerns-rule-of-law /](https://www.politico.eu/article/viktor-orban-rejects-epp-concerns-rule-of-law/)).

**საქართველოს მწერალთა კავშირი
და საქართველოში დაბრუნებული
ფერეიდნელი ქართველები (1975-1978)**

**GEORGIAN WRITERS' UNION AND FERAYDANIAN
GEORGIANS RETURNED TO GEORGIA (1975-1978)**

ლევან ჯიქია

Levan Jikia

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sokhumi State University

განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Educational Sciences

საკვანძო სიტყვები: საქართველოს მწერალთა კავშირი,
ფერეიდნელი ქართველები, საქართველოს საბჭოთა
სოციალისტური რესპუბლიკა

Keywords: Georgian Writers' Union, Fereydanian Georgians, the
Soviet Social Republic of Georgia

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ირანში მცხოვრები ქართველებით მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას დაინტერესდა. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა 1945 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, გ. კიკნაძის, მიერ ვიაჩესლავ მოლოტოვის, ლავრენტი ბერიასა და ს. კაფტანოვისადმი გაგზავნილი მოხსენებითი ბარათები, რომლებშიც სხვა საკითხებთან ერთად საუბარია ირანში მცხოვრებ ქართველებზე (ფონდი 14: 52-53). ბარათებში გ. კიკნაძეს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ირანში ექსპედიციის გაგზავნა, რომელიც უნდა დაკომპლექტებულიყო ექიმებით, პედაგოგებით, ისტორიკოსებითა და ენათმეცნიერებით, რათა ადგილზე დეტალურად შეესწავლათ ირანში მცხოვრები ქართველების მდგომარეობა. გ. კიკნაძე ასევე აცხადებს, რომ აღნიშნული ნაბიჯი შესაძლებლობას მისცემდა მათ, ირანში მცხოვრები ქართველების საქართველოში გადმოსახლების პროცესი დაეწყოთ (ფონდი 14: 44-45).

ფერეიდანში მცხოვრები ქართველების საქართველოში გადმოსახლების პროცესი მოგვიანებით 1972 წლიდან დაიწყო. ამ წელს ირანიდან საქართველოში 21 ქართული ფერეიდნული ოჯახი დაბრუნდა, რომლებიც საგარეჯოსა და გურჯაანის რაიონებში დასახლდნენ (ბართაია, 2014: 19).

1975 წელს გადაწყდა საქართველოში გადმოსახლებულ ფერეიდნელი ქართველების ოჯახებზე შეფობა თავის თავზე საქართველოს მწერალთა კავშირს აეღო. ფერეიდნელ ქართველთა საშეფო კომისიის თავმჯდომარე საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელი, გრიგოლ აბაშიძე, გახდა (ფონდი 8:1).

საქართველოს მწერალთა კავშირმა დაამტკიცა ფერეიდნელ ქართველებთან მუშაობის საშეფო კომისიის სამუშაო გეგმა (ფონდი 8: 2), რომლის ფარგლებში არაერთი ღონისძიება განხორციელდა.

მიუხედავად ამისა, ფერეიდნელი ქართველების ცხრა ოჯახმა გადაწყვიტა ფერეიდანში დაბრუნება. ისინი აცხადებენ, რომ ძალიან კმაყოფილი იყვნენ საქართველოთი, ქართველებით, თუმცა ფერეიდანი და ნათესავები მოენატრნენ. ამის შემდეგ ქართველოს მწერალთა კავშირის ფერეიდნელ ქართველებთან შეფობამაც აზრი დაკარგა და საბოლოოდ ის შეწყდა (ფონდი 8: 8).

ლიტერატურა:

ბართაია, ნ. (2014). სამი პერიოდი საქართველოსა და ირანელ ქართველთა ურთიერთობაში, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, III, 19, თბილისი: „ქართული უნივერსიტეტი“.

ფონდი 14. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი. ფონდი 14. აღწერა 19. საქმე 209.

ფონდი 8. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 8. აღწერა 1. საქმე 2791. ფონდი 8. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი. ფონდი 8. აღწერა 1. საქმე 3017.

Political Management of the Soviet Union got interested in the Georgians dwelling in Iran upon occurring the Second World War. In this respect, the memorandums sent in 1945 from G. Kiknadze, the Public Commissioner of Foreign Affairs of the Soviet Social Republic of Georgia, towards Viacheslav Molotov, Lavrent Beria and S. Kaptanov are immensely interesting where the information is mentioned about Georgians living in Iran together with other issues (Fund 14: 52-53).

The process of immigration of the Georgians residing in Fereydan to Georgia had been launched later since 1972. (Bartaia, 2014:19).

In 1975 the resolution was made and Georgian Writers' Union became in charge of patronage of Fereydanian Georgian families being immigrated in Georgia. (Fund 8:1).

Georgian Writers' Union approved the action plan of working with Fereydanian Georgians of the Managerial Commission (Fund 8:2) and a range of measures had been implemented within the action plan.

However, nine Fereydanian Georgian families decided to return to Fereydan. After that patronage of Georgian Writers' Union for Fereydanian Georgians lost its importance and finally it was terminated. (Fund 8:8).

References:

- Bartaia, N. (2014).** Three periods in the relations of Georgia and Iranian Georgians, *Actual Problems of Kartvelology*, III, 19, Tbilisi: "Georgian University". Fund 14. Archive of Ministry of Internal Affairs of Georgia. Fund 14. Description 19. Case 209.
- Fund 8. The Central Archive of the newest history. Fund 8. Description 1. Case 2791. Fund 8. The Central Archive of the newest history. Fund 8. Description 1. Case 3017.

რედაქტორები:

ქეთევან ქურდოვანიძე
მარინა ჭყონია

დამკაბადონებელი

ნინო ვაჩეიშვილი

